

1180
1978

ქართული
საბჭოთაო

ქ ა რ თ უ ლ ი
წყაროთმცოდნეობა

V

«მეცნიერება»

1978

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ
ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ





Г р у з и н с к о е
и с т о ч н и к о в е д е н и е

V

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1978

1731

25

1-45

ქ ა რ თ უ ლ ი
წ ყ ა რ ო თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა

V

კრებულში წარმოდგენილი წერილები საქართველოს ისტორიის წარმოშობის მნიშვნელოვან პრობლემებს ეხება. გამოკვლევების დიდი ნაწილი კონკრეტულ წარმოშობის საკითხების შესწავლას ეძღვნება. ცალკე განყოფილებები ეთმობა წარმოშობის ისტორიოგრაფიას, საისტორიო წყაროების გამოცემის მეთოდებს, საქართველოს ისტორიის ახალი უცხოური წყაროების პუბლიკაციას, კრიტიკასა და ბიბლიოგრაფიას.

სარედაქციო კოლეგია:

- ზ. ალექსიძე,
- მ. ბერძნიშვილი,
- რ. კიკნაძე,
- ბ. სილაგაძე,
- თ. ყაუხჩიშვილი.

თინათინ ყაზახიშვილი

ისპილეს „სპარსელეზი“ და ჰეროდოტეს „ისტორია“

ჰეროდოტეს „ისტორიის“ ტექსტზე მუშაობისას ყურადღებას იპყრობს ის დიდი ერუდიცია და ფართო დიაპაზონი, რაც ამ მწერალს ახასიათებს. სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, რომ ბევრი რამ, რის შესახებაც ჰეროდოტე მოგვითხრობს, მან თვითონ ნახა, თვითონ მოისმინა; ე. ი. მისთვის ძირითადია პირადი დაკვირვება და ზეპირი გადმოცემები, ხოლო მეორე ადგილზეა წერილობითი წყაროები. წერილობითი წყაროებიდან აღნიშნავენ ზოგ ოფიციალურ დოკუმენტს, ბევრ წარწერას და მისანთა გამონათქვამს. რაც შეეხება ჰეროდოტემდე აღვტორებს, — მათ შორის ჩვეულებრივ ასახელებენ ჰეკატაოს მილეტელს, რომლის შრომებიცა ჰეროდოტე ნამდვილად სარგებლობს და თან აკრიტიკებს, და ზოგ ისეთ ავტორსაც, რომლის შრომებს ჩვენამდე ან სულ არ მოუღწევია, ან თუ მოაღწია, მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტების სახით. მწერალთაგან — თანამედროვე გაგებით — ის იმორწმუნებ შომეროსს, ჰესიოდეს, საბფოს, ალკაიოსს, არქილოქე პაროსელს, სიმონიდე კეოსელს, პინდარეს და ესქილეს.

ჰეროდოტეს ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე — გამოცემელი და მთარგმნელი ლეგრანი სრულიად გარკვევით წერს, რომ იგი ძალიან ნაკითხი კაცი იყო. მე ამას დაუშვებებდი, ნაკითხი იყო და წყაროდაც იყენებდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

ჰეროდოტე ასხენებს და ეკამათება ესქილეს, რომელმაც არტემიდე დემეტრეს ასულად გამოიყვანა თავის რომელიღაც ტრაგედიაში (II, 156). სხვაგან ამ მწერალს იგი არსად ასხენებს. მაგრამ რადგან იმდროინდელი ეთიკა ციტაციისა განსხვავდებოდა დღევანდელისაგან, და იგი არ მოითხოვდა ყოველ კერძო შემთხვევაში წყაროს დამოწმებას, ამიტომ სრულიად ადვილი წარმოსადგენია, რომ ჰეროდოტე სხვაგანაც იყენებდა ამ ავტორს და სხვებსაც, მაგრამ მათ არ ასახელებდა.

ჩემი ძირითადი დებულება ასეთია: ჰეროდოტე ბერძნულ-სპარსული ომების (ე. წ. ძვ. წ. 480-479) აღწერისას სარგებლობდა სხვა მასალასთან ერთად ლიტერატურული ძეგლით, ესქილეს ტრაგედით „სპარსელები“.

ჩემთვის ცნობილ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ ასე ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობს, თუმცა გაკვირით არის აღნიშნული ის ამბავი, რომ სალამინის ბრძოლის სურათი, აღწერილი ჰეროდოტეს მიერ, დას-

ტურდება ესქილეს „სპარსელებში“¹. ამას გარდა, ა. ლესკის დებულების თანახმად, ესქილეს შემოქმედებასა (კერძოდ „ავამემნონსა“) და ჰეროდოტეს „ისტორიას“ შორის, სტილის, კომპოზიციისა და აღნაგობის თვალსაზრისით, მეტი მსგავსებაა (ორივე მწერალი არქაიკის წარმომადგენელია), ვიდრე ჰეროდოტესა და მის თანამედროვე ტრაგიკოს სოფოკლეს შორის².

ესქილეს ჩვენამდე მოღწეული ტრაგედიების მიხედვით იმის თქმა შეიძლება, რომ მისი ტრაგედიები დაწერილია და დადგმულია ტრილოგიებად, მაგრამ ეს ტრილოგიები აგებული იყო ერთ სიუჟეტზე. მაგ., სამი დამოუკიდებელი ნაწარმოებისაგან შემდგარი „ორესტეა“ (ავამემნონი, ქოფორება, ევმენიდები) არსებითად ერთი ამბის გადმოცემი სამნაწილიანი დრამაა, ხოლო „მავედრებლები“ დანაიდების მითზე აგებული ტრილოგიის (მავედრებლები, ეგვიპტიდები, დანაიდები) პირველი ნაწილია. ასევე „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“ ბოლო ნაწილია თებაიდის თქმულებისა (ლაიოსი, ოდიპოსი, შვიდნი თებეს წინააღმდეგ), ხოლო „მიჯაჭველი პრომეთეესი“ ტიტანი პრომეთეესის მითის ნაწილია (მიჯაჭველი პრომეთეესი, განთავისუფლებული პრომეთეესი, ცეცხლოვანი პრომეთეესი)³.

ამ მხრივ, ერთი შეხედვით გამონაკლისს წარმოადგენს ესქილეს ტრაგედია „სპარსელები“ (დადგმული 472 წელს). იგი ნაწილი იყო ტრილოგიისა, რომელშიც შედიოდა აგრეთვე ორი დრამა — „ფინევსი“ და „გლავკოსი“, „სპარსელები“ ისტორიული სიუჟეტის მქონე ნაწარმოებია, ხოლო „ფინევსი“ და „გლავკოსი“ აშკარად წმინდა მითოლოგიურ თემაზეა აგებული. ამდენად, თითქოს გაუგებარია, რა აკავშირებს ამ სამ ნაწარმოებს და რატომ გააერთიანა ისინი ესქილემ. ამ საკითხს თითქმის ყველა შეხებია, ვისაც კი ესქილეს ტრაგედიებზე უმუშავია და ვფიქრობ (ამ შეხედულებათა გათვალისწინებით) ესქილესათვის საფუძველი ამ ტრაგედიათა დაკავშირებისა უნდა იყოს ის, რომ სამივე ნაწარმოებს აერთიანებდა ბერძნულ-სპარსული ომების თემატიკა. სახელდობრ — ფინევსი, არგონავტების მითის მიხედვით კარგად ცნობილი პიროვნება, თრაკიის მეფე, იყო პერსესის წინაპარი (პერსესი იყო ფინევსის ძმის შვილიშვილი), ხოლო პერსესი კი იყო სპარსელთა ეპონიმი. ამას გარდა, თრაკიაზე (ფინევსის ქვეყანაზე) გადაიარა სპარსეთის ჯარმა, როდესაც ის საბერძნეთის წინააღმდეგ ლაშქრობდა. „გლავკოსი“ ეგებოდა კორინთოს მეფის, გლავკოსის ამბავს, მას პოტნიაში ჰყავდა საკუთარი ცხენები (რომელთაც საბოლოოდ თავისი პატრონი დაფლითეს); პოტნია მდებარეობდა თებესა და პლატეას შორის, ხოლო პლატეაში მოხდა ცნობილი 479 წლის ბრძოლა ბერძნებსა და სპარსელებს შორის. ამდენად, ჩემი აზრით, ესქილემ ერთ ტრილოგიად იმიტომ წარმოადგინა „სპარსელები“, „ფინევსი“ და „გლავკოსი“, რომ სამივე ნაწარმოებს საერთო თემატიკა ჰქონდა. რამდენადაც „ფინევსი“ და „გლავკოსი“ უმნიშვნელო ფრაგმენტების სახით არის ჩვენამდე მოღწეული, ამდენად ძნელია კატეგორიული მსჯელობა ამ საკითხზე, მაგრამ ვფიქრობ,

¹ В. Г. Борухович. Геродот, История. Перевод Стратановского — статья: Научное и литературное значение труда Геродота. Л., 1972, с. 476.

² A. L e s k y. Geschichte der griechischen Literatur, 1973, გვ. 367.

³ ესქილეს მომდევნო დიდ ტრაგიკოსებთან (სოფოკლე, ევრიპიდე) ტრილოგიებში ერთი მთლიანი მითის გაშლა აღარ ხდება.

საფუძველი ამ სამი ტრაგედიის ერთ ტრილოგიად წარმოდგენისა ეს უნდა იყოს. ესქილეს, როგორც პოეტის, მიზანი არ იყო ბერძნულ-სპარსული ომების ისტორიის გადმოცემა. „სპარსელებში“ მან შესანიშნავად ასახა თავისი დამოკიდებულება ამ ომებისადმი, ხოლო ორ დანარჩენ ტრაგედიაში მან ომებთან დაკავშირებით მითოლოგიური სიუჟეტები დაამუშავა.

ეს მოსაზრება ყველა სპეციალისტმა არ გაიზიარა. მაგ., ა. ლესკის აზრით, ესქილე, როგორც ჩანს, თავიდანვე არ აგებდა ერთ თემაზე ტრილოგიებს (იმდროინდელია „სპარსელები“), შემდეგ დაიწყო მან ერთსიუჟეტო ტრილოგიების წერა⁴, რაც, ისე გამოდის, რომ მომდევნო ხანის ავტორებმა უარჰყვეს და ესქილეს აღრინდელ მეთოდს დაუბრუნდნენ. მე კი მგონია, რომ მართალია სვიდა, რომელიც წერდა, რომ სოფოკლე პირველი იყო, რომელმაც შინაარსის მიხედვით დაკავშირებული ტრილოგიები არ გამოიჩინა აგონზე, ე. ი. აქედან გამომდინარე, სვიდას აზრით, ესქილე ტრილოგიებს ერთ მთლიან სიუჟეტზე წერდა.

ამგვარად, შესაძლებელია წამოვყენოთ მოსაზრება (კატეგორიული მსჯელობა ძნელია, რადგან ტრილოგიის მხოლოდ ერთი ნაწილია მთლიანად მოღწეული), რომ ტრილოგია „ფინევსი“, „სპარსელები“ და „გლავკოსი“ აგებული იყო ბერძნულ-სპარსული ომების თემატიკაზე და თუ ერთი მათ შორის მთლიანად ისტორიული დრამა იყო, ორი ნაწილობრივ წიაღსკვლას წარმოადგენდა ძირითადი ხაზიდან.

ეს ხერხი შემდეგ შესანიშნავად გამოიყენა ჰეროდოტემ, რომლის მიზანი, მისივე განსაზღვრით, ბერძნულ-სპარსული ომების ისტორიის გადმოცემა იყო, მაგრამ ამ ფონზე, ამ საბაზით, იმავე ომებთან კავშირში, ბევრი ერთი შეხედვით გარეშე ამბავი მოგვითხრო, რომელსაც ყოველთვის გარკვეული კავშირი ჰქონდა ამ ომებთან და ზოგჯერ ომებში მონაწილეებთან.

ამრიგად, ესქილეს ამ ტრილოგიასა და ჰეროდოტეს „ისტორიას“ შორის საერთოა ხერხი, რომლითაც უკავშირდება ტრაგედია ტრაგედიას, ისტორიაში ერთი ამბავი მეორეს.

შეგვიძლია მოვიყვანოთ უფრო კონკრეტული ხასიათის მასალაც, რომლის საფუძველზედაც ცხადია, რომ ჰეროდოტე იყენებდა ესქილეს „სპარსელებს“.

1. ჰეროდოტე პირველი ავტორია, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ პერსესი (სპარსელთა ეპონიმი) არის პერსევსის ძე. სახელდობრ: „როდესაც პერსევსი, დანაესა და ზევსის შვილი, მივიდა ბელოსის შვილთან, კეფევსთან და მისი ასული ანდრომედე შეირთო, ქალს მისგან შეეძინა შვილი, რომელსაც სახელად პერსესი დაარქვეს. პერსევსმა ეს ბავშვი აქ დატოვა. მოხდა ისე, რომ კეფევსს ვაჟიშვილი არა ჰყავდა. ამიტომ ამ პერსესისაგან მიიღეს სახელი ამ ადგილის მცხოვრებლებმა“ (VII, 61). ან კიდევ: „არის კიდევ სხვა გადმოცემაც, რომელიც გავრცელებულია მთელს ელადაში, რომ თითქოს ქსერქსესმა იმაზე უწინ გაგზავნა მაცნე არგოსში, ვიდრე ელადაზე სალაშქროდ წავიდოდა. ეს რომ მისულა, როგორც ამბობენ, შემდეგი უთქვამს: „არგოსელებო, ქსერქსეს მეფემ შემოგითვალათ: ჩვენ მიგვაჩნია, რომ პერსესი, რომლისგანაც ჩვენ წარმოვდგებით, იყო შვილი პერსევსისა, დანაეს ძისა და გაჩენილი იყო კეფევსის ასულის, ანდრომედეს მიერ. ამგვარად, ჩვენ თქვენი ჩამომავლები

⁴ A. Lesky. Geschichte der griechischen Literatur. გვ. 366.

ვართ. ამიტომ არც ჩვენ შეგვეფერის, რომ ჩვენს წინაპრებზე ვილაშქროთ და არც თქვენ, რომ სხვებს დაეხმაროთ და ჩვენი მოწინააღმდეგენი გახდეთ“ (VII, 150).

მინიშნება ამ ფაქტზე (პერსესი პერსევის ძეა, ხოლო პერსესი პერსესისა) არის უკვე ესქილეს „სპარსელებში“. პაროდოსში, პირველ ანტისტროფში (79—80) ვკითხულობთ:

Χρυσόγονος γυνεῶς ἰσθμῖος φῶς
ლეთის ვაკეა ცი ოქროსაგან შობილი მოღმის.
რასაც აქვს თავისი სქოლიო:

τινὲς γὰρ ἀνέγνωσαν χρυσόγονος δὲ τὸ τὸν Περσέα ἄπὸ χρυσοῦ γυνεῦνθ-
σθαι· ἄλλως τῆς Περσέως γυνεῶς ἰσθμῖος. ზოგიერთებს მიაჩნიათ რომ „ოქრო-
საგან შობილი“ იმის მანიშნებელია, რომ პერსესი ოქროსაგან წარმოსდგა. სხვა-
ნაირად პერსესის მოღმის ჩამომავალი. ხოლო პირველ ეპიზოდში წერია: πῶς
ἄρᾳ πράσσει· Ἐέρχῃ βασιλῆς Δαρειογενῆς· τὸ πατρῴνμιον γῆνος ἤμῃτερον. (სტრ.
147 და შმდ.). რასა იქმს ქსერქსე მეფე, დარიოსისაგან წარმომდგარი, ჩვენი
მოღმეა სახელდებული მამამთავრის მიხედვით (ე. ო. პერსესისაგან — თ. ყ.).

ამ ადგილის სქოლიოში ვკითხულობთ: θεὸς κατὰ πατέρα συγγενῆς ἦμῖν, τει-
τέστιν Ἰὼν προγόνοισι Ἰθαγενῆς. მაშის მხრივ ჩვენი ნათესავი, ეს ნიშნავს წინაპრი-
საგან პირდაპირ ჩამომავალს.

„სპარსელებიდან“ მოტანილ ორივე ციტატაში სრულიად გარკვეულად
არის ნათქვამი, რომ ქსერქსე პერსესის ჩამომავალია და რომ სპარსელთა
მოღმას (Πέρσαι) მათი მამამთავრის (ე. ო. Πέρσης-ს) მიხედვით ეწოდა სახე-
ლი. ასე ესმის კომენტატორსაც „სპარსელებიდან“ ზემოთ მოტანილა
ადგილები.

ქსერქსეს პიროვნების დახასიათებისას პეროდოტე, როგორც ჩანს, სა-
ერთოდ სარგებლობდა ესქილეს დრამით.

ესქილე ქსერქსეს უწოდებს ἰσθμῖος φῶς (79) — ლეთისდარი ვაკეა ცი;
ატოსას — დმერთის (ე. ო. ქსერქსეს) დედას — θεῖον μῆτηρ (160). პეროდოტეს-
თან კი ქსერქსე უფრო კონკრეტულად, თვით ზევსთან არის გაიგივებული.

პეროდოტე ერთ-ერთ პელესპონტელს ათქმევინებს: „ზევსო, რატომ მი-
ილე სპარსელის გარეგნობა და სახელად ზევსის ნაცვლად ქსერქსესი დაირ-
ქვი?“ (VII, 56).

ესქილე რამდენიმეჯერ (74, 718, 754 ტაეპები) ქსერქსეს მიმართ ხმარობს
ეპითეტს მისრიც (შმაგი) — მისრიც Ἐέρχῃ. მისრიც ἢ მისრიც არესის ეპითეტია
ხოლმე; პეროდოტე ამ მიზეზით, თუ იმიტომ, რომ სპარსულად „ქსერქსესი“
მართლაც ნიშნავს „tapferer kriegler“, წერს: „ელაინურ ენაზე ეს სახელები ნიშ-
ნავს: დარიოსი — მოქმედს (ἐρχῆς — თუ შემკავებელს, მომთვინიერებელს — ?),
ქსერქსესი — მეომარს (ἀρχῖος), არტოქსერქსესი — დიდ მეომარს (μῆχῖος ἀρχῖος)“
(VI, 98). როდესაც ვამბობ, რომ ქსერქსეს პიროვნების დახასიათებისას პერო-
დოტე სარგებლობდა ესქილეს დრამით-მეთქი, ეს იმას, რა თქმა უნდა, როდი
ნიშნავს, რომ პეროდოტე მთლიანად იმეორებს ესქილეს მიერ წარმოდგენი-
ლი გმირის სახეს. პეროდოტეს ქსერქსე გაცილებით ნაკლებ ოდიოზური ტი-

რანია, ვიდრე ესქილეს ქსერქსე, მაგრამ საერთო ნიშნების პოვნა უშეძლებლობა შეიძლება.

2. იმავე ქსერქსეს პიროვნებასთან დაკავშირებით ესქილეს „სპარსელებში“ და შემდეგ ჰეროდოტეს „ისტორიაში“ გვხვდება ეპიზოდი, სადაც ერთხრობილია ჰელესპონტზე ხიდის გადგმა და სპარსელთა ჯარის ნაწილის ევროპაში გადაყვანა.

ესქილეს „სპარსელებში“ ჰელესპონტის ეპიზოდი რამდენიმეჯერაა ხსენებული. მოვიყვან ყველა მაგალითს: პართლოსში გუნდი მლერის (სტრ. 66—72):

Λισοδέσμοφ σχεδίξ πορθιμὸν ἀμείψας Ἄθιαμαντίδος Ἑλλας, πῶλογομφον δεσμοσμα τυχὸν ἀμφιβλῶν ἀρχέινι πόντου

უღელი დაადგა პონტოს ქედზე და გაიარა ქსერქსემ საბელით შეკრული ხიდით ათამანტის ასულის ჰელეს სრუტე, მრავალი ლურსმნით შეკრული გზა.

მეორე ეპიზოდში ატოსას და დარიოსის აჩრდილის დასავლეთში გეთსულობით (სტრ. 723—726):

ΔΑ. πῶς δὲ καὶ στρατὸς τοσόσδε πεζὸς ἦγυσεν περᾶν;

ΑΤ. μηχανὰς ἔξουσεν Ἑλλης πορθιμὸν ὄψ' ἔχειν πόριον,

ΔΑ. καὶ τὸδ' ἐξέπραξεν, ὅσπε Βόσπορον κλησθαι μέγαν;

ΑΤ. ὦδ' ἔχει γνῶμηξ δὲ πῶ τις δαίμόνων ξυψήφατο.

დ. ამოდენა ქვეითი ჯარი როგორ გაიყვანა ზღვაზე?

აბ. ხიდი გასდო ჰელეს სრუტეზე, ისე, რომ ჰქონდათ გზა.

დ. ეს შეძლო, ისე რომ დიდი ბოსფორი დაეკეტა?

აბ. ასე გამოდის: ღმერთთაგან რომელიღაცამ დაიპყრო მისი აზრი.

იქვე, ცოტა ქვემოთ, დარიოსის პარტიაში გვაქვს (სტრ. 747—752):

ὅσπε Ἑλλησποντον ἱρὸν δούλον ἄς δεσμάμασιν ἦλπισεν σχήσειν ῥέοντα, Βόσπορον ῥόνθι καὶ πόριον μετερρῆμαζε, καὶ πέδαις σφυρηλάτοις περιβῆλων ποικλῆν κέλευσθον ἦγυσεν ποικλῆ στρατῶ, μυητὸς ὦν μεῶν δὲ πάντων ῥετ', οὐκ εὐβουλίξ καὶ Ποσειδῶνος κρατήσειν πῶς τὰδ' οὐ νόσος φρενῶν εἶχε πατῆδ' ἔμῳν;

ვისაც იმედი ჰქონდა, რომ წმინდა ჰელესპონტს, როგორც მონას ბორკილებს დაადებდა, ღვთაებრივ დინებას, ბოსფორს, გზას შეუცვლიდა და გამოჭედული ბორკილები დაადო, ვრცელ გზაზე გაატარა ურიცხვი ლაშქარი, ის მოკვდავია, მაგრამ უგუნურებით თავი ღმერთთაგანი ჰგონია და პოსეიდონს ერკინება. ეს რაა, თუ არა აზრთა სნება, რაც ჩემს შვილს შეპყრია?

აქ არის სქოლიო — δὲ τὸ ἱερὸσθαι ἀντὶ τοῦ Διὸς ἱερὸν, ἄς Μνασείξ: ἦ τὸν ἀνεμείνον, ἄς ἱερὸν ἔχουσιν. რადგან აქ დგას ზევსის ტაძარი, როგორც ამბობს მნასეასი, ან ივულისხმება ვაქუთუნელი ღვთაებისადმი როგორც „წმინდა თევზი“ (პომპროსი, II 407).

ასეთი დაწვრილებითი აღწერა არ არის „ჰელესპონტის“ შეკვრისა, მაგრამ მინიშნება ამაზე გვხვდება კიდევ სხვა ადგილებშიც (100/110, ანტიტროფი 3; 120/130 სტროფი 5).

პეროდოტეს „ისტორიაში“ წერია, VII. § 33—36. „ამასობაში მათ ჰელესპონტზე ხიდი გასდეს აზიიდან ევროპისაკენ. ჰელესპონტში რომ ჰეროსონეზო, იქ ქალაქ სესტოსსა და მადიტოსს შორის არის ფართო კონცხი, რომელიც ზღვამდე აღწევს აბიდოსის პირდაპირ... აბიდოსიდან ამ კონცხსზე სხედება“ — ვაძლეს მათ, ვისაც ეს ევალებოდა, ერთი ფინიკიელებმა — თეთრმა სტეფანმა, სხედება მეორე ეგვიპტელებმა — ჭილისა. ხოლო აბიდოსიდან მის მოპირდაპირე ნაპირამდე შვიდი სტადიონია. როდესაც გაიდო ხიდები გადასასვლელზე, დიდი ქარიშხალი ამოვარდა და ეს ყოველივე დაანგრია და დააქცია. ქსერქსესმა ეს რომ შეიტყო, საშინლად გაბრაზდა და ბრძანა ჰელესპონტისთვის 300 მათრახი დაერთყათ და ზღვაში წყვილი ბორკილი ჩაეგდოთ. ისიც კი მითხრეს, ოთქოს ამის გარდა დამდალებიც გაუგზავნია, რომ ჰელესპონტი დაედაღათ. ყოველ შემთხვევაში ის კი ნამდვილად უბრძანებია, რომ ამ ვაპათრახებისა უხეში და თავხედური სიტყვები ეთქვათ: „მწარე წყალო, უფალი შენ იმიტომ გსჯის, რომ შენ მას უსამართლოდ მოექცეი მაშინ, როდესაც მას შენთვის არაფერი დაუშავებია. შენ გინდა თუ არა, მეფე ქსერქსესი მაინც გადაივლის შენზე. მართლაც, სამართლიანია ის, რომ არც ერთი ადამიანი არ გწირავს მსხვერპლს, რადგან ჭუჭყიანი და მლაშე მდინარე ხარ“. ასე უბრძანა ქსერქსესმა თავის ხელქვეითებს, ზღვა დაესაჯათ და თავები დაეჭრათ იმათთვის, ვინც ხელმძღვანელობდა ჰელესპონტზე ხიდების გადებას. ესაც ასეთი უსიამოვნო მოვალეობა დაეკისრა, იმათ მოუხდათ მისი შესრულება. ხოლო სხვა ხუროთმოძღვრებმა გააკეთეს ახალი ხიდები და გააკეთეს შემდგენარად: 50-ნიჩბიანი ნაგები და ტრიერები ერთად დააყენეს, ეგქსინის პონტოს მხრივ 360, ხოლო მეორე მხრივ—314; პონტოსკენ—ირიბად დააყენეს, ხოლო ჰელესპონტისაკენ—დინების მიმართულებით. ეს იმისათვის, რომ ბაგირები კარგად დაეჭიმათ. ერთად დააყენეს და ჩაუშვეს ძალიან გრძელი ლუზები, პონტოსაკენ რომ იყო იმ ხიდიდან იმ ქარების გამო, რომლებიც შიგნიდან უბერავდნენ, ხოლო მეორე ხიდიდან, რომელიც — დასავლეთისაკენ, ეგვესის ზღვისაკენ იყო, დასავლეთისა და სამხრეთის ქარების გამო. 50-ნიჩბიანი ნაგებს შორის სამგან გასასვლელი დატოვეს, რადგან თუ ვინმე მოისურვებდა. შეძლებოდა პატარა ნაგებით პონტოში შეცურება და პონტოდან უკახ გამოსვლა. ეს რომ გააკეთეს, შემდეგ გადაქიმეს ხმელეთიდან ხის ოწინარებზე დახვეული ბაგირები, მხოლოდ ამჯერად თითოეული ხიდი ამ ორიდან ერთი რომელიმე ამ მასალიდან კი აღარ გააკეთეს, არამედ თითოეული ხიდისათვის გამოიყენეს ორი თეთრი სელისა და ოთხი ჭილის ბაგირი. სისქე და შესახედაობა ორივეს ერთნაირი ჰქონდა, მხოლოდ სელისა უფრო მძიმე იყო, მისი ერთი წყრთა ტალანტს იწონიდა. როდესაც გასასვლელზე გადეს ხიდები, დახერხეს ხის ძელები და ისინი იმ ზომისა გააკეთეს, რა სიგანეც ხიდსა ჰქონდა, დალაგეს ისინი რიგზე დაქიმული ბაგირების ზემოთ, ხოლო რიგზე რომ დააწყვეს, შემდეგ კვლავ შეკრეს. შემდეგ მოიტანეს ხის მასალა, ისიც რიგზე დააგეს და მთლიანად მიწა დააყარეს, ხოლო მიწის დატყეპნის შემდეგ ორთავე მხარეს კედლები ამოაშენეს, რათა სახედრები და ცხენები არ შეშინებულიყვნენ, ზღვას რომ გადმოხედავდნენ“.

VII, 55 და შემდეგი წარმოადგენს იმის აღწერას, თუ როგორ გადავიდა ამ ხიდით ქსერქსეს ლაშქარი ევროპაში. რა თქმა უნდა, პეროდოტეს ტექსტი

დაწერილებითა, ხოლო ესქილეს დრამიდან მოტანილი ციტატები მხოლოდ გაცივით ასახავენ იმავე სურათს, რაც მერე ჰეროდოტემ აღწერა. ეს ბუნებრივიც არის: ესქილე თვით იყო მონაწილე ბერძნულ-სპარსული ომების, მაგრამ ის პოეტია, ხოლო ჰეროდოტე ისტორიკოსი. მას სხვაგვარად უნდა ეჩვენებოდა მასალის გადმოცემა. ისევე, როგორც დაწერილებით აგვიწერს ჰეროდოტე ეგვიპტის პირამიდების აგებას, ამავე ომში ათონის არხის გაყვანას და სხვ., იმავე ხერხებით გადმოგვცემს იგი ჰელესპონტზე ხიდის აგების ამბავს. დედაზრი ორივე ავტორთან ერთია: ქსერქსემ ჰელესპონტზე ხიდი გასდო, იგი მრავალი ლურსმნით, საბელით შეკრა, მას ბორკილები დაადო (თუ შიგ ბორკილები ჩაჰყარა).

ქსერქსეს მიერ ჰელესპონტზე ხიდის გადება, ჰეროდოტეს „ისტორიის“ მიხედვით, ომის დაწყებამდე მისამმა, ონომაკრიტოსმა იწინასწარმეტყველა (VII, 6) და ქსერქსემ იმავეთვე გაითვალისწინა (VII, 8, 10). საერთოდ ჰელესპონტსა თუ ბოსფორზე ხიდის გადება და ისე გადასვლა ევროპაში სპარსელთათვის პირველი არ იყო. ქსერქსეზე უწინ დარიოსმა სკვითებზე რომ გაილაშქრა, ასევე შეჰკრა ბოსფორი, ხიდი გაადებინა მდ. ისტროსზე და ასე მივიდა სკვითებთან (IV, 85—89).

ესქილესა და ჰეროდოტეს ერთი და იგივე ვერსია აქვთ დამოწმებული ქსერქსეს სამშობლოში დაბრუნების შესახებ: ესქილესთან ეს თითო ვრავლით არის. მაგ., მაცნე ატყობინებს ატოსას, რომ სალამინთან დამარცხებული ქსერქსე გაიქცა შინისკენ ქვეითი ჯარითურთ (სტრ. 472—474). სპარსელთა ჯარის ნაწილები სხვადასხვა გზით ბრუნდებიან უკან, ნაწილი თესალიაშიც იყო. ბევრი უბედურება გადახდათ და გადარჩენილები თრაკიის გავლით დაბრუნდნენ სამშობლოში (480 და შმდ. 515-მდე). ბოლოს სპარსელ უხუცესთა გუნდი ეკითხება დარიოსის აჩრდელს: „განა ბარბაროსთა მთელი ლაშქარი ევროპიდან არ გადმოვა ჰელეს სრუტეზე?“ დარიოსი უპასუხებს: „მრავალთაგან მხოლოდ მცირედნი [დაბრუნდებიან]“ (800—802).

ჰეროდოტე ამ საკითხს რამდენიმე პარაგრაფს უძღვნის (VIII, 115—120): ქსერქსემ დასტოვა მარდონიოსი თესალიაში, აქედან 45 დღე მოუწდა ჰელესპონტამდე მისვლას, თან მიჰყვა მას ლაშქრის პირდაპირ შესაბრალოსი ნაწილი; გადასცურა ქსერქსემ გემით ჰელესპონტი, მივიდა აბიდოსში და აქედან მიიღწია სარდეს, ის ერთხანს დარჩენილა სარდეში, სადაც ეშმადებოდა ელადაზე კიდევ შესატევად; მოგვიანებით, როგორც ჩანს, 478 წ-ს, დაბრუნდა სუზაში (IX, 108) და არა მაშინვე, როგორც კი დამარცხდა სალამინთან. ესქილეს ეს მომენტი სხვაგვარად აქვს, მაგრამ არისტოტელეს სიტყვები რომ მოვიწვევოთ „ისტორიკოსი და პოეტი იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ერთი ლაპარაკობს იმაზე, რაც მოხდა, ხოლო მეორე იმის შესახებ, რაც შეიძლება მომხდარიყო“ (პოეტიკა, § 9). ბოლოს და ბოლოს, მხატვრული ნაწარმოებისათვის არა აქვს მნიშვნელობა, დამარცხებული ქსერქსე მაშინვე გარბის შინ, თუ ერთხანს ყოვნდება (მით უმეტეს, თუ ამ დაყოვნებას მისი საქმიანობისათვის, მისი პიროვნების დასახასიათებლად მნიშვნელობა არა აქვს).

3. საინტერესოა, თუ როგორ წარმოგვიდგენენ ისინი ქსერქსეს მარცხის, ე. ი. ბერძენთ გამარჯვების მიზეზს. ორივე ავტორი იმ აზრისაა, რომ ასეთი

შედგვი ბრძოლას მოჰყვა ღმერთების განგებით, რაკილა მათ სერ არტანუხის ერთი თავხელი კაცის მბრძანებლობა აზიისა და ევროპაზე.

ესქილეს დრამაში დარიოსის აჩრდილი ამბობს: (სტრ. 741-754):

φέν, ταχέα γ' ἤλθε χρησμάτων πράξις, ἐς δε παῖδ' ἐμῶν Ζεὺς ἀπέστρεψε
τελευτήν φεσφάτων· ἐγὼ δὲ ποῦ διὰ μακροῦ χρόνου τὰδ' ἤνχουν ἐκτελευτή-
σειν φεοῦς. ἀλλ' ἔταν σπεῦδῃ τις αὐτὸς χ' φεῶς συνάπτεται· νῦν κακῶν
ἔοικε πηγῇ πᾶσιν ἡδρῆσθαι φίλοις. παῖς δ' ἑμὸς τὰδ' οὐ κατεινῶς ἦυσεν
νέφ θράσει, ὅστις Ἑλλάσποντον ἱρὸν δούλον ἄς δεσφάμασιν ἦλπισεν σχή-
σειν βέοντα. Βόσπυρον βῶον φεοῦ καὶ πόρον μετερρῆμίμει, καὶ πέθαις
σφυρηλάτοις ποριβαλῶν πολλῆν κέλευσθον ἦυσεν πολλῆν στρατῷ, θνητὸς
ὦν φεῶν δὲ πάντων ἄστ', οὐκ εὐβουλία, καὶ Ποσειδῶνος κρατήσαι πῶς
τὰδ' οὐ νόστος φρενῶν εἶχε παῖδ' ἐμόν, δένωια μὴ πολὺς πλοῦτου πόνοσ
οὐμὸς ἀνθρώποις γένηται τοῦ φλάσαντος ἀρκαγῆ.

ვამ, სწრაფად ახლა მისნობა, ზევსმა ჩემს შვილს თავს დაატეხა წინასწარ-
მეტყველური აღსასრული. მე კი მეგონა, რომ დიდი ხნის შემდეგ ასრუ-
ლებდნენ ამას ღმერთები. მაგრამ როდესაც ვინმე თვითონ ცდილობს ამას,
მაშინ მას ღმერთებიც ეხმარებიან. როგორც ჩანს, ესაა წყარო უბედურე-
ბისა, რაც ყველა მახლობელს შეემთხვა. მაგრამ ჩემმა შვილმა, აღსავსემ
ახალგაზრდული თავხედობით, ეს ვერ გაიგო. მას იმედი ჰქონდა, რომ წმინ-
და ჰელესპონტს, როგორც მონას, ბორკილებს დაადებდა, ღვთაებრივ ღი-
ნებას, ბოსფორს, გზას შეუცვლიდა და გამოჰქედილი ბორკილები დაადო,
ვრცელ გზაზე გაატარა ურიცხვი ლაშქარი, ის მოკვდავია, მაგრამ უგუნუ-
რებით თავი ღმერთთაგანი ჰგონია და პოსეიდონს ერკინება. ეს არაა, თუ-
არა აზრთა სნება, რაც ჩემს შვილს შეჰყარია? მეშინია, რომ ჩემი დიდი
შრომით მოპოვებული სიმდიდრე არ დაიტაცონ ადამიანებმა.

ხოლო ჰეროდოტეს „ისტორიაში“ (VIII, 109) თემისტოკლე სალამინის ბრძოლის შემდეგ ეუბნება ათენელებს: „ჩვენ კი არა, ღმერთებმა და გმირებმა გააკეთეს ეს, რომელთაც არ ემეტებოდათ ერთი კაციისათვის, უწმინდურისა და ბოროტმოქმედისათვის, აზიისა და ევროპის მეფობა. ის კაცი თანაბრად ექცეოდა სალოცავებსა და თავის საკუთრებას, წვავდა და ანგრევდა ღმერთების ქანდაკებებს, მან ზღვა გაამათრახა და შიგ ბორკი-
ლები ჩაჰყარა“...

4. ჰეროდოტე დაწვრილებით აგვიწერს სპარსეთის ჯარს, რომელიც დაიძრა საბერძნეთის წინააღმდეგ. მოკლედ რომ გადმოვცეთ მისი მონაცემები — ქვეითი ჯარი 1700000 კაცისაგან შედგებოდა (VII, 60)⁵, ცხენოსანი — 80000-საგან (აქლემებისა და ეტლების გარდა) (VII, 87), ფლოტი 3000 სხვადასხვა ტიპის ხომალდისაგან (VII, 97)⁶, ხოლო ერთგან ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ქსერქსეს ფლოტში 1207 ტრიერი იყო (VII, 89). ფლოტზე მყოფ მეზღვაურთა რიცხვი 517610-ია⁷ (VII, 184). ჰეროდოტეს აზრით, ქსერქსეს პირადი მხლებლებისა და სხვადასხვათა ჩათვლით, ქსერქსეს მიერ აზიიდან მოყვანილი ჯარი 2 641610 კაცისაგან შედგებოდა (VII, 185). ჰერო-

⁵ არის აზრი, რომ ეს რიცხვი დასაყრდენელი არაა და ქვეით ჯარში 25000-ზე მეტი კაცი არ იქნებოდა.

⁶ ეს რიცხვიც ვაზვიადებულად არის მიჩნეული.

დოტე ასე აფასებს ამ ჭარს (VII, 20): „ეს იყო ყველაზე დიდი ლაშქარი, რომლის შესახებაც რამე გვსმენია ისე, რომ მასთან შედარებით არაფრად ჩანდა თვით დარიოსის ლაშქარიც, რომლითაც მან სკვითებზე ილაშქრა და სკვითებისა, რომლებიც კიმერიელებს დაედევნენ, შეიჭრნენ მიდიელთა ქვეყანაში, დაიმორჩილეს და აზიის თითქმის მთელ ზემოთა მხარეს დაეუფლნენ... ასეთი არა ყოფილა არც მოთხრობების მიხედვით ცნობილი ატრეიდთა ლაშქარი, რომელიც ილიონისკენ გაემართა, არც მისიელებისა და ტევკრების ჭარი, რომელიც ტროის ომამდე გადავიდა ევროპაში...“ პეროლოტე ჩამოთვლის იმ ხალხებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქსერქსეს ლაშქრობაში „...მართლაც რა ხალხები არ მოიყვანა ქსერქსემ ელადაში?“ (VII, 21) და ქვემოთ § 61-დან 100-მდე გვხვდება ლაშქრობაში მონაწილე ხალხების სია, მათი შექურვილობის აღწერილობა და მათი მეთაურების დასახელება. ეს მონაწილენი არიან: სპარსელები, მიდიელები, ასირიელები, ბაქტრიელები, ინდოელები, არიელები, არაბები, ეთიოპელები, ლიბიელები, მცირე აზიელები, ამიერკავკასიის მცხოვრებნი, ფინიკიელები, ეგვიპტელები, კვიპროსელები, იონიელები და სხვ.

ესქილე „სპარსელებში“ ქსერქსეს ჭარს ასე აგვიწერს (პაროდოსშივეა ხსენებული მისი ლაშქრის სამი სახეობა): *ὄν μὲν ἐφ' Ἰππων, ὄν δ' ἐπὶ ναῶν, παζοὶ τε βῆθην πικέμουν στίφος παρὰχοντες* (18—19.) „ერთნი მხედარნი, მეორენი—ხომალდებით, ხოლო ქვეთინი—მწყობრად (თუ „შეჭვუფებულად) მიმავალნი“. სპარსეთის ჭარი, ესქილეს სიტყვით, მრავალი სხვადასხვა ხალხისაგან შედგებოდა. ლაშქრობაში მონაწილეობენ სპარსელები, სამხრეთელები (ნილოსის სანაპიროებიდან), ზღვისპირეთის მოსახლეობა, მცირე აზიელები—ლიდიიდან, მთიელები—ყინულოვანი მთებიდან (სტროფი 30—50), ბაბილონიიდან მოსულნი (სტრ. 50) და სხვები. ლაშქარი მრავალრიცხოვანია (*στρατιᾶς πικλῆς* 25), იგი საშინელია დასანახავად (*φοβερὰι μὲν ἰδεῖν*), საშინელია ბრძოლაში (*θεῖοι δὲ μάχην ψυχῆς ἐν τλήμοι δόξῃ* 27), დახასიათებულია სხვადასხვა ხალხები, მაგ., ხომალდთა ჯაშუის მცხოვრები (ე.ი. ეგვიპტელი — სქოლიასტის მიხედვით) მენიჩბეები საშინელი სიმრავლითა და აურაცხელი (*ἐλειοβάται ναῶν ἐρέται θεῖοι πλῆθος τ' ἀνάρμοιοι*, 40—41) და ასევე ბოლოს განდიდებულია სპარსელთა უძლველი ლაშქარი და მამაცი ხალხი (*ἀπρόσσιτος γὰρ ὁ περσῶν στρατὸς ἀλιφρων τε λαός*, 91—92). სალამინის ბრძოლის შემდეგ სუზაში მოსული მაცნე ეუბნება ატოსას: ქსერქსეს ათასი ხომალდი ჰყავდა, ვიცი, წყავნილი და ამას გარდა სისწრაფით ნაქები—207 (*Ξέρξης δὲ, καὶ γὰρ οἶδᾷ, χιλιάς μὲν ἦν ὧν ἦγε πλῆθος, αἱ δ' ἑπέρκομποι τάχει ἕκατον δὲ ἦσαν ἑπτά 'θ'*, 344—346).

ამგვარად, ესქილეს ცნობით, სპარსელებს სულ 1207 ხომალდი ჰყოლიათ. პეროლოტე ამავე რიცხვს ასახელებს სპარსელთა ტრიერებისათვის. შესაძლოა შემთხვევითია ეს იგივეობა, მაგრამ მაინც აღსანიშნავია.

რაც შეეხება ბერძენთა ჯარებს, მათი რაოდენობა და შედგენილობა სხვადასხვა ბრძოლის დროს სხვადასხვა ჩანს. ორივე ავტორი აღნიშნავს, რომ შედარება არაა, რაოდენობრივად იმდენად აღემატებოდნენ სპარსელი მეომრები ელინებს (და გამარჯვების მიზეზი ღვთის განგებაა, თავისუფლებისმოყვარული ბერძენების თავდადება და ა. შ.).

როდესაც ლაპარაკია სალამინის ბრძოლაში მონაწილე ბერძენთა ზომალ-

დებზე. მათ შესახებ ესქილე ამბობს — სამასიც კი არ იყო (იმავე შეცნეს სიტყვაში, 341—343). პეროდოტეს ცნობით, ასეთი ხოძალი იყო 378, გარდა 50-ნიჩბიანი ნავებისა (VIII, 48). (შემდეგში თუკიდიდე ამბობს, რომ ბერძენთა 400 ხომალდიდან 2/3-ზე ოდნავ ნაკლებმა მიიღო მონაწილეობა სალამინის ბრძოლაში (I, 74), ე. ი. 260-მა დაახლოებით). მე ვფიქრობ, ესქილესა და პეროდოტეს ცნობებს შორის არსებითი განსხვავება არაა—378-ის ჩასმა ლექსში გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე „300“-ის. ამას გარდა ისტორიკოსს მეტი სიზუსტის გამოჩენა მართებდა.

ამგვარად, ჩემი აზრით, სპარსელთა ჯარის შეფასებისას და ხომალდთა რიცხვზე ლაპარაკისას პეროდოტე სარგებლობდა ესქილეს ტრაგედით.

5. სალამინის ბრძოლის სურათი, ბუნესკულის აზრით, ესქილეს, როგორც მის მოწმეს კარგად აქვს გადმოცემული⁷, ხოლო პეროდოტეს შესახებ იგი წერს: «...Один из самых важных для нас отделов Геродота — история Греко-персидских войн—изложен преимущественно на основании традиций устной, и это необходимо принимать в соображение при пользовании Геродотом»⁸, პეროდოტესთან დაკავშირებით სხვა აზრისაა ბორუხოვიჩი: «При изложении истории похода Ксеркса автор (ე. ი. პეროდოტე — თ. ყ.) использовал лучшие из доступных тогда источников информации»⁹. და შემდეგ: «Наибольшей достоверностью отличаются три последние книги произведения Геродота, где речь идет о походе Ксеркса, и это единогласно отмечается всеми исследователями». აქვეა შენიშვნაში ციტატა C. Hignett-ის ნაშრომიდან: «Его последние три книги, описывающие нашествие Ксеркса и его поражение, являются наиболее удачными с исторической точки зрения, и все последующие рассказы основывались только на них»¹⁰.

ჩემი აზრით, პეროდოტეს ზეპირი გადმოცემების გარდა თავისი შრომის ამ ნაწილის დამუშავებისას სხვა წყაროთა გვერდით გამოყენებული აქვს ესქილეს „სპარსელებიც“. ორივე ავტორთან ერთნაირადაა, თუ როგორ წამოიწყო სალამინის ბრძოლა. ესქილე წერს: (356—365—435. მაცნე ეუბნება ატოსას): „ათენელთა ლაშქრიდან ვინმე ელინი მოვიდა და შენს შვილს, ქსერქსეს უთხრა შემდეგი: „როგორც კი შავი ღამის წყვილი ჩამოწვება, ელინები აღარ მოიცილიან, არამედ გემბანებზე აცვივდებიან და ვისაც საით მოუხდება, იქით გავარდება ფარულად, რომ თავი გადაირჩინოს“. ხოლო ქსერქსემ ეს რომ მოისმინა, ვერ მიხვდა ვერც ელინის ცბიერებას, ვერც ღმერთების შურიანობას და ნავარქოსებს უბრძანა“ (რომ არ მოვიყვანო მაცნეს მთელი სიტყვა, მოკლედ, გადმოვცემ — თ. ყ.), რომ სპარსელთა ფლოტი ჩასაფრებულიყო სალამინთან, საიდანაც ელინთ ხომალდები არ უნდა გაეშვათ. ელინებს არც უფიქრიათ სადმე წასვლა (დესპანი მათ მიერ მაცდუნებლად იყო მოგზავნილი), დილას სპარსელებს ელინები ადგილზევე დახვდნენ, საზარელი ბრძოლა დატრიალდა ელინთა ინიციატივით, რაც ბარბაროსთა ამოკლევით დამთავრდა.

⁷ Бузескул. Введение в историю Греции. Петроград 1915, с. 36—37.

⁸ იქვე, გვ. 72.

⁹ В. Г. Борухович. Дасახ. ნაშრ. გვ. 483.


¹⁰ იქვე, გვ. 485—486.

პეროდოტე სალამინის ბრძოლის წინა პერიოდს (თერმოპილეს მარცხის შემდეგ) ვრცლად აგვიწერს, მაგრამ ისევე აქვს გადმოცემული სალამინის ბრძოლის უშუალო დასაწყისი, როგორც ესქილეს (იმ განსხვავებით, რომ პეროდოტე მოქმედ პირებს ასახელებს, ესქილე კი სრულიად შეგნებულად არ ასახელებს თავისი საქმლველი პირის თემისტოკლესის სახელს VIII, 7,5): „თემისტოკლესმა დასტოვა თათბირი და ერთი თავისიანი ნავით მიდიელთა ბანაკში გაგზავნა. ამ კაცს სიკინოსი ერქვა. ის იყო თემისტოკლესის მსახური და მისი შვილების მასწავლებელი... ბარბაროსთა მეთაურებთან რომ მოვიდა ნავით, აი რა უთხრა მათ სიკინოსმა: „ათენელთა მხედართმთავარმა გამოგზავნა თქვენთან სხვა ელინთაგან მალულად (ის მეფის მხარეზე და მისი გამარჯვება უფრო უნდა, ვიდრე ელინების); მან შემოგივალათ, რომ ელინები შეშინებულნი არიან და გაქცევას აპირებენ, თქვენ ახლა შეგიძლიათ გვირობა გამოიჩინოთ, თუ კი მათ ამ გაქცევის შესაძლებლობას არ მისცემთ. ელინები რომ ერთსულოვნები არ არიან და ვერ შეძლებენ წინააღმდეგობის გაწევას, თქვენ დაინახავთ, თუ როგორ შეებმიან ერთმანეთს მათ ბანაკში მყოფი თქვენი მტრები და თქვენი მომხრეები“. ამის შემდეგ სიკინოსი მაშინვე გაბრუნდა უკან (VIII, 76). ბარბაროსებმა დაიჯერეს ნათქვამი“. და შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ ჩასაფრდნენ ისინი სალამინთან და როგორ გაატარეს მთელი ღამე ბრძოლის საშაღისში.

მე ვფიქრობ, ამ ცნობათა მსგავსებას დიდი შტკიცება არ სჭირდება. თვით ბრძოლის სურათის აღწერილობაში ნიშანდობლივი მსგავსება არ არის (იმას თუ არ მივიჩნევთ საერთოდ, რომ ორივეგან ბარბაროსთა დაბნეულობაზე, ელინთა სამხედრო განსწავლულობაზე, ბარბაროსთა სასტიკი დამარცხებაზე და ელინთა ბრწყინვალე გამარჯვებაზეა ლაპარაკი), მით უმეტეს, რომ ტრაგედიაში სალამინის ბრძოლას სპარსელი მაცნე აგვიწერს — ის გადმოგვცემს ომში დაცემულთა, სპარსელთა ბანაკის მონაწილეთა სახელებს (ნამდვილსა და გამოგონილს), ხოლო პეროდოტესთან ყურადღებდა გამახვილებული ბერძენ გმირებზე (აქა-იქ, რა თქმა უნდა, გამოჩენილი სპარსელი მხედართმთავრებიც იხსენიებია).

6. ქსერქსეს, დარიოსისა და ატოსას სახელებს გარდა, რაც გვხვდება ესქილეს „სპარსელებში“, ამავე ავტორს გრძელი სია აქვს პაროდოსში, მაცნეს სიტყვასა და ექსოდოსში იმ სპარსელებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ ქსერქსეს ლაშქრობაში. ერთი ჯგუფი სპარსელებისა მთელ ძველ ბერძნულ მწერლობაში იხსენიება მხოლოდ ესქილესთან და აქედან ვაკეთებ შესაბამის დასკვნას, რომ შესაძლოა ესენი პოეტის მიერ გამოგონილი პირები იყვნენ. ასეთნი მხოლოდ ესქილეს „სპარსელებში“ ხსენებული სპარსელი (ან მათი მოკავშირე) მეომრები არიან:

აგდაბატასი	(Ἀγδαβάτας)	959	სტრ.
აღვეესი	(Ἀδνήης)	312	„
ამისტრესი	(Ἀμιστρής)	320	„
ამფისტრეესი	(Ἀμφιστρέης)	320	„
არქარესი	(Ἀρχαρήης)	995	„
არტამესი	(Ἀρτάμης)	ბაქტრიელი 318	„



არქტევსი	(Ἄρκτης)	43, 312	სტრ.
ასტასპესი	(Ἀστάσπης)	22	
ბატანოხოსი	(Βατάνωχος)	982	
დადაკესი	(Δαδάκης)	304	
ღიაქისი	(Δίαξ)	959	
დოტამასი	(Δοτάμας)	996	
თარიბისი	(Θάρυβις)	51, 323, 970	
იმაოსი	(Ἰμαίος)	31	
კივდადატასი	(Κιγδαδάτας)	998	
ლითიმნასი	(Λυθίμνας)	998	
მარდონი	(Μάρδων)	51	
მასისტრასი	(Μασίστρως)	971	
მატალოსი	(Μάταλλος)	314	
მიტროგათესი	(Μιτρογάθης)	43	
პეგასტაგონი*	(Πηγασταγών)	35	
სეულკესი	(Σεούλκης)	968	
სემამასი	(Σεισάμας)	983	
სემამესი	(Σεισάμης)	მიზიელი 322	
სოსთანესი	(Σοσθάνης)	32	

(დასტურდება კიდევ მხოლოდ I წარწერაში)

სუსასი	(Σούσας)	958	სტრ.
სუსისკანესი	(Σουσισχάνης)	34, 960	
ტენაგონი	(Τανάγων)	ბაქტრიული 306	
ფარანდაკესი	(Φαρανδάκης)	31, 957	
ფერესევისი	(Φερεσείης)	312	
ქსანთესი	(Ξάνθης)	995	
ჰისტაქმასი	(Ἰσταχίμας)	972	

ეს პირები ძირითადად თითოჯერ იხსენიებიან ესქილესთან, მხოლოდ არმდენიმე სახელია, რომ ორჯერ, ან სამჯერ გვხვდება (არქტევსი, თარიბისი, სუსისკანესი), ყველა სახელი მაინცდამაინც სპარსული ეტიმოლოგიისა არ ჩანს (მაგ., Ἀμψιτερές, Ἄρκτης, Πηγασταγών, Ξάνθης), მაგრამ ეს ამ პირთა წარმოშობაზე არაფერს ამბობს. სია იმ პირთა, რომლებსაც ესქილე ასახელებს და ამავე დროს სხვა ავტორებიც იხსენიებენ (ე. ი. ისინი რეალური, ისტორიული პირები არიან), გაცილებით მოკლეა, ვიდრე ზემოთ მოყვანილი. ეს არც არის გასაკვირველი, რადგან თუ მოვიშველიებთ ბერძნული ტრავგედის უძველეს და ამავე დროს უდიდეს მკვლევარს — არისტოტელეს „ზოგჯერ

* სქოლიასტი შენიშნავს, რომ ეს სახელი გამოგონილია; მისი ეტიმოლოგია აშკარად ბერძნულია: πηγας+αγων

ტრაგედიაში ერთი ან ორი სახელი თუა ცნობილი, სხვა ყველა გამოვლილია, ზოგიერთში კი არცერთი არაა ცნობილი...“ (პოეტია, 9), ესქილეს „სპარსელებში“ კი სამი ძირითადი მოქმედი პირის (ისტორიული პირის) გვერდით კიდევ რამდენიმე ნამდვილი, ცნობილი სახელია მოყვანილი. ეს სახელებია:

არტაფრენესი ('Αρταφρηνης) — დარიოსის ძმა, სარდესის სატრაპი (ესქილე, 21, 176. ჰეროდოტე—V, 25—123; VI, 1—94; VII, 10—74). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს სახელი ამ ფორმით მხოლოდ ამ ორ ავტორთან დასტურდება, მაშინ როდესაც სხვა ავტორებთან (ამავე პირისათვის და კიდევ სხვათათვის) ის არის ფორმით 'Αρταφρηνης. ჰეროდოტეს ტექსტის ვარიანტებშიც აქა-იქ გვხვდება 'Αρταφρηνης, მაგრამ გამომცემლებს, უთუოდ ძირითადი ხელნაწერების მიხედვით, ტექსტში ყველგან „არტაფრენესი“ აქვთ. ჩემი აზრით, ეს სახელი ამ ფორმით ჰეროდოტეს ტექსტში ესქილეს დრამიდან არის შესული.

ესქილეს „სპარსელებში“ პაროდოსის ამ ადგილის მიმართ, სადაც ომში მონაწილე სპარსელების სიაა (21—22) — ამისტრეს, არტაფრენეს, მეგაბატეს, ასტასპეს — არის ასეთი სქოლიო: $\sigma\pi\epsilon\rho\mu\epsilon\sigma\iota\varsigma \mu\epsilon\acute{\alpha} \tau\epsilon \mu\epsilon\tau\rho\omicron\nu$ (H). $\tau\acute{\alpha} \mu\epsilon\nu \tau\omicron\nu \theta\upsilon\sigma\mu\acute{\alpha}\tau\omega\nu \iota\omega\tau\acute{\epsilon}\rho\eta\sigma\epsilon\nu, \tau\acute{\alpha} \delta\epsilon \tau\epsilon\lambda\epsilon\iota\omega\varsigma \xi\pi\lambda\alpha\sigma\epsilon\nu$. შენელებულია საზომის ლექსოწყობის გამო (ხომ არ ეხება ეს „არტაფრენესი“ „ფრენ“ და „ფერ“ სხვადასხვა სურათს ქმნიან საზომის თვალსაზრისით — თ. ყ.). ზოგი სახელი ისტორიულია, ზოგი კი საესეზით გამოვლილი. როგორც ზემოთ ვთქვი, „ამისტრესი“ და „ასტასპესი“ ასეთ გამოვლილ სახელებად მიმაჩნია.

არტემზარესი ('Αρτεμζαρηης), წარჩინებული სპარსელი, ასევე მხოლოდ ესქილეს (29, 971) და ჰეროდოტეს (IX, 122) ჰყავთ მოხსენიებული (სხვა მიდევლი არტემზარესი, რომელიც პირველად ჰეროდოტესთან გვხვდება და შემდეგ ნიკოლოზ დამასკელთან).

მასისტესი (Μασιστης), ესქილესთან ქსერქსეს თანამოლაშქრე სპარსელია (30), ჰეროდოტესთან მის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობები გვაქვს — ის დარიოსის ძეა, ქსერქსეს ძმა, ლაშქრობის დროს ქვეითი ჯარის მხედართმთავარი, მანამდე ბაქტრიის სატრაპი (VII, 82, 121, IX, 107—113; IX წიგნში მოთხრობილია რომანიული ეპიზოდი ქსერქსესა და მასისტესის ასულს შორის, ქსერქსეს ცოლის შურისძიება და მასისტესის განდგომა).

მეგაბატესი (Μεγαβατης) ორჯერ ახსენებს ესქილე: ერთხელ (22) სპარსელ მეთაურთა სიაში, ხოლო მეორეჯერ (983), როგორც სალამინთან დაღუპული გმირის მამას. ქსერქსეს ფლოტის ერთ-ერთ მეთაურს, მეგაბატესს. მეგაბატესის ძეს იცნობს ჰეროდოტე (VI, 33, VII, 22, VII, 97). დიოდორე სიცილიელი, რომლისთვისაც ჰეროდოტეა წყარო ბერძნულ-სპარსული ომებისათვის, ასახელებს მეგაბატესს, ქსერქსეს ფლოტის ერთ-ერთ მეთაურს (XV, 12).

ეს სახელი სხვა ავტორებთანაც გვხვდება შემდეგ იმავე პირის, თუ სხვა პირთა აღსანიშნავად, მაგრამ ესქილეს შემდეგ პირველი ჰეროდოტეა, რომელიც ამ მეგაბატესს იცნობს (ვფიქრობთ, ესქილეს მეშვეობით).

სვენესისი (Σθεννησις), კლიკიელთა თავკაცი, პირველი სიმამაციო, ნახსენები ჰყავს ესქილეს მაცნეს სიტყვაში (329). როგორც ჩანს, იგივე სუ-

ნესისია (დაზუსტებული — ორომედონტის ძე) ჰეროდოტესთანაც (VII, 98) იმ სიაში, სადაც ფლოტის სპარსელ მეთაურთა შემდეგ ჩამოთვლილი არიან ამავე ფლოტის სხვა გამოჩენილი პირები სხვა ტომთაგანნი (ტურქულენ, კარბინოსელი, კარიელი მეთაურები)¹¹.

ერთი ჯგუფი ქსერქსეს ლაშქარში მონაწილეთა სახელებისა გვხვდება ორივე ავტორთან, მაგრამ თითქოს სხვადასხვა პირთა მიმართ:

არსამესი ('Αρσάμης), მემფისელი, ეგვიპტელთა წინამძღოლი ქსერქსეს ლაშქარში (ესქილე, 37, 308) და არსამესი, დარიოსის ძე, ეთიოპელთა წინამძღოლი ქსერქსეს ლაშქარში (ჰეროდოტე VII, 68). (შემდეგ, იმავე სახელს წინამძღოლები გვხვდებიან სხვა ავტორებთანაც. მაგ., ქსენოფონტი VII, 1, 3, 8 — სპარსელთა წინამძღოლი).

ასევე — არიომარდოსი ('Αριόμαρδος) ეგვიპტელთა წინამძღოლი ქსერქსეს ჯარში (ესქილე 38, 321) და არიომარდოსი, დარიოსის ძე ტიბარენთა და მოსხთა წინამძღოლი (ჰეროდოტე, VII, 78), არიომარდოსი, არტაბანოსის ძე, კასპიების წინამძღოლი (ჰეროდოტე, VII, 67), ჰეროდოტეს ეს ორივე არიომარდოსი ქსერქსეს ლაშქრის მხედართმთავრები არიან.

სახელი ფარნუქოსი (Φαρναύχος) ბერძნულ მწერლობაში ყველაზე ადრე გვხვდება ესქილესთან (316). ის ქსერქსეს ლაშქრობის მონაწილე ეგვიპტელი მხედართმთავარია (316, 966 ტაბში არ ჩანს მისი სადაურობა).

ჰეროდოტეს ჰყავს ნახსენები ქსერქსეს მხედართსარდალი ფარნუქესი (Φαρναύχης) VII, 88. არაა აღნიშნული მისი სადაურობა. საფიქრებელია, რომ ის სპარსელია.

ძნელია დაჯინებით მტკიცება იმისა, რომ ეს სახელები ესქილეს „სპარსელებიდან“ შევიდა ჰეროდოტეს „ისტორიაში“, მაგრამ ასეთი რაჰის დაშვება მაინც შეიძლება განსაკუთრებით „არსამესის“ მიმართ (ერთგან ის ეგვიპტელია, მეორეგან ეთიოპელი). ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ესქილეს „არიომარდოსი“ ეგვიპტელთა წინამძღოლია, ხოლო ჰეროდოტესი — ტიბარენთა და მოსხთა (ხომ არაა ეს ჰეროდოტეს თეორიის გამოძახილი — „კოლხები წარმოშობით ეგვიპტელები არიანო“?).

ბოლოს იგივე მინდა ვთქვა, რითაც დავიწყე: ჰეროდოტეს „ისტორიის“, სახელდობრ მისი ბოლო სამი წიგნის, ერთ-ერთ წყაროდ მიმაჩნია ესქილეს „სპარსელები“, რომელთან ერთად ის სხვა მასალასაც იყენებდა, რაც, თუნდაც იმის მიხედვითაც ჩანს, რომ ტრაგედიაში მოკლედ ნათქვამი ისტორიაში გავრცობილი და დაზუსტებულია.

¹¹ Σπένჰაუს-ს შენიშვნა აქვს ლექსიკონებში, რომ ეს არის Benennung des Königswürde in Kilikien. მართალია, ყველა ამ შემთხვევაში, სადაც გვხვდება სვენესისი ის ეწოდება კილიკიის მეფეს ან წარჩინებულს, მაგრამ არსად ჩანს, რომ ეს სიტყვა საკუთარი სახელი არ იყო. ისევე, როგორც სხვა დინასტიებშიც ხშირად გვხვდება ერთი და იგივე სახელი (მაგ. ბატოსი Βάτος და არქისილაოსი 'Αρχεσίλαος კირენელების დინასტიაში), შესაძლოა ოდესღაც ზოგადი ცნების გამოხატველი, მაგრამ შემდეგ საკუთარ სახელად ქცეული.

«ПЕРСЫ» ЭСХИЛА И «ИСТОРИЯ» ГЕРОДОТА

Резюме



Основным источником «Истории» Геродота принято считать личные наблюдения автора и устные традиции, а письменные источники — второстепенными. Из писателей (в современном понимании этого слова) Геродот упоминает нескольких, в том числе и Эсхила, в связи с какой-то (ныне утерянной) трагедией, где Артемида у него дочь Деметры (II, 156). Так как этика цитации в античное время отличалась от современной, то надо полагать, что Геродот и в других случаях пользовался произведениями Эсхила, так же как и другими письменными источниками.

Основным положением настоящей работы является следующее: Геродот при описании греко-персидских войн пользовался не только устными, но и письменными источниками, в частности, трагедией Эсхила «Персы».

Данный вывод основывается на следующих предпосылках:

1. Геродот считается первым автором, который вполне определенно говорит о том, что Перс, эпоним персов, сын Персея, а Ксеркс его потомок (VII, 61; 150). То же самое есть уже у Эсхила, только в более художественной форме, без уточнения имен (с. 79—80, 147 и сл.).

2. Эпизод сооружения моста через Геллеспонт у обоих авторов передан одинаково, со схожими деталями (Геродот, V, 33—36; Эсхил, с. 723—726, 747—750).

3. Причина победы греков и поражения Ксеркса у обоих авторов одна и та же (Геродот, VIII, 109; Эсхил, с. 741—753).

4. Описание мощи войска персов, его состав (в смысле народностей и племен), его виды и т. д. у Геродота тот же, что у Эсхила. Есть совпадения в деталях: Количество кораблей в персидском флоте у Эсхила 1207 (с. 344—346), у Геродота столько же одних триер у персов (VII, 89). У Эсхила около 300 греческих кораблей при Саламинской битве (с. 341—343), а у Геродота — 378 (VIII, 48).

5. Непосредственное начало Саламинской битвы у обоих авторов передано одинаково, с той лишь разницей, что Эсхил не упоминает Фемистокла и его посланца Сикина (с. 356—435), а Геродот, описывая тот же эпизод, называет обоих по именам (VIII, 75—76 и сл.).

6. Среди собственных имен, упомянутых у Геродота, есть несколько, встречающиеся до него только у Эсхила, и заимствованные Геродотом из его трагедии (Таковы: Артафрен, Артембар, Мегабат, Сиеннесис, Фарнух и др.).

ბენიამინ სილაგაძე

არაბი მწერლების ცნობები რას ტარხანის ლაშქრობის შესახებ
საქართველოში 764 წელს

(ალ-ია'კუბბ, ატ-ტაბარ, იბნ ალ-ასირი)


არაბი მწერლები მრავალ საგულისხმო ცნობას გვაწვდიან საქართველოს ისტორიისათვის. მათმა უმეტესობამ დიდი ხანია თავისი საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მაგრამ კიდევ არის დარჩენილი ისეთი მასალა, რომლისთვისაც საქართველოს ისტორიის სპეციალისტებს ჯერ ყურადღება არ მიუქცევიათ. ამჟამად შეეჩერდებით „რას ტარხანის ლაშქრობაზე საქართველოში“, რის შესახებაც ყველაზე ადრინდელი ცნობა ეკუთვნის IX ს-ის ცნობილ არაბ ისტორიკოსსა და გეოგრაფს აბუ ლ-აბას აჰმად აბუ ია'კუბბ იბნ ჯა'ფარ იბნ ვაჰბ იბნ ვაჰიდ ალ-ქატიბ ალ-აბასის (გარდაიცვალა 892 წ.), მოკლედ ალ-ია'კუბბის სახელით რომაა ცნობილი. თავის ვრცელ ისტორიული ხასიათის ნაშრომში, რომელსაც „თარახ“ („ისტორია“) ეწოდება, იგი აღნიშნავს:

... تحركت الخزر بناحية ارمينية و وثبوا يزيد بن اسيد السلمى فكتب الى ابي جعفر يعلمه ان راس طرخان ملك الخزر قد اقبل اليه في خلق عظيم و ان خليفته قد انهزم فوجه اليه ابو جعفر جبريل بن يحيى البجلي في عشرين الفا من اهل الشام و اهل الجزيرة واهل الموصل فواقع الخزر فقتل خلق من المسلمين و انهزم جبريل و يزيد بن اسيد حتى اتيا خرس¹

„დაიძრნენ ხაზარები არმინისაკენ და თავს დაესხნენ ნაზნდ იბნ 'უსანდ ას-სულამნს, რომელმაც მისწერა ამის შესახებ აბუ ჯა'ფარს და შეატყობინა, რომ ხაზართა მალიქი რას ტარხანი უტევდა მას დიდი ლაშქრით და რომ მისი (იაზიდის — ბ. ს.) მოადგილე გაიქცა. ჯა'ფარმა მაშინვე მიაშველა მას ჯიბრანდ იბნ ნაჰა ალ-ბაჯალ სირიელთა, ჯაზირელთა და მოსულელთა ოცი ათასი მეომრით. ისინი შეებრძოლნენ ხაზარებს, მაგრამ დამარცხდნენ. მრავალი მუსლიმი დაიღუპა, ხოლო ჯიბრანდი და ნაზნდ იბნ 'უსანდი გაიქცნენ და ხირსს² მივიდნენ“.

¹ Я'К у б и. История. Текст и перевод. Перевод с арабского П. К. Жузе, Баку, 1927, с. 6.

² ბალახურისტანა ხირსი (خرس), ზღვისპირა ციხე-სიმაგრე შირვანში (Баладзори. Книга завоевания Стран. Текст и перевод с арабского П. К. Жузе, Баку, 1927, с.19).



შედარებით უფრო ვრცლად მოგვითხრობს ამავე ლაშქრობაზე ალ-ი-
 'კუბის თანამედროვე მეორე არაბი მწერალი აბუ ჯა'ფარ მუჰამადი იბნ
 რირ ატ-ტაბარ (838—923):

... سنة سبع و اربعين و مائة ... اعارة استرخان الخوارزمي في جمع
 من الترك على المسلمين بناحية ارمينية و سبيه من المسلمين و اهل الذمة خلقاً
 كثيراً و دخولهم تفسيراً و قتلهم حرب بن عبد الله الراوندي الذي تنسب
 اليه الحرابة ببغداد و كان حرب هذا فيها ذكر مقيماً بالمصول في الفين من
 الجند لمكان الخوارج الذين بالجزيرة و كان ابو جعفر حين بلغه تحزب الترك
 فيما هناك وجه اليهم لحربهم جبرئيل بن يحيى و كتب الي جرب بأمره بالمسير
 معه اليهم فسارمه حرب قتل حرب و هزم جبرائيل³

...ასორმოცდაშვიდ წელს... ასთარხან ხვარაზმნ თურქთა ურდოთი
 თავს დაესხა მუსლიმებს არმინიაში, შეიპყრო მრავალი მუსლიმი, ზიმი
 და შევიდა თათლისში. მათ შეედა პარბ იბნ 'აბდ ალ-ლაჰ არ-რანვანდნ, რო-
 მელმაც ბალდადიდან მიიღო მოწერილობა შებრძოლების შესახებ. პარ-
 ბი მაშინ ორი ათასი მეომრით მოსულში იდგა და თვალყურს ადევნებდა
 ალ-ჯაზირის ხარიჯიტებს. აბუ ჯა'ფარმა, როგორც კი შეიტყო თურქთა
 თავდასხმა, მაშინვე გაგზავნა მათთან ბრძოლის გასამართავად ჯიბრა'ილ
 იბნ ნაჰნა და პარბსაც მისწერა და უბრძანა გაჰყოლოდა ჯიბრა'ილს თურქ-
 თა წინააღმდეგ სალაშქროდ. ეს ჯიბრა'ილთან ერთად წავიდა და დაიღუ-
 პა, ხოლო ჯიბრა'ილი უკუვიქცა“.

თითქმის მთლიანად იმეორებს ამ ცნობას XII—XIII სს-ის არაბი მწე-
 რალი აბუ ლ-ჰასან 'ალი იბნ აბუ ლ-ჰარიმ მუჰამად იბნ მუჰამად იბნ 'აბდ
 ალ-ჰარემ იბნ ალ-ფაჰიდ აშ-შაბანან (1160—1234), რომელიც უმეტესად ცნო-
 ბილია იბნ ალ-ასაბრ ალ-ჯაზირანს ანდა, უფრო მოკლედ, იბნ ალ-ასაბრის სახე-
 ლით. ისიც აღნიშნავს:

... سنة سبع و اربعين و مائة ... اغار استرخان... الخوارزمي في جمع
 من الترك على المسلمين بناحية ارمينية و سبي من المسلمين و اهل الذمة خلقاً
 و دخلوا تفليس و كان حرب مقيماً بالمصول في الفين من الجند لمكان الخوارج
 الذين بالجزيرة و سير المنصور الي محاربة ترك جبرائيل بن يحيى و حرب
 بن عبد الله فقتلوهم فهزم جبرائيل و قتل حرب و قتل من اُحصاب جبرائيل
 خلق كثير⁴

³ تاريخ الرسل و الملوك لآبى جعفر محمد بن جرير الطبرى، ج—3، ص—
 328 (დო უფრო დამოკიდებ).

⁴ تاريخ الكامل للعلامات أبى الحسن على بن أبى المكرم محمد بن محمد بن عبد الكريم
 ابن عبد الواحد الشيبانى المعروف بابن الاثير الجزرى، الطبعة الاولى بالمطبعة الازهرية
 المصرية سنة 1301، ج—5، ص—273

„...ასორმოცდაშვილ წელს... ასთარხან ხვარაზმე თურქთა ურდოთა
თავს დაესხა მუსლიმებს არმინიაში, წაასხა მუსლიმები, ზიმიები და შევი-
და თაფლისში. ჰარბი მაშინ თავისი ორათასიანი რაზმით მოსულა და
ალ-ჯაზირის ხარჯიტების სათვალთვალად. თურქებთან შესაბამისობად
ალ-მანსურმა გაგზავნა ჯიბრა'ნილ იბნ ნაჰნა და ჰარაბ იბნ აბდ ალ-ლაჰი.
ისინი შეებნენ მტერს, მაგრამ ჯიბრა'ნილი უკუიქცა, ხოლო ჰარბი დაიღუ-
პა, დაიღუპა აგრეთვე ჯიბრა'ნილის მრავალი მუსლიმი“.

იბნ ალ-ასნრი ხშირად სარგებლობს ალ-ია'კუბნსა და ატ-ტაბარის შრო-
მებით, ამიტომ საფიქრებელია, რომ მას ეს ცნობაც იმათგან აქვს წაესხები.
მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ია'კუბნსა და ატ-ტაბარის ცნობათა ურთიერთდამო-
კიდებულებაზე. მართალია, ატ-ტაბარმა ია'კუბნს გარდაცვალების შემდეგ
კიდევ 31 წელი იცოცხლა და მას შეეძლო მისი ნაშრომით სარგებლობა, მაგ-
რამ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ასეთი რამ გამორიცხულია, რადგან, ჯერ
ერთი, ისინი ცხოვრობდნენ ერთმანეთისაგან საკმაოდ დიდი მანძილით დაშო-
რებულ ქვეყნებში (ერთი ეგვიპტეში, მეორე — ერაყში) და, მეორე, მათი
ცნობები რას ტარხანის (იგივე ასთარხანი) ლაშქრობას რომ ეხება საქართვე-
ლოში, დეტალებით და მოცულობითაც ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავ-
დება. ალ-ია'კუბნი არ ასახელებს ლაშქრობის თარიღს და თბილისის აღებას,
არაფერს ამბობს მუსლიმთა ქვეშევრდომი ქრისტიანი და ებრაელი მოსახ-
ლეობის („აჰლუ ზ-ზიმშიის“-ს) დატყვევება-წყევანაზე, ჰარბ იბნ აბდ ალ-
ლაჰ არ-რანჟანდის რაზმის სიდიდესა და თვით ჰარბის დაღუპვაზე. ხოლო ატ-
ტაბარისთან ყველაფერი ეს მოცემულია, მაგრამ არ ჩანს, ვინ იყო მაშინ არმი-
ნიის ანუ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (სომხეთის, აღმოსავლეთ საქართველო-
სა და ალბანეთის) გამგებელი, დასახელებული არ არის მის მისამველებლად
ხალიფა აბუ ჯა'ფარ ალ-მანსურის (754—775) მიერ გაგზავნილი ჯიბრა'ნილ
იბნ ნაჰნა ალ-ბაჯალის რაზმის მეომართა რიცხვი, ვინ შედიოდა ამ რაზმში და
რომელ ადგილს შეაფარეს თავი რას ტარხანის მიერ უკუქცეულმა ნაზნდმა და
ჯიბრა'ნილმა.

ალ-ია'კუბნსა და ატ-ტაბარის ცნობათა ამგვარი სხვაობა რას ტარხანის
ლაშქრობაზე საქართველოში უთუოდ იმას მოწმობს, რომ მათ საფუძვლად
უნდა ედოთ ადრე არსებული და ჩვენამდე მოუღწეველი თუ ჯერ მიუკვლე-
ველი წყარო ან წყაროები. ეს გარემოება კი ზრდის ამ ცნობათა სანდოობას
და მნიშვნელობას. მათი უტყუარობის დადასტურებაა აგრეთვე ისიც, რომ სა-
ქართველოში რას ტარხანის ლაშქრობის თაობაზე დაახლოებით ასეთსავე ცნო-
ბას იძლევა VIII ს-ის სომეხი მწერალი ლევონდი, რომელიც ამბობს:

„ხაგანმა შეკრიბა ჯარი, ჩააბარა თავის სარდალს — ხატირ ლიტბე-
რის ჩამომავალს რაქტარხანს და ეზიდის გამგებლობაში მყოფ ჩვენს ქვე-
ყანაში გამოგზავნა. დიდი მდინარის, მტკვრის ჩრდილოეთ მხარეს გაფან-
ტულმა ხაზარებმა დაიპყრეს ბევრი ოლქი: ხეჯარონ, კავან, ოსტანი“.

⁵ ხეჯარი (მეჯერი) — თემი შირვანში.

⁶ კავან (ქალაქი) — მოიცავდა თანამედროვე აღდამისა და მიწვეჩაურის რაიონებს.

⁷ ოსტანი — ალბანეთის დედაქალაქის კაპალაცის ცენტრ. ნაწილი 387 წ. შემდეგ, როცა ის
სასანიანთა მეფის ნაცელის რეზიდენცია გახდა.

მარზპანიანი⁸, გაბანდი⁹, გეგავი¹⁰, შაკე¹¹, ბიესი¹², ხენი¹³,
კამბეხჩანი¹⁴, ხოზმასი¹⁵ — ესენი სუყველა ალბანთა ოლქები; აი-
ლეს ბალასანის თვალწარმტაცი ველიც¹⁶ და წაასხეს აურაცხელი¹⁷ ცხენის რემა. დაიპყრეს აგრეთვე საქართველოს შვიდი ოლქი: კვევ-გაპორი¹⁸, ჩელდტი¹⁹, ცუკეტი²⁰, ველისციხე, თიანეთი, ერკი²¹ და შე-
გროვეს რა დიდძალი ნადავლი და ტყვეები, დაბრუნდნენ თავიანთ საცხოვ-
რებელ ადგილზე. არმინის მაშინდელმა სნეულმა და ტრაბახა გამგებელ-
მა თავის აწევაც კი ვერ გაბედა, საკუთარ ნაჭუჭში გამოეხვია და გულ-
გრილად უტყვრდა ჩვენი ქვეყნის დაქცევას²².

როგორც ვრწმუნდებით, არაბი და სომეხი მებრლების ცნობები საქარ-
თველოში რას ტარხნის ლაშქრობაზე, ავსებენ და მთლიანად ეთანხმებიან
ერთმანეთს. ისინი, უჩველად, გადმოგვცემენ ნამდვილად მომხდარ ამბავს —
ერთ-ერთ ლაშქრობას იმ მრავალ შეტაკებათაგან, რასაც ადგილი ჰქონდა არა-
ბებსა და ხაზარებს შორის კავკასიაში VIII საუკუნეში.

* * *

ცნობილია, რომ ამ დროს არაბები განაგრძობდნენ დაპყრობით ომებს
დასავლეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით. დასავლეთში
იპყრობდნენ პირენეის ნახევარკუნძულს და ემუქრებოდნენ საფრანგეთს, აღ-
მოსავლეთში შეიჭრნენ ირანში, ხვარაზმში, დაიკავეს მავარანაპური და ფეჩი
შედგეს ინდოეთში; ხოლო ჩრდილოეთში უტევდნენ ბიზანტიასა და ხაზართა
სამეფოს. მაგრამ მათ ყველგან მდგარ წინააღმდეგობას უწყევდნენ. ამ მხრივ
ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ ბიზანტიელები და მათი მოკავშირე ხაზარე-
ბი, რომლებსაც ხშირად შუა აზიის თურქეში და კარლუკი თურქებიც ეხმა-
რებოდნენ. სწორედ მათმა შეუპოვარმა ბრძოლამ და, ამასთანავე, სახალიფო-
ში დაწყებულმა საშინაო აშლილობამ დაასუსტეს არაბები და VIII ს-ის 30-

⁸ მარზპანიანი (მარზპანი) — თემი ქ. კაპალაის სამხრ. აღმოსავლეთით.

⁹ გაბანდი (გაბანდი) — ქალაქი და თემი შამხაში.

¹⁰ გეგავი (გელავი, დეგაუგე) — თემი დაღესტნის სამხრეთით, ახლანდელ აღსუს რაიონში.

¹¹ შაკე (შაკაშენი) — თემი მტკვრის ხეობაში, მდინარეების ზეგამსა და ქიურაქჩაის შორის.

¹² ბიესი (ბეზი, ბელი) — თემი მდინარეებს მურღალსა და ყარაჩაის შორის, ახლანდელი კახის რაიონში.

¹³ ხენი (ლენი, ეზნი, ეზნიბული) — მდებარეობდა თანამედროვე ზაქათალას რაიონში.

¹⁴ კამბეხჩანი (კამბეჟანი) — თანამედროვე შირაქი.

¹⁵ ხოზმასი (ხოლმასი) — ახლანდელი ხაჩმაზი ვარდამენის რაიონში.

¹⁶ ბალასანის (ბალასკანის) ველი — ახლანდელი მრლის ველი მტკვარ-არაქსის შესაყართან.

¹⁷ შუჩი (შურჩი, შალაქი) — სუჯეთი, ივრის ხეობაში.

¹⁸ კვევ-გაპორი (ქველდაბა) — თემი თიანეთის აღმოსავლეთით, ახლანდელი ქველდაბა.

¹⁹ ჩელდტი (ჩელეთი) — ახლანდელი ერწო.

²⁰ ცუკეტი (წუქეთი) — თემი ივრის ხეობაში, ერწოსა და კუხეთს შორის.

²¹ ერკი (ხერკი, ვრცა) — თემი არაგვის მარცხენა მხარეს, თემის ხეობაში. ზემოჩამოთვლილი ყველა გეოგრაფიული სახელის განმარტება მოტანილი გეაქვს ს. ერემიანის ნაშრომიდან „სომხეთი „აშხარატივი“-ის (VII ს. სომხური გეოგრაფია) მიხედვით“, ერევანი, 1963 წ. (სომხურად). სომხურიდან თარგმნაში ვაწეული დახმარებისათვის ა. აბდლაძის მადლობელი ვართ.

²² История халифов Вардапета Гевонда, писателя VIII века. Перевод с армянского К. Патканьяна, СПб., 1862, с. 92—93.

ინ წლებში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ხაზარები თანდათან აქტიურდებიან და თავს ესხმიან არაბებს ამიერკავკასიაში. ერთ-ერთ ასეთ ძლიერ თავდასხმას, რომელმაც სერიოზულად ჩააფიქრა სახალიფოს მხრამხრად, ატ-ტაბარის მიხედვით, ადგილი ჰქონდა ჰიჯრით 145 წელს, ტაცქრისტანის ქალაქ კალენდრით, მოიცავს დროს 762 წლის პირველი აპრილიდან 763 წლის 20 თებერვლამდე. ატ-ტაბარ იუწყება, რომ ამ (145) წელს თურქები და ხაზარები ბზბუ ლ-აბვზბიდან (დერბენდიდან) თავს დაესხნენ არმინიას და მრავალი მუსლიმი ამოწყვიტეს²³. თურქებისა და ხაზარების თავდასხმა რომ ნამდვილად 145 წელს მომხდარა, ამას ადასტურებს იბნ ალ-ასნრის ცნობაც, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამ დროს (145 წ.) ბზბუ ლ-აბვზბში აღსდგნენ თურქები და ხაზარები და ამოწყვიტეს ბევრი მუსლიმი არმინიაში²⁴.

არაბ ავტორთა მონაცემებს მთლიანად უპერენ მხარს სირიელი მწერლები მიხეილ სირიელი და ალაბი მენბიჯი. მიხეილი ხაზართა ამ ლაშქრობის თარიღად ასახელებს 1074 წელს, ხოლო ალაბი — ალ-მანსურის ხალიფობის მე-9 წელს²⁵, ე. ი. ჰიჯრის 145 წელს (136+9=145). 145 წელი კი, როგორც ზემოთ ვთქვით, შეესაბამება პერიოდს 762 წ. აპრილიდან 763 წლას თებერვლამდე. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ხსენებულ ლაშქრობას ადგილი ექნებოდა არა 763 წლის იანვარ-თებერვალში (ამ დროს ხაზარები ომს, ალბათ, არ დაიწყებდნენ), არამედ 762 წელს.

არსებული ცნობების თანახმად, 762 (145) წელს მოწყობილი ლაშქრობისას ხაზარებს დაუბრუნებიათ ჰამზინის, ლაკზის და ალანთა ქვეყნები, რომლებიც მურვან ყრუს ლაშქრობის დროს (735—742) არაბებმა დაიპყრეს.

ხაზართა ისტორიის მკვლევრის მ. არტამონოვის აზრით, ეს უნდა იყოს ხაზართა ის ლაშქრობა, რომელიც, არაბულ და სომხურ წყაროთა მიხედვით, რას ტარხანის (იგივე ასთარახანი და რაე-ტარხანი) მეთაურობით მოეწყო²⁶. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს აშკარა შეცდომაა. ამ დასკვნამდე მივყავართ არა მართოთარის, რომელიც პირდაპირ აქვთ მითითებული არაბ მწერლებს, არამედ სულ სხვა გარემოებასაც.

ხაზართავან ძლეული არაბები უკვე თავდაცვაზე გადადიან და დერბენდ-დარილის გასასვლელებს ამარგებენ. ამავე დროს ხალიფა აბუ ჯაფარ ალ-მანსური ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცდენის სხვა საშუალებებზეც ფიქრობს. არმინიის გამგებლად 752/3 (135) წელს დანიშნულ ნაზნდ იბნ 'უსაიდ ას-სულამისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში, რომელსაც ატ-ტაბარის თანამედროვე აბუ მუჰამად იბნ 'ასამ ალ-ქუფი იხსენიებს, იგი წერს: სანამ არსებობს ამიერკავკასიაზე ხაზართა თავდასხმის საშიშროება, მათ კი ყოველთვის შეუძლიათ შემოიჭრან ამ მხარეში, მანამდე არმინიის აყვავება გამორიცხულია. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მათთან დაზავე-

²³ الطبري, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 318.

²⁴ ابن الأثير, დასახ. ნაშრ., ტ. V, გვ. 271.

²⁵ Michele Sirien Chromique, ed. Chabot., t. II; Histoire universelle par Agapius de Menedgi, trad. par A. Vasiliev, p. 543.

²⁶ М. И. Артамонов. История Хазар, Л., 1962, с. 242.

ბა, ხოლო ამის მისაღწევად კი ხაკანის ქალიშვილზე შენი დაქორწინება და მასთან დანათესავება²⁷.

ლევონდის ცნობით, ნაზნდმა ხალიფას რჩევა მიიღო, ჩრდილოეთის მხარეებს ფეს დებუტაცია აახლა და ასულის ხელი სთხოვა²⁸. ხოლო ხაკანმა ტანის მისაღებად იბნ 'ასამ ალ-ქუფანს თქმით, სახელად ბალათური ერქვა, დააკმაყოფილა ნაზნდის თხოვნა და მას თავისი ქალიშვილი ხათუნი მიათხოვა. ხათუნს მამამ თან გააყოლა წარჩინებულ ხაზართა ათასკაციანი რაზმი და გაატანა მდიდრული მზითვი: 100 ათასი ღირჰამი, ათასი მსახური, 4 ათასი კვიცი, ათასი გორი; 10 ათასი ხაზარული ჯიშის პატარა ტანის აქლემი, ათასი ბაქტრიული ჯიშის ორკუხიანი აქლემი და 10 ათასი ცხვარი. გარდა ამისა, საპატარძლოს ბარგში შედიოდა აგრეთვე ოქროსა და ვერცხლის ფურცლებით შექმნილი 10 დახურული ძვირფასი ოთხთვალა (რომლებიც შეგნით მოფარდაგებული იყო ბეწვეულებით და აკრული შავი ფარჩით) და 20 სხვა ოთხთვალა, დატვირთული ოქრო-ვერცხლის ჭურჭლითა და სხვა ძვირფასი საოჯახო ნივთებით²⁹.

ხაზართა ხაკანის ბალათურის ასული თავისი ბარგიცა და ამალით ბარდავს მივიდა, ქალაქის კარიბჭესთან კარები გაშალა და იქ დარჩა, სანამ ნაზნდის მიერ გამოგზავნილი პირები მას არაბთა წეს-ჩვეულებებს, სარწმუნოებასა და ყურანს გააცნობდნენ. შემდეგ მან „ფარ-ხმალი დაჰყარა“³⁰ და ნაზნდს მასთან ცხოვრების ნება დართო³¹. მ. არტამონოვის აზრით, ეს 759/60 წლებში უნდა მომხდარიყო, ნამდვილად კი მოხდა უფრო გვიან.

იბნ 'ასამ ალ-ქუფანს გადმოცემით, ხათუნმა ნაზნდთან სულ ორი წელი და ოთხი თვე დაჰყო, მისგან ორი შვილი შეეძინა, მაგრამ ორივე დაეხოცა და თვითონაც მოკვდა. ცოლ-შვილის დაკარგვამ ნაზნდი ძლიერ შეაწუხა³². მიუხედავად ამისა, ხაკანის ასულის სიკვდილი ხაზარებმა არაბთა ვერავითმად ახსნეს თურმე და მშვიდობა დაარღვიეს. განარისხებულმა „ხაკანმა ჯარი შეჰყარა, თავის სარდალს რაჟ-ტარხანს ჩააბარა და ეხიდის გამგებლობაში მყოფ არმინიას მოუსიაო“, — ამბობს ლევონდი³³. ხოლო ატ-ტაბარნ და იბნ ალ-ასნარი დასძენენ, ხაზართა ეს შემოსევა 147 (764/5) წელს მოხდაო³⁴.

²⁷ Akdes Nimet Kurat, Abū Muhammed Ahmed b. A'tham al-Kufi's Kitab al-Futuh and its Importance Conserving the Arab Conquest in Central Asia and the Khazzars. Ankara Universitesi Dil ve Tarih-Geğrafya Fakültesi Dergisi, 1949, t. VII, № 2, p. 272; Я'Куби, с. 8; Баладзори, с. 20; Гевонд, с. 92.

²⁸ Гевонд, с. 92.

²⁹ Akdes Nimet Kurat. დასახ. ნაშრ., გვ. 272; М. И. Артамонов. დასახ. ნაშრ., გვ. 241—242.

³⁰ ფარ-ხმალს ხაზარი ქალიშვილები უმანკობის დასაცავად ატარებდნენ (М. А. Артамонов. დასახ. ნაშრ., გვ. 242).

³¹ М. И. Артамонов, დასახ. ნაშრ., გვ. 244.

³² Akdes Nimet Kurat. დასახ. ნაშრ., გვ. 272.

³³ Гевонд, დასახ. ნაშრ., გვ. 93. რაკი ვიციტ ლაშქრობის ზუსტი თარიღი, ლაშქრობის მიზეზი და ნაზნდთან ხაზართა ხაკანის ასულის ცხოვრების ხანგრძლივობა, ძნელი არაა დავრწმუნდეთ იმაში, რომ მათი ქორწინება მომხდარა 762 წელს და არა 759/60 წელს, როგორც მ. არტამონოვი ვარაუდობს.

³⁴ الطبرى, დასახ. ნაშრ., გვ. 328; ابن الأثير, დასახ. ნაშრ., გვ. 273.



* * *

რას ტარხანის ვინაობა საიდუმლოებითაა მოცული. ატ-ტარხანის ალ-ასირი მას „ასთარხან“-ად მოიხსენიებენ. ლევონდი კი უწერს, რაც ახლოსაა იაკუბის „რას ტარხან“-თან. იაკუბი მას უწოდებს „მალექუ ლ-ხაზარ“-ს, რასაც პ. ყუზე თარგმნის „ხაზართა მეფედ“ (Царь хазар)³⁵. მაგრამ ლევონდის ცნობიდან ჩანს, რომ ის ხაზართა მეფე კი არა, სარდალია. ხაზართა მეფედ მაშინ, იბნ 'ასამ ალ-ქუფანს ცნობით, ბალათური იყო.

ატ-ტარხანსა და იბნ ალ-ასირის მიხედვით, ასთარხანი ხვარაზმელია. ლევონდი კი იმის ხვარაზმელობაზე არაფერს ამბობს, „ამაგიეროდ ხაზგასმით აღნიშნავს, „რაც-ტარხანი ხატირლიტბერის ჩამომავლობისაა“. ის 764 წლის ლაშქრობისას გამოჩნდა და მის დამთავრებისთანავე გაუჩინარდა³⁶. კ. ცეგლედი, რომელიც ლევონდის ცნობას იმოწმებს, ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ რაც-ტარხანს შემდეგ ხაზართავის ულაღატნია, თავისი ვაჟი არაბებთან გაუგზავნია მძევლად, ხოლო თვითონ ალბანთა კართან ანუ დარუბანდში ხმლით დაღუპულა³⁷. მაგრამ სომეხი მწერლის ცნობიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ის რომ ამბობს, „რამდენიმე ხნის შემდეგ იგივე ბოროტი, ვინც აღვანთა მიწა ჩრდილით დაფარა, ისმაილიანთა მბრძანებელს შეუერთდა, ვაჟი მძევლად სირიაში გაგზავნა, ხოლო თვითონ აღვანთა კარის ახლოს ხმლით მოიკლა თავი“-ო³⁸, — ეს, როგორც მ. არტამონოვი შენიშნავს, რაც-ტარხანს კი არ ეხება, არამედ არმინიის მაშინდელ გამგებელს ნაზიდ იბნ 'უსაიდ ას-სულამის, რომელმაც, შემატიანის თქმით, სულმოკლეობა გამოიჩინა, მტერს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ქვეყანა ააოხრებინა³⁹.

* * *

ვ. ბარტოლდის ვარაუდით, ხატირლიტბერი უნდა იყოს ძველი თურქული ტიტული „ელტებერი“, რომლითაც იწოდებოდნენ ვასალი მთავრები⁴⁰. ს. მალოვისა და ა. კოვალევსკის მიხედვით, იგივე ტიტული „ბალტავარის“ უორმით ცნობილი იყო ვოლგის ბულღარშიც⁴¹. კ. ცეგლედი, რომელიც აგრეთვე შეეხა ამ საკითხს, „ხატირლიტბერთა“ ანუ „ელტებერთა“ გვარის არსებობას

³⁵ Я' Куби. История, с. 8.

³⁶ ჩვენთვის ცნობილი მწერლებიდან არც ერთი რაც ტარხანის შესახებ არაფერს არ იტყობინებო, აღნიშნავს ქ. პატკანიანი (Гевонд, გვ. 158. შენ. 190).

³⁷ С. Z e g l e d y. Khazar Reids in Transcaucasia in A. D. 762—764. Acta Orientalia, 1960, t. XI, pp. 75—88.

³⁸ Гевонд, ც. 93.

³⁹ იქვე.

⁴⁰ В. В. Бартольд. Киргизы. Сочинения, т. II, ч. I, М., 1963, с. 481—2.

⁴¹ С. Е. Малов. Памятники древнетюркской письменности. М., - Л., 1951, с. 31, 42; А. П. Ковалевский. Книга Ахмеда Ибн Фадлана о его путешествии на Волгу в 921—922 гг. Харьков, 1956, с. 122.

აღნიშნავს დალესტნის ჰუნებში⁴². ზოლო მ. არტამონოვი „ხიტირს“, რომელიც „ხაზირს“ და „ხაზარს“ უნდა უეკავშირდებოდეს, ხაზართა სამეფო გვარად მიიჩნევს⁴³. მასასადამე, გამოდის, რომ რას ტარხანი უნდა ყოფილიყო ქვეყნის რი ან ხაზართა ხაკანისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი რუმელი ტომის წარმომადგენელი, რომელსაც სამეფო კარზე დიდი თანამდებობა ეკავა. მაგრამ არაბულ წყაროებში შემონახული პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ იგი იყო ხვარაზმელი (ხვარაზმე) გამორიცხავს ასეთი დასკვნის ვაკეთების შესაძლებლობას. ამიტომ, მ. არტამონოვი შეეცადა საკითხის სხვანაირად ახსნას. მან ასთარხანი გამოაცხადა „ასთა“, „არსთა“ თუ „აორსთა“ თარხნად ანუ უფროსად. ზოლო „ასები“ (არსები) დაუკავშირა ლარისის (ალ-არსის) ტომს, რომელიც ხვარაზმიდან იყო მოსული ხაზართაში და შეადგენდა ხაკანის დაქირავებულ გვარდას.

საკითხის ამგვარი ახსნა შეიძლება დამაჯერებელი ყოფილიყო, რომ მას ხელს არ უშლიდეს ორი რამე: პირველი ის, რომ ხაზართა ლაშქრის სარდალს ლეონდი ხატირლიტბერთა გვარის ჩამომავლად მოიხსენიებს და, მეორე, ხაკანსა და მის სამსახურში მყოფ ლარისის მუსლიმ ტომს შორის არსებობდა გარიგება, რომლის თანახმად შეუძლებელი იყო მისი გაგზავნა ერთმორწმუნეთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ უნერხულობის გამო, ავტორი გვერდს უვლის ასთარხანის თუ რას ტარხანის ხვარაზმელობას და საბოლოოდ იმის მოპსრება, რომ იგი იყო თარხანი კონსტანტინოპოლელი ებრაელის წერილში მოხსენიებული იმ ასებისა, რომლებიც, რუსული მატეანის მიხედვით, მდ. დონეცზე ცხოვრობდნენ⁴⁴. მაგრამ ხაზართა ლაშქრის სარდალის ვინაობა-სადაურობის ამგვარ ახსნასაც ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს. თუ მას მაინკლამანც ტომის ბელადად მივიჩნევთ, მაშინ, ვფიქრობთ, უფრო მისაღებ იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ის იყო იმ ასების უფროსი, რომლებიც, ალ-ბირუნის (XI ს.) ცნობით, ადრიდანვე არალისა და კასპიის ზღვებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე (ე. ი. შუა აზიაში — ხვარაზმში) ცხოვრობდნენ⁴⁵, იქიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ და ხაზართა მბრძანებელს მორჩილებდნენ⁴⁶. თუ ეს ასეა (ამას ჯერ დამატებით კვლევა სჭირდება), მაშინ უნდა დავუშვათ, რომ რას თარხანი იყო წარმომავლობით ხვარაზმელი, ხატირლიტბერთა⁴⁷ ჩამომავალი, სამშობლოდაცდებული არამუსლიმი⁴⁸, რომელიც ხაზარ-

⁴² Acta Orientalia, 1960, t. XI, pp. 80—88.

⁴³ М. И. Артамонов, с. 246.

⁴⁴ იქვე, გვ. 244—246.

⁴⁵ В. В. Бартольд, Киргизы, с. 550.

⁴⁶ ი. მარკვარტის მტკიცებით, ალანებს ადრე (IX ს-მდე), ასებს (ას) უწოდებდნენ (J. Marquart, Osteuropäische und Ostasiatische Streifzüge, Leipzig, 1909, გვ. 114—115; В. В. Бартольд, Дахаб, ნაშრ. გვ. 550), ზოლო ალანები ძვ. წ. ა. IV ს-ში ხვარაზმის ახლოს ცხოვრობდნენ (А. П. Новосельцев. К вопросу о македонском владычестве в древней Грузии. ივ. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 105).

⁴⁷ რაკი ხატირლიტბერი იგივეა, რაც ძველი თურქული ტერმინი ილტივარი (რომელსაც უწოდებდნენ ვასალ მთავრებს, შევეებს), ზოლო თურქები ძველთაგანვე ცხოვრობდნენ შუა აზიაში — ხვარაზმში, ამიტომ არაა გამორიცხული ასეთი გვარის არსებობა იქ.

⁴⁸ რას თარხანი რომ მუსლიმი ყოფილიყო, არაბთა წინააღმდეგ არ იომებდა.

თა ხაკანს მსახურობდა, თარხანთა უფროსის ანუ რას⁴⁹ თარხანის თანამდებობას ან ტიტულს ფლობდა და უთუოდ საზღვართან ახლოს იდგა⁵⁰. ასევე საფიქრებელია ისიც, რომ რას თარხანი (ასთარხანი) იყო მისიყველთაჲს სახელი, ანდა სახელი იმ ტომისა, რომელსაც, ალბათ, იგი წინამძღვრებდა. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს თვით ტერმინ „თარხანს“ ბუნება, მის მნიშვნელობათა გათვალისწინება.

* * *

თარხანი ჯერ დაუდგენელი წარმოშობის ძველი ტერმინია, გვხვდება თურქული მოდგმის ხალხებში, მონღოლებში, ხაზარებში, ვოლგისა და კამის ბულღარებში, ამიერკავკასიაში, ირანსა და სხვა ქვეყნებში სხვადასხვა დროს, განსხვავებული მნიშვნელობით.

სულხან საბასა და დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, თარხანი სხვათა ენაა, და თავისუფალს ნიშნავს⁵¹. ასეა ახსნილი იგი იაგელოსთანაც⁵². შედგენილი საკუთარი სახელის სახით იგივე სიტყვა (ე. ი. თარხანი) გავრცელებული იყო ხაზარებში. ერთ-ერთ მათ წინამძღოლს VII ს-ში ჩორბან თარხანი ერქვა⁵³. თარხანი რომ ხაზარებში ნამდვილად გავრცელებული სახელი იყო, ჩანს ქართული და არაბული წყაროებიდანაც. ჯუანშერი, როცა ეხება ვახტანგ გორგასლის ბრძოლას ოსთა წინააღმდეგ, აღნიშნავს: „...ბრძოლა იყო ბუმბერაზთა მდინარესა მას ზედა. მაშინ ოსთა რომელ ჰყვეს ნიჯადნი ხაზართან, მათ თანა ერთო კაცი ერთი გოლიათი, სახელით თარქან. გამოვიდა ესე თარქან ხაზარი... და თქუა... ვინცა არს თქუენ შორის უძლიერესი, გამოვიდეს ბრძოლად ჩემდა“. ხოლო ხალიფა ალ-ვასიკის (842—847) ელჩი ხაზარეთში ას-სალამი იუწყება: ხაკანს, როცა მე მასთან ვიყავი, სახელად თარხანი ერქვაო⁵⁴. ამავე დროს, საკუთარი სახელის სახით თარხანი დამოწმებულია აგრეთვე ირანის აზერბაიჯანში⁵⁵.

ზემოაღნიშნულის გარდა, თარხანი იყო აგრეთვე ტიტული⁵⁶. ტიტულის

⁴⁹ რას (არაბ. راس) ნიშნავს თავს, მეთაურს. რას თარხანი იქნება თარხანთა თავი, მეთაური, წინამძღოლი, ხოლო ამ თანამდებობაზე, მ. არტემონოვის აზრით (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 246), ხაზარეთში შეიძლება ყოფილიყო ხაზარიც და არა ხაზარიც, ე. ი. უცხო.

⁵⁰ ის რომ საზღვართან ახლოს უნდა მდებარეობდა, ამაზე მიგვანიშნებს ალ-იაკუბი, რომელიც აღნიშნავს: „ამოძრავდნენ ხაზარები დერბენდში“-ო (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 6).

⁵¹ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928; დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-რუსული ლექსიკონი.

⁵² И. Я г е л л о. Полный персидско-арабско-русский словарь. თავისუფალს უწოდებს თარხანს ბ. ვლადიმირცოვიც. (Б. Я. В л а д и м и რ ц о в. Общественный строй Монголов, Л., 1934, с. 50).

⁵³ К. П а т к а н о в, Опыт истории династии Сасанидов по сведениям, сообщаемым армянскими писателями. В сб.: «Труды Восточного отделения русского археологического общества», СПб., 1889, т. XI—V, с. 79.

⁵⁴ ჯ უ ა ნ შ ე რ ი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, ტ. I, გვ. 151—152; M. C. D o h s s o n, Des peuples du Caucase, Paris, 1828, p. 134.

⁵⁵ C l. H u a r t, Babek (Encyclopedie de Islam, t. V გვ. 557).

⁵⁶ ბ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება, თბ., 1973, გვ. 14.

მნიშვნელობით იგი გავრცელებული იყო ვოლგისა და კასპის ტულორებში. არაბი მწერლები და მოგზაურები მას თარგმნიან როგორც „მალის“ (ملك) ანუ „მეფე“, რომელიც, ვ. გრიგორიევის ვარაუდით, უნდა იყოს არასრულწლოვანი ვასალი დიდი ხელმწიფისა⁵⁷. ამ გაგებით ხმარობს სიტყვა მალისი, მაგალითად, ალ-იაკუბი, როცა ის თარხნის ტიტულს ეხება⁵⁸. ვ. გრიგორიევის ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ IX ს-ის მწერალ მუჰამად ყაშლარისთან თარხანი გვხვდება „ამირის“ (امير) ანუ მთავრის, გამგებლის, სარდლის მნიშვნელობით⁵⁹.

თარხნობა ეძლეოდა მაღალი თანამდებობის სასულიერო და საერო პირებს. გათარხნება ხდებოდა როგორც ცალკეული ადამიანების, ასევე მოვლი ოჯახის⁶⁰, გვარის⁶¹, სოფლისა და ტომის⁶². იბნ ბატუტას (XIV ს.) ცნობით, ასე უნდა იყოს წარმოშობილი ვოლგაზე ქალაქი ასტრახანი. „თარხანთან“ უშუალო კავშირში უნდა იყოს ქ. ტმუტარაკანიც⁶³.

თარხნობა რომ მიეღო კაცს, ამისათვის აუცილებლად საჭირო იყო თავი გამოეჩინა ბრძოლაში⁶⁴, შეჯიბრებებში და სხვ. ვინც ამას შეძლებდა, ის სამხედრო არისტოკრატიაში შედიოდა, თარხნად იწოდებოდა⁶⁵ და განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა. XIII ს-ის ირანელი ისტორიკოსის ჯუვეინის მიხედვით, ეს პრეროგატივა იმაში მდგომარეობდა, რომ თარხანი თავისუფლდებოდა ყოველგვარი გადასახადისაგან⁶⁶, მთელი სიმდიდრე, რომელსაც ომისა თუ ნადირობის დროს ჩაიგდებდა ხელში, მის საკუთრებაში რჩებოდა; მას შეეძლო სასახლეში უნებართვოდ შესვლა; მეცხრე დანაშაუ-

⁵⁷ В. В. Григорьев, Волжские булгары. В сб.: «Россия и Азия». СПб., 1876, с. 91.

⁵⁸ Я' К у б и. დასახ. ნაშრ., ტექსტი, გვ. 6. თარგმანი, გვ. 8.

⁵⁹ С. М. Шапшал. К вопросу о тарханных ярыках (Академику Гордлевскому к его семидесятилетию. Сборник статей. М., 1953, с. 304). ამირის მნიშვნელობით თარხანს იხსენიებს რაშიდ ად-დინი (Рашид ад-дин. Сборник летописей. М.-Л., 1952, т. I, кн. 2, с. 124).

⁶⁰ В. В. Бартольд. Сочинения, т. III, М., 1965, с. 441.

⁶¹ პ. იოსელიანი. დიდი შურავი ვიორგი სააკაძის ცხოვრება. გვ. 14; Тарханные ярыки Тохтамыша, Тимур-Кутлука и Саадет-Гирея, с введением, переписью, переводом и примечаниями изданные И. Березиным, Казань, 1851, с. 2.

⁶² ვ. ველიამინოვ-ზერნოვის ცნობით, ჩალათელთა ულუსის ერთ-ერთი ტომის სახელი თარხანი იყო (Dictionnaire djaghatai turc publie par V. Veliaminof-Zernof, S. P., 1869, p. 167). თარხანი რომ ტომს ერქვა სახელად, ამას ი. იაველოვ ადასტურებს (იხ. მისი Полный персидско-арабско-русский словарь).

⁶³ С. М. Шапшал. დასახ. ნაშრ., გვ. 306—307.

⁶⁴ ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის იყო, რომ მეფე ვიორგი X-მ აზნაურ ვ. სააკაძეს თარხნის წოდება უბოძა (პ. იოსელიანი. დასახ. ნაშრ. გვ. 14).

⁶⁵ ვ. რადლოვის განმარტებით, თარხანი „პრივილეგირებული წოდება“ (В. В. Радлов. Опыт словаря тюркских наречий. СПб., 1900, т. III, с. 854).

⁶⁶ თარხნის მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლება გადასახადებისაგან და მისი შეუვალობა აღნიშნული აქვთ ვ. ვაშაშვილსა (ვ. ვაშაშვილი. ჭარბული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 290, 297) და ს. კაკაბაძესაც (ს. კაკაბაძე, იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. „საისტორიო მოამბე“, თბ., 1950, № 5, გვ. 165—166).

ლამდე ვერავინ დასჯიდა; ნადიმის დროს ეკავა საპატიო ადგილი და უმსხვილეს-
ძლებდობდნენ ფიალა ღვინით⁶⁷.

თარხანი, როგორც სამხედრო არისტოკრატია, რომ წამყვალად დიდი
უფლებებით სარგებლობდა და ხელმწიფის გვერდით იჯდა, აქვს მონღოლური ხანის ცნობილ ისტორიკოსს და სახელმწიფო მოღვაწეს
რაშიდ-ად-დინსაც⁶⁸. ხოლო აბუ ლ-ლაზი ალ-ბაჰადური (XIII—XIV სს.),
რომელიც ჭუვეინის ცნობას იმეორებს, ბოლოს უმატებს: მეცხრე დანაშაუ-
ლამდე დაუსჯელობის უფლებით სარგებლობდა არა მარტო თვითონ თარხანი,
არამედ მისი ჩამომავლებიც პირველიდან მეცხრე თაობამდე⁶⁹.

თარხნის პრივილეგიების შესახებ ყველაზე სრულად მოგვითხრობს XVIII
ს-ის თურქი მწერალი საიდ მუჰამედ რიზა. მისი განმარტებით, „თარხანის მნი-
შვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ, თუ ვინმე სრული ძალის პატრონი ას-
პარეზობაში გამოავლენდა ვაჟკაცობას: გულადობას, მოხერხებულობას, ენერ-
გიას, კუნთების ძალას, სიმამაცეს ჩოგანში, აგრეთვე თავს გამოიჩინდა ძნელად
მისაღწევ რაიმე საქმეში და ამით აჯობებდა თავის ტოლებს და მეფის ჯილდოს
დაიმსახურებდა, — მაშინ ასეთი კაცი, ჯერ ერთი, ჩადენილი ცხრა ღირსი დანა-
შაულისათვის პასუხისგებაში არ მიეცემოდა და ვერც საყვედურს ეტყოდა
ვინმე; მეორე, მისი შთამომავლობა მეცხრე თაობამდე თავისუფლდებოდა სა-
ხელმწიფო გადასახადებისაგან; მესამე, ნადავლიდან არ გადაიხდიდა მეათედს,
რომელსაც ეწოდებოდა საუჯ⁷⁰; მეოთხე, შეეძლო ხანის სასახლეში უნე-
ბართოდ შესვლა: მეხუთე, ჰქონდა უფლება დასწრებოდა ხანის დი-
ვანს; მეექვსე, შეეძლო შეესვა ხანის ხელით მიწოდებული ღვინით სავსე
ცხრა ფიალა და გაეჭარებინა ამქვეყნიური ქირ-ვარამი; მეშვიდე, ლაშქრობი-
სას ხანთან ერთად მდგარიყო ავანგარდში; მერვე, შეეძლო თავის პარამხანაში
შეეყვანა და შეერთო რომელიც გნებავთ ასული, მისი მშობლების უკითხავად,
გარდა ხანის ქალიშვილისა; მეცხრე, შეეძლო ამაღლებულიყო სახელისა და
დიდების მეცხრე ცამდე, მიეღო ჯილდოდ ცხენები, ხალიჩები და კიდევ სხვა
დასახელების ცხრა საგანი თითო ცხრა-ცხრა ცალის რაოდენობით. ამას
უნდა დაემატოს ისიც, რომ თარხანს ეძლეოდა მამული მასში მსხდომი მოსა-
ხლეობითურთ, რომელსაც იგი ბეგრავდა თავის სასარგებლოდ⁷².

როგორც ირკვევა, ტერმინ თარხანს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონია. იგი
აღნიშნავდა თავისუფალს, უფროსს, ტიტულს. ამიტომ ჩვენს ხელთ არსებული
მასალებით არ ხერხდება იმის ზუსტად დადგენა, თუ რა მნიშვნელობითაა
ნახმარი ზემოთ მოტანილ ტექსტებში რას ტარხანი და ასთარხანი. მაგრამ თიუ-
ხედვად ამისა მაინც მიგვაჩნია, რომ იაკუბზისთან, ატ-ტაბარზთან, იბნ ალ-

⁶⁷ Ata Malik Juwaini, The History of the World conqueror, transl. by J. Q. Boyle, Manchester, 1958, vol. I, pp. 37—38; vol. II, p. 595; В. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия. Сочинения, т. I, М., 1963, с. 451.

⁶⁸ Рашид-ад-дин. Сборник летописей. М.-Л., 1952, т. I, кн. I, с. 171. Б. Я. Владимирцов. Общественный строй монголов, с. 50.

⁶⁹ «Родословное древо турков. Сочинение Абул-Гази, Хивийского хана. Перевод и предисловие Г. С. Саблукова. Казань, 1906, с. 50.

⁷⁰ საუჯ საურის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს.

⁷¹ С. М. Шапала. Дахаб. ნაშრ., გვ. 310. რიცხვი ცხრა თურქებში ბედნიერებისა და სიმრავლის სიმბოლოა.

⁷² იქვე, გვ. 311.

ასრთან და ლევონდთან რას ტარხანი პიროვნების საკუთარი სახელია. 764 წელს, ხაკანის ბრძანებით, მას ხაზართა დიდი ლაშქრით დაულაშქრავს ალბანეთი, ქართლი და დაუკავებია თბილისი, მაგრამ ეტყობა აქ დიდხანს არ დარჩენილა. ატ-ტაბარის მიხედვით, შემდეგ წელს მის წინააღმდეგ საბრძოლველად მოსულ არაბთა სარდალს ჰუმაიად იბნ კახტაბს ის ადგილზე აღარ დახვედრია⁷³. მრავალი ტყვიითა და სხვა დიდძალი ნადავლით რას ტარხანი ხაზართა ქვეყანაში დაბრუნებულია.

ქართველი ისტორიკოსები ხაზართა ამ ლაშქრობას უკავშირებენ ბლუჩანის სარდლობით მოწყობილ თავდასხმას⁷⁴, რომლის მიზეზისა და შედეგის შესახებ „მატიანე ქართლისაჲ“ გვამცნობს: „...მიესმა სიშუენიერე მისი (ქართლის ერისმთავრების იოანესი და ჯუანშერის დის შუშანის. — ბ. ს.) ხაზართა ხაკანს; მოუგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად... რაჟამს მოიწია მოციქული ხაკანისა, მიუმცნო ჯუანშერ ძმასა თუსსა და დედასა. ხოლო მათ არა ინებეს და უთხრეს: „უკეთუ ულონო იქმნეს ყოფა ჭუენო, უძჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრეღარა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ“. და შუშანცა ავინა ხაზართა მეფესა.

შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკანმან სპასალარი თუნი ბლუჩან; გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად; მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყვნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან, და მცირედთა დღეთა წარიღო და ტყუე ყვნა ივინი. შემუსრა ქალაქი ტფილისი, წარტყუნა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანა. და ვითარ წარემართა გზასა დარიალანისასა... შუშან... მოწოა... წამალი სასიკუდინე... და... მოკუდა.

წარვიდა ბლუჩან ხაკანისა, მიჰგუარა ჯუანშერ და მიუთხრა სიკუდილი დისა მისისა შუშანისი. ხოლო იგი განუწყრა არა-მიტანებისათუს გუამისა მისისა... და მოსწყუდეს თავი მისი ბოროტად⁷⁵.

ქართული წყარო ბლუჩანის ლაშქრობის თარიღს არ ასახელებს. არც სხვა წყაროები იძლევიან ამისათვის საჭირო ცნობას. იგ. ჯავახიშვილი კი ხაზართა ხაკანის შუამავლის მოსვლის და შუშანის უარის თარიღად 761 წელს დებს, ხოლო ბლუჩანის ლაშქრობას 764 წლით ათარიღებს. ამოსავალს მეცნიერისათვის, როგორც თვითონ ამბობს, წარმოადგენს არაბი მწერლების (ატ-ტაბარის, იბნ ალ-ასნის) ცნობები 147 (764) წელს ხაზართა მიერ არმიანის დალაშქრისა და თბილისის აღების შესახებ. მაგრამ ეს საბუთად არ გამოდგება, რადგან ამ ავტორთა ცნობები ეხება ასთარხანის და არა ბლუჩანის ლაშქრობას. რაც შეეხება ბლუჩანის ლაშქრობას, თუ კი მას მართლაც ჰქონდა ადგილი და ასთარხანის ლაშქრობის გვიანდელ გამოძახილს არ წარმოადგენს⁷⁶, მაშინ ის სხვა დროს უნდა მომხდარიყო.

⁷³ الطبري, დასახ. ნაშრ., გვ. 320; М. И. Артамонов, დასახ. ნაშრ., გვ. 244.

⁷⁴ იგ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. თბ., 1965, ტ. II, გვ. 80—81; ა. ბოგვერაძე. აღრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI—VIII საუკუნეებში. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973, ტ. II, გვ. 292—293.

⁷⁵ მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, გვ. 249—250.

⁷⁶ ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ორივე ლაშქრობის მიზეზი, როგორც ა. ზოგვერაძე აღნიშნავს, რომანტიკული სიყვარულია.

Б. Г. СИЛАГАДЗЕ

СВЕДЕНИЯ АРАБСКИХ ПИСАТЕЛЕЙ О ПОХОДЕ РАС-ТАРХАНА
ХОРЕЗМСКОГО В ГРУЗИЮ

Резюме

УДК 620.001.01
302.411.013.33

Средневековые арабские писатели сообщают много интересных сведений по истории Грузии. Большинство из них давно известны в историографии Грузии, но остается немало сведений, которые еще не стали предметом исследования грузинских историков. К числу таких относится сообщение Я'Куби, ат-Табари и Ибн ал-Асира о походе, совершенном в 764 (147 хиджры) году в Грузию полководцем хазарского Кагана Рас-Тарханом Хорезмским.

В работе публикуется арабский текст этого сообщения с грузинским переводом и комментариями.

ზაზა ალექსიძე

ზაზაბაბი ერისთავთა ერისთავის მიერ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ „ზანაზნაობა“

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ სასწაულების მოთხრობას უშუალოდ მოსდევს შემდეგი ჩანართი:

„ხოლო უკუანაასკნელთა ამთ ქამთა ჩუენთა გლახაკნი იხარებენ მადლითა უფლისაითა, ოხითა საუკუნითგან წმიდათათა და ჯორციელად მოღვაწეებითა მეფეთა ჩუენთა დიდებულთათა, რომელნი იყვნეს კეთილად ღმრთის-მსახურ, წმიდათა ეკლესიათა აღმაშენებელ, ბარბაროზთა ბანაკსა დამარლუეველ, ქეშმარიტთა ქრისტიანეთა სიქადულ და მოწესეთა სიხარულ, რომელთა შორის იბოვა ძმ დიდისა ადარნერსე კურაპალატისაჲ, ბაგრატ ერისთავთა-ერისთავი, ძალითა ღმრთისაჲთა დიდი კელმწიფმ, ეზრამს ზე, ღირსისა ანჩელ მამათ-მთავრისა ეპისკოპოსისა, დიდებულთა აზნაურთა დაფანჩულთა შვილისა.

ესე ბაგრატ, გულისკმის-ყოფითა ქებულ, წმიდათა ეკლესიათა აღმაშენებელ, საღმრთოთა წიგნთა მეძიებელ და შემკრებელ, წმიდათა ყოველთა ღირსად მადიდებელ; წმინდათა ოხამ მარადის შემწე ყყავნ მას აქა და საუკუნოდ, რომელმან ნეტარისა მამისა გრიგოლის ცხოვრებაჲ ესე განაახლა სასწაულთა მათ გამოკუეებულთა შერთვითა, შე-მცართულ არს იგი რიცხუსა პირველთა მათ წმიდათა მეფეთასა მეუფისა ქრისტეს მიერ ლოცვითა ღირსისა გრიგოლისითა, ყუედრებაჲ მოგვსპო და უმეცრებით მაყუედრებელსა სირცხული დაუმეცდრა ამან დიდებულმან მეფემან. უფალმან ბრალთა მისთა ყუედრებაჲ, რომელსა ეჭუდეს, მოუსპენ მას სრულიად ღირსთა მამათა ვედრებითა და მათ თანა ნეტარისა მამისა გრიგოლის მადლითა, რომელიცა ქუეყანასა ზედა ცხოვნდებოდა ვითარცა ანგელოზი“¹.

1. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, თხზულების ბოლოს დართული ანდერძის მიხედვით, დაიწერა 950 (951) წელს². ბაგრატ, ძე ადარნერსე კურაპა-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 307.

² იქვე, გვ. 316—317. იხ. აგრეთვე, ივ. ჭავჭავაძის შრომა, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბ., 1945, გვ. 112; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. I, თბ., 1960, გვ. 152; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 10—13.

ლატისა, „სუმბატ დავითის ძის ქრონიკის“ ცნობით, ერისთავთა ერისთავი იყო 958—966 წლებში. მაშასადამე, ზემოთ მოტანილი ჩანართი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გაკეთებულია ამავე ხანებში³. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ბაგრატს „ცხოვრება“ უნდა განეახლებინა თვითონ თხზულების⁴ ავტორის გიორგი მერჩულეს დახმარებითა და ხელმძღვანელობით⁵. თუმცა ამ ჩანახალაში, ისევე როგორც თხზულების ბოლოს დართულ ანდერძში, რომელიც უკვე უეჭველად გიორგი მერჩულეს ეკუთვნის, ასეთი ვარაუდის გასამართლებლად არავითარი საყრდენი არ მოიპოვება, ჩვენ იგი მაინც დასაშვებად მიგვაჩნია. მით უფრო საინტერესოა, რამ გამოიწვია ნაწარმოების „განახლება“ გარეშე პირის მიერ ავტორის სიცოცხლეში, ან თუნდაც მისი გარდაცვალებიდან სულ მოკლე ხანში?

2. ანდერძში ზუსტად არის განსაზღვრული, თუ რას ნიშნავს ბაგრატ ერისთავთა ერისთავის მიერ ნაწარმოების „განახლება“: მას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოთხრობილი სასწაულებისათვის გამოტოვებულნი შეუმატებია („განახალა სასწაულთა მათ გამოკუთვებულთა შერთვითა“). აქ კიდევ ერთი საინტერესო კითხვა წამოიჭრება ჩვენს წინაშე: რა ისეთი დამსახურებაა სასწაულების შემატება, რომ მის ავტორს „განახალელების“ საპატიო სახელი ეწოდოს? იგივე აზრი ივ. ჭავჭავიძის სიტყვებით რომ გამოვთქვათ, „სიტყვა განახალა მეტად დიდმნიშვნელოვანია და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის მცირედ ნამოქმედარს სრულებით არ შეჰშვენის“⁶. მაგრამ ასე მსჯელობის უფლება თავს შეიძლება მიეცეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯერ არ ვიცით, რა „შერთო“ ბაგრატმა გიორგი მერჩულეს ნაწარმოებს. ცხადია, ტრაფარეტული სასწაულების (ვთქვათ ისეთების, როგორიცაა წიღოვანი დედაკაცის ან კისერზე გამომჯდარი ძირმაგარიანი ბერის განკურნება) შემატება გარეშე პირისაგან თხზულებას არც დასჭირდებოდა და არც მის ავტორს ჩაუთვლიდა ვინმე დიდ დამსახურებად.

იმისათვის, რომ ავტორი ან მისი უახლოესი თანამშრომლები ახლად შექმნილი ძეგლის „განახლებაზე“ დათანხმებულიყვნენ, ეს საქმე საერო პირისთვის მიენდოთ, ხოლო სასწაულთა შემატება თხზულების „განახლება“ მიენიჭათ, შემატებულ სასწაულებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფიისათვის.

3. ანდერძი გვეუბნება, რომ ბაგრატ ერისთავთა ერისთავს „საეჭვო“ და „საყვედრებელი“ „ბრალი“ ჰქონია გრიგოლ ხანძთელის, მისი ძმობისა და მათ მომდევნოთა მიმართ, რომელიც მას მონასტერთა მამების ვედრებით და გრიგოლის მადლით „მოსპობია“. სხვებიც ყოფილან ასეთივე ეჭვებით შეპყრობილნი და „უმეცრებით მაყუედრებულნი“. როდესაც ამათ ბაგრატ ერისთავთა ერისთავის მიერ შემატებული სასწაულების წყალობით სიმართლე შეუტყვიათ, თავისი ეჭვებისა შერცხვენიათ კიდევ და ყვედრებისათვის თავი დაუწებებიათ. მაშასადამე, ბაგრატის მიერ შემატებული სასწაულები ისეთი შინაარსისა იყო, რომ ხანძთისა და შატბერდის ძმობის შინაურ საქმეებს

³ ივ. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 119; კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 152.

⁴ იხ. ივ. ჭავჭავიძისა და კ. კეკელიძის ზემოთ დასახელებული ნაშრომების იგივე გვერდები.

⁵ ივ. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 119.

სცილდებოდა და მონასტერთ საერო სამყაროსთან აკავშირებდა. ვინაიდან ეჭვით შეპყრობილთა შორის იყო თვითონ ბაგრატიც, ხოლო მისი ავტორიტეტი და საქმის ვითარების ცოდნა სხვათა აზრის მოსაბრუნებლადაც საკმარისი აღმოჩნდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სასწაულები ეხებოდა მძებნის ბაგრატოვანთა საგვარეულოს ურთიერთობას. ბაგრატს გრიგოლ ხანძთელის შესახებ უნდა სცოდნოდა ისეთი რამ, რაც არ იცოდა გიორგი მერჩულემ და მისმა თანაშემწეებმა თხზულების წერისას — ხანძთის წინამძღვარმა მამა თევდორემ, მისმა ძმამ იოვანემ და შატბერდის წინამძღვარმა მამა გრიგოლმა. ასეთი კი შეიძლება იყოს უფრო ადრეული მხოლოდ ბაგრატოვანთა საგვარეულოში დაცული გადმოცემები გრიგოლისა და მის თანამედროვე ბაგრატოვან ხელმწიფეთა ურთიერთობის შესახებ.

4. გრიგოლ ხანძთელის სასწაულების აღწერა იწყება 50-ე თავიდან, რომელსაც წინ უძღვის ავტორის შემდეგი სიტყვები:

„ხოლო ყოველი ვერ შეუძლევ აღწერად უმეცრებისა გზითა, რამეთუ ვკგონებდ ცხოვრებისა ამის დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ჟამთა ჩუენთა... და ვითარცა მათ ნეტართა დაიძინეს, მაშინდა რეცა განმელძძა უცებსა ამის და ფრიალ ცოდვილსა კელყოფად და აღწერად ცხოვრება და სასწაულნი ესე, რომელ აწ გემნეს“.

ამ სიტყვებს მართლაც სასწაულების აღწერა მოსდევს, რომლებსაც 50—70-ე თავები უკავია. სასწაულების აღწერა 70-ე თავში ბოლოვდება ზემოთ უკვე ციტირებული ჩანართით, რომელშიც ბაგრატ ერისთავთა ერისთავის დეაწლზეა ლაპარაკი. 71-ე თავი ახალ სიუჟეტს იწყებს შემდეგი სიტყვებით:

„ხოლო ნეტარი ესე კაცი ღმრთისამ, მამამ გრიგოლ, ნებისა ქრისტესისა საშკვდრებელი, სასწაულთა მოქმედი დიდებული, ფრიალ გარდარეულად დაბერდა, რამეთუ ას და ორისა წლისა ჟამთა მიიწია“.

არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს იმაში, რომ ბაგრატის მიერ შემატებული სასწაულები სწორედ ამ 50—70-ე თავებშია მოქცეული. მითითებულ თავებში აღწერილია გრიგოლის თორმეტი სასწაული. ამათგან ათი ხდება ხანძთისა და შატბერდის მონასტრებში და არ შეიძლება გარეშე მთხრობელისგან მომდინარეობდეს. ესენია: 1. გრიგოლის სენაკიდან გამომავალი შუქი, როდესაც იქ არაფერი არ ანთია. 2. ძმობის მიერ ყინულზე მორების დაცურებისას ერთი მოხუცებული ბერის გადარჩენა. 3. შატბერდის ახლოს მცხოვრები დედაკაცის ორი წლის ბავშვის განკურნება. 4. წიღოვანი დედაკაცის განკურნება. 5. შატბერდის ახლოს მცხოვრები დედაკაცისთვის „უძლური“ ხელის განკურნება. 6. მონადირეთაგან ირმების დახსნა. 7. მონადირეთაგან „გარეთხების“ დახსნა. 8. მამა ბასილის სატალისაგან განკურნება. 9. ცქირი-

⁶ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 294.

⁷ იქვე, გვ. 308.

სგან მიგზავნილი მკვლელის გამქლავება და განკურნება. 10. ცქირის სრვე-
დილის წინასწარმეტყველება.

ათივე სასწაულის შესახებ საკმარისი ინფორმაცია შეიძლება ჰქონო-
და თვითონ გიორგი მერჩულეს და წიგნის წერაში მის თანამშრომლებს. უხი-
ლოდ ცქირის ისტორია უკავშირდება რამდენადმე აშოტ კურაპალატს, მა-
გრამ მასში აშოტი თვითონ არის ცქირისა და მისი მფარველის თბილისის
ამირა საპაკისაგან დაზარალებული, ხოლო გრიგოლის მეთაურობით „კლარ-
ჯეთის მეუღაბნოენი“ მას მხარში უდგანან. ასე რომ, ამ ეპიზოდის მიხედვით
„ემკვებისა“ და „ყვედრებისათვის“ საფუძველი არ არსებობს და არც მონათ-
ხრობი სცილდება ხანძთის ძმობის გარემოს.

გრიგოლის თორმეტი სასწაულიდან დარჩენილი ორი კი უკვე უშუალოდ
ეხება ბაგრატიონთა საგვარეულოს და მის ძმობასთან საკონფლიქტო სიტუ-
აციას შეიცავს. ესენია: 1. აშოტ კურაპალატისთვის „სიძვის დედაკაცი“
წაგვრა. 2. ადარნერსე ხელმწიფისა და მისი შვილების დასჯა-განკურნება
დედოფლის უსამართლოდ განშორებასთან დაკავშირებით (ამაში რამდენიმე
სასწაულია გაერთიანებული).

აშოტის ეპიზოდს 55-ე თავი უკავია. უკვე დასაწყისი განასხვავებს მას
სხვა სასწაულებსაგან სტილით და საერო განწყობილებით: „ხოლო ქამთა
ამის წმიდისათა კელმწიფემან აშოტ კურაპალატმან დაიპყრო მრავალნი
ქუეყანანი და აღაშენა ციხე არტანუჯისა საცხოვრებელად დედუფლისა...“
(შდრ. „რამეთუ ოდესმე იყო ნეტარი გრიგოლ თუსსა მას საყუდელსა სენაკსა...“
„და კუალად ოდესმე ქამსა ყინელისასა...“ „და კუალად სხუა ვინმე იყო დე-
დაკაცი...“). ადარნერსეს ეპიზოდი კი სტილისტურად უშუალო კავშირშია აშო-
ტის „სასწაულის“ დასასრულთან: „არამედ ადარნერსე კელმწიფესა უფროდსი
ენებაჲ შეამთხვა მტერმან, რომელიცა იყო ძმ აშოტ კურაპალატისაჲ“. ადარ-
ნერსეს ეპიზოდი 58-ე თავით მთავრდება. 59-ე თავით სხვა სასწაულები იწ-
ყება და მას გაკეთებული აქვს წინათქმა („ხოლო ესე-ვითართა სასწაულთა
იქმოდა ქრისტე კელითა ნეტარისა გრიგოლისითა...“), რომელსაც მხოლოდ
წინამავალი სასწაულების ჩართვა თუ გამოიწვევდა.

აშოტის ეპიზოდში ფაქტიურად სასწაულის ნასახიე არ არის: აშოტ კურა-
პალატმა შეიყვარა „სიძვის დედაკაცი“, მიიყვანა სასახლეში, სადაც მას კანო-
ნიერი მეუღლე ესვა, და მასთან „მრუშობდა“. გრიგოლმა შეიტყო ეს „სული-
სა განმხრწნელი საქმე“, რამდენჯერმე ამხილა პირისპირ აშოტი, მაგრამ ვე-
რაფერს ვახდა. ერთხელ, როდესაც კურაპალატი შორს იყო სასახლიდან წასუ-
ლი, გრიგოლი მიადგა არტანუჯის ციხეს, გამოიტყუა გარეთ „მეძავი ქალი“,
დაარწმუნა თავისი საქციელის უკეთურობაში და მონაზვნად აღკვეცა მერეს
დედათა მონასტერში მისი წინამძღვრის ფებრონიას ხელშეწყობით. როდესაც
აშოტმა შეიტყო საქმის ვითარება, „ფრიად შეიურვა“, „თავითთნოებაჲ დააუ-
წყა“ და ეახლა ფებრონიას. ახლა უკვე მან სცადა სატრფო მოტყუებით დე-
ბრუნებინა სასახლეში. ფებრონია მიუხვდა განზრახულს და ქალი არ დაანება
ხელმწიფეს. „კორცილად ძლიერსა კელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა
სძლეს“.

თუ, ამ სრულიად რეალურ ეპიზოდში ალაგ-ალაგ გვხვდება ისეთი წინადა-
დებები, რომლებითაც რედაქტორი ცდილობს მისი სასწაულებში ჩართვის გა-
მართლებას. მაგალითად: „ესმა ნეტარსა გრიგოლს საქმე იგი სულისა განმხრ-“

წელი, შეწუხნა ფრიად. და აუწყა წმიდასა გრიგოლს დიდსა მას მოხუცებულსა, რომელი მკვდრ ხყო ეკლესიათა, რამეთუ იყო იგი სასწაულთა მოქმედ და დიდად პატივცემულსა და კაცთაგან. და განზრახვითა მისითა ამხილა პირისპირ კვლამწიფესა. ვფიქრობთ, აშკარაა, რომ ხაზგასმული სიტყვები უკვე ცალკე დაწერილ ტექსტში მერეა ჩართული და ჩართულია კონტექსტის ხეირიანად გათვალისწინების გარეშე, მასთან სტილისტურად დაუკავშირებლად. სასწაულებრივი სიტუაციის ნაძალადეოდ შექნის ცდაა, აგრეთვე, ფებრონიას და გრიგოლის საუბრის დროს მონაზონმა რომ ყური მოჰკრა გრიგოლის სიტყვებს: „რამ გრჩუა შენ ანგელოზმან?“ აქაც თითქოს მოჩანს რედაქტორის ხელი ეპიზოდის სასწაულების რიგში შესატანად.

ადარნერსეს ეპიზოდი: „მეძვის ქალმა“, რომელთანაც მრუშობდა ადარნერსე „ველმწიფე“, სიძვაში ცოლი დასწამა დედოფალ ბევრელს. ადარნერსემ ეპემიტანილი ცოლი აფხაზეთში, თავის სამშობლოში. ვააბრუნა და გრიგოლის მხილებათა მიუხედავად, სხვა ცოლი შეირთო. განრისხებულმა გრიგოლმა დასწყევლა ადარნერსე, მისი შვილები და „შემასწენელა ქალი“. წმიდანი ულმობელი დარჩა მაშინაც კი, როდესაც ხელმწიფე ფეხეპში ჩაუვარდა. მართლაც, მალე, ადარნერსე „მეხის წრდიალმა“ (ნეკრესმა) შეიპყრო. ტკივილისაგან დატანჯულმა ხელმწიფემ შემონაზვნებულ ნადედოფლარს შენდობის სათხოვნელად მოციქული მიუგზავნა და მიიღო თუ არა, მაშინვე განიკურნა. იგივე სიტუაცია განმეორდა რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ადარნერსეს შვილებს (გურგენ კურაპალატსა და სუმბატს) „ეშმაკი“ შეუჩნდა. „ეშმაკეულ იქნა“ აგრეთვე „მეძვი ქალი“, რომელმაც მერეს ქალთა მონასტრის წინამძღვარს ფებრონიას სთხოვა შუამდგომლობა გრიგოლთან. შუამავლობამ არ გაჭრა. ვულმოწყალე ფებრონიამ „მეძვი ქალი“, ისევე „ეშმაკეული“, მონასტერში დაიტოვა სიკვდილამდე. როდესაც იგი გარდაიცვალა, ჯერ მონაზონთა საძვალის ახლოს დაუპირეს დამარხვა, მაგრამ სასწაულის ძალითა და გრიგოლის ნებართვით შემდეგში აკლდამაში დაკრძალეს.

როგორც ვნახეთ, ორივე ეპიზოდში ბაგრატიონანი ხელისუფალნი და გრიგოლ ხანძთელი მწვავედ უპირისპირდებიან ერთმანეთს. მართალია, როგორც მოსალოდნელიც იყო, ფინალი ორივე შემთხვევაში „კეთილია“ — „კორციელად ძლიერნი კვლამწიფენი“ ბოლოს დიდად კმაყოფილნი რჩებიან, რომ განეშორნენ „კორცთ-მოყვარეობას“, მაგრამ სინამდვილეშიც ასე იოლად ვადაწყდა კონფლიქტი? განა თვითონ თხზულებაში შესატანად საგანგებოდ დამუშავებულ ეპიზოდშიც არ გაიპარა დამარცხებული ამოტ კურაპალატის „გული-სა შეჭირვებისაგან“ დაცდენილი სიტყვები: „ნეტარ მას კაცსა. ვინ არღარა ცოცხალ არსო!“ ცხადია, არც ადარნერსესა და მისი შვილების დაწყევლა ჩაუვლიდა იოლად გრიგოლ ხანძთელს და იქნებ მთელ ძმობასაც კი.

ასეა თუ ისე, მთელ თხზულებაში არ არის სხვა არც ერთი ისეთი ეპიზოდი, რომელიც შეიძლება ბაგრატიონანთა საგვარეულოსათვის „ეჭვებისა და ყვედრების“ საფუძველი გამხდარიყო. არ არის სხვა არცერთი ისეთი ეპიზოდი, რომლის შესახებაც ბაგრატიონანთა საგვარეულოში მეტი ინფორმაცია იქნებოდა შენახული, ვიდრე ხანძთისა და შატბერდის მონასტრებში. არ არის სხვა ისეთი ეპიზოდი, რომლის შეტანასაც თხზულებაში, მისი დაწერილან ათიოდე წლის შემდეგ, რაიმე გამართლება ექნებოდა, ხოლო მისი ავტორის პოზიცია

იმდენად მისაღები აღმოჩნდებოდა გრიგოლის სულიერ მემკვიდრეთათვის, რომ ორიოდვე სასწაულის დამატებას ნაწარმოების განახლებად მიიჩნევდნენ.

როგორც ჩანს, გრიგოლის სიცოცხლეში, და მის შემდეგც უნდა ყოფილიყო ვერ აპატიეს საერო ხელისუფლებმა მათ ინტიმურ ცხოვრებაში თვითნებური ჩარევა საეკლესიო მოღვაწეს. ეტყობა, მასვე დაბრალდა ყველა სენი, რომელიც კი ბაგრატიანთა საგვარეულოს წევრებს დაემართათ. ამ საჩოაირო საქმეთა შესახებ მსოფლიოთა შორის გავრცელებული ზმები (ანდერძი მათ „უმეცართ“ უწოდებს), ჩანს, საგრძნობლად განსხვავდებოდა იმ ვადმუცემათაგან, რაც მონასტერთა ძმობის მეხსიერებას ჰქონდა შენახული. ბაგრატი ერისთავთა ერისთავმა მოარიგა ეს ვერსიები ერთმანეთთან და შეატანინა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. ამიტომ არ იშურებს საქებურ სიტყვებს ანდერძი იმ პირის შესახებ, რომელმაც ძმობას „უმეცართაგან“ „ყვედრება“ და „ეკვი“ მოუსპო (საერო ხელისუფალთა ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, მატერიალურადაც საზიანო იქნებოდა მონასტერთათვის): „ესე ბაგრატი, გულისქმის-ყოფითა ქებულ, წმიდათა ეკლესიათა აღმაშენებელ, საღმრთოთა წიგნთა მეძიებელ და შემკრებელ, წმიდათა ყოველთა ღმრთისად მადიდებელ; წმიდათა ოხაჲ მარადის შემწე ეყავნ მას აჟა და საუკუნოდ“.

3. Н. АЛЕКСИДЗЕ

«ВОЗОБНОВЛЕНИЕ» «ЖИТИЯ ГРИГОРИЯ ХАНДЗТИЙСКОГО»
ЭРИСТАВОМ ЭРИСТАВОВ БАГРАТОМ

Резюме

В статье высказывается предположение, что из двенадцати чудес Григория Хандзтийского, описанных в сочинении Георгия Мерчуле, перу эристава эриставов Баграта принадлежат эпизоды, связанные с интимной жизнью Ашота Курапалата и его сына, правителя Кларджети Адарперсе.

მამის ბარძნოვილი

„მატიანე ქართლისაჲ“-ის ერთი ადგილის დაზუსტებისათვის

ბაგრატ IV-ის მეფობაში ცნობილია შემდეგი ფაქტი: 1051 წ. თურქების ტყვეობიდან დაბრუნდა ლიპარიტ ერისთავი. მან ბიზანტიისაგან ძალამიცემულმა ისეთ პირობებში ჩააყენა მეფე, რომ ბაგრატი იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. ბაგრატმა თავისი შვილი გიორგი აფხაზეთის სამეფოს მეფედ დასვა (დანარჩენი საქართველო — ქართლი და მესხეთი — ლიპარიტს ეჭირა) და თვით კი დედითურთ — მარიამ დედოფლითურთ — ბიზანტიას გაემგზავრა კეისართან სამართლის საქმეზედად. მაგრამ ბაგრატი ბიზანტიაში დიდხანს ვერას ვახდა, და მხოლოდ სასი წლის შემდეგ მიაღწია იმპერატორთან მორიგებას. ბიზანტიის იმპერატორმა ბაგრატი და ლიპარიტი შემდეგნაირად მოარიგა: ბაგრატი იქნებოდა ქართლისა და აფხაზეთის მეფედ, ლიპარიტი კი მესხეთის ერთი ნაწილის მთავრად¹.

ეს ამბავი „მატიანე ქართლისაჲ“-ში ასეა მოთხრობილი: „ამისა შემდგომად დაეკვნა ლიპარიტ თურქთა, და შემოვიდა ანისს. დაადგო ბაგრატ ტფილისი ლიპარიტის გზითა, აღმოვლო ქართლი და მოვიდა ჯავახეთს. გაძლიერდა ლიპარიტ... მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი, და ვერღარა დაუდგა ბაგრატ.“

ამისა პირველ სუმოდა ძე მისი გიორგი ბაგრატი, დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წარვიდა საბერძნეთს. ძას ეამსა იყო ბერძენთა მეფე კონსტანტინე მონომახი და შემდგომად მიხაელ. და ლიპარიტის სათნოთა სწრაფით ვერღარა შემოიქცა ბაგრატ თავის მამულსა ზედა, და დაყო მუნ სამი წელიწადი დიდსა დიდებასა და პატივსა შინა².

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ამ ნაწყვეტის ის ადგილი, სადაც ბაგრატის საბერძნეთში წასვლაზეა ლაპარაკი, „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ხელნაწერებში სხვადასხვანაირად არის მოცემული. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ანა დედოფლის ქ¹ცა-ში სწერია: „მიხაელ მონა მოტი“, მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრებაში „მიიახლა მონა მეოტი“, ქართლის ცხოვრებაში „კონსტანტინე“. მონომახი მართლაც კონსტანტინე (1042—1054) იყო. მაგრამ რაკი უძველეს ხელნაწერებში „მიხაელ“ სწერია, მხოლოდ მიხეილი სტრატეგოტიკად იწოდებოდა, მონომახად კი კონსტანტინე, ამიტომ თავდაპირ-

¹ გიორგი კედრენე. *Στοιχειὰ Ιστορίας*, გეოგრაფიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი V, ტექსტებში ქართული თარგმანითურთ გამოცემა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963, გვ. 68.

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I, თბ., 1955, გვ. 303. 1-18

ველად დედანში ალბათ ორივე სახელი იქმნებოდა მოხსენიებული და მიზნის-
დელი გადამწერისგან დამახინჯებული უნდა იყოს³. ამ მსჯელობით ივ. ჯავ-
ახიშვილმა შეაერთა „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხეების გამოთქმები,
დაუმატა მათ სიტყვა „შემდგომად“ და წინადადება მიიღო ასეთი სახე: „მას
ქამსა იყო ბერძენთა მეფე [კოსტანტი] მონომახი და [შემდგომად] მიხაელ“.
ივ. ჯავახიშვილის ეს კონიექტურა გაზიარებულია „ქართლის ცხოვრების“ ახალ
გამოცემასა და იმ მკვლევართა შრომებში, რომლებიც კი ბაგრატ IV-ის მეფო-
ბის ამ პერიოდს შეხებიან.

რადგან ეს წინადადება ამგვარად გაიმართა, ბაგრატის ბიზანტიაში ყოფ-
ნის დროც ამ წინადადების მიხედვით დადგინდა: „რაკი ქართველი მემატიანე
ამტკიცებს, რომ ბაგრატი საბერძნეთში სამ წელიწადს დარჩა, ხოლო მიხეილ
VI სტრატოტიკოსი 1056—1057 წლებში მეფობდა, კონსტანტინე მონომახი
კი 1054 წელს გარდაიცვალა, ამიტომ ირკვევა, რომ საბერძნეთში ბაგრატი წა-
სულა კონსტანტინე მონომახის მეფობის უკანასკნელ წელიწადს, ანუ 1054
წელს და სამი წელიწადი დარჩენილა, ესე იგი საქართველოში 1057 წელს, მი-
ხაელ სტრატოტიკოსის მეფობის დროს დაბრუნებულა“⁴.

მაგრამ ბაგრატის ბიზანტიაში სამწლოვანი ყოფნის თარიღი ცოტა სხვა-
გვარი უნდა იყოს და აქედან „მატიანეს“ ტექსტიც სხვაგვარად უნდა იკითხე-
ბოდეს. ივ. ჯავახიშვილის შემოთავაზებული აღდგენილი წინადადება გარდა
იმისა, რომ სიტყვათა წყობით არის უჩვეულო („იყო ბერძენთა მეფე კოსტან-
ტი მონომახი და შემდგომად მიხაელ“), შინაარსობრივადაც არ არის ზუსტი,
რადგან კონსტანტინე IX მონომახსა (1042 წ. VI — 1055 წ. I) და მიხეილ VI
სტრატოტიკოსს (1056 წ. 31 VIII — 1057 წ. 31 VIII) შორის ბიზანტიის ტახტ-
ზე მთელი წელიწადნახევარი კიდევ ერთი იმპერატორი იჯდა — ეს იყო დედო-
ფალი თეოდორა 1055 წ. იანვრიდან 1056 წ. აგვისტომდე.

დავიწყეთ იქიდან, თუ როდის იყო ბაგრატი ბიზანტიაში.

ბაგრატ IV-ისა და მისი დედის მარიამ დედოფლის ერთდროული ყოფნა
ბიზანტიას, იმპერატორის კარზე, აღწერილი აქვს გიორგი მცირეს თავის
თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენ-
ისისა გიორგი მთაწმიდელისა“. ამ ძეგლში დაცული არა ერთი ჩვენებით ცხა-
დი ხდება, რომ ბაგრატ მეოთხე ბიზანტიაში იყო კონსტანტინე მონომახის მე-
ფობაში.

გიორგი მცირეს მოთხრობილი აქვს, რომ „მას ქამსა, ოდეს ღუთის მსა-
ხური ბაგრატ, აფხაზთა მეფე, და დედა მისი მარიამ დედოფალი სამეუფოდ
ქალაქად (ე. ი. კონსტანტინოპოლში. — მ. ბ.) მოვიდეს, აღვიდა წმიდაი ესე
ჩუენი (გიორგი მთაწმიდელი. — მ. ბ.) ღუთის მსახურთა მათ მეფეთა თანა“
და ათონის მონასტრის საქმეები მოახსენა. ბაგრატმა და მარაამმა ყურად
იღეს ივერთა მონასტრის გაჭირებული მდგომარეობა და მათი შუამდგომლო-
ბით იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა „დიმოსისა“ საქმე მაშინ გარდას-
წყვდა... რათა ...მიეცემოდის როქისაგან⁵ ჩუენისა ლიტრა ერთი დიმოსად, ვი-

³ ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 147, სქოლიო.

⁴ იქვე, გვ. 147.

⁵ დიმოსი — სახელმწიფო გადასახადი.

⁶ როქი (ροχίς) — ფულადი სარგო.

თარცა თვთ განაწესა ლუთის მსახურმან მეფემან კოსტანტი მონომახმან და ამას ზედა ოქრობეჭედი შექმნა მტკიცე და უქცეველი⁷. ეს მონათხრობი ბაგრატ-მარიამის ბიზანტიაში ყოფნას მონომახის მეფობაში ათავსებს. ეფემიძე გლის მიხედვით, სწორედ მონომახის მეფობაში კონსტანტინოპოლში მარიამ დედოფალი „დაემოწაფა ... დედა ბაგრატ მეფისა და იკურთხა სქემითა და გამოითხოვა მონომახისაგან ლიტრა ერთი როქად წმიდისა მონასტრისათვის და შემოწირა ესე საუკუნოდ საცხენებლად სულისა თვისისათვის წმიდასა ამას ეკლესიასა“⁸.

გიორგი მცირის მონათხრობს ადასტურებს ათონის ივერთა მონასტრის ზღაპებიც.

1. „თუესა დეკენბერსა იგ წმიდათა ევსტრატეთ დღესასწაული პეტრიკისა და ძმისა მისისა იოანესდა აღაპად განგვწესებინეს: ოდეს ღედოფალმან ბაგრატის დედამან ლიტრაჲ ერთი სოლიმნად შეგვქმნა და ბაგრატ დიმოსი მოგვწყუდა, ორივე ესე დიდი საქმე მათითა თანა დგომითა და ნოლუაწებითა სრულ იქმნა“⁹.

2. „თუესა იანვარსა ვ ნათლისღებაჲ კოსტანტი მონომახისა აღაპად განგვწესებინეს: სოლიმნი¹⁰ ჩუენი მან შეგვქმნა და დიმოსი მოგვწყუდა“¹¹.

3. „თუესა ავსტოსა ვ აღაპი განვაწესეთ კოსტანტი მონომახისათუსვე ქველის მოქმედებათა მისთათუს, რომელ ქმნნა ჩუენ ზედა“¹².

4. „თუესა ავსტოსა იე მარიამობაი: მარიამ დედოფალმან, ბაგრატ კურაპალატისა დედამან, ლიტრაჲ ერთი სოლიმნი შეგვქმნა ბერძენთა მეფისაგან სალოცველად და საცხენებლად მისდა საუკუნოდ და განგვწესებია მათთუს აღაპად ესე დღე“¹³.

შემდეგი ცნობა გიორგი მცირისა, რომელიც ბაგრატის ბიზანტიაში ყოფნას მონომახის მეფობაში ათავსებს, შეეხება გიორგი მთაწმიდელის ერთ-ერთ საკვირველმოქმედებას, რაც „ბაგრატ მეფემან ... მიუთხრეს ... ღვთის მსახურსა მეფესა კოსტანტის მონომახისა“¹⁴.

ბაგრატის ბიზანტიაში ყოფნას მონომახის ზეობის მიწურულს გვიდასტურებს კიდევ ერთი წყარო — ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 484 ხელნაწერის ანდერძი: „დაიწერა კალიპოსს, ლავრასა წმიდისა ღვთისმშობლისასა, მეფობასა კოსტანტინე მონომახისასა, ანტიოქიას პატრიარქობასა პეტრესსა და ბაგრატის აფხაზთა მეფისა და ნოველისიმოსისა სამეფოსა ყო-

⁷ ათონის კრებული. გვ. 302—303.

⁸ იქვე, გვ. 303.

⁹ იქვე, აღაპი № 15.

¹⁰ სოლიმნი (σολιμνιοι) მონასტრის სახელმწიფო ვადასახადისაგან ვათავისუფლება, ან მონასტრისათვის ვარკვეული თანხის ბოძება სახელმწიფო ხაზინიდან (A. Καждан. Деревня и город в Византии в IX—X вв., М., 1960, გვ. 176. სქოლო) აქ იგულისხმება მეორე მნიშვნელობა.

¹¹ ათონის კრებული, აღაპი № 27.

¹² იქვე, აღაპი № 99.

¹³ იქვე, აღაპი № 100.

¹⁴ იქვე, გვ. 304.

ფასა¹⁵“. ეს ანდერძი იძლევა რამდენიმე დამატარილებელ მინიშნებას: კონსტანტინე მონომახის მეფობას—1042—1054 წწ.; ანტიოქიაში პეტრეს პატრიარქობას (პეტრე პატრიარქად იყო 1052 წ. აპრილიდან 1057 წ. აპრილამდე¹⁶) და ბაგრატის „სამეფოს“, — ე. ი. კონსტანტინოპოლში, ყოფნას, რომელიც თარიღებით მხოლოდ იმის გარკვევა შეიძლება, რომ ხელნაწერი დაწერილია 1052—1054 წწ. და რომ ეს 1052, 1053 და 1054 წლები ერთნაირად შეიძლება იყოს ბაგრატის ბიზანტიაში ყოფნის პირველი, მეორე და მესამე წელი. მაგრამ რადგან ვიცით, რომ ბაგრატი ბიზანტიაში წავიდა 1051 წ. (ლიბარტის ტყვეობიდან გათავისუფლების) შემდეგ, ამიტომ 1052 წ. კერძო იქნება ბაგრატის ბიზანტიაში ყოფნის მესამე წელი.

გიორგი მცირის თხზულებაში დაცული სხვა რეალიები გვაფიქრებინებს, რომ მონომახის მომდევნო იმპერატორების მეფობაში ბაგრატი ბიზანტიაში აღარ არის.

გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიაში ცნობილი ფაქტია, რომ ამ მოღვაწემ ორჯერ გაანება თავი ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრობას და შავ მთაზე წავიდა. პირველად იგი ათონიდან ფარულად წავიდა, „ვარულად ლტოლვილი“ გიორგი შავ მთაზე მივიდა, იქ შეხვდა თავის მოძღვარს გიორგი შეყენებულს, რომელმაც არ მოუწონა წინამძღვრობის დატევა და ისევ ათონს დააბრუნა. ამ პირველი ლტოლვის „უამ რაიოდენმე“—ს შემდეგ გიორგი მთაწმიდელი კვლავ კონსტანტინოპოლშია. იქ მან „მეფისაგან თავისუფლება მიიღო“. გიორგი მცირე არ ასახელებს თუ სახელდობრ რომელი იმპერატორისაგან მიიღო მთაწმიდელმა შავ მთაზე წასვლის ნებართვა, სამაგიეროდ ასხელებს მარიამ დედოფალს, რომლის იმპერატორთან შუამდგომლობითაც მიუღია გიორგი მთაწმიდელს ეს ნებართვა. „მეფისაგან თავისუფლებამ მიიღო... [მეფე] არა წინააღმდეგ, არამედ თანა შეწვენითა მარიამ ბაგრატის დედისათა, რამეთუ იგიცა მუნ იყო“¹⁷. გიორგი მთაწმიდელი შავ მთაზე მიღის, ცოტა ხნის შემდეგ აქვე ჩამოდის ბაგრატის დედა მარიამი. იგი აპირებდა ანტიოქიიდან იერუსალიმში წასვლას. მარიამს თან ჰქონდა იმპერატორის ბრძანება ანტიოქიის მთავრისა და პატრიარქისადმი, რათა მათ „ყოვლითა დიდებითა და პატივით წარგზავნონ“ მარიამი იერუსალიმს. მაგრამ გიორგი მთაწმიდელის რჩევით, რომელიც ამ დროს ანტიოქიაშია, პატრიარქმა და მთავარმა დაარწმუნეს დედოფალი, რომ „არა კეთილ არს აღმოსავლისა (ე. ი. საქართველოს — მ. ბ.) მეფეთა დედა რათამცა სარკინოზეთ წარვიდა“.

მარიამი დაყვა ამ რჩევას, აღარ გაემგზავრა იერუსალიმს და რა საფასე, „რომელი საგზალად აღეკაზმა“, გიორგი მთაწმიდელს გაატანა იერუსალიმს. გიორგიმ იერუსალიმის წმიდა ადგილები მოილოცა, მარიამის გატანებული საფასე ზოგი ჯვარის მონასტრის მამის პროხოორეს გადასცა, ზოგი „გლახაეთა

¹⁵ Ф. Жордания. Описание рукописей Тифлисского церковного Музея. Кн. II, Тифлис, 1902. გვ. 49. ამ ხელნაწერს ივ. ჯავახიშვილი 1054 წლით ათარილებს, რაკი ბაგრატის საბერძნეთში წასვლას 1054 წელს ვარაუდობს. (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 179).

¹⁶ Н. С ка б а л а н о в и ч. Византийское государство и церковь в XI веке. СПб., 1884, გვ. 420, შენ. 5.

¹⁷ ათონის კრებულები. გვ. 308.

და უღონოთა“ განუყო. იერუსალიმიდან დაბრუნებულ გიორგის მარიამი ანტიოქიასვე დახვდა და „შემდგომად მცირედისა მამულად თუსად სამეფოდ ძისა თუსისა თანა ბაგრატ მეფისა წარვიდა“¹⁸. გიორგი კი შავ მთაზე წმიდა წიგნთა თარგმნას შეუდგა.

ამ მონათხრობიდან ცხადი ხდება, რომ გიორგის შავ მთაზე ხელახალი შემობრუნებისას ბაგრატი ბიზანტიაში აღარაა, საქართველოშია, და დედა მისი მიღის მასთან, „ძისა თუსისა თანა“, საქართველოში — „მამულად თუსად“.

მაგრამ როდის დაბრუნდა მთაწმიდელი შავ მთაზე და როდისღან შეუდგა ის აქ წიგნების თარგმნას?

ამ კითხვაზე პასუხს ისევ გიორგი მცირე გვაძლევს. ბიბი სიტყვით, შავ მთაზე ყოფნისას გიორგი მთაწმიდელი ხშირად ხვდება ანტიოქიის პატრიარქებს, ჯერ პეტრეს და შემდეგ თეოდოსის, და მათთან საეკლესიო საკითხებზე უხდება კამათი. პეტრე¹⁹, როგორც ითქვა, პატრიარქად იყო 1052 წლის აპრილიდან 1057 წლის აპრილამდე. 1057 წლის აპრილში გაპატრიარქებულ თეოდოსისთან გიორგის ცხარე კამათი ჰქონდა საქართველოს ეკლესიის რაობაზე. „წარვიდეს (გიორგი მთაწმიდელი. — მ. ბ.) თეოდოსი პატრიარქისა წინაშე, ვითარცა ახლად შემოსრულია და წუთ უმეცრისაა“²⁰. ე. ი. გიორგი მთაწმიდელის შავ მთაზე ყოფნისას თეოდოსი „ახლად შემოსრულია“, ამ დროსაა პატრიარქად დადგინებული, ეს 1057 წლის აპრილში მოხდა. მარიამი კი მანამდე არის ანტიოქიიდან საქართველოში გინგზავრებული ბაგრატთან. ანუ ბაგრატი საქართველოში 1057 წლის აპრილზე ადრე დაბრუნებულა. აქედან: 1057 წელი ვერ ჩაითვლება ბაგრატის ბიზანტიაში სამწლოვანი ყოფნის უკანასკნელ, მესამე, წელიწადად.

ბაგრატი აღარ არის ბიზანტიაში არც 1056 წელს.

ამ წელს ბიზანტიის დედოფალმა თეოდორამ „ითხოვა ბაგრატი მეფისაგან, რათა მოსცეს ასული თუსი მართა და შეილად თუსად აღზარდოს“²¹. დედოფლის ამ წინადადებას საქართველოში დადებითად შეხვდნენ და „მეფემან ბაგრატი სიხარულითა დიდითა წარმოგზავნა შეილი თუსი მართა კაცთა თანა საკუთართა თუსთა“²². გამოთქმა წარმოგზავნა გვაფიქრებინებს (ცნობილია, რომ გიორგი მცირე თავის თხზულებას ათონის მთაზე წერდა და მისთვის, როგორც საბერძნეთში მყოფისათვის, წარმოგზავნა ნიშნავს მისკენ სხვა მხრიდან ვინმეს გამოგზავნას), რომ ბაგრატი ამ დროს საქართველოშია და ის იქიდან გზავნის თავის შვილს კონსტანტინოპოლს, თვით კი საქართველოში რჩება. მართას თან ახლავან მეფის საკუთარნი, ბიზანტიაში კი მას ხვდება ბაგრატის დედა მარიამ დედოფალი. „ხოლო მათ დღეთა შინა (ე. ი. მართას ბიზანტიაში

¹⁸ იქვე, გვ. 309.

¹⁹ პეტრეს მივიჩნევთ გიორგი მცირის თხზულებაში ივანე წერია. მაგრამ ამ სახელის პატრიარქი ამ ხანებში ანტიოქიაში არაა დადასტურებული. აკად. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ტექსტის თავდაპირველი პეტრე ნუსხახუცურის პე-სა და ივ-ის გრაფიკული მსგავსების გამო ივანედ წიკითხეს. (კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 193). ამ ძველის ახალ გამოცემაში ეს სიტყვა ისევაა დატოვებული (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 148).

²⁰ ათონის კრებული, გვ. 312.

²¹ იქვე, გვ. 306.

²² იქვე, .

ჩამოსვლისას. — მ. ბ.) ...თეოდორა დედოფალი აღესრულა და მასვე უკმა მბრამ დედოფალი, დედა ბაგრატ მეფისა, მუნ იყო და წმიდაცა ესე მამა ჩუენი (გიორგი მთაწმინდელი. — მ. ბ.) მუნვე იყო, მიწეზითა რათამე საქსქეთათა²². თეოდორა დედოფლის გარდაცვალების თარიღი ზუსტად არის ცნობილი იგი გარდაიცვალა 1056 წ. 30 აგვისტოს. ამ დროისათვის ბაგრატი საქართველოშია, მან აქედან გაგზავნა მართა ბიზანტიას²⁴, ხოლო მისი ბიზანტიაში ყოფნის თანამგზავრი მარამ დედოფალი კი, ეტყობა, საქართველოში ბაგრატთან ერთად არ დაბრუნებულა. (რომ ბაგრატი ბიზანტიაში სამწლოვანი ყოფნის შემდეგ სამშობლოში მართო დაბრუნდა, დედის გარეშე, ეს კარგად ჩანს „მატიანე ქართლისაჲ“-დანაც: „მოითხოვა გუარანდუხტ ბაგრატ ბერძენთა მეფისაგან, და გამოგზავნა ბერძენთა მეფემან დიდთა დიდებითა, ნიჭითა და განძითა მიუწოდომელითა. მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვს პირსა, ხუფათს... და შემოვიდა სახლად თვსად ქუთათისს²⁵“).

რაკი ბაგრატი 1056 წელს საქართველოდან გზავნის თავის შვილს ბიზანტიაში, აქედან დასკვნა: 1056 წელი არ ჩაითვლება ბაგრატს ბიზანტიაში ყოფნის უკანასკნელ, მესამე წელიწადად.

ე. ი. 1056 წელი — თეოდორას ზეობის ბოლო და მიხეილ VI სტრატოტიკის ზეობის პირველი წელი — არ შეიძლება ჩაითვალოს ბაგრატის საქართველოში დაბრუნების პირველ წელიწადად.

რაკი ბაგრატი არ დაბრუნებულა საქართველოში არც 1057 და არც 1056 წლებში, ამასთან ვიცით, რომ იგი საქართველოდან გაემგზავრა 1051 წლის — ლიპარიტის ტყვეობიდან დაბრუნების — შემდეგ და თანაც ბიზანტიაში დაჰყო სამი წელი, დავვრჩენია მისი დაბრუნების თარიღად 1055 წელი ვიგულისხმით.

ახლა დავარკვიოთ, როდის უნდა წასულიყო ბაგრატი საქართველოდან. როგორც ითქვა, ბაგრატი აქედან გაემგზავრა ლიპარიტის ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ მალევე.

1048 წელს სელჩუკთა ლაშქარი თოდრულ-ბეგის სარდლის იბრაჰიმ იინალის²⁶ წინამძღოლობით ბასიანის მხრიდან სომხეთსა და სამხრეთ საქართველოს შეესია. ბიზანტიამ დახმარება სთხოვა ლიპარიტს და ლიპარიტიც თავისი ლაშქრით სელჩუკების წინააღმდეგ დაიჭრა. ორდროსთან გამართულ ბრძოლაში 1048 წლის 18 სექტემბერს ლიპარიტი ტყვედ ჩაუვარდა თურ-

²² ათონის კრებული. გვ. 306.

²⁴ გიორგი მცირის ამ გამოთქმას ყურადღება შიაკცია მაქსიმე ბერძენიშვილმა და სწორედ ამ სიტყვებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ 1056 წელს ბაგრატი საქართველოშია (ტურინოს კომპილაციის ვაშო, კრებულში „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“. თბ., 1966. გვ. 164). გიორგი მცირის ეს სიტყვები მ. ლორთქიფანიძეს ესმის ისე, თითქოს ამ დროს ბაგრატი და მარამი ბიზანტიაში არიან: «Дочь царя Баграта Мариа в 1055—1056 гг. по просьбе византийской императрицы Феодоры была отправлена в империю. В это время сам царь Баграт вместе с матерью царицей Мариа находилась в империи» (Матiane Картლისა, перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тб., 1976, გვ. 88 შენიშვნა 258). ასევე ფიქრობს ვ. კოპალიანი (იხ. მისი საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში, თბ., 1969, გვ. 275).

²⁵ ქართლის ცხოვრება, I, 304.

²⁶ ამ სარდალს „მატიანე ქართლისა“ უწოდებს ბარაჰიმ ილიმინს, ხოლო კედრენი — აბრა-მოს ალეიმს.

ქებს²⁷. ლიპარიტმა ტყვეობაში სამი წელი გაატარა. მისი ტყვეობიდან გათავისუფლების თარიღი ზუსტადაა ცნობილი. სინას მთის ერთ ქართულ ხელნაწერს აქვს ასეთი მინაწერები: „შეიწყალე მშრომელი ამის წიგნისა... ქ. ე. ოც-მელი, სახელით ოდენ ზუცესი, უშრომელი, რომელი ამისი დაწერისა... მოცდაათი წლისა შემოვიწიე. ქ. ე. სოა“ (271+780=1051).

„მას ჟამსა დაწერე ესე, ოდეს ლიპარიტ თორქთა გაუშუეს“²⁸.

ტყვეობიდან დაბრუნებული ლიპარიტი ბიზანტიის კეისარ კონსტანტინე მონომახთან მიდის, მისგან შემწვობას იღებს და ძალმოცემული საქართველოში ბრუნდება²⁹. ვარდანის ცნობით, ლიპარიტი ბიზანტიის ლაშქრით საქართველოში მოდის, ბაგრატ IV-ს ტყვედ იგდებს და იმპერატორს გაუგზავნის³⁰. ამ გადაჭარბებულ ცნობაში ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბაგრატს ლიპარიტის გამო ბიზანტიაში უხდება წასვლა. იგი იმდენად დაშინებულია ლიპარიტისაგან, რომ როდესაც თურქთა ტყვეობიდან თავდახსნილი ლიპარიტი ანისში ნოვიდა, ბაგრატი მაშინვე ტფილისიდან ჯავახეთში გადაიხიზნა³¹. იმპერატორისაგან ძალმოცემული ლიპარიტის გამოჩენა საქართველოში ბაგრატს აიძულებს საერთოდ დატოვოს საქართველო და შემწვობა-გაკითხვა ბიზანტიაში ეძებოს. კედრენის ცნობით, ბაგრატი ქართლდან ფაზისზე გამოვიდა და ტრაპიზონში მივიდა. აქედან მან მოციქულები გაგზავნა კონსტანტინოპოლს და იმპერატორისაგან ბიზანტიაში ჩასვლის ნება ითხოვა. როდესაც იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა ამის დასტური მისცა, ბაგრატი ბიზანტიას გაემგზავრა. იმპერატორმა მეფე და მისი ქვეშევრდომი მორაიგა ისე, რომ ლიპარიტი უნდა ყოფილიყო მთავარი მესხეთისა, დანარჩენი საქართველოს მეფე კი ბაგრატი³².

ლიპარიტის 1051 წელს ტყვეობიდან დაბრუნებასა და ბაგრატის ბიზანტიაში წასვლას შორის არ შეიძლება დიდ დროს გაველო. საქართველოში ლიპარიტის გამოჩენა ბიზანტიელთა ჯარით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ბაგრატი თავის ქვეყანას გასცლოდა. ბაგრატი რომ მართლაც მხოლოდ 1054 წელს გამგზავრებულიყო, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ ეს მეფე მთელი სამი წელიწადი უმოქმედოდ იჯდა ქუთაისში და შეპყურებდა ლიპარიტს — რას იზამსო. და თუკი სამი წლის მანძილზე არც ლიპარიტი გამოიყენებდა ბიზანტიის ძალას და ბაგრატს არას დააკლებდა, მაშინ, საერთოდ, ბაგრატს წასასვლელად არც ჰქონია საქმე.

ბაგრატი ბიზანტიაში მიდის მონომახის ზეობაში და მისი იქ ყოფნის სამწლიანი პერიოდი იმავე მონომახის მეფობაში თავსდება. ეს, ზემოთკანნილი მსჯელობის გარდა, შემდეგიდანაც ჩანს: კონსტანტინე მონომახი დიდი მწყა-

²⁷ კედრენი, გეორგია, V, 75; ქართლის ცხოვრება, I, 303. ამ ბრძოლის თარიღად მინორსკი 1048 წ. 18 VII-ს ვარაუდობს (6. შენგელია. სელჩუკები და საქართველო XI ს-ში, გვ. 190) მათ ურპაელოთ, ეს მოხდა 1049—1050 წწ. (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 145, სქოლო). ლიპარიტის დატყვევებას ახსენებენ ბიზანტიელი ისტორიკოსები ზონარა (გეორგია, VI, გვ. 237), მიხეილ ატალიატე (გეორგია, VI, გვ. 24—26).

²⁸ ი. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბ., 1947, გვ. 105. (პარაგმები გახსნილია ჩვენს მიერ).

²⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 303.

³⁰ Всеобщая история Варлана Великого, перевод Н. Эмина. М. 1861, გვ. 361.

³¹ ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 140.

³² გეორგია, V, გვ. 68.

ლობელი და დამცველ-მოკავშირე იყო ლიპარიტისა. 1042 წ. ლიპარიტმა დემეტრე უფლისწული მოიყვანა „ბერძენთა მეფისა ლაშქართა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 298); 1045 წ. ლიპარიტს ანისიდან მოჰყავს ბიზანტიის ლაშქარი; ამის შემდეგ ლიპარიტმა „გამოიყვანა ახლად საბერძენთა დემეტრე, ... ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი შემწე იყო. და განხეთქნა მისი სამეფო საკაცნი“ (ქართლის ცხოვრება, I, 300). სასირეთის ომში ლიპარიტის მხარეზე იბრძვის ბიზანტიიდან ლიპარიტის დასახმარებლად გამოგზავნილი 3 ათასი ვარანგი (ქართლის ცხოვრება, I, 301); არყის ციხესთან ბრძოლაში ლიპარიტმა „შეკრიბა თავისი ლაშქარი, და მოირთნა კახნი და სომეხნი და ბერძენნიცა თანა ჰყვეს“ (ქართლის ცხოვრება, I, 301). „მატიანე ქართლისაჲს“ ყველა ეს ცნობა გვიჩვენებს, რომ ბიზანტია და მისი იმპერატორი კონსტანტინე მონომახი ლიპარიტის მხარესა და ლიპარიტს ჭარბი ეხმარება. თავის მხრივ ლიპარიტიც თავდაუზოგავად ემსახურება იმპერატორს. მონომახის თხოვნით მან ბიზანტიის ჭართან ერთად რამდენიმეჯერ ილაშქრა სელჩუკების წინააღმდეგ. „ლიპარიტ ულაშქრა ბერძენთა მეფესა დვინელსა ზედა“ (ქართლის ცხოვრება, I, 302). ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის დროს, როგორც ითქვა, ლიპარიტი ტყვედაც ჩაუვარდა სელჩუკებს. იმპერატორი ვანსაკუთრებით ეცადა მისი საქმისათვის გარჯილი ლიპარიტის ტყვეობიდან დახსნას. მან გამოსასყიდოც კი გაუგზავნა სულთანს.

რაკი ლიპარიტს მონომახი თავის ერთგულ მოკავშირედ სთვლიდა, ბუნებრივია, რომ ის ლიპარიტის მოწინააღმდეგის — ბაგრატის — მხარდამკვირი არ იქნებოდა.

მართლაც, „მატიანე ქართლისაჲს“-ში ვკითხულობთ: ბაგრატ „წარვიდა საბერძენთს. მას ეამსა იყო ბერძენთა მეფე კონსტანტინე მონომახი... და ლიპარიტის სათნოთა სწრაფით ვერღარა შემოიქცა ბაგრატ თავის მამულსა ზედა და დაყო მუნ სამი წელიწადი დიდსა დიდებასა და პატივსა შინა“ (ქართლის ცხოვრება, I, 303. — ხაზგასმა ჩვენია. — მ. ბ.).

ირკვევა, რომ ბაგრატი თავის ქვეყანაში „სწრაფით ვერღარა შემოიქცა“ — ვეღარ დაბრუნდა — „ლიპარიტის სათნოთა“. (სათნო — ნებას მყოფი. საბა.). ე. ი. ლიპარიტის ნებით მონომახი ბაგრატს ბიზანტიაში აჩერებს და აღარ უშვებს სამშობლოში. ლიპარიტის „სათნოს“ კი შეიძლება საქმე გადაეწყვიტა მხოლოდ ერთ იმპერატორთან — მისდამი მეგობრულად განწყობილ კონსტანტინე მონომახთან. მომდევნო იმპერატორებთან — თეოდორასა და მიხეილ VI-სთან ლიპარიტის „სათნო“ ვეღარ გასწვდებოდა, მით უფრო, რომ ამ დროისათვის შეიცვალა ბიზანტიის პოლიტიკა იმპერიის განაპირა და სელჩუკებთან უშუალოდ გამეზობლებული მხარეების მიმართ.

ამიტომაც ბაგრატი კონსტანტინოპოლიდან გამოემგზავრებოდა მონომახის გარდაცვალებისა (1055 წ. იანვარი) და მომდევნო იმპერატორის თეოდორას გამეფების შემდეგ, როდესაც საქართველოს მიმართ ბიზანტიის კონიუნქტურა შეიცვალა (კონიუნქტურის შეცვლის თვალსაჩინო მაგალითია თეოდორას წინადადება — შვილად აღზარდოს ბაგრატის ქალი მართა).

ყოველივე ზემოთ თქმულით კი ბაგრატის ბიზანტიიდან დაბრუნების თარიღად 1055 წელი უნდა დაიდოს, ბიზანტიაში ყოფნის სამწლიანი პერიოდი შესაბამისად დაიწყებოდა 1052 წელს, ლიპარიტის ტყვეობიდან თავდახსნის მომდევნო წელს.

ბაგრატ IV-ის ცხოვრების ამ მონაკვეთის დათარიღებას თავის დროზე შეეხო მარი ბროსე. მისი ანგარიშით, ბაგრატი ბიზანტიას უნდა წასულიყო 1050 წელს³³. თ. ჟორდანიას ბაგრატის წასვლას 1050 წლის ბოლოს და 1051 წლის დასაწყისში ათავსებს, დაბრუნებას კი შესაბამისად 1053 წ. ბოლოს და 1054 წ. დასაწყისში ვარაუდობს³⁴. მას შემდეგ კი, რაც ივ. ჯავახიშვილმა მატრიანეს ტექსტის გამართვის საფუძველზე ბაგრატის ბიზანტიაში ყოფნა 1054—1057 წლებით განსაზღვრა, ამ თარიღის გადასინჯვაზე არავის უფიქრია და ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ პერიოდის ისტორიას შეხებია, ბაგრატის ბიზანტიაში ჩასვლის თარიღად 1054 წელს გულისხმობს. 1966 წ. გამოქვეყნდა მაქსიმე ბერძენიშვილის წერილი „ტურინოს კომპილაციის გამო“, რომელშიაც ბაგრატის უცხოობაში ყოფნა დაახლოებით იმავე მოსაზრებებით, რაც ჩვენ მიერაა მოტანილი, 1052—1055 წლებით არის დათარიღებული.

ახლა, როდესაც ჩვენ ასე თუ ისე ვიცით, რომ ბაგრატ ბიზანტიას იყო 1052 და 1055 წლების შუალედში, გადავხედოთ როგორ არის ეს ფაქტი გადმოცემული „მატიანე ქართლისას“ სხვადასხვა ნუსხებში.

მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „მას ჟამსა იყო მეფე ბერძენთა მიიახლა მონა მეოტი“ (ე. თაყაიშვილის გამოც., გვ. 265).

ანასეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერში (Q 795): „მას ჟამსა იყო ბერძენთ მეფე მიხაელ მონა მოტი“ (ანასეული ქართლის ცხოვრების ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 189).

თეიმურაზისეულ „ქართლის ცხოვრებაში“: „მას ჟამსა იყო ბერძენთა მეფე კოსტანტინე მონომახი“.

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში (მ. ბროსეს გამოცემა): „მას ჟამსა იყო ბერძენთა მეფე კონსტანტინე მონომახი“.

როგორც ვხედავთ, უძველეს ხელნაწერებში (მარიამისა და ანას ნუსხებში) სრულიად არ არის სახელი კონსტანტინე და მის ნაცვლად მოცემულია მიხაელ ან მისი დამახინჯება „მიიახლა“. ხოლო გვიანდელ ხელნაწერებში უკვე გვხვდება კონსტანტინე. უძველეს ხელნაწერებში მონომახი ნუსხურის კულად წაკითხვის გამო (ტ-სა და ხ-ს აღრევით) მოცემულია ფორმით „მონა მეოტი“, „მონა მოტი“; გვიანდელ ხელნაწერებში კი გვაქვს სწორი ფორმა — მონომახი.

რაკი ყველა ხელნაწერში მონომახია — სწორი თუ დამახინჯებული ფორმით — ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ტექსტის თავდაპირველ დედაწიშ უეჭველად ეწერებოდა მონომახი. ერთადერთი იმპერატორი, რომელიც მონომახის ზედსახელს ატარებდა, იყო კონსტანტინე IX. ამიტომ თუკი ტექსტში მონომახია შემორჩენილი, ეს უეჭველად კონსტანტინე IX-ის სახელწოდება უნდა იყოს. „მიიახლა“ და „მიხაელი“ კი უნდა ჩავთვალოთ ან „მონომახის“ დამახინჯებულ გადანაწერად და ან ტექსტის გადაწერის უნებლიე შეცდომად — კონსტანტინე შეცვლილია მიხეილით. ივ. ჯავახიშვილის მიერ გამართულ ტექსტში კი კონსტანტინე აღებულია გვიანდელი ხელნაწერებიდან, ზოლო მიხეილი აღრინდელეუმიდან, ამასთან ამ ორი სახელის ერთმანეთთან დაკავშირების მიზნით ჩამატებულია სიტყვა „შემდგომად“.

³³ M. Brosset. Histoire de la Géorgie. Introduction. 1858. გვ. LXI—LXVII.

³⁴ თ. ჟორდანიას. ქრონიკები... I, გვ. 198—199.

³⁵ კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. 1966, გვ. 164.

საერთოდ, „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნუსხები „მატიანე ქართლისაჲს“ ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტში უფრო მეტ დამახინჯებებს იძლევიან, ვიდრე ვახტანგისეული რედაქციის ნუსხები. ზემომოყვანილი ფრაზის გაგრძელება ანასეულ ნუსხაში ასეა წარმოდგენილი: „დაყო მუნ სამი წელიწადი დიდსა დიდებასა და პატივსა შეძინასა შინა“. იგივე ადგილი ნარიაში-სეულ ნუსხაში ასე იკითხება: „დაყო მუნ სამი წელიწადი დაბასა ბერძენთასა და პატივსა შინავე დაყო“ (ე. თაყაიშვილის გამოც., გვ. 265). იგივე ფრაზა გამართულადაა მოცემული ვახტანგისეულ ხელნაწერებში: „დაყო მუნ სამი წელიწადი დიდსა დიდებასა და პატივსა შინა ბერძენთასა“ (ბროსეს გამოც.).

მატიანეს თავდაპირველ ტექსტში მიხეილ და მიიახლა რომ არ ეწერა, ეს ჩანს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანიდან (ცნობილია, რომ ჩვენამდე მოღწეული ნუსხა ამ თარგმანისა შესრულებულია XIII საუკუნის მიწურულს, ხოლო თვით თარგმანი XII საუკუნის მეორე ნახევარში³⁶). ამ თარგმანში ჩვენთვის საინტერესო ამბავთან დაკავშირებით ვკითხულობთ (მოგვაქვს სომხური ტექსტის ილია აბულაძის ქართული თარგმანი): „ამან [ბაგრატმა] მისცა თავისი სამეფოს მეფობა თავის შვილს გიორგის, წავიდა კონსტანტინეპოლისს მონომახ კეისართან და შეიქნა მის წინაშე პატივცემული, სამი წლის შემდეგ დააბრუნა ის კეისარმა თავის ქვეყანაში“³⁷.

მიხეილ მონომახი არც „ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხებში ეწერა, რომლითაც ევახუშტი სარგებლობდა. ევახუშტის შრომაში ვკითხულობთ: „ვერღარა დაუდგა ბაგრატ მეფე (ლიპარიტს — მ. ბ.), დაუტევა ძე თვის გიორგი მეფედ აფხაზთა ქუთათისს და თუთ წარვიდა კონსტანტინაპოლედ, არამედ კეისარმა სათნოვებისათჳს ლიპარიტისა არღარა გამოუტევა სამ წელ დიდსა დიდებასა მყოფი მუნ კონსტანტინე მონომახისაგან“³⁸.

რადგან მიხეილის ხსენება არც ფაქტობრივ ვითარებას გადმოსცემს და არც „ქართლის ცხოვრების“ ზოგ ნუსხაშია მოცემული, მათ შორის არც იმ უძველეს ნუსხაში, რომლიდანაც მომდინარეობს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, „მატიანე ქართლისას“ ტექსტის გამართვისას ეს სახელი არც უნდა იქნეს შეტანილი. „მატიანეს“ ეს ადგილი ასე უნდა იკითხებოდეს: „მას ეამსა იყო ბერძენთა მეფე კონსტანტინე მონომახი“³⁹.

М. М. БЕРДЗНИШВИЛИ

К УТОЧНЕНИЮ ОДНОГО МЕСТА ТЕКСТА «ЛИТОПИСИ ГРУЗИИ» («МАТИАНЕ КАРТЛИСА»)

Резюме

В 50-х г. XI века обстоятельства вынудили царя Грузии Баграта IV выехать в Византию, где он пробыл три года. Историк XI века, ав-

³⁶ ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გამოსცა ილია აბულაძემ. თბ., 1953. გვ. VII.

³⁷ იქვე, გვ. 226—227.

³⁸ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 148.

³⁹ ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემაში გაზიარებულია ივ. ჯავახიშვილის კონიექტურა: „მას ეამსა იყო ბერძენთა მეფე კონსტანტინე მონომახი და [შემდგომად] მიხეილ“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 303).

тор «Летописи Грузии» («Матриане Картлиса») — изложение этого факта заканчивает словами: «В то время был царем греков Михаил Мономоти» (Картлис цховреба, список царицы Анны).

Мономоти — явно искаженный Мономах. Но поскольку императора под именем Михаила Мономаха история Византии не знает, остается думать, что данное место до нас дошло в искаженном виде.

Между тем, трехлетнее пребывание Баграта на чужбине уместается в последние годы царствования императора Константина IX Мономаха (1042—1055) — а именно в промежутке времени между началом 1052 года и началом 1055 года. Исходя из этого автор «Матриане Картлиса» современником пребывания Баграта в Византии мог назвать только Константина Мономаха. И интересующий нас отрывок в авторском варианте читался бы так: «В то время был царем греков Константин Мономах».

Это предположение подтверждается и тем, что древнеармянский перевод «Матриане Картлиса», выполненный во второй половине XII века с одного из древнейших списков «Картлис цховреба», в данном месте также называет Константина Мономаха.

მამისა ბერძნობილი

ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან

(„სიგლის თავი“ XI—XV საუკუნეებში)

წყართმცოდნეობით მეცნიერებათა შორის თავისი ადგილი უჭირავს დიპლომატიკას. დიპლომატიკა ესაა მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საისტორიო წყაროების ერთ გარკვეულ ნაწილს—საბუთებს. რამდენადაც საბუთი, დოკუმენტი გამოხატავს მისი შემდგენელის დროინდელ ვითარებას, ამდენად დოკუმენტის ჩვენებანი უფრო უშუალო და ზუსტია, ვიდრე ვთქვათ, ისეთი საისტორიო ნარატიული წყაროსი, რომელშიაც გადმოცემულია ავტორის ცხოვრებას ერთი, ორი ან მეტი საუკუნით დაშორებული ხანის აღწერა. მაგრამ დოკუმენტი დგება გარკვეული, სპეციფიკური წესით და ეს სპეციფიკურობა ზღუდავს მის შინაარსსაც—საბუთის ფორმის თავისებურება არ იძლევა მის საშუალებას, რომ მოვლენა, ფაქტი ყოველმხრივ იყოს დახასიათებული და აღწერილი.

საბუთი შედგება ტრადიციულად ჩამოყალიბებული, ტრაფარეტად ქცეული ცალკეული ფორმულარებისაგან. ეს ფორმულარები ყველა ერთი ტიპის საბუთს ერთნაირი აქვს. განსხვავებულია მხოლოდ საბუთის კონკრეტული შინაარსი. საბუთში გაქვეყნებული სახით შემორჩენილი ფორმულარება, ტრადიციული გამოთქმები მიღებულია გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებათა გათვალისწინებით. სულ მცირე გადახვევაც კი მიღებული ტრაფარეტიდან მიგვანიშნებს ცვლილებებზე სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში. ახალი ელემენტის გაჩენა ფორმულარში მაჩვენებელია საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კლასობრივ ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებებისა, რაც მეტწილად თვით საბუთის უშუალო შინაარსში არ აისახება. მეორე მხრივ, არის შემთხვევები, როდესაც საბუთის შემდგენელი ხმარობს ადრე მიღებულ ტრადიციულ ფორმულარს, თუმცა ზოგი ელემენტი ამ ფორმულარისა აღარ შეეფერება საბუთის შედგენის დროის რეალურ ვითარებას.

ამიტომ ფორმულართა შესწავლა მრავალმხრივი მნიშვნელობისაა. ფორმულარების ზუსტი ცოდნა გვეხმარება, მაგალითად, საბუთის ნატყუარობის გამოვლენაში.

ჩვენში დიპლომატიკას, როგორც დამოუკიდებელ საისტორიო დისციპლინას საფუძველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილმა. მან შეისწავლა XI—XV საუკუნეების სამეფო სიგელები—წყალობის, ბოძების, შეწირულობების—და დაადგინა როგორც საბუთთა სხვადასხვა რიგის საერთო სახელები, ისე თვით

საბუთთა აღნაგობა, საბუთის ცალკეული ნაწილების თანამიმდევრობა და ყოველი ამ ნაწილის სახელწოდება¹.

ივ. ჯავახიშვილის შემდეგ გაგრძელდა დიპლომატიკის ცალკეული ნაწილების შესწავლა².

საბუთს, დოკუმენტს, რაკი ის პირველყოფლისა იურიდიული ძალისა, აღგენდნენ გარკვეული ცოდნით, გარკვეული წესებით და ეს წესები უცვლელი რჩებოდა ფეოდალური ხანის მთელ მანძილზე. საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა საბუთის შემადგენელი ნაწილების გაფართოება ან შეკვეცა, გამოთქმათა შეცვლა თანადროული სტილით, მაგრამ ძირითადი სქემა საბუთის აღნაგობისა ერთნაირი რჩებოდა.

სამეფო სიგელების აღნაგობა ასეთია: საბუთის დასაწყისი — „სიგლის თავი“ რამდენიმე შაბლონური ფორმულისაგან შედგება. სამეფო სიგელებში, იქნება ეს წყალობის თუ შეწირულების სიგელი, საბუთის თავი მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ქანწილი, ღვთის ხსენება (invocatio), მეფის სახელი, ღვთის ნებითობა, მეფის ტიტული (intitulatio). ამის შემდეგ დასახელებულია საბუთის გაცემის მოტივი, შემდეგ მოცემულია თვით საბუთის ძირითადი შინაარსი ანუ ის, თუ რა განაგო, შეწირა ან უწყალობა მეფემ (narratio), შემდეგ აღინიშნებოდა საბუთის მიმღების ვინაობა, საბუთის გამცემის გადაწყვეტილება („განგებულება“ — dispositio). ბოლოს მეფის თხოვნა მომავალი მეფეებისადმი და განკარგულება მოხელეებისადმი საბუთით გათვალისწინებული განგებულების უეჭველი ასრულების შესახებ (sanctio). საბუთის შემდგომ ნაწილში მოცემული იყო წყველა-კრულვა იმათი, ვინც საბუთის განგებულებას დაარღვევდა, და კურთხევა იმათი, ვინც ამ განგებულებას აასრულებდა. საბუთის ბოლოს მოცემული იყო საბუთის დაწერის დრო (datum) და დამწერის ვინაობა. უკანასკნელ ნაწილში ჩამოთვლილი იყვნენ საბუთის მოწმე-დამამტკიცებელნი (corroboratio და subscriptio).

მეფის სიგელის სქემას ძირითადად მიჰყვება კერძო პირთა და სასულიერო მესვეურთა შეწირულების, ბოძებისა და ნასყიდობის წიგნები.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია საბუთის შესავალი ნაწილის დიპლომატიკური შესწავლა. საბუთის შესავალი — ღვთის ხსენება, მეფის სახელი, ღვთისნებითობა, მეფის ტიტული — ყველა სამეფო სიგელის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ამ ნაწილში, მიუხედავად მისი ფორმალური, გარეგნული ერთნაირობისა, ყველაზე უფრო მეტად ჩანს ის ცვლილებები, რაც ქვეყნის განვითარებაში ხდება.

XI—XV საუკუნეების საბუთებმა ჩვენამდე ერთობ მცირე რაოდენობით მოაღწია. სხვადასხვა რიგის დოკუმენტი, პირისა თუ დედნის სახით, XI ს-დან შემოგვრჩა მხოლოდ ხუთი, XII ს-დან ათი, XIII ს-დან — ოცდაცხრა, XIV ს-დან ცხრაშვიდი და XV ს-დან ასერთი. ამას გარდა, არსებობს კორიდეთის სახარებაზე მიწერილი XII—XIII სს. თორმეტი საბუთი, რამდენიმე საბუთი,

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. ტფ., 1926.

² ნ. ბერძენიშვილი. მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში — ჯეო, დაწერილი, სიგელი, წიგნი. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966. გვ. 135—248 ჯ. ოდიშელი, ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან. „მაცნე“, № 4, 1966; ნ. ბერძენიშვილი, ქართული დიპლომატიკის ერთი სახეობის წარმოშობისათვის. თსუ ასპირანტთა შრომების კრებული, I. 1950. მ. სურგულაძე, ბაგრატ VI-ის 1467 წ. სიგელის დიპლომატიკური თავისებურება. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1978, № 1.

მიწერილი სხვადასხვა ხელნაწერზე და 125 საბუთი სვანეთიდან, მიწერილი ხელნაწერ წიგნებსა და გათლილ ჯოხებზე. მოგვეპოვება კიდევ ქვაზე დაწერილი რამდენიმე საბუთი.

მიუხედავად ამ რიცხოვრივი სიმცირისა და იმისა, რომ ყველა საბუთი ჩვენამდე არ არის სრული სახით მოღწეული, ხოლო მრავალი მათგანი თავ-და ბოლონაკლებია, მაინც ხერხდება საბუთის შედგენილობის ძირითადი სქემისა და საბუთის შემადგენელ ნაწილებში მომხდარ ცვლილებათა კანონზომიერების დადგენა.

საბუთის თავში მოცემული მეფის წოდებულების შესწავლით თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა ფორმულადქცეული ტიტულატურით გაარკვია საქართველოს მეფის უფლების ისტორია³. მაგალითად, გიორგი III-ის ტიტულატურაში — „ქ. სახელითა ღმრთისაითა, გიორგისაგან ბაგრატუნიაინსა ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა, შარვანშა და შაჰანშა და აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა მპყრობელისაი“⁴ — აისახა, თუ რა კონკრეტული ქვეყნები ეკუთვნოდა საქართველოს მეფეს. ესაა აფხაზეთი, ქართლი, რანი, კახეთი, შარვანი (შარვანშა), ანისის სომხეთი (შაჰანშა). ამავე დროს, ამ დასახელებათა განლაგებაში მოცემულია საქართველოს სამეფოში ქვეყნების შემოსვლის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. გიორგი III-ის წოდებულებაში ასახული ვითარება მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროიდან დამყარდა, ამიტომ დავითის წინანდროინდელ საბუთებში მეფის ტიტულატურა სხვა სახით არის მოცემული. გიორგი II-ის 1073 წლის საბუთში მეფე ასეთი ტიტულითაა შემკული: „ქ. მე გიორგი ბაგრატოვანშა ნებითა ღმრთისათა აფხაზთა და ქართველთა მეფემან“⁵, ხოლო თვით დავით აღმაშენებელი ასეა წოდებული „სახელითა ღმრთისაითა დავითისაგან ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა“⁶.

მთელი XI—XIV საუკუნეთა მანძილზე მეფის სიგელების შესავალი ნაწილი ერთნაირი სქემისაა:

1. ქანწილი,
2. ღვთის ხსენება,
3. მეფის სახელი,
4. ღვთისნებითობა,
5. წოდებულება.

ფორმულარის ამ ხუთ ნაწილში იცვლება მხოლოდ მესამე (მეფის სახელი) და მეხუთე (მეფის ტიტული სხვაა დავით აღმაშენებლამდე და სხვაა დავით აღმაშენებლის შემდეგ). მეხუთე ნაწილი თითქმის უცვლელად მეორდება დაწყებული გიორგი III-ის საბუთებიდან XIII და XIV საუკუნეების ყველა საბუთში.

³ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. გვ. 87—89; ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვეთი II, ტფ., 1929, გვ. 108—123.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოცემა შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, II, თბ., 1965, № 9 გვ. 20 (ქვემოთ მოკლედ ქსმ).

⁵ იქვე, II, № 6.

⁶ ი. ცინცაძე, დავით მეფის სიგელი. „საქართველოს არქივი“, II, ტფ., 1927, გვ. 16.

თვალსაჩინოებისათვის მოგვქვს ჩვენამდე მოღწეული სამეფო სიგელების (XII—XIV სს.) შესავალი ნაწილის სქემატური გამოხატულება. სქემის ზედა ნაწილში მოცემულია საბუთის დასახელება, თარიღი და გამოცემის დასახელება. სქემის თითოეულ სვეტში მოცემულია საბუთის შესავალი ნაწილის ელემენტები. იმ შემთხვევაში, როდესაც საბუთი იმეორებს წინა საბუთის ელემენტს, გრაფაში აღნიშნულია პლუსი, როდესაც ელემენტი დაკლებულია — მინუსი, ხოლო განსხვავებული ელემენტი — სიტყვიერად.

სქემაში გამოცემის დასახელება მოცემულია შემოკლებით: ქს — ქართული სამართლის ძეგლები, ტქსტები გამოსცა ი. დოლიძემ; სმ — საისტორიო მოაბე, ტფ., 1924 წ., წიგნი I.

ამ სქემაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ საბუთის შესავალი ნაწილის არც ერთი ელემენტი არ იკარგება, ხდება მათი ზუსტი გამეორება 1170 წლის საბუთიდან მთელი XIII და XIV საუკუნის საბუთებში. სხვადასხვაობა მხოლოდ მეფის ტიტულის უკანასკნელი ელემენტის გამოხატვაშია. გიორგი III-ის „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მფლობელი“ შემდეგში იცვლება „ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა მპყრობელისა“-თი ან „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მფლობელით“. ერთმანეთს ცვლიან აგრეთვე ეპითეტები „მფლობელი“, „თვითმფლობელი“, „ფლობით მპყრობელი“, „ქელმწიფედ მპყრობელი“, „ქელმწიფედ ფლობით მპყრობელი“.

მაგრამ ამ ცვლებადობაში კანონზომიერება არა დგინდება. ერთიდაიგივე მეფე რამდენიმე სხვადასხვა ეპითეტით იხსენიება. მაგალითად, თამარ მეფე გელათისადმი ბოძებულ საბუთში „თვითმფლობელად“ იწოდება, შიომღვიმისადმი ბოძებულში კი „ფლობით მპყრობელად“. ასევე ლაშა გიორგი ხან „ფლობით მპყრობელია“ და ხან „თვითმპყრობელი“.

არ არის ერთგვაროვნება დაცული არც თვით ფორმულარის გრამატიკულ გამართვაში. მეფის სახელი და მისი სახელწოდება ხან მოქმედებით ბრუნვაში ჩასმული, ხან ნათესაობითში: „თამარ ბაგრატიონიანმა“ და „თამარ ბაგრატიონისა“; „გიორგისაგან“ და „გიორგი ბაგრატიონიანმა“; „დავით ბაგრატიონიან“ და „დავითისაგან ბაგრატიონისა“.

ამ განსხვავებათა მიუხედავად, XII—XIV სს. სამეფო სიგელთა „საბუთის თავი“ ფაქტიურად ერთი ტრაფარეტით დგება. ტრაფარეტად ქცეულა მეფის ტიტულატურა. ადრე თუ მასში ასახული იყო ფაქტიური ვითარება და ამ ვითარების დამყარების თანამიმდევრობა, შემდეგში ეს ტიტულატურა სრულიად აღარ გამოხატავს რეალურ სიტუაციას. დავით ნარინი, რომელიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოში მეფობს, თავის თავს უწოდებს „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სამეხთა მეფეს, შარვანშას და შაჰანშას და ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა მპყრობელს“.

შინაარსობრივი გადახვევა „საბუთის თავის“ ფორმულარიდან მთელი ორნახევარი საუკუნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გვხვდება. ესაა დავით ნარინის 1285 წლის წყალობის სიგელი, ბოძებული ვახტანგ თულაისძისადმი⁷. ამ საბუთის თავი (იგი სქემაში შეტანილი არა გვაქვს) მთლიანად ტრადიციულია, ე. ი. იმეორებს ყველა იმ ელემენტს, რაც საერთოდ საბუთის თავს ახასიათებს. განსხვავებულია მხოლოდ თვით მეფის სახელის მოხსენიება: „სახე-

⁷ საისტორიო მოაბე, I, 1925.

ლითა ღთისაითა დავეთისაგან ბაგრატუნიანისა, ძისა რუსუდანიისა და თანამეცხედრისა ჩვენისა მარიამისა და ძისა ჩვენისა ვახტანგ მეფისა, ნებითა ღთისათა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეთაი“.

თანამეცხედრისა და ძის დასახელება მეფესთან ერთად საერთოდ ჩვენში XV ს-დან შემოდის. მანამდე არც ერთი საბუთი, გარდა ამ ზემონახსენებულისა ბუთისა, არ არის, რომლის „თავში“ ოჯახის რომელიმე სხვა წევრი იხსენიებოდეს. ეს სიახლე მაჩვენებელი უნდა იყოს გარკვეული ცვლილებისა პოლიტიკურ სიტუაციაში „ამ საბუთის თავის“ ფორმულარში კიდევ ერთი განსხვავება შეინიშნება. სახელდობრ, საბუთი გაცემულია „მეფეთა“ სახელით. გვიანდელ საბუთებში, როცა მეფესთან ერთად მისი თანამეცხედრე და ძენიც იხსენიებიან, საბუთის გამცემი მაინც მხოლოდით რიცხვშია ნაგულისხმევი. დავით ნარინის ამ საბუთში კი საბუთის გამცემად ერთად იგულისხმებიან დავით ნარინი და მისი ძე მეფე ვახტანგი. ნორმისაგან ეს გადახვევა მივანინებებს ცვლილებაზე პოლიტიკურ სიტუაციაში. უჩვეულოა საბუთის ბოლოც — „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩვენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა ორმოცდამეთექვსმეტესა და ძისა ჩვენისა ვახტანგ მეფისასა მეთათესა“⁸. ეს უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ ვახტანგი თანამეფე ყოფილა თავისი მამის, დავით ნარინისა, რომელიც სხვა წყაროებით დასაველეთ საქართველოში იეფობდა ერთპიროვნულად.

XV ს-დან შეინიშნება მკვეთრი ცვლილება „საბუთის თავის“ ფორმულაში. განსხვავებით XI—XIV სს. საბუთებისა, XV ს-ის მეფე იწოდება „მეფეთა მეფედ“. ადრე თუ სიტყვა „მეფე“ შესავალი ფორმულის შუაში იყო ჩასმული, ახლა „მეფეთა მეფით“ იწყება თვით „საბუთის თავი“. „ქ. ჩვენ მეფეთა მეფისა ალექსანდრესაგან“⁹, „სახელითა ღმრთისაითა გიორგი მეფეთა მეფისაგან“¹⁰.

ადრეულ საბუთებში მეფის გვარი მოცემული იყო ფორმებით „ბაგრატონი“, „ბაგრატუნიანი“, XV ს-დან გვხვდება „დავითიანი ბაგრატონიანი“, „იესიანი-დავითიანი-სოლომონიანი ბაგრატონიანი“. იმავე XV ს-დან, ალექსანდრე დიდის დროიდან, სამეფო სიგელების „სიგლის თავში“ მტკიცედ იკიდებს ფეხს მეფესთან ერთად მეფის თანამეცხედრისა და მეფის ძეთა ხსენება, საბუთის თავი ასეთ სახეს იღებს:

1. ჩვენ მეფეთა მეფე,
2. სახელი მეფისა,
3. გვარი მეფისა,
4. თანამეცხედრე მეფისა,
5. ძენი მეფისა,
6. ღვთისნებითობა,
7. მეფის ტიტულატურა¹¹.

ამ საბუთებში მეფის ტიტულატურა ძველი, XIII—XIV სს-ში მიღებული ფორმით არის წარმოდგენილი.

⁸ საისტორიო მოამბე. I, 1925. გვ. 233.

⁹ ქსდ II, № 38.

¹⁰ იქვე, № 45.

¹¹ ასეთთა საბუთის თავი ალექსანდრე I-ის 1425, 1430, 1438 წლებს საბუთებში.

მაგრამ იმავე ალექსანდრე I-ის საბუთებში ვხვდებით სხვაგვარად გამოთვლულ „სიგლის თავსაც“. ეს მეორე ტიპი სიგლის თავისა ვრცელი ღვთისმეტყველური შესავლით იწყება. ღვთისმეტყველური შესავალი თავდება სიტყვებით „მინდობილმან ცვა-ფარვათა თქვენთამან“, რასაც მოჰყვება მეფის ტიტული (ეს ტიტული ამჟერად ძველთან ერთად ახალ ელემენტებსაც შეიცავს); მეფის გვარი, მეფის სახელი, მეფის თანამეცხედრე და მეფის ძენი. ამ ტიპის საბუთის თავი შემდეგი ასეთი ნაწილებიდან შედგება:

1. ღვთისმეტყველური შესავალი,
2. ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე სამეფოსა მტკიცედ და შეურყვევლად მპყრობელმან,
3. აფხაზთა და ქართველთა,
4. დავითიან ბაგრატიონიანმან,
5. მეფეთა მეფემან ალექსანდრე,
6. და თანამეცხედრემან ჩემმა დედოფალთ-დედოფალმან თამარ,
7. და ძეთა ჩვენთა¹².

ახალი ელემენტი მეფის წოდებულებაში — „ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე სამეფოსა მტკიცედ და შეურყვევლად მპყრობელი“ — რეალური ვითარების გამომატველია: ალექსანდრე I-მა მართლაც გააერთიანა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოები. ფორმულარის ეს ახალი ელემენტი სხვა ფორმითაც გვხვდება: „ორისავე ტახტის გამაერთიანებელი“, „ორისავე ტახტისა მპყრობელი“. მაგრამ ისევე როგორც გაერთიანებული საქართველოს მეფის ტიტულატურას იყენებდა ორ სამეფოდ დაყოფილი ქვეყნის ზოგი მეფე, ეს ელემენტიც შეაქვს ზოგ მეფეს თავის წოდებულებაში, თუმცა იგი რეალურად ორივე ტახტის მფლობელი არა ყოფილა.

ძირითადი ცვლილება XV ს-ს სამეფო სიგელების „საბუთის თავში“ მაინც თანამეცხედრისა და შვილების ხსენებაში მდგომარეობს. ოჯახის წევრთა ჩამოთვლა საბუთის გამცემ მეფესთან ერთად ივ. ჯავახიშვილს ახსნილი აქვს შემდეგით: „მეფე უკვე ერთადერთი ბატონ-პატრონი აღარ ყოფილა, მის საქმეებში დედოფალიც, შვილები და ძმებიც იღებდნენ მონაწილეობას... მეფეს... ქალებისა და ოჯახის სხვა წევრთა სურვილისა და გავლენისათვის ანგარიში უნდა გაეწია“¹³.

მაგრამ პარალელურად გვხვდება აგრეთვე მხოლოდ მეფის სახელით გა-

¹² ალექსანდრე I-ის 1419 წ. საბუთი. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, ტფ. 1913, გვ. 21.

¹³ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. გვ. 125; ქართველი ერის ისტორია, IV, თბ. 1948, გვ. 179.

რუსეთში მეფესთან ერთად დედოფლის ხსენება საბუთის თავში შემოდის 1591 წლიდან. ამ წლიდან მეფე თვედორე თავის წყალობის საბუთებში ასვენებს აგრეთვე დედოფალ ირინეს, ბორის გოდუნოვის დას. ამ სახელს რუსულ დიპლომატიკურ ფორმულარში ს. კაშტანოვი ხსნის შემდეგით: 1591 წელს დაიღუპა დიმიტრი უფლისწული, რუსეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე. ამავე ხანიდან იწყება დედოფლის ხსენება საბუთებში. ამით თითქოს დედოფლის საგვარეულო დინასტიურ პრეტენზიას აცხადებს. თვით ბორის გოდუნოვი, მას შემდეგ რაც მეფედ აირჩიეს, ერთი პირობა თავის საბუთის თავში ასვენებდა დედოფალ მარიამს და უფლასწულ თვედორეს. 1598 წლის დეკემბრიდან კი ბორისის საბუთებში მხოლოდ მეფე და უფლასწული იხსენიებიან (С. М. Каштанов. Дипломатика как специальная историческая дисциплина. «Вопросы истории», №1, 1965. გვ. 43—44).

ცემული საბუთები. როგორც ირკვევა, კერძო პირთადმი ბოძებული საბუთები მეფის, დედოფლისა და უფლისწულების სახელით არის შედგენილი, მხოლოდ მეფის სახელით შედგენილი საბუთი კი უეჭველად ეკლესია-მონასტრის ან სასულიერო მესვეურისადმია გაცემული. ე. ი. მეფე მართო ეკლესიის მიმართ არის უფლებამოსილი, კერძო პირთადმი კი მისი უფლება თანამეცხედრებსა და შვილებს აქვთ გაზიარებული. მაგალითად, ალექსანდრე დიდის 1438 წ. სიგელი კათალიკოს შიოსადმი¹⁴; ალექსანდრე მეფის 1441 წ. სიგელი თბილელ-მანგლელ იოანესადმი¹⁵, გიორგი VIII-ის 1448 წ. სიგელი მცხეთისადმი¹⁶, გიორგი VIII-ის 1449 წ. სიგელი მცხეთისადმი¹⁷. ყველა ამ საბუთში საბუთის გამცემი მხოლოდ მეფეა. ამავე მეფეთა საბუთების დასაწყისში ზოგჯერ ოჯახის წევრებიც იხსენიებიან, თუმც ეს საბუთები ეკლესიისადმი ბოძებული.

XI—XIV სს. სამეფო სიგელების დასაწყის ნაწილში ვხვდებით მარტივად ღვთის ხსენებას — ქ. სახელითა ღმრთისათა. XV ს-დან კი ღვთისმეტყველური¹⁸ შესავალი გაცილებით ვრცელდება. (მაგ., ალექსანდრე დიდის 1413 წ. 1419 წ. საბუთები და გიორგი მეფის 1448, 1449 წწ. საბუთები¹⁹). ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ XV ს-ში არსებობდა მოკლე და ვრცელი შესავალი. საინტერესოა, რა შემთხვევაში იხმარებოდა ვრცელი და რა შემთხვევაში მოკლე შესავალი. სიგელებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ვრცელი ღვთისმეტყველური შესავალი უკეთდებოდა ეკლესია-მონასტრებისა და სასულიერო პირთადმი ბოძებულ წყალობის თუ შეწირულობის სიგელებს, კერძო პირთადმი მიცემული სიგელების შესავალი კი მოკლე იყო, მხოლოდ ღვთის ხსენებას შეიცავდა.

კერძო პირთა სახელით გაცემულ საბუთებში კი, ამავე ხანაში (XI—XV სს-ში) ღვთის ხსენებას უფრო ვრცელი „ღვთისმეტყველური“ შესავალი მოსდევს და ეს შესავალი წინ უძღვის საბუთის გამცემის ვინაობის აღნიშვნას. მაგ., მელქისედეკის დაწერილში (XI ს-ის დასაწყისი) ვკითხულობთ: „ქ. სახელითა ყოვლად სახიერისა ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისათა, ძლიერებითა ცხოველს-მყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისათა, შეწვენითა ყოველითა ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა ესე დაწერილი მოვაჯანსაღებ...“ ასევე ვრცელი შესავალი აქვს არსენ ჭყონდიდელის და მწიგნობართუხუცესის 1241 წლის საბუთს²¹, ძაგან აბულეთის ძის 1260 წლის საბუთს²², კახა თორელის 1259 წ. საბუთს²³ და საერთოდ ჩვენამდე სრული სახით მოღწეულ, კერძო პირთაგან (და არა მეფეთაგან) გაცემულ XI—XIV სს. ყველა საბუთს.

რაც უფრო გვიანდელია საბუთი, მით უფრო იზრდება ღვთისმეტყველუ-

¹⁴ თ. ქორღანიძე. ქრონიკები. II, 244.

¹⁵ ქსძ., II, № 44.

¹⁶ ისტორიული საბუთები. III, 27.

¹⁷ იქვე, 30.

¹⁸ ამ ტერმინს ვხმარობთ პირობითად.

¹⁹ ისტორიული საბუთები. III. გვ. 7—10, 10—12, 26—29, 29—32.

²⁰ ქსძ., III, № 3.

²¹ იქვე, № 13.

²² ქსძ., II, გვ. 69.

²³ იქვე, გვ. 57.

რი შესავალი როგორც მეფის, ისე კერძო პირის საბუთში. ლეთისა და წმინდანთა ხსენებას თავის გარკვეული რიგი აქვს: ღმერთი — სამება; ლეთისმშობელი; ჯვარი; შემდეგ მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები, კუჩინი ნათლისმცემელი, წმინდა გიორგი, მოციქულები და ა. შ. საბუთის გამცემი იმედიელ ახსენებს იმ წმინდანს, რომლის სახელზედაცაა აგებული ეკლესია საბუთის გამცემ-მიმღების სამოქმედო (საცხოვრებელ) ტერიტორიაზე. მაგალითად, მულახელთაგან სეტისხეველთადმი მიცემულ საბუთში ვკითხულობთ: „ლთისა და დედისა მისისა და ყოველთა წმიდათა მისთა თავსდებობითა და შუამდგომლობითა, მაცხოვრისა მულახისა თავსდებობითა და შუამდგომლობითა, მთავარმოწამისა სეტისა თავსდებობითა და შუამდგომლობითა დაგიწერეთ წიგნი ესე... ჩვენ მულახელთა თქუენ სეტისელთა“²⁴.

ჩვეულებრივი რიგიდან განსხვავებული წმინდანის ხსენება საბუთის შესავალში მიგვანიშნებს საბუთის გამცემის სადაურობა-ვინაობასაც.

მაგალითად, კათალიკოსთა საბუთების შესავალში სხვა ლეთაება-წმინდანებთან ერთად უმჯველად იხსენიება „წმიდა კათალიკე ეკლესიასა შინა ღმრთივ აღმართებული სუეტი ცხოველი, კუართი საუფლო და მიპრონი ღმერთმყოფელი“²⁵. ეს გამოთქმა გვხვდება კათალიკოსების თითქმის ყველა საბუთში.

შიომღვიმის მონასტრის კრებულის ან წინამძღვრის სახელით (ან ამ მონასტრისადმი) გაცემულ საბუთში იხსენიება „შიო და ევაგრე“²⁶, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის საბუთებში — „ჭყონდიდის მარტვილი“²⁷ და ა. შ.

ეს დადგენილი თანამიმდევრობა და წმინდანთა ხსენების სწორედ ასეთი რიგი დადასტურებულია ჩვენამდე მოღწეულ უძველეს საბუთში — ნასყიდობის დაწერილში, გაცემულში ფანელთაგან შიომღვიმისადმი: „სახელითა ღმრთისაითა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაითა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, შუამდგომლობითა ნაშობთა უმეტეს წოდებულისა იოვანე ნათლისმცემელისა, რომელი მიეყრდნა მკერდსა საუფლოსა, წმიდათა და სამოცდაათთა ქალწულთა, რომელთა გვიქადაგეს განხორციელება სიტყვისა ღმრთისა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდისა მამისა შიოსითა...“²⁸.

ზემოთ ითქვა, რომ სამეფო სიგელებში მეფესთან ერთად მეფის ოჯახის წევრების ხსენება XV ს-დან იწყება. მაგრამ კერძო პირთა საბუთებში ოჯახის წევრთა დასახელება საბუთის გამცემთა რიცხვში გაცილებით უფრო ადრე გვხვდება. მაგ., კახა თორელი რკონის მონასტრისადმი მიცემულ შეწირულების წიგნში თავის მუღლესაც ახსენებს საბუთის შესავალ ნაწილში: „ესე დაწერილი დაგიწერეთ და მოგაკსენეთ თქუენ, რკონისა ღმრთისმშობელსა... მე კახამან და თანამეცხედრემან ჩემმან ხათუთამან“²⁹.

²⁴ პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. № 37.

²⁵ მიქელ კათალიკოსის 1241 წლის საბუთი ვაჩე გუარამის ძისადმი, ქსძ., III, № 12.

²⁶ იქვე, გვ. 175.

²⁷ არსენ ჭყონდიდელის 1241 წლის საბუთი მგელა აბულახტარისძისადმი. ქსძ., III, № 13.

²⁸ ქსძ., II, გვ. 3.

²⁹ იქვე, გვ. 57.

ბურჯულთა 1260 წლის დაწერილში იხსენიება ორი ძმა და მათი შვილები: „ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ ბურჯულთა კავთულამა და თევდორამა და ჩუენთა შვილთა ბასილამა და მშუიდამა“³⁰.

ამ საყოველთაოდ გავრცელებული წესის პარალელურად გვხვდება სხვა ტიპის თები, იმავე ხანისა, რომლებშიაც მხოლოდ საბუთის გამცემი იხსენიება უოჯახოდ (მაგალითად, სურამელისა და აბულეთის ძის საბუთებში).

სახელდებაში რამდენიმე პირის ხსენება მაჩვენებელია იმისა, რომ ოჯახის ყოველი წევრი თანასწორუფლებიანია სამამულო მფლობელობის საკითხში.

М. М. БЕРДЗНИШВИЛИ

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ДИПЛОМАТИКИ

(Вступительная часть документов XI—XV вв.)

Резюме

Вступительная часть грузинских документов XI—XV вв., именуемая „სიგლის თავი“, (siglis tavi) состоит из нескольких разделов, в каждом из которых своеобразно отражаются изменения в социально-политической жизни страны. Основным элементом вступительной части документа является наименование персоны, от лица которой выдается документ. Персона эта облачается в соответствующую титулатуру, которая, оставаясь в основных чертах трафаретной, с учетом политической ситуации приобретает новые элементы.

³⁰ ჭსკ., III, 169.

ილია ანთოლაკა

ტერმინ „კაბალას“ მნიშვნელობისათვის

ტერმინი „კაბალა“ შუა საუკუნეთა ქართულ დოკუმენტებში მხოლოდ ერთგან გვხვდება, ნიკორწმინდელის „დაწერილში“. წყაროში აღნიშნულია: „მუნვე ცხილათს მოვიგე მიწა და მივეც მათვე საკაბალოდ და მოწამე არიან კაცნი“¹ (ხაზი ჩვენია — ი. ა.). იმავე დოკუმენტში სხვა ადგილას წერია: „ლეითის ძ(რო?)ხაი საჩხეორს სასკესა დაესხა და დაკოდნა და მისთუნ საზღავად ავი[ლე] საკადს სახლი ჯავთა გაეთი და ზა [კა]ბალად დავსდევდით“¹.

მოტანილი ამონაწერების გარდა არც ჩვენთვის და არც ჩვენზე უწინ ამ საკითხით დაინტერესებულთათვის ტერმინ „კაბალა“-ს დოკუმენტებში მოხსენიების შემთხვევა ცნობილი არაა.

ტერმინ „კაბალა“-ს შეეხო ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ არაბული სიტყვა „კაბალა“ ხელშეკრულებას, სიმტკიცეს, იჯარასა და საიჯარო ფულს აღნიშნავდა². ნიკორწმინდელის „დაწერილში“ მოხსენიებული „კაბალის“ შესახებ მკვლევარი წერდა: „...მიწის საკაბალოდ მიცემა ვალდებულებითს ხელშეკრულებას წარმოადგენდა“³. მისი აზრით, „კაბალა“ ქონებრივი სახსრის, სახელდობრ თითქოს სახლის ქირის, აღმნიშვნელი უნდა იყოს... მაგრამ საკაბალოდ მიცემა-აღების იურიდიულ ბუნებას... ჯერ კიდევ გამოკვლევა სჭირდება“⁴.

ივ. ჯავახიშვილმა განიხილა სულხან-საბა ორბელიანის მონაცემებიც ამ საკითხზე. სულხან-საბა „კაბალას“ ამგვარად განმარტავდა. „ჯართა გაბარებენ სასარგებლოდ იქლთა მოსაცემელად პირობითა რითმე სხვადასხვითა“. მასვე განმარტებული აქვს ზმნა „მიიკაბალოს“, რაც საბას აზრით, „კაბალად შეიქმნას“ ნიშნავდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საბას განმარტებები არ უდგებოდნენ ნიკორწმინდელის „დაწერილში“ მოხსენიებულ „კაბალას“⁵.

ტერმინ „კაბალას“ შეეხო მ. ბერძნიშვილი, რომელმაც იგი საესეებით მართებულად მიიჩნია ეკონომიური დამოკიდებულების სახეობად⁷. მაგრამ თვით ტერმინის კონკრეტული შინაარსი კვლავ ბუნდოვნად დარჩა.

¹ მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“, მსკი, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 37.

² იქვე, გვ. 38.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, ტფ., 1929, გვ. 444.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 445.

⁶ იქვე, გვ. 443—444.

⁷ მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41; მისივე, საქართველო XI—XII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 26.

„დიდი სჯულისკანონის“ გამოცემამ შესაძლებელი გახადა ტერმინის შინა-
არსის დაზუსტება. წყაროში აღნიშნულია: „... ამიერიდან არცა ეპისკოპოს-
მან, არცა მოყუასმან, არცა მონაზონმან არცა დაბაჲ, ანუ სოფელი მ ე ი კ ა
ბ ა ლ ო ს“⁸... ტერმინი „მიკაბალეზა“, როგორც ჩანს, უდრიდა ტერმინის
ჲ მ ა მ ა შ ა დ, conductio, რომლებიც საიჯარო ხელშეკრულებას, იჯა-
რით მიწის აღებას აღნიშნავდნენ⁹. ამდენად, როგორც ირკვევა, არაბულ ტერ-
მინ „კაბალას“ (كابل) ქართულ გარემოში თავისი მნიშვნელობა შეუწარ-
ჩუნებია და „იჯარას“, „საიჯარო ხელშეკრულებას“ აღნიშნავდა, რასაც ექვ-
მიუტანლად ადასტურებს „დიდი სჯულისკანონის“ სათანადო ადგილი.

„ქირავენობის“, საქირაენო ხელშეკრულების“ (ჲ მ ა მ ა შ ა დ, conductio—
locatio) მნიშვნელობით „დიდ სჯულისკანონში“ იხმარება ტერმინ „მი-
ზღება“, „გამიზღება“¹⁰.

ამდენად, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი, რომ „კაბალაჲ“ ვალდებულებითი
ხელშეკრულებაა, დოკუმენტურად დასტურდება.

ნიკორწმინდელის „დაწერილის“ „მოვიგე მიწა და მივეც მათვე საკაბალოდ“,
სწორედ მოგებული მიწის მის წინანდელ პატრონთათვის იჯარით გადაცემას უნ-
და ნიშნავდეს. მეორე შემთხვევაში, ნიკორწმინდელმა ზარალის საზღავად სახლი
აიღო და მას „კაბალაჲ“ დაადო. გამოთქმა „კაბალაჲ დავსდევდით“ ერთგვარ
ექვეს აღძრავს, რომ აქ იჯარა კი არა, უფრო ქირავენობა უნდა იგულისხმებოდეს,
როგორც ეს ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა. ქირასა და იჯარას შორის არ უნდა იყოს ისე-
თი განსხვავება, რომ ამგვარი ვარაუდი გამოირიცხოს. მითუმეტეს, რომ „კაბა-
ლაჲ“ და „მიზღიჲ“ (ქირა) ბერძნულად არის Ქ მ ა მ ა შ ა დ, ხოლო ლათინურად
კაბალა— conductio, მიზღი კი conductio-locatio.

აღსანიშნავია, რომ „დიდ სჯულისკანონში“ ფიქსირებულია ასევე ტერმი-
ნი „მაკაბალეობა“ — Πικιστής, pacistor, რაც ხელშეკრულების დადებას,
მორიგებას აღნიშნავს („მაკაბალეობის“ ქართულ სინონიმად წყაროში
ჩანს „მეხარკეობა“)¹¹.

ვფიქრობთ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნიკორწმინდელის „და-
წერილში“ მოხსენიებული „კაბალაჲ“ იგივე მნიშვნელობისაა, რაც მისი არა-
ბული საფუძველი და ძირითადად „იჯარას“, „საიჯარო ხელშეკრულებას“ აღ-
ნიშნავს.

საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ „დიდი სჯულისკანონი“ ძვირფას მა-
სალას იძლევა მთელი რიგი ტერმინების შინაარსის გასახსნელად თუ დასაზუს-
ტებლად.

⁸ დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. ვ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ მ ა, ე. ვ ი უ ნ ა შ ვ ი-
ლ მ ა, მ. დ ო ლ ა ქ ი ძ ე მ, გ. ნ ი ნ უ ა მ, თბ., 1975, გვ. 269. აღსანიშნავია, რომ საბასელო
„მიკაბალოს“ ივ. ჯავახიშვილის რომელიღაც იურიდიული ძეგლიდან ამოღებულად მიაჩნდა (იხ.
დასახ. ნაშრ., გვ. 443). როგორც ჩანს, ტერმინი საბას „დიდი სჯულისკანონიდან“ აქვს ამოღებუ-
ლი.

⁹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 595.

¹⁰ ი ქ ე ე. „მიზღის“ შესახებ ვრცლად იხ. ი. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, ქართული ვალდებულები-
თი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1976, გვ. 64—69; 121—127.

¹¹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 593.

И. П. АНТЕЛАВА

О ЗНАЧЕНИИ ТЕРМИНА «КАБАЛА»

Резюме

На основе данных «Великого номоканона» автор уточняет значение термина «кабала», упомянутого в грамоте никорцминдского епископа (датируется XI в.). По всей вероятности, «кабала» обозначал тоже самое, что и арабское «кабала» (قبالة), греч. ἡ μίσθωσις и лат. conductio, т. е. „аренду“.

მზია სურგულაძე

XIV—XV სს. მეფეთა წყალობის სიგელების დიპლომატიკური

თავისებურება

ისტორიული საბუთი რთული აგებულებისაა. იგი რამდენიმე სპეციალურ თემას მოიცავს, რომელთა თანაფარდობა სპეციფიკურია საბუთის კონკრეტული სახეობისათვის. ამჟამად ჩვენ გვინტერესებს ე. წ. „დაუცილებლობის“ თემა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა წყალობის სიგელებში. ტერმინი „დაუცილებლობა“ ქართულ დიპლომატიკაში ივ. ჯავახიშვილმა შემოიღო. მანვე უჩვენა, რომ ეს ნაკვეთი ქართული საბუთებისათვისაა დამახასიათებელი და მისი ზუსტი ანალოგი რომაულ-ბიზანტიურ საბუთებში არ მოიპოვება. არ არის იგი რუსულ საბუთებშიც. ივ. ჯავახიშვილი განმარტავს, რომ დაუცილებლობა შეიცავდა ცნობებს სიგელით ნაბოძები უფლებების დაუცილებლობა-მოუდევრობისა და პასუხისმგებლობის შესახებ¹. „დაუცილებლობა“, როგორც ჩანს, უფრო ადრეული ხანის ქართული საბუთების კუთვნილება იყო. იგი გვხვდება ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე სიგელში. ესაა ბაგრატ IV-ის შეწირულობის სიგელი შიომღვიმისადმი. აქ „დაუცილებლობა“ დამოუკიდებელ გამოთქმას არ წარმოადგენს. იგი მისდევს მონასტრის იმუნიტეტის გამომხატველ ტექსტს და გრამატიკულად დაქვემდებარებულია მასზე, როგორც მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება: „...რამეთუ თავისუფლობით შემიწირავს ყოვლისავე მეუწებლისა და დამაკლებლისაგან“². ეს გამოთქმა გარკვევით უჩვენებს შემწირველის გადაწყვეტილებას: მონასტრისადმი შეწირული მამული გამოაცხადოს განთავისუფლებულად ყველა სამსახურისაგან და ამ პირობის დარღვევის უფლება არ მისცეს არავის, არც „მეუწებლეს“ და არც „დამაკლებლეს“. დაუცილებლობის მოტივი ამ საბუთში აძლიერებს იმ თემას, რომლის უშუალო მეზობლობაში იმყოფება იგი და გრამატიკულადაც მას უერთდება. ეს არის შეუვალობის ანუ იმუნიტეტის თემა.

დაუცილებლობა გვხვდება სხვა შეწირულების სიგელებშიც: გიორგი II-ის, თამარისა და ლაშა-გიორგის სიგელებში³. ამ საბუთებში დაუცილებლობა უკვე გრამატიკულად დამოუკიდებელ წინადადებას წარმოადგენს, მას აქვს თავისი ვანკუთენილი ადგილი საბუთის ტექსტში. იგი dispositio-ს უკანასკნელი სპეციალური თემაა და მას უსათუოდ უძღვის წინ იმუნიტეტის გამომხატ-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული დიპლომატიკა. თბ., 1926, გვ. 104.

² ქართული სამართლის ძეგლები II. თბ., 1965, გვ. 6.

³ იქვე. გვ. 11, 31, 36.

ტველი ტექსტი. ყველა აღნიშნულ საბუთში მისი შინაარსი ასეთია: მეფე არავის აძლევს ნებას მის მიერ შეწირულ მამულებზე დაწესებული შეფვლობის პირობები დაარღვიოს — შეცვალოს ან მოშალოს. ეს შინაარსი საბუთიდან საბუთში მტკიცედ ჩამოყალიბებული ფორმულის სახით გადადის ტველი ტექსტის ვარიანტული სხვაობის ფარგლებს არ ცილდება. დაუცილებლობა ფორმულა შეწირულების სიგელებში დაახლოებით ამგვარია: „და არავინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ბრძანებულისა ამის ჩუენისაი, არცა მეუნებნე, მავნებელი და დამაკლებელი მისი“. როგორც ვხედავთ, დაუცილებლობის ტექსტი ძალზე ზოგადი შინაარსისაა. მეფის მიერ გამოხატული აკრძალვა შეეხება საბუთით დამყარებული უფლებების ყველა შესაძლო დამრღვევ პირს. დაუცილებლობის ფორმულა არ უჩვენებს, კონკრეტულად რომელი იურიდიული მხარე ან საზოგადოების რომელი სოციალური ბანაკის წარმომადგენელი შეიძლება იყოს საბუთის პირობების დამრღვევი. როგორც ჩანს, საბუთის შემდგენთათვის სწორედ ეს ზოგადი მითითება იყო საკმარისი. დაუცილებლობის ფუნქცია იყო, გამოეხატა ზოგადად აკრძალვა. იგი მთლიანად კრავს და ლოგიკურად ასრულებს dispositio-ს, წარმოაჩენს თავის სუბიექტს, მეფეს, უხეზავს იურიდიულ პირს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დაუცილებლობა ყველა შეწირულების სიგელს არ გააჩნია. საბუთთა უმრავლესობაში გვაქვს, უმცირესობაში — არა. რადგან გრამატიკულად იგი დამოუკიდებელ წინადადება-ფორმულად ჩამოინაცვთა, მისი ამოვარდნა საბუთის საერთო სტრუქტურიდან ფორმალურ დაბრკოლებას არ წააწყდებოდა. მისი არქონა ზოგიერთ სიგელში დაუცილებლობის ფუნქციის სისუსტეზე მიუთითებს სხვა, მუდმივად განმეორებად თემებთან შედარებით.

დაუცილებლობის თემას შეიცავს მეფეთა წყალობის სიგელებიც. ამ სახეობის საბუთები შედარებით გვიანი ხანიდან, XIV ს-დან გვაქვს. დიპლომატიკური აგებულებით, ე. ი. სპეციალური თემების დამუშავების წესებითა და მათი ურთიერთკავშირით, აგრეთვე ტერმინოლოგიური და ფრაზეოლოგიური შედგენილობით წყალობის სიგელები დიდ ნათესაობას ავლენს შეწირულების სიგელებთან. ასეთივე სიახლოვე შეიმჩნევა შეწირულების სიგელთა დაუცილებლობისა წყალობის სიგელთა დაუცილებლობასთან. მსგავსია მათი ადგილი, ფუნქცია, ტერმინოლოგიური შედგენილობა და ფრაზათა აგების წესი. 1338 წ. გიორგი ბრწყინვალის მიერ ივანე თორელ-ჯავახიშვილისათვის მიცემულ წყალობის სიგელში ვკითხულობთ: „და არავინ გუიბრძანებია მშლელი ბრძანებულისა ამის ჩუენისა, არცა მეუნებლე, მავნებელი ამისი“⁴. იგივე ფორმულა, თითქმის უცვლელად, გვხვდება 1348 წ. ანდრონიკე მეფის მიერ წითლოსან ქვენიფნეველისადმი ბოძებულ სიგელში⁵, აგრეთვე გიორგი VIII-ის სიგელში გუგუნი მაყაშვილისადმი⁶, ალექსანდრე მეფის სიგელებში ავთანდილ ზერდგინისძისადმი⁷, გიორგი VIII-ის სიგელში⁸ და სხვ. ჩამოთვლილ სიგელებში სრულიად ადვილად გამოიყოფა ჩვენთვის ცნობილი ფორმულა — დაუცილებ-


⁴ ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 97.

⁵ იქვე, გვ. 99.

⁶ იქვე, გვ. 101.

⁷ იქვე, გვ. გვ. 118, 119, 120, 122.

⁸ იქვე, გვ. 130.



ლობა, რომელიც, თავის მხრივ, სათავეს შეწირულების სიგელებში იღებს. მაგრამ ამ ფორმულის გარდა ეს სიგელები დაუცილებლობის სხვა მოტივებსაც შეიცავენ. სწორედ ეს განსხვავებული მოტივებია ამჟამად ჩვენთვის სინტერესო.

უკვე ვნახეთ, რომ დაუცილებლობის ტრადიციულად შემუშავებული ფორმულა გამოხატავს მეფის ბრძანებას — არავის დაერღვია მის მიერ ახლად გაცემული განკარგულება. ეს იყო ერთადერთი მოტივი, რომელსაც გამოხატავდა დაუცილებლობის ტექსტი. ივ. ჯავახიშვილი დაუცილებლობის განმარტებისას აღნიშნავს, რომ შემდეგ (ნაგულისხმებია XIV ს. შემდგომი ხანა) ეს საკვეთი გამოხატავდა გაცემული საბუთის საწინააღმდეგო შინაარსის მქონე სხვა საბუთების გაუქმებას. პირველად დაუცილებლობის თემაში ასეთი ახალი მოტივი ჩნდება ანდრონიკე მეფის მიერ 1348 წ. წითლოსან ქვენიფხველისადმი ბოძებულ წყალობის სიგელში. აქაც დაუცილებლობა dispositio-ს ასრულებს: „და თუ ვის რაი ამა ადგილთა სიგელი და ანუ ნიშანი ჰქონდეს, ყოველივე სიგლითა ამით გაგუიბებია და შტკიცე ესე ოდენია. და არავინ გვიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ბრძანებულის ამის ჩუენისაი და არცა მეუწნებლე, მავნებელი და დამაკლებელი“⁹. აქ დაუცილებლობა, როგორც ვხედავთ, ორ გამოთქმას შეიცავს. პირველი გამოხატავს ნაწყალობევე სოფლებზე გაცემული სხვა ყველა საბუთის გაუქმების მოტივს, ხოლო მეორე — ძველ, უკვე ნაცნობ, ტრადიციულ დაუცილებლობის ფორმულას წარმოადგენს¹⁰.

ისტორიული საბუთი საზოგადოების სოციალურ ცხოვრებას ასახავს. ამასთანავე, იგი ღირსშესანიშნავია იმით, რომ მის მიერ ასახული სოციალური სინამდვილე კონკრეტულია. კონკრეტულია საბუთის გამცემი და მიმღები, კონკრეტულია საბუთით დამყარებული მხარეთა უფლებრივი მდგომარეობანი. ამდენად, ისტორიული საბუთი ცვალებადია, რადგან ცვალებადია მის მიერ ასახული კონკრეტული სინამდვილე. კონკრეტულის გარდა ყოველ ისტორიულ საბუთს აქვს ზოგადი დანიშნულება, რამდენადაც მასში თავმოყრილია მის მიერ ასახული სოციალური სისტემის ზოგადი ნიშნები. ეს ნიშნები საბუთის სტრუქტურაში ვლინდება, რომელიც მხოლოდ მის მიერ ასახული საზოგადოებრივი ურთიერთობის ცვალებადობის შესაბამისად იცვლება. ამ თვალსაზრისით ისტორიული საბუთი ზოგადია და პირობითად (გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში) უცვლელი. იგი ერთდროულად ატარებს კონკრეტულობისა და ზოგადობის ნიშნებს, რადგან მისი ფუნქციაც ერთდროულად ორმაგი იყო: კონკრეტული და ზოგადი. სამეფო სიგელის ერთი უმთავრესი ზოგადი დანიშნულება სამეფო ხელისუფლების ძლიერების, მისი ოფიციალური პოლიტიკური და სოციალური შეხედულებების პროპაგანდა იყო. მეფის სიგელებში მცირე ადგილი როდი აქვს დათმობილი მეფეთა ხელისუფლების დეტალებრივი წარმოშობის, მისი გრანდიოზულობის, მისი უფლებების უწყვეტობისა და უზენაესი მართლმსაჯულების ჩვენებას. ამ დანიშნულებას მეფეთა საბუთები ტრადიციით განმტკიცებული ფორმულების დაცვით და სპეციალურ თემათა განმეორებების სისტემით ასრულებს. ამიტომაც საბუთის ტრადიციით განმტკიცებულ დიპლომატიკურ ფორმაში კონკრეტული ისტორიული შინაარ-

⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული დიპლომატიკა, გვ. 105.

¹⁰ ქართული სამართლის ძეგლები. II, გვ. 99.

სის ამოკითხვისას აუცილებელია სწორედ საბუთის დიპლომატიკური ფორმის გათვალისწინება. ყოველი სიახლე, ყოველი ცვლილება მის სტრუქტურაში არაპირდაპირი, მაგრამ ძალზე სანდო მითითებაა სათანადო ცვლილებაზე საბუთის მიერ ასახულ სინამდვილეში. სწორედ ამ რიგის ცვლილებას წარმოადგენს XIV—XV სს. მეფეთა სიგელებში დაუცილებლობის ახალი მოტივების გაჩენა.

დაუცილებლობის ძველი, ტრადიციული მოტივი მეფეთა წყალობის სიგელებში ძალზე ზოგადი შინაარსისაა. იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს საერთოდ აკრძალვას, მიმართულს წყალობის პირობების შესაძლო დამრღვევთა წინააღმდეგ. მისი დანიშნულება მეფის ავტორიტეტისა და ძლიერების გამოხატვაში უფრო მდგომარეობს, ვიდრე იმის ჩვენებაში, თუ ვინ შეიძლება იყოს მეფის გადაწყვეტილების დამრღვევი, ან რა სახისაა ეს დარღვევა. სწორედ ამას აზუსტებს დაუცილებლობის ახლად, XIV—XV სს. განვითარებული მოტივები.

1425 წ. ალექსანდრე მეფე ავთანდილ, ზერდგინ და თაყა ზერდგინიძეებს უბოძებს ქავთარ ქარუმისძეს. სიგელის dispositio-ს ამთავრებს საკმაოდ ვრცელი დაუცილებლობა: „ვერავენ დაგეცილოს ქარუმისძესა ქავთარს, მისთა შვილთა და მომავალთა და რასაცა დღეს მქონებელი არის, ვერას ქამისა შემოსრულობისათვის, ვერასა ქამსა ვერა. და თუ ვის რა ამა ჩუენგან ბოძებულისა წიგნი და ნიშანი აქუს, ყუელა ამა სიგლითა გაგვიცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არის. ჯელმოსხნით და ყოვლისა დაბადებულისაგან უსარჩელად მოგუიხსენებიან თქუენ (მეორდება ადრესატი და ნაწყალობევი ყმა) და არავინ გუიბრძანებია მშულელ და მქცეველი მტკიცედ ბოძებულისა ამის ჩუენისა, არცა მეუენბლე, მავნე და დამაკლებელი“¹¹. ჩვენთვის ცნობილი ტრადიციული ფორმულა: „არავინ გუიბრძანებია...“ დაუცილებლობის სრული ტექსტის ბოლოშია მოქცეული და მას მხოლოდ დეკლარაციული მნიშვნელობაღა აქვს შერჩენილი. დაუცილებლობის ნამდვილი, უკვე რეალურად საქირო ტექსტი კი ავლენს დაუცილებლობის ახალ მოტივებს. აღნიშნული ტექსტის პირველი გამოთქმა ზერდგინისძეთა კუთვნილებაში გადასულ ყმებზე, ქარუმისძეებზე, ახალი მფლობელის საშვილიშვილო უფლებას აცხადებს (ამას უჩვენებს ფრაზა: „ვერავენ დაგეცილოს... მისთა შვილთა და მომავალთა“) და უცილობელს ხდის სწორედ ამ შემკვიდრობითობის უფლებას. მეორე გამოთქმა უკვე ნაცნობ მოტივს შეიცავს წყალობის თბიერებაზე არსებული სხვა საბუთების გაუქმების შესახებ. მესამე გამოთქმა: „ჯელმოსხნით და ყოვლისა დაბადებულისაგან უსარჩელად მოგუიხსენებიან“ ზოგადი ხასიათისაა და შინაარსით იმეორებს აზრს წყალობის უსარჩლელობის შესახებ. იგი თავის ფუნქციას სწორედ ამ განმეორებით ასრულებს, რადგან მოტივის განმეორება განსაკუთრებით აძლიერებს ამ მოტივის მნიშვნელობას მთელი საბუთისათვის.

ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მეფის მიერ გაცემული წყალობის მოცილე? უპირველეს ყოვლისა, თვით წყალობის გამცემი, მეფე. როგორც ცნობილია, წყალობის ბოძებისა და დამტკიცების უფლებას სამეფო ხელისუფლება ერთგული ფეოდალების გამრავლებისა და ურჩების მოდრეკის მიზნით იყენებდა. წყალობის განახლების უფლებით მეფეს საშუალება ჰქონდა შეეზღუდა ფეო-

¹¹ ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 118.

დალთა ფართო მიდრეკილება იმუნიტეტის გაძლიერებისადმი. თუმცა პრაქტიკულად ამ უფლებას იგი ყოველთვის ერთნაირი წარმატებით ვერ ახორციელებდა. 1453 წ. გიორგი VIII ხელახლა უბოძებს ქარუმისძეებს ზერდგინისძეთა გვარს, ამ დროისათვის მათ ქარუმისძენი ჩამორთმეული ჰყოლია საგნული მოგვიბრუნებს: „ქარუმის ძენი პატრონისა მეფისა აღექსანდრესაჲს თქუენთვის მკუიდრად საყმოდ [ნაბოძები იყო]. ნაბოძემან კაცმან თქუენი თავი შემოგვაბეზლა და ცოტასაოდენ კანსა [ჩამოგართვით?].

კიდევ მოკითხული ვქენით და ყოველსა საქმესა ზედან მართალნი და უბრალონი იყავით... და ქარუმძიე მკუიდრითა მამულითა თქვენვე გიბოძეთ...“¹² ცხადია, დასჯილი ფეოდალი ადვილად არ თმობდა თავის ძველ უფლებებს და ყოველთვის ცდილობდა უკან დაებრუნებინა ერთხელ წყალობად მიღებული მამული.

ჩამორთმეული ქონება, ყმა-მამული, მეფეს შეეძლო სხვა „ერთგული“ ქვეშევრდომის დასასაჩუქრებლად გამოეყენებინა და ამისთვის წყალობის სიგელიც გაეცა. ასეთ შემთხვევაში ახალი მფლობელიც ცდილობდა წყალობად მიღებული მამული სამკვიდროდ გაეხადა და ისეთივე „მკვიდრობის“ პრეტენზია უჩნდებოდა მასზე, როგორც ამ მამულის ძველ მფლობელს.

1451 წ. წულუკიძეებისათვის გიორგი VIII-ის მიერ ბოძებული წყალობის სიგელი აღწერს, თუ რა პირობებში შეიძლებოდა „სწევბს“, ე. ი. მამულის არაკანონიერ მემკვიდრეებს, ჩაეგდოთ ხელში ესა თუ ის მიწა: „პაპანი და მამა თქუენნი ჩუენსა დიდსა სამსახურსა და ერთგულობასა შიგან დაჯოცილან და ჩუენთა გუართათუს მრავალი უმსახურებია, და თქუენ ობოლნი და წურილნი დარჩომილხართ. მას დროსა და ჟამსა შიგან მექემობით თუ ვისმე ესე თქუენი მკუიდრი და ნასისხლი მამული სოფელი იწა გამოეურვოს და ეშოვნოს მეფეთაგან, მაშინცა დიდი ძალი და უსამართლო გქირებია“¹³. გიორგი VIII კი „სამართლიანად“ მოქცეულა და ძველი პატრონებისათვის დაუბრუნებია „მკვიდრი“ და „ნასისხლი“ მამული. ციტირებულ ტექსტში საინტერესოა ფრაზა: „გამოეურვოს და ეშოვნოს მეფეთაგან“. იგი პირდაპირ უჩვენებს, რომ მეფე თვით არის უპირველესი დამრღვევი ისევე სამეფო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა წყალობის შესახებ. როდესაც ერთსა და იმავე მამულზე რამდენიმე სამეფო სიგელი არსებობდა გაცემული, ცხადია, ამ სიგელთა წყარო ისევე სამეფო ხელისუფლება იყო. ამიტომაც მეფეები იძულებული იყვნენ გაეუქმებინათ ძველი საბუთები: „არა თუ აწ თქუენსა მკუიდრსა და ნასისხლსა ამა მამულსა სოფელსა იწასა მოგასარჩლოთ. და ძალად და უსამართლოდ ნაქონებისათვის ვისმე სხუასა კაცსა სიგელი აეღოს, ტყუვალთა, ცუდი და უსამართლობა არის და ამა ჩუენმან სიგელმან გატეხოს იგი“¹⁴. მამულების წყალობა-ჩამორთმევის უფლების ასეთი გამოყენება სამეფო ხელისუფლებას „ერთგულ“ ფეოდალთა მეტად არასაიმედო რაზმს უქმნიდა. ამიერიდან ერთგულება კი აღარ იყო მამულის წყალობის საფუძველი, არამედ პირიქით, მამულის ქონება თვით იყო მეფისადმი ერთგულების მიძღვლებელი მიზეზი. ამიტომ მამულის შენარჩუნების მიზნით ფეოდალი იმ

¹² ქართული სამართლის ძეგლები. II, გვ. 133.

¹³ იქვე, გვ. 130.

¹⁴ იქვე.

პატრონს ემსახურება ერთგულად, ვის მხარეზეც პოლიტიკური ძლიერებაა ზერდგინისძეთა დავის წიგნში ნათქვამია: „მე ბატონსა დავითს ასრე მრვას-სენე: თუ შენ ბაგრატ მეფისა ყმა არ შეიქმნები, მე ჩემსა მამულსა არავენი მამცემს ...თუცა ყმა არ შექმნილიყო, ჩემსა მამულსა არავენი მოგუტყმდეს“¹⁵. მეფეთა ასეთი პოლიტიკა, მეორე მხრივ, ფეოდალთა ურთიერთქმედებასაც უწყობდა ხელს. ამ ქიშპობით მეფის ხელისუფლება დროებით სარგებლობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, დროებით წარმატებებსაც ცვალებადი უპირატესობით ღებულობდა. ყველა ფეოდალი როდი უცდიდა მეფის თანხმობას მამულის მოთხოვნაზე. ზერდგინისძეთა დავის წიგნში ნათქვამია: „ახალციხე მამისა ბიძაჩემს ჰქონდა, წიწამური ასრე წამირთმევეია, არას ბატონისათვის ჩოქი არ მიქნია“¹⁶. მეფისაგან წყალობაბოძებულ ფეოდალს თავისი მამულის დაცვა ფეოდალური საზოგადოების სრულიად სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთაგან უხდებოდა. გიორგი VIII-ის მიერ წულუკიძისადმი ბოძებულ წყალობის სიგელში დაუცილებლობის ერთ-ერთ მოტივს სწორედ ამ მოძალადე პრეტენდენტთა ჩამოთვლა წარმოადგენს: „აგრე ვერა ადამის ტომი კაცი, ვერ თავადნი და დიდებულნი, და ვერ აზნაურნი და მათ უქუედაესნი ვერას ჟამისა გამოცუალებისათჳს ვერაოდეს ვინ მოგერჩოდეს და ვერც ვინ გეცილებოდეს“¹⁷.

1429 წ. ალექსანდრე მეფე ავთანდილ ზერდგინისძეს უმტკიცებს ნასისხლ მამულებს კასპსა და ივოეთს და უწყალობებს გომსა და ნადარბაზევს. ამ საბუთის დაუცილებლობა შემდეგ მოტივებს შეიცავს: 1. რა დროც არ უნდა დადგეს, ადრესატს ვერავენი ვერ უნდა შეეცილოს ნაწყალობეც და ნასისხლ მამულებზე; 2. თუ მაინც ვინმე გამოჩნდება მოცილე, მეფე პირად პასუხისმგებლობას კისრულობს მის წინაშე; 3. ყველა სხვა სიგელი ამ ახალი სიგელით უქმდება; 4. ტრადიციული ფორმულა, რომლითაც მეფე საერთოდ კრძალავს მის მიერ ბოძებული წყალობის შეცვლას. ჩამოთვლილ მოტივთაგან სრულიად ახალია მეორე, მეფის პირადი პასუხისმგებლობის მოტივი მოდავეთა წინაშე. ამ მოტივის გაჩენაც გამოძახილია სამეფო ხელისუფლების მიდრეკილებისა ადმინისტრაციული უფლებების გაძლიერებისადმი, რათა ამ გზით უფრო მეტად დაექვემდებარებინა სრული დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ფეოდალები.

საინტერესოა 1429 წ. საბუთში დაუცილებლობის კომპოზიცია, მისი მოტივების განაწილების წესი საბუთის ტექსტში. ისინი ორგან წყვეტენ ტექსტს: პირველად *dispositio*-ს ბოლოსა და *arenga-narratio*-ს შუა, შემდეგ ისევ *dispositio*-ს დასასრულს, *sanctio*-ს წინ. ასეთივე სურათია გიორგი VIII-ის მიერ ვირშელ წულუკიძისათვის ბოძებულ წყალობის სიგელში.

პირივად, XIV—XV სს. წყალობის სიგელებში დაუცილებლობა ასეთ სურათს იძლევა: ზოგიერთ საბუთში მისი მოტივები მრავლდება და მთელი საბუთის მიმართ მისი შინაარსი უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ის შინაარსი, რომელსაც დაუცილებლობის ტრადიციული ფორმულა გამოხატავდა. იზრდე-

¹⁵ ნ. ბ. რ. ძე ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს-ში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის თბ., 1937, ნ. I, გვ. 43.

¹⁶ იქვე, გვ. 43.

¹⁷ ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 130.

ბა დაუცილებლობის ხვედრითი წონა საბუთის სხვა სპეციალურ შემთხვევაში შედარებით. დაუცილებლობის ყველა ახალი მოტივი ჯერ კიდევ ვერ ასწრებს ფორმულად ჩამოყალიბებას, მაგრამ მისი ფუნქცია, როგორც XIV—XV სს მეფეთა წყალობის სიგელების სტრუქტურულად აუცილებელი ელემენტისა სავსებით ნათელია. ამჟამად ისიც, რომ დაუცილებლობის ფუნქციის გაძლიერება ამ ხნის მეფეთა საბუთებში ანარეკლია ერთი მხრივ მეფესა და ფეოდალთა შორის, მეორე მხრივ კი თვით ფეოდალებს შორის უკიდურესად გამწვავებული ბრძოლისა მიწების სამემკვიდრეოდ დაუფლები-სათვის. ამავე დროს დაუცილებლობის მოტივები უჩვენებს სამეფო ხელისუფლების ცდებს, გამოიყენოს ეს ბრძოლა ცენტრალისტური პოზიციების განსამტკიცებლად. მაგრამ არც ის გარემოებაა დასაფიქვებელი, რომ აღებული ეპოქის ჩვენამდე მოღწეული სამეფო წყალობის ყველა სიგელი არ შეიცავს დაუცილებლობის ახალ მოტივებს. ზოგიერთ მათგანში დაუცილებლობა გვხვდება, მაგრამ ძალზე გამარტივებული სახით. ეს, რა თქმა უნდა, ყურადსაღები ფაქტია, რომელიც ერთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა: დაუცილებლობის მოტივები მხოლოდ და მხოლოდ იმ მიწებზე გაცემულ წყალობის სიგელებში ძლიერდება, რომელთა დაუფლების გამო ფეოდალთა შორის ბრძოლა ყოფილა გაჩაღებული. დაუცილებლობის ახალი მოტივების გაჩენა თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ უტყუარ მითითებებს უნდა წარმოადგენდნენ ასეთი ბრძოლების ცალკეული შემთხვევების შესახებ.

М. К. СУРГУЛАДЗЕ

ДИПЛОМАТИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ГРУЗИНСКИХ ЦАРСКИХ ЖАЛОВАННЫХ ГРАМОТ XIV—XV вв.

Резюме

Статья посвящена специальной дипломатической теме грузинской царской грамоты, т. н. «дауцилеблоба» (dauciebloba). Такая специальная тема известна только грузинской дипломатике. В древнейших царских грамотах X—XII вв. «дауцилеблоба» представляет собой традиционную формулу и имеет совершенно определенное место в формуляре. Своим содержанием она выражает общий приказ всем возможным нарушителям царской воли, соблюдать условия жалуемой грамоты. В XIV—XV вв. картина меняется: текст «дауцилеблоба» увеличивается, обогащается мотивами, наблюдаются тематические повторы мотивов «дауцилеблоба» в разных местах текста грамоты. Новыми мотивами являются: 1. Личная ответственность государя перед адресатом за жалованную землю. 2. Запрет всем реально возможным лицам не нарушать иммунитетные и вотчинные права адресата. 3. Отмена государем всех существующих раньше прав на жалованную землю. Изучая причины развития дипломатической темы «дауцилеблоба» в XIV—XV вв., автор приходит к выводу, что она отражает обостренную внутриклассовую борьбу между царем и феодалами, с одной стороны, и между феодалами — с другой. В свою очередь, наличие новых мотивов «дауцилеблоба» в тексте грамоты может служить достоверным источником для установления отдельных случаев такой борьбы.

მარი გომაჯიშვილი

ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების ლენინგრადული
H 41 ნუსხის მინაწიბები

ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულება „საქართველოს ცხოვრება“¹, მოიცავს საქართველოს ისტორიის IV საუკუნის შუა წლებიდან XVII საუკუნის დამლევამდე. ამ ნაშრომის ავტოგრაფული ნუსხა, შემთხვევით ორად გაყოფილი, ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში². ეს ხელნაწერი 1841 წ. აღმოაჩინა პლატონ იოსელიანმა და იმავე წელს ათხოვა პეტებურგში მარი ბროსეს პირის გადასაღებად³.

ამ ავტოგრაფიდან ცნობილმა ქართველმა მწიგნობარმა სვიმონ ტაბიძემ გადაიღო ორი პირი მ. ბროსესა და თეიმურაზ ბაგრატიონისათვის. ორივე ეს ხელნაწერი დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში (H 23, H 41)⁴.

H 23 ნუსხა, თეიმურაზ ბაგრატიონისათვის არის გადაწერილი. ტექსტის მცირე ნაწილი თვითონ თეიმურაზს გადაუწერია. როგორც ჩანს, მისივე მითითებით ცვლილებებია შეტანილი ტექსტის განლაგებაშიც. კერძოდ, ხელნაწერის ბოლოშია გადატანილი თხზულების ე. წ. მეორე ვარიანტის შემცველი ფურცლები. 250 ა ფურცელზე მოთავსებულია ს. ტაბიძის ვრცელი „უწყებულება“, სადაც მოტანილია ცნობები ფარსადან გორგიჯანიძისა და ხელნაწერის დამკვეთის თეიმურაზ ბაგრატიონის შესახებ⁵.

¹ თვით ფარსადანის შრომის ხელნაწერში სათაური არ არის შემორჩენილი. ჩვენს ისტორიოგრაფიაში იგი გავრცელდა სათაურით „საქართველოს ისტორია“, ან უბრალოდ „ისტორია“. როგორც რ. კიკნაძე შენიშნავს, მართებულია ფ. გორგიჯანიძის საისტორიო თხზულებას ეწოდოს არა „ისტორია“, არამედ „საქართველოს ცხოვრება“, რამდენადაც ავტორი არ იცნობს სიტყვა „ისტორიას“, მაგრამ რამდენიმეჯერ იხსენიებს ამავე მნიშვნელობით „ცხოვრებას“ (რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. თბ., 1975, გვ. 18).

² ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტ. V, №2140, 2492, ორივე ხელნაწერს დამოუკიდებელი ბაგინაცია აქვს. პირველი ნაწილი (H2492) სულ 13 ფურცელს შეიცავს, თბრობა კი მოდის ვახტანგ გორგასალამდე. მეორე ხელნაწერში (H 2140) თბრობა გრძელდება თხზულების ბოლომდე.

³ Histoire de la Géorgie, trad, par M. Brosset, II, 1, SPb., 1856, გვ. 509.

⁴ P. P. Орбели. Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР. I, М.-Л., 1956, № 5, 6.

⁵ სვიმონ ტაბიძის „უწყებულება მკითხველთათვის“ გამოაქვეყნა თ. ვნუქიძემ (თ. ვნუქიძე, ს. ტაბიძის ცხოვრება და მოღვაწეობა, — საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“, II, თბ., 1960, გვ. 103—108).

H 41 ნუსხა სვიმონ ტაბიძემ მარი ბროსესათვის გადაწერა 1843 წელს. ამ ხელნაწერში გადაღებულია დედნის ზუსტი პირი ყველა მისი შეცდომით. ამჟამად, ჩვენ სწორედ ამ ნუსხის ზოგიერთი მინაწერი გვინტერესებს.

H 41 ხელნაწერის პირველ გვერდზე მარი ბროსეს სხვადასხვა მინაწერებია ფრანგულად და ქართულად⁶. ამ მინაწერებში თავმოყრილია ყურადღებო ცნობები ფ. გორგიჯანიძისა და მისი შრომების შესახებ. ფრანგული ტექსტი ასე იკითხება:

ფრანგული ტექსტი:

1. «Cette histoire à été copiéé sur un manuscrit defectueux en plusieurs endroits et dont les... à cause de la... n'avaient pas été rapports sans exactement ici leur place, les redactions ne l'étaient pas retrouvées. Depuis la page 430 on trouvera les fragments déplacés qu'il sera possible de restituer par la lecture attentive des faits; leur vraie position chronologique l'original appartient à M. Platon Ioceliani; la copie à été faite par Simon Tabidze.

ამის შემდეგ მოთავსებულია ს. ტაბიძის მონოგრაფია და ხელნაწერის ვადაუნსების თარიღი — 1843.

2. Chercher le nom de l'auteur Parsadan Gorgidjanidze, au plus correctement Giorgidjanis-dzé 321, 332, 387, 397, 406, 410, 409, 455, 461 ici dernière 508.

...l'ouvrage est un mauvais abrégé de Wakhtang, mais pour beaucoup moderne, il y a... neufs environ 1730, dont l'auteur est... témoin.

3. On a encore de Pharsadan Giorgidjanidzé une traduction georgienne du code religieux musulman Djami-Abasi; un exemplaire autographe tres beau, était chez le Tsarevitch Theumouraz, et on lit au commencement... (ქართული ტექსტი).


4. Cet exemplaire a appartenu au Tsar David en 1794 il put trouvé et apporté de Ruffie en géorgie, par Kaukhosro, fils de Grigol Tcholocachvili, Sologachvili et Milachor de Cacketi.

5. ...L'ouvrage se compose de 20 divisions. Sur la dernière page Pharsadan mandie en menace de l'efere ceux qui... cet exemplaire de les...

ქართული თარგმანი:

1. ეს ისტორია გადაწერილია მრავალ ადგილას დაზიანებული ხელნაწერიდან, რის გამოც ვერ მოხერხდა ბევრი ფაქტისათვის ზუსტი ადგილის მიჩენა. გაძნელდა რედაქციების მოძიებაც; დაახლოებით 430-ე გვერდიდან გვხვდება შეცვლილი ან გადაადგილებული ფრაგმენტები, რომელთა აღდგენა შესაძლებელი ხდება მხოლოდ ფაქტების ყურადღებით წაკითხვითა და ქრონოლო-

⁶ ფ. გორგიჯანიძეს ირანის შაჰის აბას II-ის დავალებით უთარგმნია ბაბა უდ-დინ მუჰამად ამილის „ჯამი აბასი“. თარგმანის ლენინგრადულ M 27 ნუსხის დასაწყისში ფარსადანი გვამცნობს „ჯამი აბასის“ თარგმანის დროს, მიზანს და იძლევა ზოგიერთ სხვა ცნობას. იგივე წინასიტყვაობა და ნუსხის ზოგიერთი სხვა მინაწერი შ. ბროსემ გადაიტანა ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების H 41 ნუსხის პირველ ფურცელზე და გაუკეთა მინაწერები ფრანგულ ენაზე.



ფ. გორგიჯანიძის თხზულების H41 ნუსხის პირველი გვერდი

გური თანმიმდევრობის დაცვით. ორიგინალი ეკუთვნის ბატონ პლატონ იოსელიანს, პირი კი გადაღებულია სიმონ ტაბიძის მიერ.

2. ავტორის, ფარსადან გორგიჯანიძის, ან უკეთ გორგიჯანიძის ვინაობის დადგენა შესაძლებელი ხდება 321, 332, 383, 397, 406, 410, 409, 455, 461-სა და ბოლოს 508 გვერდების მიხედვით. ეს შრომა საკმაოდ ცუდი შემოკლებაა ვახტანგის შრომისა, მაგრამ უფრო თანამედროვე, დაახლოებით 1730 წ., რომლის თვითმხილველადაც ავტორი გვევლინება.

3. ამის გარდა, ფარსადან გორგიჯანიძეს თარგმნილი აქვს „ჯამი-აბასი“ — რელიგიური, მუსლიმანური კანონი; ავტოგრაფული ეგზემპლარი კარგადაა შენახული. ადრე იგი ინახებოდა მეფისწულ თეიმურაზთან⁷. დასაწყისში ვკითხულობთ:

„ქრონიკონსა თათართასა ათას ას სამსა და ქართულთა მხედრულს ქრონიკონს სამას სამოცდა ცხრამეტსა, ლეინობის თვეში გათავდა ამის დაწერა ფარსადან გორგიჯანიძის ხელითა. ქართლის გორელი ვიყავი, ისპაჰანის მოვრაობა მეფის როსტომისაგან მამეცა და შააბას ხელმწიფემ ბოქაულთ უხუცობა მიბოძა, და მანვე მიბრძანა მუსურმანთ რჯულის კანუნი ქართულთათა თარგმანეთ, რომ ყოველმან კაცმან ადვილათ გაიგნოსო. და ექვს წელიწადს არაბეთს შუშტრის ქალაქში ვიყავ შაჰ აბას ერანის ხემწიფის ბრძანებით, და ხელი მიეპყავ ამ წიგნის თარგმანს. არაბული ქართულთათა ვათარგმანეთ მაჰმად ფელაზბრის რჯულის კანუნი კრებულთათვის ადვილათ შესატყობელი“.

ქართული ტექსტის გვერდით, მარჯვნივ ბროსეს მინაწერია ფრანგულად და გამოანგარიშებულია „ჯამი აბასის“ გადანუსხვის თარიღი — ჰიჯრის 1103 და ქართული 379 წ. უდრის 1691 წელს. ქართული ტექსტის ზემო მარცხენა მხარეს, ბროსეს მიერ კვლავ მიწერილია ფრანგული ტექსტი, „ჯამი აბასის“ M 27 ხელნაწერის ორი ქართული მინაწერის თარგმანი: „ეს ხელნაწერი ეკუთვნოდა მეფე დავითს, 1794 წელს ის იპოვნა და რუსეთიდან საქართველოში წამოიღო კახეთის ამილახერის გრიგოლ ჩოლოყაშვილის, თუ სოლოღაშვილის ვაჟმა“⁸.

მ. ბროსეს მიერ გადაწერილი ქართული ტექსტის ქვემოთ გრძელდება მისივე ფრანგული მინაწერი: „ნაშრომი შედგება 20 განყოფილებიდან, უკანასკნელ გვერდზე ფარსადანი ემუქრება მათ, ვინც დაკარგავს ან არ გაუფრთხილდება ამ ნაშრომს“. ეს მინაწერიც „ჯამი აბასის“ ხელნაწერს და მის შინაარსს ეხება. ამ ტექსტის ქვემოთ ქართული მინაწერია ისევე „ჯამი აბასიდან“: „ქქს ტპზ. ამ ქქს შასულთან უსეინ გაკემწიფდა (382—1694), ერეკლეს ბატონის შვილს მუხრანის ბატონობა ამათ უბოძა ქქს ტპზ (387—1699)“, (თარიღები მ. ბროსეს გადაყვანილია).

⁷ მ. ბროსეს მხედველობაში აქვს „ჯამი აბასის“ გორგიჯანიძისეული თარგმანის ავტოგრაფული ნუსხა, რომელიც ამჟამად სრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაშია დაცული (P. P. Орбели. Грузинские рукописи института востоковедения АН СССР. I, № 107). იხ. აგრეთვე, გ. შ ა რ ა ძ ე. თეიმურაზ ბაგრატიონი ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი. თბ., 1974, გვ. 131, 168.

⁸ ტექსტი ქართულადაა ბროსეს მიერ ჩაწერილი.

⁹ შდრ. „ჯამი აბასი“, ხელნაწ. M 27, ფ. 1 ა (ამ გვერდის ფოტო მოთავსებულია რ. ორბელის წიგნში — P. P. Орбели. Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, I, рис. № 24).

როგორც ვნახეთ, მ. ბროსე ფრანგულ მინაწერში ფარსადანის თხზულების მეორე ნაწილის შესახებ შენიშნავს, იგი ვახტანგის შრომის ცუდი შემოკლებაა¹⁰.

ფ. გორგიჯანიძემ სიცოცხლის უმეტესი ნაწილი ირანში გაატარა და კვლავ დაწერა თავისი საისტორიო თხზულება. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „ჩვენი ისტორიკოსი თავისით მოქმედებდა და არავისათვის არ მიუბძნია, — ეს შეადგენს მის ნაკლსა და ღირსებასაც“¹¹. ფარსადან გორგიჯანიძემ ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილ „სწავლულ კაცთა“ კომისიაზე ადრე გამოიყენა სპარსული წყაროები და მის საფუძველზე აღადგინა XV—XVI სს. და XVII-ის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორია. ამის მიხედვით, შენიშნავს ვ. გაბაშვილი, იგი შეიძლება ჩაითვალოს ვახტანგის კომისიის ერთგვარ წინამორბედად¹². გარდა ამისა, ფარსადან გორგიჯანიძემ ძველი „ქართლის ცხოვრების“, მიხედვით დაწერა თავის თხზულების ე. წ. მეორე ნაწილი და ამ ქსრივ იგი შეიძლება მიჩნეულ იქნეს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ პირველ მკვლევარად¹³. ამასთან ერთად, გამოჩვენებულია, რომ „ქართლის ცხოვრების“ შევსებულ-გადაკეთებულ გაგრძელებათა ავტორს, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის კრიტიკული შენიშვნების შემდეგ, უნდობლობით უყურებდა ვახტანგის კომისიის, კერძოდ, ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ შრომას, გამოუყენებია, ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულებაც¹⁴. ივ. ჯავახიშვილისავე სიტყვით, „ფარსადან გორგიჯანიძის შრომა დაწერილია სპარსეთში, იმ დროს, როგორცა ჩანს, როცა ვახტანგის მიერ შეკრებილ „სწავლულ კაცთა“ კომისიას ქ-ცის შევსება და გაგრძელება არამც თუ დამთავრებული არ ჰქონდა, ჯერ ვგონებ დაწყებული არც კი ჰქონდა“¹⁵.

ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ავტოგრაფულ ნუსხაზე ტექსტის შემდეგ უცნობი პირის მიერ სხვა ხელით მიწერილია: „ქ. თვესა მაის კახი ბატონი, მეფის ერეკლეს ძე, მეფე იმამყულიხან მარტყოფს მობრძანდა და მარტყოფიდან დაიწყო სიარული, და ქალაქს აბანოში შევიდა და ქართველის ბატონისშვილს ვალტანგს (sic), მაშინ ქართლის ჩანიშინი იყო, და ამის ჩასვლა რომ შეიტყო, დიად ეწყინა და კაცები მიუვიდა ვახტანგს, რომ კახი ბატონი

¹⁰ XIX ს-ის პირველი ნახევრის მკვლევარი „ქართლის ცხოვრებას“ ვახტანგ VI-ის შრომად თვლიდნენ. როგორც ჩანს, თავდაპირველად მ. ბროსეც იზიარებდა ამ აზრს. მაგრამ, „ქართლის ცხოვრების“ საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ მ. ბროსემ 1847 წ. პირველმა უარყო ადრე გაბატონებული მცდარი შეხედულება ამ ძეგლის შესახებ. მან დაასაბუთა, რომ „ქართლის ცხოვრება“, როგორც ქართული მატარებლის კრებული, არსებობდა ვახტანგ მეფის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე. (შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მარი ბროსე, თბ., 1969, გვ. 85—86). მ. ბროსეს ზემოთ მოტანილი შენიშვნა ვეფიქრებინებს, რომ ეს მინაწერი გაკეთებული უნდა იყოს 1847 წლამდე, ქართველოლოგიურ ლიტერატურაზე მუშაობის ადრეულ პერიოდში.

¹¹ ივ. ჯავახიშვილი. ფარსადან გორგიჯანიძე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 288.

¹² ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969, გვ. 55.

¹³ რ. კ ი კ ა ძ ე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზნანი“. გვ. 135.

¹⁴ დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, ფ. გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების გაგრძელება“ XVI—XVII ს-ის სპარსული წყაროები. საქ. მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შოამბე, 1960, № 2, გვ. 141—142.

¹⁵ ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 288.

ჩამოვიდაო და ქალაქის ტახტზე დაჯდაო. მათში შეიქმნა ერთი ტირილო, მეორედ მოსვლა, მაგრამ კახი ბატონი იმ გზით არ ჩასულა და არც არა ამის გუნებაში ქართლის დაქვერ არა სდომებია იმ ხანათ, მაგრამ იმათ ეგონათ, ამათში ცოტა რამ ლაპარაკი მოხდა. კახმა ბატონმამ იმაყულებიან იმ ლაპარაკს უფრო არ მიუვლო. ეს დაიწერა მისის ვასულს, ქ ქსა ტყმ, ღმერთო, კელი მოუმართე კახს ბატონს და კახეთი დღეგრძელობაში და გამარჯვებაში ავმარე¹⁶.

ამგვარად, მინაწერი 1710 წელსაა გაკეთებული, როგორც ს. კაკაბაძე ვარაუდობს, კახეთში¹⁷. თავის დროზე ეს მინაწერი ს. ტაბიძემ ფარსადანის ნაშრომს არ ჩამოაშორა, ხოლო თარიღი შეცდომით ამოკითხა: „ეს დაიწერა მისის ვასულს ქ ქს ტყა“¹⁸. შემდგომი მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმაც ეს მინაწერი ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ორგანულ ნაწილად მიიჩნიეს¹⁹. დ. ჩუბინაშვილმა ის დაბეჭდა კიდევ ტექსტის გაგრძელებად²⁰, ხოლო მ. ბროსემ ფრანგულად თარგმნა²¹. ამავე მინაწერში არასწორად გადატანილი თარიღის (ტყმ-ს ნაცვლად ტყა) საფუძველზე თხზულების დამთავრების თარიღად 1703 წელი იქნა მიჩნეული²².

ჩვენ ვფიქრობთ, მ. ბროსეს მიერ ფრანგულ მინაწერში აღნიშნული 1730 წელიც შექანიერი შეცდომაა. აქ ავტორი იმავე 1703 წელს უნდა გულისხმობდეს.

М. Г. ГОБЕДЖИШВИЛИ

ЗАПИСИ ЛЕНИНГРАДСКОГО СПИСКА Н 41 ИСТОРИЧЕСКОГО СОЧИНЕНИЯ ПАРСАДАНА ГОРГИДЖАНИДЗЕ

Резюме

В рукописном фонде Ленинградского отделения Института востоковедения АН СССР хранятся два списка «Истории Грузии» замечательного грузинского историка XVII века Парсадана Горгиджанидзе. Переписаны они в 1841—1843 годах Симоном Табидзе с одного оригинала (Институт рукописей АН Грузинской ССР, Н 2140) для Теймураза Багратиони (Н 23) и М. Броссе (Н 41).

На полях и отдельном листе списка Н 41 имеются многочисленные примечания и записи М. Броссе. В работе изучены некоторые из этих записей, содержащие сведения о жизни и трудах Парсадана Горгиджанидзе.

¹⁶ ხელნაწერთა აღწერილობა ნ ფონდი, ტ. V, № 2140.

¹⁷ ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. „სახისტორიო მოამბე“, II, ტფ., 1925, გვ. 199.

¹⁸ ფ. გორგიჯანიძე. ხელნაწ. Н 41, გვ. 527.

¹⁹ Н 23 ნუსხაში ს. ტაბიძემ თითქოს გაითვალისწინა ასეთი შეცდომის შესაძლებლობა და აღნიშნულ მინაწერს (როგორც ჩანს, ხელნაწერის დამკვეთის, თეიმურაზის მითითებით) გამარჯვებისათვის წააწერა: „ფარსადან გორგიჯანიძის წიგნზე სულ ბოლოს ასე იყო მიწერილი“... უნდა აღინიშნოს, რომ მინაწერის თარიღი (ტყმ) აქაც ამოკითხულია როგორც „ტყა“.

²⁰ ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, სპბ., 1854, გვ. 569.

²¹ Histoire de la Géorgie, trad. par M. Brosset, I, Spb., 1856, გვ. 573.

²² ამავე თარიღს იმეორებს რ. ორბელიც (P. P. Orbeli, Грузинские рукописи, გვ. 20).

გიორგი ანაბაძე

დომიტრი ბაქრაძე — ქართული წყაროთმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი

1976 წ. ჩვენმა საზოგადოებრიობამ XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის დომიტრი ბაქრაძის (1826—1890 წწ.) დაბადების 150 წელი აღნიშნა. დ. ბაქრაძე დაიბადა 1826 წ. ოქტომბერს გარეკახეთის სოფ. ხაშში, ლარიზი მღვდლის ოჯახში¹. ოჯახური ტრადიციის მიხედვით დომიტრისაც მღვდლობისათვის ამზადებდნენ. მან წარმატებით დაამთავრა ჯერ თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო შემდეგ — მოსკოვის სასულიერო აკადემია, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებისთანავე უარი განაცხადა საეკლესიო მოღვაწეობაზე და მთელი სიცოცხლე საქართველოს ისტორიის შესწავლას შესწირა. მას გამოქვეყნებული აქვს 90-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი², რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოკვლევები: «Кавказ в древних памятниках христианства», «Грузинская палеография», «Археологическое путешествие по Гурнии и Адчаре», „ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე“ და სხვ. მან პირველმა გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“, აღმოაჩინა და გამოაქვეყნა იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად დ. ბაქრაძე დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი თაოსნობით დაარსდა საეკლესიო მუზეუმი ქართული ისტორიული ძეგლებისა და ხელნაწერების დასაცავად, რის შედეგადაც დაღუპვას გადაურჩა ჩვენი კულტურის ასობით უნიკალური ძეგლი. მისი უახლოესი მონაწილეობით ჩამოყალიბდა აგრეთვე „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის გაღრმავებულ შესწავლას. მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურებისათვის დ. ბაქრაძე არჩეული იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

დ. ბაქრაძე XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის უდიდესი წარმომადგენელი იყო. მას კარგად ესმოდა, რომ ისტორიის სათანადო შესწავლა მტკიცე წყაროთმცოდნეობითი საფუძველის გარეშე არ შეიძლებოდა. ამასთან, იგი ზოგიერთი წინამორბედი ან თანამედროვე ქართველი ისტორიკოსის მსგავსად მხოლოდ წერილობითი წყაროების გამოყენებით კი არ იფარგლებო-

¹ სხვა მონაცემებით დ. ბაქრაძე დაბადებულია 1827 წ.

² მ. დ. უ. მ. ბ. ა. ძ. ისტორიკოსი დომიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950, გვ. 184—189.

და, არამედ იყენებდა აგრეთვე მისი დროისათვის ცნობილ არქეოლოგიურ მასალას, პალეოგრაფიის, ეპიგრაფიკის, ნუმისმატიკის მონაცემებს და სხვ. წინამდებარე წერილი არ ისახავს მიზნად დ. ბაქრაძის მთელი სამეცნიერო მოქმედების განხილვას. ჩვენი ამოცანაა მხოლოდ განვიხილოთ დ. ბაქრაძის შრომები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის შუქზე.

დ. ბაქრაძის შრომების გამოსვლამდე ქართული ისტორიოგრაფიის ბევრ წარმომადგენელს საქართველოს ისტორიად „ქართლის ცხოვრება“ მიაჩნდა. მართალია, საქართველოს ისტორიის მკვლევართა ყურადღება ვახუშტიდან და შემდეგ თეიმურაზ ბაგრატიონიდან დაწყებული მიმართული იყო „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკების შევსება-შესწორებისაკენ, მაგრამ, როგორც ცნობილია, მათ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აზრადაც არ მოსვლიათ თვით „ქართლის ცხოვრების“ სისტემის შეცვლა. საქართველოს ისტორიის აღწერისას ისინი ძირითადად ისევ პოლიტიკური მოვლენების გადმოცემით კმაყოფილდებოდნენ.

მათგან განსხვავებით დ. ბაქრაძე დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე ხალხის შინაგანი ცხოვრების ასახვას, მისი ეკონომიური და სოციალური წყობილების ანალიზს და სხვ. მაგ., რუსეთის სამეცნიერო აკადემიისადმი მოხსენებაში კავკასიის სიძველეთა შესწავლის მნიშვნელობის შესახებ დ. ბაქრაძე წერდა: „ახლანდელ დროში, როგორც ცნობილია, ხალხის ისტორიად, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, აღიარებულია არა საგარეო მოვლენათა აღწერა ან ცალკეულ პირთა ბიოგრაფიები, არამედ ხალხის შინაგანი ცხოვრების, მისი სოციალური და ეკონომიური ყოფის ნამდვილი და საფუძვლიანი ასახვა. ასეთი ისტორია მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს შედგენილი, როცა გაგებული და შესწავლილი იქნება შინაგანი ცხოვრების ყველა მხარე, როდესაც გამორკვეული იქნება მის შესახებ ყველა მონაცემი. ძველი საქართველოს შინაგანი ცხოვრების შესახებ ჩვენ მაინცდამაინც არა ვიცით რა. მასზე ჩვენ ან ცოტა ვეაჭვს მონაცემები, ან სულ არა. ქრონიკები უმთავრესად ეხებიან მის საგარეო მოვლენებს, საქართველოზე მტრის დაცემას და მის განდევნას. შინაგან ცხოვრებას ისინი ან ღუმლით გვერდს უვლიან ან გაკვრით ეხებიან“³.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ა. კიკვიძე, ეს შეხედულება იმდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად ახალი იყო და იგი დ. ბაქრაძის ღვაწლად უნდა ჩაითვალოს⁴.

თავისი მთავარი ნაშრომის („ისტორია საქართველოსი“) წინასიტყვაობაში დ. ბაქრაძემ საჭიროდ მიიჩნია ეუწყებინა მკითხველისთვის თუ როგორ ესმოდა მას ისტორია და რა პროგრამას ადგა საქართველოს ისტორიის გამოკვლევაში. იგი წერს: „ისტორია, ისეთი, როგორსაც აწინდელი მეცნიერება მოითხოვს, უნდა იყოს ნამდვილი და სრული, ეპოქ-ეპოქად, სურათი იმ ერისა, რომელსაც ის შეეხება. ისტორია მოვალეა განსაზღვროს, როგორ და სად დაარსებულა ერი; რა ადგილებში უმგზავრნია იმას, როდესაც იგი იქილამ დაძრულა; რა კულტურა შეუტანია იმ ქვეყანაში, სადაც იგი სამუდამოდ დაყარებულა; რა გვარი გავლენა აღმოუჩენია ამ ქვეყნის მღებარეობას და

³ Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб., 1878 წ., გვ. XIII.

⁴ ა. კიკვიძე, XIX ს. ქართული ისტორიული აზროვნება (დომ. ბაქრაძე, ილ. ჰეგვაძე)— მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 29, გვ. 4.

თვისებას იმის ტიპზე, ხასიათზე, მიმართულებაზე; რა დამოკიდებულება ჰქონიათ იმასთან უცხო ტომ ნათესავთა და რა კვალი დაუტოვებით იმის ცხოვრებაში; რა გვარ მოუწყვია იმას თავისი ყოფა-ცხოვრება, სოციალური და პოლიტიკური; რა სამსახური მიუღვია საზოგადოდ კაცობრიობისათვის კულტურის წარმატებაში⁵..

დ. ბაქრაძეს, როგორც უკვე იყო აღნიშნული, კარგად ესმოდა, რომ საქართველოს ისტორიის მკვლევარს ქართული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების გარდა უნდა გულდასმით შეესწავლა აგრეთვე ეპიგრაფიკული, ნივთიერი, ეთნოგრაფიული წყაროები, ძველი ქართული ხელოვნების ძეგლები, საერო და სასულიერო ლიტერატურა, უცხოელ ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ და სხვა სახის საისტორიო წყაროები. მხოლოდ ყველა არსებული საისტორიო წყაროს გამოვლენითა და კრიტიკული შესწავლით იქნებოდა შესაძლებელი საქართველოს წარსულისათვის ფარდის ახლა. ერთ-ერთ თავის ნაშრომში დ. ბაქრაძე წერდა: „ჩვენ ბევრი შრომა გვეჭირდება საქართველოს წარსულის ცხოვრების გამოკვლევისათვის. ჩვენ უნდა გამოვიძიოთ და ცნობაში მოვიყვანოთ, სადაც კი, საქართველოში, თუ იმის გარეშე, კერძო სახლებში თუ მონასტრებში დაცულია ჩვენი ხრონიკები. ჩვენ უნდა გადმოვწეროთ, თუ გადმოვხაზოთ ძველის ეკლესიების კედლებიდან, მანუსკრიპტებიდან და საეკლესიო სამკაულებიდან ისტორიული მინაწერები... ჩვენ უნდა შევისწავლოთ შინაარსი გუჯრებისა და სიგელებისა... ჩვენ უნდა გავიცნათ ჩვენ წინაპართა ნაწარმოები, საეკლესიო და საერო, რომელნიც ჩვენის წარსულის ყოფა-ცხოვრებას და ეკონომიურ მდგომარეობას გამოგვიხატავენ, ანუ გვიჩვენებენ წარმატებას სხვადასხვა ხელოვნებაში, ხელსაქმობაში, არხიტექტურაში, მანუსკრიპტების მინიატურებში და ტაძრების მხატვრობაში, რომელთა შესწავლით შეგვიძლიან, სხვათა შორის, შევიგნოთ, რა დროს, სადა და სად, რა და რა ტანსაცმელი გვექონია. ჩვენ უნდა ჩვენი წყაროები შევამოწმოთ უცხო ტომთა წყაროებით, სომხურით, სირიულთ, ბერძნულთ, რომაულთ, არაბულთ და სხვა. როდესაც ეს ცნობები გვექნება შემოკრებილი და შესწავლული, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ნამდვილის საქართველოს ისტორიის შედგენა“.

დ. ბაქრაძეს კარგად ესმოდა, რომ ისტორია მკვლარი, განყენებული მეცნიერება კი არ არის, არამედ იგი მჭიდროდა დაკავშირებული აწმყოსთან და მისი საფუძვლიანი ცოდნის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე პროცესებში გარკვევა. ეს აზრი მან გამოთქვა ჯერ კიდევ 1870 წ. საქართველოს ისტორიული მიმოხილვის გამოცემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მოწოდებაში:

„გამოკვლეული არის, რომ წარსულს დროზეა მჭიდროდ დამყარებული აწინდელი დრო. ვინც ძველის დროის ამბები არ იცის, იმან ახლის დროის ამბებიც არ იცის... ჩვენ არ ვიცით ჩვენი წარსული სვე და ამისთვის გულ-

⁵ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან მეთუ საუკუნის დასასრულამდე. თბ., 1889, გვ. 1.

⁶ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. პროფ. პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები, თბ., 1884, გვ. 33—34.

გრილად შევცქერით აწინდელს ჩვენს მდგომარეობას და საზოგადო კეთილდღეობას“⁷.

დ. ბაქრაძეს თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა ცარიელ ადგილზე არ დაუწყია. მის შემოქმედებას წინ უძღოდა საკმაოდ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბაქრაძის საქმიანობას და გარკვეული გავლენა მოახდინა მასზე.

ფეოდალური საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის უკანასკნელ, მეტად მძიმე ეპოქაში და შემდეგ მეფის რუსეთის გაბატონების პირველ წლებში ისტორიული ძნელბედობით გამოწვეული მიზეზების გამო ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლა რამდენადმე შეფერხდა. ამ პერიოდის ქართველმა ისტორიკოსებმა ვერ შეძლეს სათანადოდ განევითარებინათ ის ახალი ეტაპი ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის მოღვაწეობამ.

მიუხედავად ამისა, მეცნიერული საქმიანობა ჩვენში არ გამქრალა. საყურადღებოა, მაგალითად, XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის პირველი წარმომადგენლის დავით ბატონიშვილის (1767—1819 წწ.) შრომები, სადაც საინტერესო მასალაა მოცემული საქართველოში XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დამდეგს შექმნილი ისტორიული ვითარების შესახებ. მანვე 1805 წ. პეტერბურგში რუსულ ენაზე დაწერილი „საქართველოს მოკლე ისტორიით“ ერთ-ერთმა პირველმა მიაწოდა რუს მკითხველს ცნობები საქართველოს წარსულის შესახებ.

პეტერბურგშივე მოღვაწეობდა დავითის ძმა ბაგრატ ბატონიშვილი (1776—1841 წწ.), რომელმაც თავისი „ახალი მოთხრობა“ ძირითადად თეიმურაზ II-ს, ერეკლეს და XIX საუკუნის დასაწყისის ამბებს მიუძღვნა. ამ ნაშრომით ბაგრატი დავით ბატონიშვილის მსგავსად, როგორც ჩანს, მიზნად ისახავდა „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა საქმიანობის გაგრძელებას.

ქართული კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე დავით და ბაგრატ ბატონიშვილების მესამე ძმას იოანე ბაგრატიონს (1772—1839 წწ.), რომელმაც შეადგინა ენციკლოპედიური ხასიათის შრომა „კალმასობა“, სადაც თავმოყრილია მრავალი საყურადღებო ცნობა საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგების სფეროდან.

ბატონიშვილების შემდეგ XIX საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა შორის მნიშვნელოვანი იყო ნიკოლოზ დადიანის (გარდ. 1834 წ.) მოღვაწეობა. იგი თავის მთავარ ისტორიულ თხზულებაში „ქართველთა ცხოვრება“ XVIII ს-ის მეორე ნახევრის და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ვითარების აღწერისას სავსებით ორიგინალურია, ხოლო უფრო ადრინდელი ამბების გადმოცემისას ძირითადად „ქართლის ცხოვრებას“ ეყრდნობა.

საინტერესოა აგრეთვე ნიკოლოზ დადიანის სახელმწიფოებრივი საქმიანობის ნაყოფი — „დასტურლამა“, რომელიც მეტად მნიშვნელოვან ძეგლს

⁷ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, „საქართველო“, რვ. I, თბ., 1871, გვ. 1.

წარმოადგენს XIX ს. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების შესწავლისათვის⁸.

XIX ს. 40-იანი წლებიდან ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ერთგვარი გარდატეხა ჩანს. ეს გარდატეხა აღინიშნა თეიმურაზ ბაგრატიონის (1782—1846 წწ.) შემოქმედებით, რომელიც „ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ, წარმოადგენდა ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ძველი ისტორიოგრაფიიდან ახალი ქართული ისტორიოგრაფიისაკენ“⁹. თავის თხზულებაზე მუშაობისას, რომელიც ძველი საქართველოს ისტორიას ეხება, თეიმურაზ ბაგრატიონი „ქართლის ცხოვრების“ გარდა საქაოდ ფართოდ იყენებდა აგრეთვე ვახუშტის ისტორიას, ხალხურ თქმულებებს, ზეპირგადმოცემებს და სხვა მისთვის ხელმისაწვდომ წყაროებს. მანვე პირველმა სცადა ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობების გამოყენება საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. ამასთან, თეიმურაზს წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომა ახასიათებდა, ზოგჯერ სხვადასხვა წყაროს მოწვევლებით ასწორებდა საეჭვო ცნობას, თუმცა წყაროების დასახელებაში თანმიმდევრული არ ყოფილა¹⁰.

ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე პლატონ იოსელიანის (1809—1875 წწ.) მოღვაწეობამ. იგი სწავლობდა ქართული ეკლესიის ისტორიას, თბილისის სიძველეებს, მანვე პირველმა მოგვცა საქართველოს ისტორიის ცალკეულ მონოგრაფიებად შესწავლის ცდა და სხვ. პ. იოსელიანი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ისტორიისათვის ახალი მასალების ძიების საქმეს საქართველოში. როგორც აღნიშნავს მ. დუმბაძე, „ეს ტრადიცია, რომელიც შემდეგ დიდ სიმაღლეზე აიყვანა აკად. ბროსემ და შემდეგ დიმიტრი ბაქრაძემ, უშეკვლად პლატონ იოსელიანისაგან იყო შეთვისებული“¹¹.

XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომ განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია გამოჩენილი ფრანგი ქართველოლოგის მარი ბროსეს (1802—1880 წწ.) მოღვაწეობამ¹². რამდენიმე ძველი და თანამედროვე ენის ცოდნა, ფართო ერუდიცია და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისათვის მაღალი მომზადება მ. ბროსეს უდავოდ თავისი დროის გამოჩენილი ისტორიკოსების დონეზე აყენებდა. ამასთან ერთად მ. ბროსეს განუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა ქართული მეცნიერული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან და პირველ რიგში თეიმურაზ ბაგრატიონთან, რაც კიდევ უფრო უწყობდა მას ხელს სათანადო წარმატების მოპოვებაში.

მ. ბროსე უადრესად რთულ და საჭირო საქმიანობას ეწეოდა. მან 1847—1848 წწ. იმოგზაურა საქართველოში, რის შედეგადაც შეაგროვა და გამოაქვეყნა ძალიან საინტერესო ისტორიული მასალა. განსაკუთრებით დიდი დამსა-

⁸ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში („მომხიზილველი“, I, 1949, გვ. 20).

⁹ მ. დუმბაძე. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, გვ. 100.

¹⁰ შ. მესხია. თეიმურაზ ბაგრატიონის ცხოვრება და მოღვაწეობა. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, თბ., 1939, გვ. 52—53, 70—73.

¹¹ მ. დუმბაძე. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, გვ. 101.

¹² იხ. შ. ხანთაძე. მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი). თბ., 1966.

ხურება მიუძღვის ბროსეს „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში¹³. მან გამოსცა მისი ვახტანგისეული ვარიანტი, როგორც ქართული ტექსტი ასევე ფრანგული თარგმანი, რომელსაც რამდენიმე ხნის შემდეგ თან დაუბეჭდეს დროისათვის მდიდარი სამეცნიერო აპარატი. მართალია, საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობისას მ. ბროსე ძირითადად „ქართლის ცხოვრების“ სქემას მისდევდა, მაგრამ მაინც მან ბევრი რამ გააკეთა ამ ძეგლის გაუგებარი ადგილების გამართვის და ახალი ფაქტობრივი მასალით შევსების საქმეში.

ფრანგულ და რუსულ ენებზე დაწერილ მ. ბროსეს შრომებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა, განსაკუთრებით ქართული ენის არმცოდნე მკვლევარებისათვის.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, XIX საუკუნის პირველი ნახევრისა და 50-იანი წლების ისტორიკოსებმა (განსაკუთრებით თეიმურაზ ბაგრატიონმა და მ. ბროსემ) მნიშვნელოვნად წასწიეს წინ საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმე და გარკვეული მეცნიერული მემკვიდრეობა დაუტოვეს XIX საუკუნის მეორე ნახევრის მკვლევარებს, რომელთა შორის პირველი და უდიდესი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე იყო.

დ. ბაქრაძის მეცნიერული მოღვაწეობა იწყება 1850 წლიდან ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილების გამოქვეყნებით¹⁴. მიუხედავად იმისა, რომ იგი მოწყვეტილი იყო იმ დროის სამეცნიერო ცენტრებს და თავისი ძალების ანაბარა იყო დარჩენილი, დ. ბაქრაძემ წლების მანძილზე გაწეული მუშაობით შეძლო გასცნობოდა ისტორიული მეცნიერების ახალ მოთხოვნებს, შეეძინა დიდი ერუდიცია და მიეღწია თავისი დროის მეცნიერების განვითარების დონემდე. თანამედროვეთა გადმოცემით, ბაქრაძე ერთადერთი პირი იყო თბილისში, რომელიც მთელი ევროპის მწერლობას ადევნებდა თვალყურს¹⁵.

საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობისას ბაქრაძემ, თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, შეძლო მნიშვნელოვანწილად დაეღწია თავი „ქართლის ცხოვრების“ თხრობის პრინციპისაგან და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი საკვებით ახლებურად გადმოეცა თავის შრომებში, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორიის მთავარ წყაროდ ის მაინც „ქართლის ცხოვრებას“ ხედავდა¹⁶ და დიდი შრომა გასწია ამ ძეგლის კრიტიკული შესწავლისათვის.

დ. ბაქრაძის შრომა „ქართლის ცხოვრების“ შესასწავლად წინაღუდ-გა ზოგიერთი დიდმპყრობელური შოვინიზმით მოწამლული მეცნიერის პუბლიკაციას, რომლებიც უარყოფდნენ ქართული კულტურის სიძველეს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დ. ბაქრაძის გამოსვლას იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ქ. პატკანოვის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც ცნობილია, თავისი წერილით «О древней грузинской хронике» შეეცადა გაეყალბებინა საქართველოს

¹³ დ. ბაქრაძე სავანეებოდ აღნიშნავდა, რომ ქართული საისტორიო წყაროების გამოკვლევას მ. ბროსემ ჩაუყარა საფუძველი (იხ. დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები, თბ., 1884, გვ. 2).

¹⁴ მ. დ უ შ ბ ა ძ ე. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, გვ. 107.

¹⁵ ი ქ ვ ე, გვ. 167. იხ. აგრეთვე ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე. დიმიტრი ბაქრაძე, თბ., 1891, გვ. 20.

¹⁶ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ისტორია საქართველოსი, გვ. 39.

ისტორია და დამტკიცებინა თითქოს „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ VI-ის დროს იყო შედგენილი XVIII საუკუნეში¹⁷.

დ. ბაქრაძემ ამის პასუხად გამოქვეყნებული სპეციალური წერილით „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“ ვახტანგ VI-ის ქართლის ცხოვრების“ XVIII ს. ძეგლად გამოცხადების ცდა, დაბეჭდვით უჩვენა მასში შესული თხზულებების სიძველე და ამხილა პატკანოვის მეცნიერული არაკეთილსინდისიერება, რისი ერთ-ერთი გამოვლინება იყო ქართული და სომხური წყაროებისადმი არათანაბრად ობიექტური დამოკიდებულება. ბაქრაძის სიტყვით, ნამდვილი მკვლევრისათვის „ერთგვარ ძვირფასია როგორათაც სომხური, აგრეთვე ქართული წყაროები, ჩვენის ფიქრით, ერთმა მეორე უნდა შეასწოროს და შეავსოს“¹⁸.

პატკანოვმა „ქართლის ცხოვრებაში“ მოტანილი ერთი საექვო ცნობა სომეხთა და ქართველთა სამღვდლო დასებს შორის შექმნილი დავის შესახებ ისტორიულ ჭეშმარიტებად გამოაცხადა და მასზე დაყრდნობით მთელ ქართველ ხალხს ფანატიკოზობა დასწამა. ამის საპასუხოდ დ. ბაქრაძე პატკანოვს სომხურ მწერლობაზე უთითებს, სადაც კიდევ უფრო მეტი იყო ამგვარი ხასიათის ცნობები და აღნიშნავს: „მაგრამ ნუ თუ იგინი უმტკიცებენ სომხის მეცნიერს ქართველობის ფანატიკოზბას, ანუ ქართველ მეცნიერს სომხის ფანატიკოზბას?“¹⁹ შემდეგ ბაქრაძე იხსენებს თუ როგორ დასწყევლა ქართველები 596 წ. სომეხთა კათალიკოსმა აბრამმა და ასკვნის: „ამგვარი ფაქტი ამტკიცებს ფანატიკოზბას, მაგრამ ვისას? სამღვდლოს დასისას, ისიც, ჩვენის ფიქრით, მცირედის ნაწილისას, და არა მთელის დასისას... ჩვენ არ ვიცით მაგალითი, რომ ოდესმე სომეხობას და ქართველობას ძველებური დამოკიდებულება ერთმანეთში შეეწყვიტოს“²⁰. ამ შენიშვნით ქართველმა მეცნიერმა პატკანოვს წყაროებისადმი კრიტიკული და კეთილსინდისიერი მიდგომის მაგალითი უჩვენა.

დ. ბაქრაძემ თავისი მეცნიერული კვლევა-ძიებით საბოლოოდ დაადასტურა ჯერ კიდევ მ. ბროსეს მიერ წამოყენებული მოსაზრება, რომ „ქართლის ცხოვრება“ XVIII საუკუნის ძეგლი არ იყო. ბაქრაძემ აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ მარია დედოფლისეული ნუსხა, გადაწერილი 1633—1646 წლებში. გამოარკვია, რომ გარდა ამისა არსებობდა კიდევ ვახტანგამდე შედგენილი „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნუსხებიც. საინტერესო მოსაზრება წამოაყენა დ. ბაქრაძემ „ქართლის ცხოვრების“ პალეოგრაფიული განხილვის საფუძველზე. მისი აზრით, ძველი „ქართლის ცხოვრება“ იწერებოდა იმ დროს, როდესაც მხედრული დამწერლობა ჯერ არ არსებობდა და მხოლოდ ნუსხური ანბანი იყო გავრცელებული. „როგორც ვიცით, — წერს ისტორიკოსი, — ხუცურში ზოგიერთი ასო, მაგ., შ და ბ, ტ და ძ, ი და ლ ერთმანეთში ძნელად გაიჩვენა; ამის გამო მწერლებს ძველადვე ეს ასოები მხედრულის ხელით გადაწერილს „ქართლის ცხოვრებაში“ აურევიათ და ამ მიზეზით, მაგალ., ნაცვლად შიოშისა,

¹⁷ Патканов, О древней грузинской хронике, Журнал Министерства народного просвещения, ч. ССХХХ, декабрь, 1883.

¹⁸ დ. ბაქრაძე. პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები, გვ. 3.

¹⁹ იქვე, გვ. 5.

²⁰ იქვე, გვ. 6.

არშაკისა, არღაშორისა, მობიდანისა, შაბურისა, აბალასი, შანქორისა, დარია-
ლანისა, ჯვანშერისა, მურღულისა ჰკითხულობთ ბიობ, არბაკ, არღაბირ, მი-
შიდან, ბაბურ, აშალ, ბანქორი, ჯვანბერი, დარღალანი, მუძღული და სხვ. ამ-
გვარი შეცდომები დ. ბაქრაძემ XII საუკუნის ე. წ. „სომხურ ქრონიკასა“ და
XIII საუკუნის მხითარ აირივანქელის „ქრონოლოგიურ ისტორიასში“ შე-
ნიშნა²¹.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დ. ბაქრაძე საქართველოს ისტორიის
მთავარ წყაროდ „ქართლის ცხოვრებას“ თვლიდა. იგი მაღალ შეფასებას აძ-
ლევდა ამ ძეგლს, მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებდა მის ნაკლოვან მხარეებს
და კრიტიკული განხილვის გარეშე მასში მოცემული მასალით არ სარგებლობ-
და. იგი, უპირველეს ყოვლისა, „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხების
შედარებით ცდილობდა რაც შეიძლება უფრო სრული სახით აღედგინა თავ-
დაპირველი ტექსტი, ვინაიდან „რამდენი დედანიც კი არის ახლა სხვა-და-სხვა
დროისა, ყველა განსხვავდება ერთი მეორისაგან თავის შინაარსით და რაც ძვე-
ლია დედანი, ისე განსხვავდება მეტია... აქ საჭიროა ხანგრძლივი შრომა... სა-
ჭიროა შედარება ერთის ვარიანტისა მეორესთან და მესამესთან“, — წერდა
ბაქრაძე²². გარდა ამისა, ჩვენი ისტორიკოსი ქართულ წყაროებს, შევსება-და-
დასტურების მიზნით, შეძლებისდაგვარად ადარებდა არაქართული (სომხური,
ბერძნულ-რომაული, აღმოსავლური) წყაროების მონაცემებთან. ამასთან, იგი
აღნიშნავდა, რომ IV—XII საუკუნეების ზოგიერთი სომეხი, ბერძენი და სი-
რიელი ავტორის ცნობა საქართველოსა და კავკასიის შესახებ შესაძლებელია
დამყარებული იყო ძველი ქართული წყაროების მასალაზე²³.

როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრება“ შუა საუკუნეების ყველა სხვა
მატიანის მსგავსად ბევრ უზუსტობასა და გაზვიადებულ ამბავს შეიცავს. დ. ბა-
ქრაძემ ამ ძეგლზე მუშაობის დროს მთელი რიგი ასეთი ადგილები აღმოაჩინა.
მაგალითად, მან უარჰყო „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობა ალექსანდრე მაკე-
დონელის მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ, თუმცა დასაშვებად მი-
იჩნია რომ ქართლი დაელაშქრა მაკედონელთა არმიის რომელსამე ნაწილს²⁴.

ასევე არ გაიზიარა ბაქრაძემ მათიანეს ცნობა თითქოს ტერმინი „აზნაური“
ქართლის ლეგენდარული გამგებლის — აზონის სახელიდან მომდინარეობდა.
მისი დასკვნით ქართული აზნაური ისევე როგორც სომხური აზნატი ირა-
ნული აზნატიდან (კეთილშობილი) მომდინარეობდა.

„ისტორია საქართველოსი“ აკრიტიკებს აგრეთვე ჯუანშერის თხზულების
ზოგიერთ მხარეს. ბაქრაძის სიტყვით: „ვახტანგის ცხოვრება... ისეა შედგენი-
ლი, რომ ზღაპრულ მოთხრობას მიემსავლავს; მაგ., იმისი გმირული თვისება
და პირადი ბრძოლა სხვა და სხვა ბუმბერაზებთან ანუ გოლიათებთან; მისი
ბევრთა-ბევრეული ლაშქრები; ასი ათასობით მტრის დატყვევება; ყველგან
ძღვეამოსილი გამარჯვება, — ყოველივე ეს, ვიმეორებთ, სრულიად არაკი თუ

²¹ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ისტორია საქართველოსი. გვ. 46—47; იხ. აგრეთვე, ვ ა ხ უ შ ტ ი. სა-
ქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არქეოლოგიურისა და
ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ. ნაწ. I, თბ., 1885, გვ. XXII.

²² დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ისტორია საქართველოსი, გვ. 43.

²³ ი ქ ვ ე, გვ. 50.

²⁴ ი ქ ვ ე, გვ. 77—78.

არ არის, უეჭველად გაზვიადებული პანეგირიკისაგან²⁵. ამ სავეტიით სწორი შეხედულების გვერდით, ჩვენი აზრით, ბაქრაძის უნდობლობა ჭუნაშვირისადმი მაინც რამდენადმე გადაჭარბებულია. ჩვენი ისტორიკოსის ვარაუდით, ვახტანგ გორგასალს თავისი მეომრული ბუნების მიუხედავად, არ შეეძლო „არა-ვითარი წინააღმდეგობა მიეგო სპარსეთისათვის“²⁶. ეს აზრი, რა თქმა უნდა, სავეტიით სწორი არ არის. ქართული და სომხური წყაროები დამაჯერებლად გვიჩვენებენ, რომ ვახტანგის მეთაურობით გაშლილი ბრძოლა სასანიანთა წინააღმდეგ სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მათ ბატონობას ამიერკავკასიაში.

„ქართლის ცხოვრებასთან“ ერთად დ. ბაქრაძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა სხვა ქართულ ნარატიულ წყაროებსაც, მან პირველმა გამოიყენა ისტორიისათვის IX საუკუნის მატთან „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც მოთავსებულია X საუკუნის „შატბერდისეულ კრებულში“. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არსებობა ბაქრაძეზე ცოტა ადრე აღნიშნული ჰქონდათ ნ. მარსა და თ. ჟორდანიას. დ. ბაქრაძე მალალ შეფასებას აძლევდა ამ მატთან, რომელიც, მისი სიტყვით, ბევრ რამეში ავსებდა „ქართლის ცხოვრებას“. „ამ წყაროს შემწეობით, — წერდა ბაქრაძე, — ახლა შეგვიძლიან ჩვენ თითქმის შევიგნოთ, მაგალითებრ, ვინ იყვნენ, სხვათა შორის, წმ. ესტატე მცხეთელის ცხოვრებაში ნაჩვენები ქართლის პიტიახში არშუშა, ანუ მეცხრე საუკუნის მანუსკრიპტში ჩართულის წმ. აბოს ცხოვრების პირნი... ამ გვარადვე ასახელებს იგი ყველა კათალიკოზებს, იმათ შორის იმათაც, რომელთაც ქ-ცხბაში ჩვენ ვერა ვპოულობთ. პოლიტიკური მდგომარეობაც და უცხოელთ მფლობელობაც აგრეთვე გარკვევით არის ნაჩვენები“²⁷.

„მოქცევაჲ ქართლისა“ ბაქრაძის ხელში მოხვდა მაშინ, როდესაც უკვე იბეჭდებოდა მისი „ისტორია საქართველოსი“. შემდეგში ისტორიკოსი მიზნად ისახავდა ეს მატთან უკვე საფუძვლიანად შეედარებინა „ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა წყაროების ცნობებთან²⁸.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დ. ბაქრაძე აგიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებებსაც, ვინაიდან ისინი ხშირად გადმოგვცემენ ისეთ ცნობებს, რომელთა შესახებ არაფერია ნათქვამი სხვა წყაროებში. „ისტორია საქართველოსი“ შეიცავს ცნობებს შუშანიკის, ევსტათი მცხეთელის, აბო ტფილელის, გობრონის და სხვა ქრისტიანული წმინდანების „მარტილობებიდან“. დ. ბაქრაძე ამ ცნობებს უდარებდა „ქართლის ცხოვრების“ მასალებს და ამ გზით ცდილობდა ამ უკანასკნელის რამდენადმე შეესებას.

არანაკლები ყურადღებით ეკიდებოდა დ. ბაქრაძე ქართულ დოკუმენტურ წყაროებს (სიგელ-გუჯრები, იურიდიული და პოლიტიკური აქტები და სხვ.). იგი მათ გარდასულ დროთა უტყუარ მოწმეებად თვლიდა, რომლებიც ბევრ რამეში ავსებდნენ ან ადასტურებდნენ ნარატიული წყაროების მონაცემებს, აზუსტებდნენ ქრონოლოგიას და სხვ.

ფართოდ იყენებს დოკუმენტურ წყაროებს დ. ბაქრაძე ვახუშტი ბაგრა-

²⁵ იქვე, გვ. 167.

²⁶ იქვე, გვ. 168.

²⁷ იქვე, გვ. 57—58.

²⁸ იქვე, გვ. 58.

ტიონის „საქართველოს ისტორიის“ კომენტარებისას. საერთოდ ეს „ისტორია“ მას გამოცემული აქვს იმ დროის წყაროთმცოდნეობის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე. ვახუშტისეულ ტექსტს ბაქრაძემ შენიშვნებებს, სახით დაურთო საინტერესო კომენტარები, სადაც განალიზებულია ისტორიის „ცნობები, შედარებულია ისინი როგორც ქართული სიგელ-გუჯარებისა და ეპიგრაფიკული მასალების მონაცემებთან, ისე არაქართულ (ბერძნულ-რომაულ, სომხურ, ბიზანტიურ, არაბულ, სპარსულ) წყაროებთან. შენიშვნებში განმარტებულია, აგრეთვე, XIX ს. მკითხველისათვის გაუგებარი ტერმინები და გეოგრაფიული სახელწოდებები, მოყვანილია იმ დროის ისტორიულ მეცნიერებაში არსებული შეხედულებები და სხვ.

ზემოთ მოტანილი მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ დ. ბაქრაძე თეორიული წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით სავსებით სწორ პოზიციებზე იდგა. მას ძალიან კარგად ესმოდა, რომ საისტორიო წყარო მოითხოვდა ყოველმხრივ კრიტიკულ მიდგომას, რომ საჭიროა წყაროების გამოვლინება და გამოყენება ისტორიული ცხოვრების ყველა მხარის შესწავლისათვის, და, ბოლოს, ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო უკლებლივ ყველა ხასიათის საისტორიო წყაროს მოშველიება. მართალია, დ. ბაქრაძემ ვერ მოასწრო ამ მეთოდური პრინციპების ფართო განხორციელება თავის კონკრეტულ-ისტორიულ გამოკვლევებში, მაგრამ რაც შემთხვევებში მოგვცა ამგვარი გამოკვლევის შესანიშნავი ნიმუშები.

საქართველოს ისტორიის ყოველმხრივი შესწავლა ბაქრაძისეული წყაროთმცოდნეობითი პრინციპების ფართო გაშლით ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების შემდგომი ეტაპი იყო, რომელიც დაკავშირებულია დ. ბაქრაძის უშუალო მიმდევრის, სასიქადულო ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის სახელთან.

Г. З. АНЧАБАДЗЕ

ДИМИТРИЙ БАКРАДЗЕ — ВИДНЫЙ ПРЕДСТАВИТЕЛЬ ГРУЗИНСКОГО ИСТОЧНИКОВЕДЕНИЯ

Резюме

Димитрий Бакрадзе был крупнейшим представителем грузинской историографии XIX в. В своих трудах по истории Грузии он, в отличие от своих предшественников, широко использовал все известные ему типы исторических источников (письменные, вещественные, лингвистические и др.). С точки зрения теоретического источниковедения, Д. Бакрадзе, как источниковед стоял на верных позициях. Он хорошо понимал, что исторический источник требует всестороннего критического подхода, что необходимо выявлять и изучать источники для освещения всех сторон исторической жизни, и, наконец, для достижения этой цели нужно использовать все типы исторических источников. Правда, Д. Бакрадзе не успел широко внедрить эти методологические принципы в своих конкретно-исторических исследованиях, но в целом ряде случаев он дал замечательные примеры подобного исследования.

რედაქცია

ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის
წყაროთმცოდნეობა¹

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივ სამეცნიერო მემკვიდრეობაში საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ივ. ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მიაქცია ყურადღება წყაროთმცოდნეობის საკითხებს. „მკვლევარს წყაროთმცოდნეობითი ინტერესები არასოდეს არ შენელება“². ეს პრობლემატიკა მუდმივად რჩებოდა მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროში, მას მიუძღვნა მეცნიერმა არაერთი ფუძემდებლური ნაშრომი, რომლებშიც ჩამოყალიბებულია საყურადღებო დებულებები როგორც თეორიული, ისე კონკრეტული წყაროთმცოდნეობის დარგში.

საბჭოურ წყაროთმცოდნეობით ლიტერატურაში აღნიშნულია ის სიძნელებები, რაც თან ახლავს წყაროთმცოდნეობის თეორიიდან პრაქტიკისაკენ და პირუკუ რეალური გადასვლების გზების ძიებას³. უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილი წარმატებით ართმევდა თავს ამ სიძნელეს. მის ნაშრომებში გვხვდება არაერთი შესანიშნავი ნიმუში ზოგად წყაროთმცოდნეობით დებულებათა პრაქტიკულ მეცნიერულ მუშაობაში გამოყენებისა.

წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიულ ასპექტს, ანუ ისტორიკოსთა წყაროთმცოდნეობითი ნაღვანის შესწავლასა და შეფასებას, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ისტორიკოსის დამოკიდებულება წყაროსადმი, მისი გამოყენების ფორმები და მეთოდები მეტწილად განსაზღვრავენ მკვლევარის პროფესიული ოსტატობის დონეს⁴. ამასთან ერთად, ამ გამოცდილების შესწავლა და განზოგადება აუცილებელია წყაროთმცოდნეთა ახალი თაობების აღზრდისა და დაოსტატებისათვის, წყაროთმცოდნეობის მეთოდის შემდგომი დახვეწისა და სრულყოფისათვის.

¹ წაითხულება მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე (1976 წ. 7—8. X), რომელიც მიეძღვნა ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავს. იმეჭლება მცირე ცვლილებებით.

² ივ. ჯ. დ. ნ. დ. უ. ა. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი (აკად. ი. ჯავახიშვილის დაბადების 85 წლისთავის გამო). — „საისტორიო ძიებანი“, I, თბ., 1967, გვ. 12.

³ Сб. «Источниковедение. Теоретические и методические проблемы», М., 1969. Отредактировано, с. 5.

⁴ Э. Г. Чумаченко. В. О. Ключевский — источниковед. М., 1970, с. 5; С. О. Шмидт. Современные проблемы источниковедения. В сб.: «Источниковедение. Теоретические и методические проблемы», с. 7.

წყართომცოდნეობის დარგში ისტორიკოსის მოღვაწეობის შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ორი მხარე: 1. საკუთრივ წყართმცოდნეობითი თემატიკისადმი მიძღვნილი გამოკვლევები. მათში მკვლევარი ცდილობს გააანალიზოს წყართა რომელსამე სახეობაზე ან ჯგუფზე საკუთარი მუშაობის გამოცდილება და განსაზღვროს რამდენად, რა პირობებში შეძლება ამ მეთოდის გამოყენება სხვა მეცნიერული პრობლემების გადასაწყვეტად. 2. ისტორიის კონკრეტულ პრობლემებზე დაწერილი ნაშრომების წყართმცოდნეობითი ასპექტი — გამოყენებულ წყართა წრე, წყაროებისადმი დამოკიდებულება, მათი გამოყენების მეთოდთა და ა. შ. ისტორიკოსის საქმიანობის ამ მხარის შესწავლა გულისხმობს მისი შემოქმედებითი ლაბორატორიის ღრმად გაცნობას, ეს კი ყოველთვის არ არის ადვილი, რადგან მეცნიერული ძიების პროცესის უდიდესი ნაწილი, როგორც წესი, გამოქვეყნებული შემაჯამებელი ნაშრომის მიღმა რჩება. ამის გამო წყართმცოდნეს ზოგჯერ შეიძლება მოუხდეს მთელი იმ მრავალწლიანი სამუშაოს გამოვრება, რაც კონკრეტულ-ისტორიული გამოკვლევის ავტორს ჩუბტარებია თავის დროზე.

მცირე მოცულობის ერთ წერილში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ივ. ჯავახიშვილის წყართმცოდნეობითი მოღვაწეობის რამდენადმე სრული დაბასიათება. ჩვენ არც გვაქვს ამის პრეტენზია. წერილში მხოლოდ აღწუსებულია ამ დიდი შემოქმედებითი შრომის უმთავრესი მომენტები და ყურადღება გამახვილებულია უპირატესად სპეციალურ წყართმცოდნეობით ნაშრომებზე. კერძოდ, მოკლედ არის განხილული ისეთი საკითხები, როგორც არის ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა თეორიული წყართმცოდნეობის დარგში, მისი წვლილი საქართველოს ისტორიის წყართმცოდნეობის შექმნაში, მისი შეხედულებანი საისტორიო წყაროების მეცნიერული პუბლიკაციის საკითხებზე.

ძირითადი მეთოდური პრინციპები წყართმცოდნეობის დარგში ივ. ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის რევოლუციამდელ პერიოდში ჩამოაყალიბა. ეს საკითხები გაშუქებულია მის ნაშრომში, რომელიც 1916 წელს გამოიცა მრავლისმეტყველი სათაურით: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ესლა. წიგნი პირველი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“. ეს წიგნი, ავტორისავე სიტყვით, იწერებოდა თანდათანობით, „ქამითი-ქამად“, 1898 წლიდან, და ძირითადად დასრულებული იყო 1910 წლისათვის⁵. ივ. ჯავახიშვილმა განიზრახა დეტალურად შეესწავლა ძველი ქართული საისტორიო ლიტერატურა მიზნის, წყაროებისა და მეთოდების მხრივ⁶. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნის პირველი გამოცემიდან უკვე 60 წელზე მეტი ხანი გავიდა, მას არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება, ხოლო იქ დაბეჭდილი ბევრი ნარკვევი დღესაც რჩება ერთადერთ განმარტავადებელ ნაშრომად ცალკეული ძველი ქართული საისტორიო თხზულებების შესახებ.

„ძველი ქართული საისტორიო მწერლობით“ ივ. ჯავახიშვილი წარმოგვი-

⁵ В. В. Журавлев. Некоторые вопросы конкретного источниковедения истории советского общества в литературе 50—70-х годов. В сб. «Источниковедение отечественной истории. 1975». М., 1976, с. 108.

⁶ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. მეორე-მესამე შეესებული გამოცემა, თბ., 1945, გვ. 7—8.

⁷ იქვე, გვ. 7.

დგება როგორც ნოვატორი მკვლევარი, როგორც მოაზროვნე წყაროთმცოდნე, მან წამოაყენა და დაასაბუთა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ძირითადი მეთოდური საკითხები.

საისტორიო მეცნიერების ძირითადი საშენი მასალა წყაროთმცოდნეობის ფაქტები. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიოგრაფიას ლიბერალური მატებები ჰქონდა ფაქტების მოპოვებისა და პირველადი დამუშავების საქმეში⁸. აღებული ხანის ქართველ ისტორიკოსებსაც ფაქტების შეგროვება მიიჩნედათ თავიანთ ძირითად ამოცანად. მაშინ „ქართული საისტორიო წყაროების კრიტიკულს შესწავლას ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევდნენ“⁹.

საისტორიო წყაროების კრიტიკა წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. კრიტიკის მიზანია წყაროს წინასწარი შესწავლა და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა ისტორიული პროცესის ამა თუ იმ მხარის შემდგომი კვლევის საქმეში¹⁰. წყაროებზე ივანე ჯავახიშვილის მუშაობის მეთოდის სრულად დახასიათებისათვის აუცილებელია აღინიშნოს, რომ მან სერიოზული ყურადღება მიაქცია საისტორიო ძეგლების კრიტიკასა და ანალიზს. სწორედ იმ პერიოდში, როცა ივ. ჯავახიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა, XIX საუკუნის მიწურულსა და XX სა-ის დამდეგს, ბურჟუაზიული მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლების, შ. ლანგლუასა და შ. სენიობოსის, ე. ბერნაიმის, ა. ლაპო-დანილევსკის მიერ შემუშავებულ იქნა წერილობითი წყაროების მეცნიერული ანალიზის მეთოდია, რომელიც ითვალისწინებდა წყაროთა ე. წ. გარეგან და შინაგან კრიტიკას¹¹. ივ. ჯავახიშვილმა წარმატებით აითვისა და ქართული წერილობითი წყაროების შესწავლის დროს ფართოდ გამოიყენა ეს კრიტიკული მეთოდი. თუ მანამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში წყაროების მხოლოდ გარეგან კრიტიკას ეწოდებოდა, ივ. ჯავახიშვილმა შემოიტანა შინაგანი, „უმალღესი“ კრიტიკა, ფაქტების კრიტიკა. ასეთი კრიტიკული შესწავლის შედეგად, ნ. ბერძენიშვილის მართებული თქმით, ივ. ჯავახიშვილმა „არაერთი საისტორიო წყარო, რომლის სანდობაში აქამდის ევკვიც არავის შესდიოდა, უღმობელი კრიტიკის სინათლეზე გამოიტანა და უკუაგოდა, არაერთი პატრიოტული ვადმოცემა, ხალხური შემოქმედების ლამაზი ნაყოფი, როგორც ისტორიისათვის უვარგისი წყარო, შეუბრალებლად გასწირა“¹². იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილი წყაროთა შინაგან კრიტიკას, რომ თავის ნაშრომებში ხშირად გამოჰყოფდა საგანგებო პარაგრაფებსაც კი, სადაც საკვლადაგულოდ არჩევდა და აანალიზებდა წყაროს უკლებლივ ყველა ცნობას საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

⁸ Историография. СИЭ, т. 6, с. 467 (автор Е. Б. Черняк). ა. ზემინი „ფაქტის წყაროთმცოდნეობას“ უწოდებს ამ პერიოდის წყაროთმცოდნეობას (А. А. Зимиин. Трудные вопросы методики источниковедения Древней Руси. — В сб. «Источниковедение. Теоретические и методические проблемы», с. 429).

⁹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 11.

¹⁰ უნდა აღინიშნოს, რომ წყაროს კრიტიკა“ ნიშნავს მის შესწავლასა და ანალიზს და არა გაკიცხვა-განქიქებას, როგორც ზოგჯერ ეგონათ ხოლმე.

¹¹ დაწვრ. იხ. А. П. Пронштейн. Методика исторического источниковедения Ростов-на-Дону, 1976, с. 7—8. სპეციალისტები დღესაც კამათობენ ამ ტერმინების გამო, მაგრამ ჯერჯერობით „გარეგანი“ და „შინაგანი“ კრიტიკა ინარჩუნებს თავის უფლებებს წყაროთმცოდნეობით გამოკვლევებში.

¹² ნ. ბერძენიშვილი: საქართველოს ისტორიის საკითხები. III, თბ., 1966, გვ. 344.

ისტორიკოსი მოვალეა გამოიყენოს გამოკვლევაში ყველა არსებული წყარო, რომელშიც მოიპოვება მასალა მის მიერ შერჩეული თემისათვის; იგი მოვალეა გაითვალისწინოს წყაროში შემონახული ყველა ფაქტი, მთელე ერთობლიობა ფაქტებისა. წყაროებიდან ამოკრებილი ცალკეული ფაქტების ანალიზის, მათი ურთიერთშედარებისა და შემდგომი სინთეზის შედეგად ხერხდება ისტორიული მოვლენის შეძლებისდაგვარად უტყუარი სურათის აღდგენა.

ივანე ჯავახიშვილის კვლევითი მუშაობის მეთოდისათვის დამახასიათებელია ყველა მისაწვდომი, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროს გამოყენება, საისტორიო წყაროში დამოწმებული ყველა ფაქტის ფიქსირება და გათვალისწინება. ზოგიერთი მკვლევარი ნებისმიერად ირჩევს წყაროდან მასალას, იღებს მისი მოსაზრების დამადასტურებელ ცნობებს და უყურადღებოდ სტოვებს, ჩქმალავს „ზედმეტ“ ფაქტებს. ივ. ჯავახიშვილს, ჩვეულებრივ, ყველა ცნობა მოჰქონდა წყაროებიდან, კრიტიკული განხილვის შედეგად აღდგენდა მათ სანდოობას და მხოლოდ ვარგის მასალას იყენებდა გამოკვლევაში. ამასთან, განსაკუთრებით გულდასმით და ყოველმხრივ იხილავდა იგი იმ ცნობებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მის საკუთარ ჰიპოთეზას.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის ქართულ ისტორიოგრაფიაში აქტუალურად იყო მიჩნეული „ქართლის ცხოვრების“ საკითხი. მაგრამ წყაროთა ყოველმხრივი ანალიზის ნაცვლად მაშინდელ ქართველ ისტორიკოსებს უპირატესად აინტერესებდათ თუ ვინ და როდის შეადგინა „ქართლის ცხოვრება“ და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მისი თითოეული ნაწილი თანამედროვის მიერ იყო დაწერილი¹³.

საისტორიო წყაროს შედგენის თარიღის განსაზღვრას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სანდოობის დასადგენად, მაგრამ არა გადამწვევტი. ივ. ჯავახიშვილს საკმარისად არ მიაჩნდა საისტორიო წყაროს განხილვა და შეფასება მხოლოდ მისი ავტორის თანამედროვეობის თვალსაზრისით. მისი აზრით, „მატიანე და ჟამთააღმწერელი შეიძლება თანამედროვეც იყოს, მაგრამ თუ ამასთანავე მოთხრობილის თანადადამხუდარი არ არის, ან თუ მისი მოამბე სარწმუნო თანადადამხუდარი და თვითმხილველი არ იყო, მის მოთხრობას დიდი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს“¹⁴. მკვლევარი თვლიდა, რომ ავტორის თანამედროვეობასთან ერთად აუცილებლად უნდა გამორკვეულიყო მისი პიროვნება, განათლება, აზროვნება და მედასეობა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე ივანე ჯავახიშვილი ჟამთააღმწერლის მიერ გამოყენებული წყაროების ხასიათის, ავტორის წერის წესისა და მეთოდის დადგენას¹⁵.

საბჭოური წყაროთმცოდნეობა წერილობითი წყაროს უტყუარობის დად-

¹³ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 11.

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 12. ა. პრონშტეინის აზრით, თხრობითი წყაროების შესწავლის დროს ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს, რომ თანამედროვე ავტორის ცნობები შეიძლება ყოველთვის არ იყოს უტყუარი, ზუსტი და სრული. წყაროს შემდგენელს შეიძლება არაზუსტი და არასრული ინფორმაცია ჰქონოდა მიღებული. ის შეიძლება და რომელიმე მოვლენის უშუალო მომსწრე და მონაწილეც კი ყოფილიყო, მაგრამ ვერ შეენიშნა ზოგიერთი ფაქტი ან ვერ გაეგო მათი მნიშვნელობა, ხოლო მის მიერ მიღებული ინფორმაცია შეიძლება სწორი არ გამომდგარიყო (А. П. Пронштейн. Методика исторического источниковедения, с. 449).

¹⁵ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 12.

გენასთან ერთად გადაშვრელ მნიშვნელობას ანიჭებს მისი იდეური მიმართულების განსაზღვრასაც. წყაროს შემდგენელი ყოველთვის გვევლინება ამა თუ იმ კლასის, სოციალური ჯგუფის, პარტიის ინტერესთა გამოხატველად. ამიტომაც წერილობითი წყარო ხშირად ტენდენციურია, მიკერძოებას იჩენს გარკვეული პოლიტიკური ძალებისადმი¹⁶. ამიტომ საისტორიო წყაროს ლირსება-ნაკლოვანებათა შეფასების დროს პირველ რიგში აუცილებელია მისი კლასობრივი ანალიზი. მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს როგორც შესაბამისი ეპოქის თავისებურებანი, ისე წყაროს შემდგენლის კლასობრივი, სახელმწიფოებრივი, ეროვნული, სოციალური, კულტურული კუთვნილება¹⁷.

ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში შეითვისა თანამედროვე წყაროთმცოდნეობის ეს ძირითადი პრინციპი. წყაროს შესწავლის აუცილებელ წინაპირობად მას მიაჩნდა მისი ავტორის ან შემდგენლის პარტიულობის გამორკვევა. მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „აღმწერელის თვალსაზრისი, წოდება და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თავისს ძლიერს დაღს ასევეს ხოლმე და ნება-უნებლიედ მიუდგომელობაზე მოქმედებს“¹⁸. ამ დებულების საილუსტრაციოდ ივ. ჯავახიშვილს სათანადო მაგალითებიც მოჰყავდა: „მაცდური სოფლის“ მოძულე მემატინე ბერი თავისუფალი აზროვნებისა და ყოფაცხოვრების მიმდევარ სახელმწიფო მოღვაწეთა დახასიათებისას პირუთენელობას ვერ გამოიჩენდა, ხოლო მეფეთა პოლიტიკის მომხრე კარის მემატინე მეფეთა საძრახის საქციელს ან სათაჯილო ამბებს არ შეიტანდა თავის თხზულებაში, მეფეთა მოწინააღმდეგე აზნაურთა მიმართ კი სიძულვილს ვერ დაფარავდა და სხვ.¹⁹.

ამგვარად, დღესაც საგვსებით თანამედროვედ ჟღერს ივ. ჯავახიშვილის მოთხოვნა ისტორიკოსის მედასეობის ან პარტიულობის წინასწარ გამორკვევის შესახებ. სწორედ ასეთი მიდგომით, ამ მეთოდით შეისწავლა მან ყოველი ძველი ქართველი ისტორიკოსის შემოქმედება, რამაც საშუალება მისცა მკვლევარს ძირითადად სწორად შეეფასებინა მათი იდეური მიმართულება და, შესაბამისად, თხრობის ობიექტურობაც.

წყაროთა კლასიფიკაციასა და სისტემატიზაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საისტორიო მეცნიერებაში. ივ. ჯავახიშვილმაც მიაქცა ყურადღება ამ პრობლემას. ბუნებრივია, რომ იგი ძირითადად წერილობით ძეგლებს იკვლევდა. მართალია, ივ. ჯავახიშვილს საგანგებოდ არ ჩამოუყალიბებია საისტორიო წყაროთა კლასიფიკაციის პრინციპები და არც სრული კლასიფიკაცია მოუცია, მაგრამ წერილობით ძეგლებს იგი ჰყოფდა ორ დიდ ჯგუფად²⁰ — თხრობით და

¹⁶ Л. В. Черевнин. К. Маркс и Ф. Энгельс и некоторые проблемы исторического источниковедения. — В сб. «Источниковедение. Теоретические и методические проблемы», с. 204; Я. С. Лурье. О некоторых принципах критики источников. — В сб. «Источниковедение отечественной истории». I, М., 1973, с. 78; Л. Н. Пушкарев. классификация русских письменных источников по отечественной истории. М., 1975, с. 24—26.

¹⁷ С. О. Шmidt. Современные проблемы источниковедения, с. 41.

¹⁸ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 12.

¹⁹ იქვე.

²⁰ მეცნიერი «ღარკებს» უწოდებდა ამ ჯგუფებს (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიველთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. ტფ., 1926, გვ. III). ლ. პუშკარიოვის კლასიფიკაციით, ამ ტერმინის შესაბამისია «გვარი» (род) — Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников по отечественной истории, с. 8, 206—217).

დოკუმენტურ წყაროებად. თითოეული ამ ჯგუფის შესწავლას მან სპეციალური მონოგრაფიები მიუძღვნა.

ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ მრავალსაუკუნოვან ქართულ ჯარსთა მწერლობაში არსებობდა ისტორიულ ნაწარმოებთა ყველა სახეობა და წიგნების უმარტივესი მატრიანეებით, რომლებშიც მხოლოდ ამბავია მოთხრობილი, ისეთ რთულ საისტორიო ნაწარმოებებამდე, როგორიც არის გიორგი მერჩულეს, ბასილი ზარზმელის, გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირეს, დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსების და ვახუშტი ბაგრატიონის შესანიშნავი თხზულებები²¹.

მკვლევარმა საგანგებოდ შეისწავლა საისტორიო ნაწარმოებთა აღმნიშვნელი ტერმინები და მათი ანალიზის საფუძველზე დაადგინა შუა საუკუნეთა ქართულ თხრობით წყაროთა ძირითადი სახეობანი. საისტორიო თხზულების უძველესი სახე იყო მოწამეთა ცხოვრების აღწერა — „მარტილობა“ (მისი ქართული შესატყვისია „წამება“). წმინდანთა თავგადასავლის აღსანიშნავად იხმარებოდა „ცხოვება“ („ცხოვრება“). ეს ტერმინი შემდგომში საერთოდ საისტორიო თხზულებათა აღმნიშვნელ სახელად იქცა და სამოქალაქო ისტორიის ძეგლების მიმართაც იხმარებოდა²². შედარებით მარტივ, მხოლოდ მოვლენათა აღმწესხველ ან სიის მსგავსად შედგენილ საისტორიო ნაწარმოებს „მატიანე“ ეწოდებოდა. მაგრამ ზოგჯერ ამ ტერმინს უფრო ფართო მნიშვნელობითაც იყენებდნენ, საერთოდ „ისტორიის“ აღსანიშნავად (დავითის ისტორიკოსი²³, ვახუშტი ბაგრატიონი). საისტორიო თხზულების აღსანიშნავად გამოიყენებოდა აგრეთვე „ისტორია“ (თამარის პირველი ისტორიკოსი), „ჰამბავი“ ან „ამბავი“ (ლეონტი მროველი, პაპუნა ორბელიანი)²⁴. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ გამოყენებული „ქრონიკონების“ გამო მეცნიერი შენიშნავდა, „აქ ცხადია, ეგრეთწოდებული მატრიანეები, კვლოსები და ქრონოლოგიური მინაწერებია ნაგულისხმევი“—ო²⁵.

რაც შეეხება წერილობითი ძეგლების მეორე დიდ ჯგუფს — დოკუმენტურ წყაროებს, ივ. ჯავახიშვილმა ასეთი კლასიფიკაცია მოგვცა: 1. სახელმწიფო სამართლის ძეგლები, 2. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საბუთები, 3. კერძო წასიათის საბუთ-წერილები²⁶.

როგორც ვხედავთ, ქართული წერილობითი საისტორიო წყაროების ივ. ჯავახიშვილისეული კლასიფიკაცია ემყარება თვით ძეგლებში შემონახული ტერმინების ანალიზს. ასეთი პრინციპი კლასიფიკაციისა, რა თქმა უნდა, არ არის სრულყოფილი. ამის გამო კლასიფიკაციაც არ არის სრული და რამდენადმე მარტივადაც გამოიყურება. ამავე დროს აუცილებლად უნდა აღინიშნოს

²¹ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 14.

²² იქვე.

²³ ამის შესახებ დაწერ. იხ. კ. კეკელიძე. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია. „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. IV, თბ., 1957, გვ. 191—192; კ. გრიგოლია. „მატიანე ქართლისა“ და მისი დასათარგმნის საკითხისათვის. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976, გვ. 221—222, 225.

²⁴ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 15.

²⁵ იქვე, გვ. 16.

²⁶ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. გვ. 36—54.

ნოს ისიც, რომ ეს იყო ქართული საისტორიო წყაროების კლასიფიკაციის პირველი, საკმაოდ წარმატებული ცდა.


ივანე ჯავახიშვილმა მნიშვნელოვნად გააფართოვა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. გარდა იმისა, რომ მან გამოიყენა ქართული საისტორიო წერილობითი ძეგლების ყველა სახეობა (ისტორიული თხზულებანი, სიგელ-გუჯრები, ეპისტოლური მასალა, სამართლის ძეგლები, ხელნაწერთა მინაწერები, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ.), მანვე პირველმა დააყენა საკითხი ქართული მდიდარი აგიოგრაფიული ლიტერატურის გამოყენებისა საქართველოს ისტორიის შესასწავლად. მკვლევარმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ „ვისაც ქართული საისტორიო მწერლობის განვითარების შესწავლა სურს, არც შეუძლია და არც უფლება აქვს ქართულ საეკლესიო საისტორიო ძეგლებს, ქართველ მარტულთა და წმიდათა ცხოვრებებს გვერდი აუხვიოს და განუხილველი დასტოვოს“²⁷. ამიტომაც იყო, რომ „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ ერთი მესამედი ივ. ჯავახიშვილმა მარტვილობათა და წმინდანების ცხოვრებათა აღწერის განხილვას დაუთმო და აჩვენა მათი მნიშვნელობა როგორც საისტორიო წყაროებისა. კერძოდ, იაკობ ხუცესის თხზულების ღრმა ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა დააკვნა, რომ „შუშანიის ვრცელი „წამება“ ჯერჯერობით უძველესი ქართული საისტორიო ძეგლია და ვითარცა თანამედროვის, თანადამხდურისა და მონაწილის მიერ შედგენილი, ძვირფას და შინაარსიან საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს“²⁸. მეცნიერმა შეისწავლა აგრეთვე ქართული აგიოგრაფიული მწერლობის სხვა შესანიშნავი ძეგლები და ადგილი მიუჩინა მათ საისტორიო წყაროების რიგში. ამასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილმა მხოლოდ თეორიულად კი არ აღიარა აგიოგრაფიული ძეგლების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში, არამედ პრაქტიკულადაც გამოიყენა მათში დაცული მასალა არაერთი საყურადღებო საკითხის გადასაწყვეტად. მანვე ხაზი გაუსვა აგრეთვე სასულიერო მწერლობის წარმომადგენელთა დიდ დამსახურებას ქართული საისტორიო აზროვნების განვითარებაში. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „ქართული სამოქალაქო ისტორიის ისეთი ძეგლების, როგორც დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებებია, ნამდვილი ღირსება-მნიშვნელობის გათვალისწინება შეუძლებელია, თუკი თავდაპირველად ბასილი ზარზმელის, მეტადრე-კი გიორგი მთაწმინდელის, გიორგი ხუცესმონაზონისა და ეფრემ მცირის საეკლესიო საისტორიო თხზულებები გულდასმით შესწავლილი არ გვექნება“²⁹.

დიდი წვლილი შეიტანა ივ. ჯავახიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში. ჯერ ერთი, მან გამოავლინა და პირველმა შეისწავლა ორი უძველესი ნუსხა კრებულისა — ანასეული და ჭალაშვილისეული. მანვე გამოაქვეყნა ან გამოსაცემად მოამზადა „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი ნაწარმოების ტექსტი (ლაშა გიორგის დროინდელი მემბტიანის, თამარის მეორე ისტორიკო-

²⁷ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 13.

²⁸ იქვე, გვ. 54.

²⁹ იქვე, გვ. 13.



სისა და ბერი ეგნატაშვილის თხზულებები³⁰). საყურადღებო მოსაზრებებმა გამოთქვა მკვლევარმა „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროს, შემადგენლობის, თანდათანობით შეეცებისა და გაგრძელების თაობაზე. კერძოდ, მან დაადგინა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ნახევრადოფიციალური ხასიათის კრებულია, რომელშიც მეფეთა ცენტრალური ხელისუფლების მომხრე ავტორთა თხზულებებია შეტანილი. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ქ“-ის წყალობით ქართული საისტორიო წყაროები ცოტა არ იყოს ცალმხრივად არის შერჩეული და შენახული. ამის გამო ჩვენ მარტო მეფეთა პოლიტიკის მომხრე ისტორიკოსების ცნობები გვაქვს, მათ მოწინააღმდეგეთა მოთხრობა და საბუთიანობა-კი შენახული არ არის³¹. „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობის და ხასიათების დროს მკვლევარი ითვალისწინებდა, რომ „კრებულმა არა ერთი და ორი საუცხოვო ქართული საისტორიო თხზულება გადაარჩინა დაღუპვისაგან და ჩვენ დრომდე მოაღწევინა“. მაგრამ ამავე დროს მეცნიერი აღნიშნავდა იმასაც, რომ „ქ“-ის შედგენამ ერთგვარი ხელოვნურად შერჩეული საისტორიო თხზულებათა კრებული შექმნა, რომელმაც მართალია ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები გადაგვირჩინა, მხოლოდ თავის მხრივ ცოტა არ იყოს დანარჩენ საისტორიო თხზულებების დაღუპვას მინც ხელი შეუწყო³².

ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ სხვადასხვა ავტორთა მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი, განსხვავებული ხასიათისა და ღირსების საისტორიო თხზულებების კრებულია. იგი ვადაჭრით ილაშქრებდა წყაროების დამოწმების იმ „მაენე და შეუწყნარებელი ჩვეულების“ წინააღმდეგ, როცა მარტივად „ქართლის ცხოვრებას“ იხსენიებენ კონკრეტული თხზულების დასახელების გარეშე. „მკითხველმა უნდა იცოდეს, — დასძენდა ის, — რომელს მემატაინეს აქვს სახელდობრ ესა თუ ის ცნობა მოყვანილი, რომ ამისდა მიხედვით გაითვალისწინოს, თანამედროვეს ეკუთვნის ის ცნობა თუ არა, მემატაინეა მისი ავტორი, ისტორიკოსი თუ უბრალო კომპილატორი“³³. თანამედროვე მკვლევართათვისაც მეტად მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის მითითება იმის შესახებ, რომ საკმარისი არ არის უბრალოდ „ქართლის ცხოვრების“ დამოწმება. „ყოველი ამონაწერისა ან მოყვანილი ცნობის შესახებ უნდა აღნიშნული იყოს, რომელ ქართველ ისტორიკოსს თუ ჟამთააღმწერელს ეკუთვნის სახელდობრ იგი და რომელი თხზულებითგან არის ამოღებული“³⁴.

ივანე ჯავახიშვილს აუცილებლად მიაჩნდა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ყოველი თხზულება შესწავლილი და გამოცემული ყოფილიყო ცალცალკე. იგი პრაქტიკულადაც ასრულებდა ამ საყურადღებო მეთოდურ მითითებას, რასაც მოწმობს როგორც მისი ზემოთ დასახელებული პუბლიკაციები, ისე „ქართლის ცხოვრების“ ცალკეულ ნაწარმოებთა შესახებ დაწერილი გამო-

³⁰ ლაშა-ვიორგის დროინდელი მემატაინე, გამოც. ივ. ჯავახიშვილისა, ტფ., 1927; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1940; ბასილი ეზოსმოძლუარი, ცხოვრება მეფეთმედისა თამარისი, გამოც. ივ. ჯავახიშვილისა, თბ., 1944.

³¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 28.
³² იქვე, გვ. 312.
³³ იქვე, გვ. 12.
³⁴ იქვე.

კვლევები, რომლებშიც დადგენილია (ხშირად პირობითად) ამ ნაშრომთა სა-
თაურები, შედგენის დრო და ავტორების ვინაობა, შესწავლილია მათი შედა-
სეობა, იდეური მიმართულება და სხვა მნიშვნელოვანი წყაროები ცოდნებითი
საკითხები. ამავე გამოკვლევებში მოცემულია თხზულებათა ტექსტების კრი-
ტიკული ანალიზი, თვალნათლივ არის ნაჩვენები მათი თავისებურებანი და
ღირსება-ნაკლოვანებანი. და თუმცა ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ გასული
დროის მანძილზე, ახალი მასალების გამოვლენისა და შესწავლის კვალობაზე,
ზოგიერთი საკითხი დაზუსტდა, ხოლო ზოგი დასკვნა შეიცვალა, მაგრამ
„ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა შესახებ ივ. ჯავახიშვილის მიერ დაწე-
რილ გამოკვლევებში წამოყენებული და განმარტებული დებულებები (მათ
ავტორთა ვინაობისა და თვით ძეგლების დათარიღების შესახებ) დღემდე
მტკიცედ დგას ქართულ ისტორიოგრაფიაში³⁵. ამიტომაც არის, რომ ეს უძ-
ველბედი ნაშრომი დღესაც ნიადაგსახმარი წიგნია ძველი ქართული მწერ-
ლობის ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ყველა მკვლევრისათვის.

უძველესი ხანიდან საქართველოს მკვიდრო ურთიერთობა ჰქონდა აღმო-
სავლეთისა და დასავლეთის ბევრ ქვეყანასთან. ამის გამო უცხოელ ავტორთა
თხზულებებში საყურადღებო ცნობებია შემონახული ჩვენი ქვეყნის ისტორი-
ისათვის. ჯერ კიდევ ძველი ქართველი ისტორიკოსები იყენებდნენ ამ მასალას
თავიანთ ნაშრომებში. თანამედროვე მკვლევართაგან ივანე ჯავახიშვილმა
პირველმა დააყენა უცხოური წყაროების გეგმიანი შესწავლისა და საქართვე-
ლოს შესახებ ცნობების სისტემატიზაციის საკითხი. მას განზრახული ჰქონდა
თავისი კაპიტალური ნაშრომის — „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდე-
ბი“ — ერთ წიგნში უცხოური საისტორიო მწერლობის განვითარების მიმო-
ხილვა მოეთავსებინა. ამ მიმოხილვაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დათ-
მობოდა ბერძენ-ბიზანტიელთა, სომეხთა და სპარსთა საისტორიო მწერლობის
საკითხებს³⁶. ამ გეგმით ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა პირველი წიგნი „ძველი
სომხური საისტორიო მწერლობისა“, რომელშიც შესწავლილია სომხური
აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლები და განხილულია ის წყაროები, სადაც
ცნობები მოიპოვება სომხური დამწერლობის შექმნის ისტორიისათვის³⁷. სამ-
წუხაროდ, მეცნიერმა ვერ მოასწრო ჩანაფიქრის მთლიანად განხორციელება —
ამ წიგნის დასრულება და ბერძენულ-ბიზანტიური და სპარსული წყაროებისა-
დმი მიძღვნილი ნაკვეთების დაწერა. სამაგიეროდ ივ. ჯავახიშვილი მხოლოდ
თეორიულად როდღე აღიარებდა უცხოური წყაროების გამოყენების საჭირო-
ებას. თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში ის ხშირად მიმართავდა უცხოელ
ავტორთა ცნობებს. პეტერბურგის სახელგანთქმული სააღმოსავლეთმცოდნეო
სკოლაში მიღებულმა ფართო ისტორიულ-ფილოლოგიურმა განათლებამ და
ძველი და ახალი ენების ცოდნამ შესაძლებლობა მისცა მას ქართულსა და რუ-
სულთან ერთად დედნებში ესარგებლა ბერძნული, ლათინური, არაბული, სომ-
ხური, სპარსული, სირიული წყაროებით, უახლესი სამეცნიერო ლიტერატუ-

³⁵ ს. ყ ა უ ხ ი ი შ ვ ი ლ ი. ივანე ჯავახიშვილი და „ქართლის ცხოვრება“. ივ. ჯავახიშვილის
სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესიის თეზისები,
თბ., 1966, გვ. 13.

³⁶ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 7.

³⁷ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, I, ტფ., 1935.

რით. სხვადასხვა ენებზე არსებული საისტორიო წყაროების კომპლექსურად გამოყენებისა და მათი ცნობების შედარებითი მეთოდით შესწავლის შედეგად მკვლევარმა შეძლო სამეცნიერო ბრუნვაში შემოეტანა ახალი ფაქტური მასალა და წარმატებით გადაეწყვიტა საქართველოს ისტორიის არაერთი ძნელ ვნელოვანი საკითხი.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება თავისი საკუთარი საგნითა და კვლევის მეთოდით ჩამოყალიბდა XX საუკუნის დამდეგს ივანე ჯავახიშვილის შრომებში. საბჭოური წყაროთმცოდნეობის განვითარების პირველსავე წლებში ისტორიკოსთა წინაშე დადგა საკითხი: რამდენად შეეძლო მარქსისტულ საისტორიო მეცნიერებას გამოეყენებინა ბურჟუაზიული წყაროთმცოდნეობის მიერ შემუშავებული მეთოდია. მარქსისტმა ისტორიკოსებმა მიზნად დაისახეს შეესწავლათ და აეთვისებინათ არა მარტო ისტორიული ცოდნის ის მარაგი, რაც ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ შექმნა, არამედ საისტორიო წყაროთა ანალიზის მეთოდებიც³⁸. ქართველმა საბჭოთა ისტორიკოსებმა აითვისეს და განაზოგადეს ივ. ჯავახიშვილის მიერ წყაროთა კრიტიკული ანალიზის დარგში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება და ისტორიული პროცესის მარქსისტულ-ლენინურ მატერიალისტურ გაგებაზე დაყრდნობით შექმნეს წყაროების შესწავლისადმი ახალი მეთოდოლოგიური მიდგომა.

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ ქართველი ისტორიკოსები განაგრძობდნენ ნაყოფიერ მუშაობას წყაროთმცოდნეობის დარგშიც, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მისი განვითარება არათანაბრად ხდებოდა: იხვეწებოდა წერილობითი ძეგლების შესწავლისა და პუბლიკაციის მეთოდია, იცემოდა მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროები, თანდათანობით გროვდებოდა მდიდარი წყაროთმცოდნეობითი გამოცდილება. მაგრამ ყველაფერი ეს ემსახურებოდა კონკრეტული წყაროთმცოდნეობის განვითარების საქმეს. პრაქტიკოსი წყაროთმცოდნენი ერთგვარი უნდობლობით, ეკიდებოდნენ წყაროთმცოდნეობის თეორიას. თეორიული წყაროთმცოდნეობის დარგში ივანე ჯავახიშვილის მიერ ესოდენ წარმატებით დაწყებულ საქმიანობას, სამწუხაროდ, არ გამოუჩნდა გამგრძელებელი. შესაძლებელია, ეს იმიტაც აიხსნებოდეს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში საერთოდ არასაკმარისად მუშავდებოდა ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხები.

საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, წყაროების გამოცემაა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილისა და ე. თაყაიშვილის დიდ დამსახურებას ამ საქმეში, თუმცა ამავე დროს მხოლოდ წინასწარ პუბლიკაციებად მიაჩნდა მათი გამოცემები და აუცილებელ საქმედ სთვლიდა ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების მეცნიერულად დადგენილი ტექსტების მომზადებას³⁹.

³⁸ О. М. Медушевская. Теоретические проблемы источниковедения в советской историографии 20-х — начала 30-х годов. — В сб. «Источниковедение. Теоретические и методические проблемы», с. 177—180.

³⁹ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 26; ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ. „მრავალთავი“, V, თბ., 1975, გვ. 262—265 (ნაშრომი დაწერილია 1936 წ. 6 თებერვალს. ამავე წლის 10 თებერვალს ივ. ჯავახიშვილი ლენინგრადში სწერდა ვ. დონდუას: „ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების გა-

იმის გამო, რომ „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მეცნიერულად გამოცემის მხრივ ჩვენ ძალზე ჩამორჩენილები ვართ“⁴⁰, ივ. ჯავახიშვილს გადაუდებელ ამოცანად ესახებოდა ამ ჩამორჩენის დასაძლევად. ამ ამოცანის ზომების მიღება. 1938 წ. 9 მაისს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველო ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ივ. ჯავახიშვილი კვლავ შეეხო ამ საკითხს და აღნიშნა: „თუ ჩვენ ეხლავე არ შევუდგებით ისტორიული ძეგლების მეცნიერულ გამოცემას, შემდგომი საკვლევო მუშაობისას პირდაპირ გადაულახავ დაბრკოლებას წაეწყდებით. ჩვენ ორიოდე ძეგლის გარდა არაფერი მოგვემოვება წესიერად გამოცემული“⁴¹. კერძოდ, მეცნიერს საჭიროდ მიაჩნდა, რომ შემუშავებული ყოფილიყო წყაროების პუბლიკაციის საერთო გეგმა, მათი გამოცემის ერთიანი, ყველასათვის სავალდებულო წესები და გამოსაცემ ძეგლთა ნუსხა. „ქართლის ცხოვრებასთან“ ერთად ივ. ჯავახიშვილმა სერიოზული ყურადღება მიაქცია ყველა საისტორიო თხზულების გამოქვეყნების საკითხს და სიაც შეადგინა გამოსაცემი ძეგლებისა⁴².

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე გამომცემელთათვის ივ. ჯავახიშვილის მითითება „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ თხზულებათა მეცნიერულად აღდგენილი ტექსტების ცალ-ცალკე გამოცემის შესახებ ვრცელი გამოკვლევით, კომენტარითა და სამეცნიერო აპარატით. რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებას“, მისი აზრით, „კრებულის ხელახალი გამოცემის დროს, მიზნად მასში შემავალი ძეგლების პირვანდელი ტექსტის აღდგენა კი არ უნდა გვექონდეს მიჩნეული, არამედ იმ სახით დაბეჭდვა, როგორადაც ეს კრებული საბოლოოდ ჩამოყალიბდა“⁴³. ამ მეტად საყურადღებო მეთოდოლოგიური მითითების შესრულება უთუოდ დაიცავს გამომცემელს მრავალი შეცდომისაგან, რომლებიც შეიძლება ვაიპაროს სხვადასხვა რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით გამოცემულ შერეულ ტექსტში.

ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ განიხილა წყაროთა პუბლიკაციის სხვადასხვა სახეები⁴⁴. იგი წინააღმდეგი იყო საისტორიო წყაროს ისეთი გამოცემისა, როცა იბეჭდება ერთი, საუკეთესოდ მიჩნეული ხელნაწერის ტექსტი მისი ყვე-

მოცემა უნდა დაიწყო და ამ პასუხსავე კრიტიკული გამოცემის ტვირთიც მავწება. დიდი და აუცილებლად საჭირო საქმეა. — ივანე ჯავახიშვილის 34 კერძო წერილი. წინასიტყვა, კომენტარები და შენიშვნები ვ. დონდუასი. „მნათობი“, 1968, № 9, გვ. 138).

⁴⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ. გვ. 263.

⁴¹ დ. გვრიტიშვილი. ივანე ჯავახიშვილი. თბ., 1968, გვ. 63.

⁴² ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ. გვ. 265—266.

⁴³ იქვე, გვ. 266.

⁴⁴ დ. ლიხაჩოვის აზრით, წყაროთა მეცნიერული პუბლიკაციის სამი სახე არსებობს: ტექსტის წინასწარი გამოცემა (აქ იგი ვანახეგებს ფაქსიმილურ და დიპლომატიკურ გამოცემებს), კრიტიკული გამოცემა და მეცნიერული რეკონსტრუქცია (Д. С. Лихачев. Некоторые новые принципы в методике текстологических исследований древнерусских памятников. — Известия АН СССР, Отд. литературы и языка. 1955, т. XIV, вып. 5, с. 415; Д. С. Лихачев. По поводу статьи В. А. Черных о развитии методов передачи текста исторических источников. — «Исторический архив». 1956, № 3, с. 190).

ლა შეცდომითა და დამახინჯებული ადგილით (ე. წ. დიპლომატიკური გამოცე-
მა). მეცნიერის აზრით, „ასეთი გამოცემა მარტო მცირერიცხოვან მკვლევარ-
ფათვის არის გამოსადეგი, მაგრამ მათთვისაც მხოლოდ იმდენად, რამდენადაც
მისი ხელნაწერის მავივრად გამოყენება შეიძლება“⁴⁵.

წყაროს პუბლიკაციის ყველაზე მისაღებ სახედ ივ. ჯავახიშვილის ტექსტის
მეცნიერული რეკონსტრუქცია მიჩნდა. თუ გავიხსენებთ, რომ ქართულ საის-
ტორიო თხზულებათა ტექსტებმა გვიანდელი გადაწერების მიერ დაშვებული
შეცდომების წყალობით საკმაოდ დამახინჯებულად მოაღწიეს ჩვენამდე, მათი
პირვანდელი სახით აღდგენა ტექსტოლოგის უპირველეს მოვალეობად უნდა
ვადიაროთ. ამიტომაც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, „თითოეული ისტორიკოსის
თხზულების გამოცემის დროს მიზნად უნდა იყოს დასახული ავტორის ტექს-
ტის იმ სახით აღდგენა, როგორც თვით მას ჰქონდა დაწერილი“⁴⁶. რა თქმა
უნდა, მეცნიერი ითვალისწინებდა იმასაც, რომ ტექსტების აღდგენა ძალიან
რთული საქმეა და დიდ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად ზუსტი მეთო-
დის მომარჯვებასაც მოითხოვს.

ივ. ჯავახიშვილმა ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა გამოცემის
ძირითადი პრინციპებიც ჩამოაყალიბა. მას გაუთვალისწინებელი არ დარჩენია
გამოსაცემი წიგნების ფორმატი და გარეკანიც კი. დიდი მეცნიერის ეს საგუ-
ლისხმო მითითებანი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საისტორიო წყა-
როთა პუბლიკაციის თანამედროვე წესების შედგენის დროს.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ 1936 წელს ივანე ჯავახიშვილმა დასახა
ქართული საისტორიო წყაროების გამოცემის ფართო პროგრამა და მისი შეს-
რულების კონკრეტული რეკომენდაციებიც მოგვცა. სამწუხაროდ, ეს პროგრა-
მა ჯერაც არ არის მთლიანად განხორციელებული. გამოიცა მხოლოდ აგიოგრა-
ფიული მწერლობის ძეგლები (ოთხ ტომად, პროფ. ი. აბულაძის რედაქციით),
„ქართლის ცხოვრება“ გაგრძელებებითურთ (ორ ტომად) და ვახუშტი ბაგრა-
ტიონის თხზულების სრული ტექსტი (აკად. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით) და
ზოგიერთი სხვა საისტორიო ძეგლი. ქართველ მეცნიერთა წინაშე დასმულია
ძალიან რთული და საპატიო ამოცანა: ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი
გეგმის შესაბამისად გამოსაცემად მოამზადონ ძველ ქართველ ისტორიკოსთა
თხზულებების მეცნიერულად დადგენილი ტექსტები. ამ საქმიანობას ივ. ჯავა-
ხიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტსა და
ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტთან ერთად უძღვება საქართველოს
ისტორიის წყაროების კომისია, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა 1974 წელს.

⁴⁵ ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ.
გვ. 264 (უნდა ითქვას, რომ ამ წესით განხორციელებული გამოცემა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-
ერთი უძველესი, მარიამისეული ნუსხისა, ძალზე დღევრძელი გამოდგა. მას ჩვენს დროშიც არ
დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება. — იხ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი,
ვ. თაყაიშვილის რედაქციით, ტფ., 1906).

⁴⁶ ტექსტების მეცნიერული რეკონსტრუქციის შესახებ დაწერილებით იხ. А. А. Зими н. О приемах научной реконструкции исторических источников X—XVII вв. — «Исторический архив». 1956, № 6; Д. С. Лихачев. К вопросу о реконструкции древнерусских текстов. — «Исторический архив». 1957, № 6; С. Н. Азбелев. Текстология как вспомогательная историческая дисциплина. — «История СССР», 1966, № 4.

ყველა ქართული საისტორიო წყაროს მეცნიერული პუბლიკაციის შესახებ ივ. ჯავახიშვილის დანასაქმის შესრულება, გამოჩენილ ქართველ წყაროთმცოდნეთა გამოცდილების განზოგადება და თეორიული წყაროთმცოდნეობის დარგში მუშაობის გაგრძელება საუკეთესო წვლილი იქნება დიდი ქართველი ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის ხსოვნის უკვდავოფის საქმეში.

Р. К. КИКНАДЗЕ

И. А. ДЖАВАХИШВИЛИ И ИСТОЧНИКОВЕДЕНИЕ ИСТОРИИ ГРУЗИИ

Резюме

И. А. Джавахишвили еще в студенческие годы заинтересовался вопросами источниковедения истории Грузии. Эта проблематика и в дальнейшем оставалась в кругу исследовательских интересов ученого, ей он посвятил ряд основополагающих трудов.

В работе на основе изучения специальных источниковедческих трудов И. А. Джавахишвили рассмотрены такие вопросы, как деятельность ученого в области теоретического источниковедения, внутренняя критика источников, их классификация, привлечение памятников агиографической литературы в качестве источников при изучении истории Грузии, вклад в исследование «Картлис цховреба», составление плана-программы публикации грузинских исторических сочинений. Отмечено, что источниковедение истории Грузии как самостоятельная наука, имеющая собственный предмет и метод исследования, сложилась в начале XX века в трудах И. А. Джавахишвили.

გიული ალასანი

საისტორიო წყაროების გამოცემის ზოგიერთი პრინციპი

(ე. წ. „პარიზის ქრონიკის“ გამოცემის მეთოდისათვის)

წყაროთა პუბლიკაცია წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. ყოველი პუბლიკაცია განსაზღვრულია სამი ძირითადი მომენტით: 1. წყაროთმცოდნეობის განვითარების საერთო დონით. 2. ადგილობრივი ტრადიციებით, და 3. ტექსტის ხასიათით.

გამოცემის ხერხები პირველ რიგში დამოკიდებულია წყაროთა კლასიფიკაციაზე: წყაროთა სხვადასხვა ტიპები და სახეობები მოითხოვს გამოცემის სხვადასხვა წესს. განსხვავდება მათზე მუშაობის მეთოდებაც.

წყაროთმცოდნეობის განვითარების ყველა ეტაპს შეესაბამება გარკვეული თეორიული ნორმები, რაც იცვლება მის განვითარებასთან ერთად. ცვლილებას განიცდის ტერმინები, წყაროთა კლასიფიკაცია, მათი შესწავლის ხერხები. ყველაფერი ეს, თავის მხრივ, აისახება ტექსტების პუბლიკაციაში.

წყაროთა პუბლიკაციას საქართველოში საკმაო ისტორია და ტრადიცია აქვს. იგი სათავეს იღებს ქართული მეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლებისაგან, როგორც არიან მ. ბროსე, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, დ. ჩუბინაშვილი, თ. ჟორდანიანი, ე. თაყაიშვილი, ს. კაკაბაძე და სხვები. მათი პუბლიკაციები ემყარებოდა გამოცემის გარკვეულ პრინციპებს, რაც მოცემულია წინასიტყვაობაში, ან ჩანს თვით ნაშრომებიდან.

გამოცემის წესების შემუშავებაც, თეორიული წყაროთმცოდნეობის საკითხების მსგავსად, თავდაპირველად ხდება სტიქიურად. ეს ეტაპი აუცილებელია. ამ პერიოდში, როდესაც გამოცემების თანმიმდევრობის თითქმის ერთადერთი განმსაზღვრელი მასალის მოპოვების ქრონოლოგიაა, გამოცემის წესები გაპირობებულია გამომცემლის განათლებითა და ტექსტის ხასიათით. გარკვეულ საფეხურზეც, როდესაც დადგენილია ზოგადი წესები, საერთოსთან ერთად ყოველი ტექსტი ინარჩუნებს გამოცემის დამოუკიდებელ მეთოდებს, რომლის ჩამოყალიბება მოითხოვს ტექსტის ისტორიის შესწავლას. რაც უფრო ღრმად არის შესწავლილი ტექსტის ისტორია, მით უფრო დახვეწილია გამოცემის ტექნიკა და მისი შედეგი. ვინაიდან, ერთი მხრივ, ტექსტის ამომწურავი შესწავლა შეუძლებელია და, მეორე მხრივ, გამოცემის წესები მუდმივად ვითარდება, ყველა გამოცემა ადრე თუ გვიან განახლებას საჭიროებს.

გამოცემის წესები დამოკიდებულია აგრეთვე მის მიზანზე. ერთი და

იმავე, ან დაახლოებით მსგავსი ტექსტების გამოცემის თავისებურებებს განაპირობებს: გამოცემის დრო, მიზანი და გამომცემლის შეხედულებები.

იმის მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს ესა თუ ის პუბლიკაცია, დ. ლიხაჩოვი გამოყოფს ტექსტის გამოცემის ოთხ სახეს: ფაქსიმილურს, წინასწართულის, კრიტიკული და რეკონსტრუქციული¹.

არის შემთხვევა, როდესაც რომელიმე გამოცემა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცევა და ტექსტის გავრცელების მიზნით მას იმეორებენ. ასეთ დროს, მართალია, არც ტექსტოლოგიის და არც პუბლიკაციის ტექნიკის თვალსაზრისით გამოცემები ახალს არაფერს შეიცავს, მათ მაინც დადებითი მნიშვნელობა აქვთ². თუმცა ამ მეთოდს ყოველთვის ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც.

დ. ლიხაჩოვის კლასიფიკაციაში, თვით მკვლევრის აზრით, ყველაზე სიცოცხლისუნარიანი წინასწართული, ანუ დიპლომატიკური გამოცემებია³. ამავე დროს ზოგიერთ მეცნიერს არ მიაჩნია მიზანშეწონილად ასეთი გამოცემები⁴. დ. ლიხაჩოვისეულ კლასიფიკაციას სრულად არ იზიარებს არც ა. ზიმინი. მისი აზრით, შეუძლებელია კრიტიკულსა და რეკონსტრუქციულ გამოცემებს შორის ზღვარის გავლება⁵. გამომცემლების შეხედულებათა მრავალფეროვნება არ გამოორცხავს ერთიანი, ზოგადი წესების შემუშავების საჭიროებას, არამედ მიუთითებს ამოცანის სირთულეზე. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით დადგენილი და გამოცემულია მხოლოდ ისტორიული დოკუმენტების და აღმოსავლური ლიტერატურის პუბლიკაციის წესები⁶. წესები ასახავს განვითარების გარკვეულ საფეხურს და გულისხმობს მათ შემდგომ შეცვლასა და ცვლილებებს. ამჟამად მწვავედ დგას ნარატიული წყაროების გამოცემის პრინციპების შემუშავების აუცილებლობა. როგორც ცნობილია, ნარატიულსა და დოკუმენტურ წყაროებს იმდენად ბევრი აქვთ საერთო, რომ წყაროთმცოდნეები ყოველთვის ვერ ავლებენ მათ შორის ზუსტ ზღვარს. ამიტომ ბევრი რამ დადგენილი წესებიდან საერთოა ყველა სახის წერილობითი წყაროსათვის.

გამოცემის წესების შემდგომი სრულყოფის აუცილებელი წინაპირობაა ცალკეული წყაროების ყოველმხრივი შესწავლა და ტექსტის დადგენის მეთოდის დახვეწა.

¹ Д. С. Лихачев. По поводу статьи В. А. Черныха о развитии методов передачи текста исторических источников. «Исторический архив» М., 1956, № 3, с. 190.

² ასეთთა რიცხს შეეკუთვნება მაგ. ზ. ჭიჭინაძის გამოცემული «ქართლის ცხოვრება».

³ დაწვრილებით იხ. Д. С. Лихачев. К вопросу о реконструкции древнерусских текстов. «Исторический архив», № 6, М., 1957, с. 155.

⁴ აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, დიპლომატიკური გამოცემების შემთხვევებში გამომცემლის მოვალეობა მექანიკურ მუშაობას არ სცილდება და როგორც გამომცემლისა, ისევე, და უფრო მეტად, წამკითხველის შრომა მოქმანცველი, უმადური და მომამზერებელი ხდება. ასეთი გამოცემა მართო მცირერიცხოვან მკვლევართათვის არის გამოსადევი, მაგრამ მათთვისაც მხოლოდ იმდენად, რამდენადც მისი ხელნაწერის მაგივრად გამოყენება შეიძლება (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემების შესახებ. «მრავალთავი», V, თბ., 1975, გვ. 264.

⁵ დაწვრილებით ამ საკითხებზე იხ. А. А. Зими́н. О приемах научной реконструкции исторических источников X—XVII вв. «Исторический архив», 1956, № 6, с. 134.

⁶ Правила издания исторических документов в СССР, М., 1969; Правила издания серии «Памятники письменности Востока». М., 1966.

შევეხებით ამჯერად XVIII ს-ის ქართული ანონიმური საისტორიო თხზულებების, ე. წ. „პარიზის ქრონიკის“ გამოცემის ზოგიერთ საკითხს.

თხზულების პირველი გამოცემელი და მკვლევარი მ. ბროსეა. 1831 წლის გამოცემას⁷ საფუძვლად დაედო ქრონიკის ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია დაცული⁸. მ. ბროსეს გამოცემა შემდეგი თავებისაგან შედგება: 1. ქართული ქრონოლოგიის შესახებ, თავებისა და წლების დასახელებები. 2. წელთაღრიცხვა ქვეყნის დასაბამიდან და ქრისტეს შობიდან. 3. ქართველების საპასეჟო ლიტურგია. 4. გამოკვლევა ქართული ქრონოლოგიის შესახებ. 5. ქართული ქრონიკის ხელნაწერი. (თავები იყოფა ქვეთავებად. მე-5 თავში არის მსჯელობა ქრონიკის შედგენის თარიღსა და მის ავტორზე, ცნობების ღირებულებაზე). 6. ქრონიკის ფრანგული თარგმანი შენიშვნებით. წიგნში მოთავსებულია ორი წლის წინ (1829) მ. ბროსეს ხელით გადაწერილი ქრონიკის ქართული ტექსტის ლითოგრაფია. ქართული ტექსტი ზუსტად იმეორებს ხელნაწერს, გარდა ზოგიერთი შემთხვევისა, როდესაც გადამწერმა იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელი წინსართი „მუ“ „მო“-თი შეცვალა. სამწუხაროდ, ტექსტს არ ახლავს კრიტიკული აპარატი და გამოცემლის კონიექტურები მკითხველისათვის უცნობი რჩება. დაუსათურებელ თხზულებას მ. ბროსემ „ცხოვრება საქართველოსა“ უწოდა.

გამომცემლის აზრით, ქრონიკაში გადმოცემულია მცირე ცნობები, მშრალი, მოკლე ფრაზებით, რაც სარჩევს უფრო ჰგავს. ეტყობა დამწერს აკლდა მასალა. ქრონიკის ავტორის გადმოცემის მანერა სადაა, ტონი ოდნავ მაღლდება რელიგიური, ან პატრიოტული მოტივების გადმოცემის დროს. ქრონიკაში ხშირად არის დარღვეული წლების თანმიმდევრობა. გამოცემაში აღნიშნულია, რომ ხშირია მასში არასწორი თარიღები, თუმცა მოტანილია ერთადერთი მაგალითი — კონსტანტინოპოლის აღების თარიღი — ქრონიკის მიხედვით, 1444 წელი, ნაცვლად 1453 წლისა. მ. ბროსეს აზრით, თხზულება მარტივი ენარისაა, ავტორის სტილი მოკლებულია ყოველგვარ სინატიფეს. თითქმის არაფერია ნათქვამი თვით მასალის ღირებულებაზე, რისი მიზეზიც, მკვლევრის სიტყვით, მისი არასაკმაო კომპეტენტურობა და საქართველოს შესახებ მის განკარგულებაში მყოფი მასალის სიმცირეა. ნაშრომის მნიშვნელობის ერთგვარ შეფასებად უნდა გავიგოთ მ. ბროსეს შემდეგი სიტყვები: „შესაძლებელია, მეცნიერები ამ თხზულების შესწავლისას მიაგნებენ სხვა ნაკლსაც, გარდა იმისა, რაც მე აღვნიშნე, მაგრამ გამორიცხული არც ის არის, რომ აღმოჩნდეს მრავალი ახალი და საინტერესო ფაქტი“⁹.

გამოკვლევაში არის მსჯელობა ნაშრომის ავტორის შესახებ. მკვლევარი

⁷ Chronique Géorgienne, traduite par. Brosset, Paris, 1831.

⁸ თუ არ ჩავთვლით პარიზის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკის ხელნაწერს, რომელიც ე. თაყაიშვილის აზრით, გადაწერილია მ. ბროსეს აღნიშნული გამოცემიდან და მოკლებულია მეცნიერულ მნიშვნელობას. (ეჭ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში, პარიზი, 1933, გვ. 54—55). იქვე ე. თაყაიშვილის აღწერილი აქვს ქრონიკის პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერიც.

⁹ M. Brosset. Matériaux pour servir à l'histoire de la Géorgie depuis l'an 1201 jusqu'en 1755. Extrait des Mém. de l'Acad. Imp. sér. VI, t. V, St. Petersburg, 1841, გვ. 6.

¹⁰ Chronique Géorgienne, პარაგრაფში, „ხელნაწერის რედაქცია“.

აქცევს ყურადღებას შემდეგ გარემოებას: „როდესაც ქრონიკის ავტორი ლა-პარაკობს ქართლის მოსახლეობაზე, ამბობს „ჩვენს“, საიდანაც შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ იგი ქართლის მკვიდრია, მაგრამ ამას, ~~ტექსტის ენის~~ მისი აზრით, მეორე მომენტი, 1609 წლის ამბებში აღნიშნულ ~~ბრძანებას~~ (სქმ. ცდუ-
მა მოურავმა“) საეჭვოა, რომ ცოცხალი იყო 1709 წელსაც. ამ წინააღმდე-
გობის ასახსნელად მკვლევარი უშვებს რაღაც სხვა ნაშრომის არსებობას, საი-
დანაც შესაძლებელია, ამოღებულია ქრონიკის ეს ნაწყვეტი¹¹. მკვლევრის კო-
მენტარები უფრო ხშირად დაკავშირებულია თარგმანთან. აქა-იქ მოცემულია
აგრეთვე ცნობები მეფეებზე, ხშირად მცდარი. მ. ბროსესათვის ძირითადი საყ-
რდენი სენ-მარტენისა და კლაპროტის ნაშრომებია.

ქრონიკის გამოცემას გამოეხმაურა სენ-მარტენი, რომელმაც იმავე 1831 წელს
დაბეჭდა რეცენზია «Journal des Savants»¹²-ში. სენ-მარტენი მალაღ შეფასებას
აძლევს მ. ბროსეს ბოლო პუბლიკაციას და მიუთითებს მის ზოგიერთ ნაკლოვანე-
ბაზე. მისი აზრით, უკეთესი იქნებოდა ქართული ტექსტის სტამბური წესით გამო-
ცემა. ლითოგრაფია კი მას გამართლებულად მიიჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუ ის შესრულებულია ძირითადი ხელნაწერის საფუძველზე. გარდა ამისა, სათაუ-
რი „ცხოვრება საქართველოჲსა“, სენ-მარტენის აზრით, ბევრად ფართოა შინა-
არსზე და ამდენად არ შეესაბამება მას. შემდეგ იგი იმეორებს მ. ბროსეს მსჯელო-
ბას ქრონიკის ავტორის შესახებ და ვარაუდს, რომ ქრონიკა წარმოადგენს შემოკ-
ლებულ ვარიანტს, ან ნაწყვეტს რომელიმე უფრო მნიშვნელოვანი თხზულებისას.

აღსანიშნავია, რომ არც მ. ბროსეს და არც სენ-მარტენს არაფერი აქვთ
ნათქვამი ქრონიკის ხელნაწერის ისტორიაზე, თუ არ ჩავთვლით უკანასკნელის
შენიშვნას: „ხელნაწერი არა აქვს არავითარი მინიშნება, რომელიც შესაძლე-
ბელს გახდიდა მისი გადაწერის თარიღის განსაზღვრას, თუმცა იგი საკმაოდ
ახალი უნდა იყოს“¹³. ე. ი. სენ-მარტენის აზრით, ხელნაწერი არ წარმოადგენს
დიდნის და გადაწერილია არც ისე დიდი ხნის წინ. არაფერი იცის ხელნაწერის
შესახებ არც თეიმურაზ ბაგრატიონმა, გარდა იმისა, რომ „ეს ისტორია ძველად
ქართველს ვისმე პარიზში მიეტანა და იქ სენ-მარტენმა, რომელიც აზიელი
საზოგადოების პრეზიდენტი იყო, დიდი მეცნიერი კაცი, ეს წიგნი ბროსეს
ათარგმნინა“¹⁴.

ათი წლის შემდეგ პეტერბურგში მ. ბროსე კვლავ დაუბრუნდა ქართულ
ქრონიკას და განმეორებით გამოსცა ფრანგული თარგმანი კომენტარებით¹⁵.
შესავალში მან აღნიშნა, რომ პირველი გამოცემის დროს ლიტერატურის სიმ-
ციერემ და ენის არასაკმარისმა ცოდნამ გამოიწვია ზოგიერთი უზუსტობა
(1—3 გვ.).

მეორე გამოცემა განხორციელდა უკვე რუსეთში ყოფნის დროს, სადაც

¹¹ ი ქ ვ ე, პარავრაფში „ქრონიკის ავტორი“.

¹² I. Saint-Martin, Tskhovreba Sakartveloisa, Journal des Savants, Paris, 1831, გვ. 81—94.

¹³ ი ქ ვ ე, გვ. 88.

¹⁴ ა. ტ უ ლ შ ი, თ. თ ო ლ უ ა. თეიმურაზ ბაგრატიონის უცნობი მინაწერები, გაზეთი
„წიგნის სამყარო“, (125), 12 სექტემბერი, 1973, № 17, გვ. 5.

¹⁵ M. Brosset. Matériaux, pour servir a l'histoire de la Géorgie depuis l'an 1201
jusqu'en 1755, Extrait des Mém. de l'Acad. Imp. sér. VI, t. V, St-Petersbourg, 1841.

მ. ბროსეს შესაძლებლობა მიეცა ის ახალი მასალით შეეცხო. მარტივი სტილის მიუხედავად მ. ბროსეს ქრონიკა უკვე ძვირფას წყაროდ მიაჩნია. მასში არის საინტერესო ადგილები, სადაც შინაარსის სიღრმე მკითხველს ავიწყებს ფორმას. ასეთებია ცნობები ლუარსაბ II-სა და მოურავის დაზე, კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის ბრძოლაზე სპარსელების წინააღმდეგ და ა. შ. ქრონიკის ავტორისა და მისი ნაშრომის შედგენის თარიღის ძებნა იმის მიხედვით, რომ აღნიშნულ ნაწყვეტში თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს, არ იქნებოდა სწორი. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ქრონიკა მოურავის მოგონებებს შეიცავს (გვ. 11). მკვლევარი აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ქრონიკის სხვადასხვა ადგილი თანაბარი სისრულის არ არის და გამოკვლევს სამცხის ისტორიას, სადაც, მისი აზრით, ვახუშტისათვის წყაროს ან თვით ქრონიკა წარმოადგენდა, ან ორივე რომელიმე საერთო წყაროს ეყრდნობა (გვ. 8). ამავე დროს, როგორც აღინიშნა, მისი ვარაუდით, ქრონიკა სხვა წყაროს შემოკლება ან ნაწყვეტია. აქედან უკვე თითქმის აღარაფერი რჩება იმ დასკვნებამდე, რომ ქრონიკა კომპილაციაა, შედგენილი სხვადასხვა ძეგლების მიხედვით, რომელთა შორის არის წყარო დიდ მოურავზე და სამცხე-საათაბაგოს ისტორია¹⁶.

გამომცემლის აღნიშვნით, ზოგიერთი ქართული ქრონიკის რედაქციას იმერეთს უკავშირებს (გვ. 6). მ. ბროსეც, როგორც ჩანს, მხარს უჭერს ამ ვარაუდს და ამის დასაბუთებლად მოაქვს რამდენიმე მაგალითი: „მოწინსართის „მუ“-თი შეცვლა, როდესაც ზნა „უ“ ხმოვით იწყება: მუღხდა, მუღღგენენ, მუღღლოდა, მუღღღვებო და ა. შ. იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელია, მისი აზრით, „მეფე“-ს ნაცვლად „ნეფე“-ს ხმარება (გვ. 6), რაც პირველი გამოცემის დროს მან საკუთარ სახელადაც კი მიიჩნია და უთარგმნელად დასტოვა, ხოლო თევების დასახელებებიდან — „წიფობის თვე“.

1903 წელს ანონიმური ქრონიკა კვლავ გამოიცა თბილისში¹⁷. ზ. ჭიჭინაძის ამ გამოცემის, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ერთადერთი მიზანი, თხზულების გავრცელება იყო. იგი იმეორებს მ. ბროსეს გამოცემულ ტექსტს, მაგრამ იცნობს მას გიორგი არეშიძის მიერ 1893 წ. გადამუშავებული ტექსტის საშუალებით, რაც აღნიშნულია უკანასკნელ გვერდზე. ნაწილობრივ, ჩანს, ამის გამოც, გამოცემაში ხშირია კორექტურული შეცდომები. გარდა ამისა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა პირველისაგან განსხვავდება პუნქტუაციითა და ზოგიერთი სიტყვის წაკითხვით.

¹⁶ ქრონიკის წყაროების შესახებ იხ. შემდეგი გამოკვლევები: ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, თბ., 1890. ამ გამოკვლევაში ე. თაყაიშვილი აღნიშნავს: „ვინაიდან ეს ხრონიკა პარიჟშია ნაპოვნი, და პარიჟის ბიბლიოთეკაში ინახება, ამისათვის ჩვენ მას უწოდებთ პარიჟის ხრონიკათ“ (XXII). ჭერჭერობით ვტოვებთ პირობითად დასახელებას — „პარიჟის ქრონიკა“ თ. ე. ო. რ. დ. ა. ნ. ი. ა., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წიგნი II, ტფ., 1897, გვ. 247, 461.

Е. Такайшвили. Хроника эриставского акафиста, СМОМПК, XXIX, 1901. ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 271—279, 281—2, 318—323, 352—361; ს. კ ა ა ბ ა ძ ე. ფარსადან გორჯიჯანიძის ისტორია. „საისტორიო მოამბე“ წ. II, ტფ., 1925, გვ. 208; ტრ. რ უ ხ ა ძ ე. ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“. „ლიტერატურული ძიებანი“, V, თბ., 1949, გვ. 238—241.

¹⁷ პარიჟის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართველოსა და დიდი მოურავის ამბები. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან, თბ., 1903.

ამგვარად, დღემდე არა გვაქვს ამ წყაროს სამეცნიერო-კრიტიკული გამოცემა.

სამეცნიერო-კრიტიკული გამოცემის ამოცანები სხვადასხვა გამომცემლებს სხვადასხვანაირად ესმით. როგორც აღინიშნა, დ. ლიხაჩოვმა არჩევს ნეოთისაგან კრიტიკულსა და რეკონსტრუქციულ გამოცემებს¹⁸. კრიტიკული გამოცემების დროს ტექსტში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვხვდება აშკარა უაზრობა, ხოლო აზრიანი წაკითხვების „უკეთესით“ შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება¹⁸. თუმცა წყაროს ყოველ გამოცემას წინ მისი შესწავლა უნდა უძღოდეს, გამოკვლევის შედეგები არ შეიძლება თავს მოვახვიოთ მკითხველს რეკონსტრუქციების სახით. წყარო გამოცემულიც წყაროდ უნდა რჩებოდეს და წყაროთმცოდნეობითი ინტერპრეტაციის თავისუფლება გარკვეულად მომავალ მკვლევარს უნდა დარჩეს¹⁹. მკვლევართა ნაწილისათვის კრიტიკულ-მეცნიერული გამოცემები ამავე დროს რეკონსტრუქციულიც უნდა იყოს (იგულისხმება იმ ტექსტების გამოცემა, რომლებიც საჭიროებს რეკონსტრუქციას), იმ პირობით თუ რეკონსტრუქციის ყოველი ცდა ყოველმხრივ დასაბუთებულია²⁰. „კრიტიკული გამოცემების მაღალი მეცნიერული დონის მისაღწევად კი არ უნდა ვდევნიდეთ გამოცემებიდან რეკონსტრუქციულ ელემენტებს, არამედ, პირიქით, ვისწრაფოდეთ, მათი მაქსიმალური ტექსტოლოგიური დასაბუთებისაკენ“²¹. რეკონსტრუქციული გამოცემების მომხრეა ი. ჭავჭავაძე: „თითოეული ისტორიკოსის თხოვნების გამოცემის დროს მიზნად უნდა იყოს დასახული ავტორის ტექსტის იმ სახით აღდგენა, როგორც თვით მას ჰქონდა დაწერილი... მაშასადამე, ტექსტი ყველა ხელნაწერის მიხედვით აღდგენილიცა და ყველა მერმინდელი ჩანაწერისა და გადამწერის შეცდომებისაგან გაწმენდილიც უნდა იყოს“²². ერთი თვლიან, რომ გამოცემლის მთავარი ამოცანაა „მაქსიმალურად მიუახლოვოს წყარო მკითხველს, შეუძლებუქოს წყაროს გამოყენება“²³, ხოლო სხვები საყვედურობენ, რომ ტექსტი ზოგჯერ ისეთი „დამუშავებული სახით“ გამოიცემა, რომ ყოველგვარ მეცნიერულ მნიშვნელობას კარგავს²⁴.

ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურის ისტორიაში არც ერთი პერიოდი არ იძლევა ისეთ ქანობრივ მრავალფეროვნებას, როგორც XVII—XVIII საუკუნეები. ახალი ქანრების შექმნას გარდა, ისინჯება და იხვეწება არსებული. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია რედაქციული მუშაობის გამოცოცხლება, რაც მოიცავს წერილობითი წყაროების ყველა სახეობას. „ქარ-

¹⁸ Д. С. Лихачев. К вопросу о реконструкции древнерусских текстов, с. 156.

¹⁹ იქვე, გვ. 166.

²⁰ А. А. Зимин. О приемах научной реконструкции исторических источников X—XVII вв. С. 143.

²¹ С. Н. Азбелев. Текстология как вспомогательная историческая дисциплина. «История СССР», 1966, № 4, с. 106.

²² ი. ჭავჭავაძის ლ. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ. გვ. 266.

²³ Е. М. Тальман. О передаче текста исторических источников. «Исторический архив», 1956, № 1, с. 184.

²⁴ აზრი გამოთქმული აქვს ვ. პოლუტაევს ეჟრნალ «Исторический архив»-ის კონფერენციაზე. («Исторический архив», 1959, № 2, გვ. 253—256).

თლის ცხოვრების“ გაგრძელებასა და შევსება-რედაქტირებასთან ერთად ყველა ეროვნული წმინდანის ხსენების დღე ივსება სათანადო ლიტურგიულ-ავთოგრაფიული მასალით. ხდება მხატვრული ლიტერატურისა და ისტორიო-გრაფიის დაახლოება; ერთი მხრივ იქმნება ისტორიული პოემები, ხოლო მეორე მხრივ ესენი ედება საფუძვლად ისტორიულ თხზულებებს.

აღნიშნული ნაშრომი, რომელშიც გადმოცემულია 1373—1703 წლების მოვლენები, განეკუთვნება ქრონიკათა ჯგუფს, მაგრამ ვინაიდან მისი წყაროები ძირითადად ლიტერატურული და საისტორიო თხზულებებია, ხშირად ავტორის გადმოცემის მანერა სცილდება ქრონიკისას.

გამოყენებული წყაროების მიხედვით, ქრონიკა რამდენიმე ნაწილად იყოფა. მისი სტილი დამოკიდებულია ძირითად წყაროზე.

1373—1587 წლის ცნობებისათვის (ზ. ჰიჭინაძის გამოცემა, გვ. 1—21), როგორც დგინდება, ქრონიკის უმთავრესი წყაროებია: შევსებულ-გადაკეთებული „ქართლის ცხოვრება“ და „მესხური მატიანე“. ქრონიკის შემდეგი ნაწილი იწყება 1587 წლის ცნობიდან (ზ. ჰიჭინაძის გამ. გვ. 21). 1605 წლის ცნობიდან შემდგენელი სარგებლობს ფარსადან გორგიჯანიძის ნაშრომით. იმავე 1605 წ. გამოყენებულია გრიგოლ დოდორქელის თხზულება „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“ (გვ. 23). აქ ფარსადანისა და მისი მონაცემები ერთმანეთს ცვლის. 1609 წლიდან (27 გვ.) ჩნდება ცნობები „დიდმოურავიანიდან“, რაც გრძელდება თითქმის 37-ე გვერდის შუამდე და მხოლოდ რამდენიმეჯერ წყდება ფარსადანის მონაცემებით. შემდეგ ერთხანს კვლავ ფარსადანისა და გრიგოლ დოდორქელის ცნობებია. უკანასკნელი წყდება 1616 წელზე (38 გვ.). 1615 წლის ცნობაში (42—43 გვ.) ისევ ჩართულია ორი ნაწყვეტი „დიდმოურავიანიდან“, რის შემდეგაც თხრობა ძირითადად ფარსადანის მიხედვით გრძელდება. 1615 წლის ცნობით (43 გვ.) შეიძლება დავიწყოთ ქრონიკის მესამე ნაწილი. აქ ქრონიკის შემდგენლისათვის ძირითადი დასაყრდენი ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაა, რასაც ემატება როსტომ მეფის 1648 წლის სიგელი (47—54 გვ.). ფარსადანისა და როსტომის სიგელის ცნობები ერთმანეთს ებმის.

ქრონიკის სამეცნიერო-კრიტიკულ გამოცემას საფუძვლად დაედება ბარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი. გამომდინარე გამომცემელთა ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან და ტექსტის სამეცნიერო-კრიტიკული გამოცემების დარგში არსებული გამოცდილებიდან, პუბლიკაცია შემდეგ პრინციპებს დაემყარება: ძირითად ტექსტში შესწორდება მხოლოდ გადამწერის მიერ დაშვებული მექანიკური, კორექტურული შეცდომები. მაგ., ქრონიკის პირველ ნაწილში, სადაც ავტორისათვის ძირითადი წყაროები შევსებულ-გადაკეთებული „ქართლის ცხოვრება“ და „მესხური მატიანე“, თარიღებში ძირითადი წყაროების მ-ს ნაცვლად ყველგან ე-ა, რაც უნდა შესწორდეს. რაც შეეხება ამავე ნაწილის ფონეტიკურ თავისებურებებს, როდესაც ძირითადი წყაროს უე, ვ, კ გადადის როგორც ვე, ვი, ხ (ქუეყანა-ქვეყანა, თუსი-თავისი, მოუკდა-მოუხდა, ყუარყუარე-ყვარყვარე), სახელობითი ბრუნვა მ-ს გარეშე (დაა — და), უცვლელად დარჩება.

ხელნაწერის ტექსტი საჭიროებს აბზაცებად დაყოფასა და სასვენ ნიშ-

ნიკის ავტორი პოემის რალაც გვიანდელი გავრცობილი რედაქციით საარგებლო-
ბენ. გამოირიცხული არ არის აგრეთვე, რომ არსებობდა უფრო ძველი ხელნა-
წერებიც და პოემის თავდაპირველი ტექსტი უფრო ვრცელი იყო, ვიდრე წარ-
მოდგენილია ამჟამად. შედარებისათვის მოვიტანოთ ტაშისკარის ბრძოლის ნა-
წყვეტი „დიდმოურავიანიდან“, ქრონიკიდან და „ქ. ც.“ გაგრძელებიდან.

„დიდმოურავიანი“

ერთი ტერტერა გორიდან მოვა უგრძნულად გზაზედა,
ლოესის ბოლოს წინ დახვდეს, ვულს ელა ეცა მაზედა,
გაფრინდა, ხიდის ფიცრები მან გარდაყარა წყალზედა,
და თუ არ ენახა ტერტერას, ხიდს გაივლიდენ მზაზედა!

გმირთ ზღაპრულს წიგნში სწერია ჯეონის გავლა ადვილად,
მღერისა ველარ მიწევა, ვერც ჯავრთ ამოყრა ადვილად,
გივისვან ჭაიხოსროსი მორჩენა კარვა წადილად;
და მათ დავაშხამებ ზვალ დილას, რაც რომ მომზადონ სადილად!

იმ ღამეს მართლორწმუნენი იყენეს სულ ღამე თევითა,
ზოგნი ხშირ-ხშირად ვღვებოდით, ზოგნი აქა-იქ თევითა,
ღირსნი კაცები გვიახლნეს, ვესეველით ჩვენ მათევითა,
და არ იყო მათში ცთუნება გველისაგან იმათ ვეითა.

ღილა გათენდა, ვახსენეთ ღმერთი და წმინდა ყოველი,
მარიამ დედა ქალწული და მერმე ძელო ცხოველი,
კვართი და მკლავი მარჯვენი, ღვთივ ქმნილი სვიტიცხოველი;
და თქვენ დაგვიფარეთ დაგვეცვით, რა წყალში ვიქმნეთ სოველი!
(გ. ლუონიძის რედ. — გვ. 9—10).

ქრონიკა

„ერთი ტერტერა გორიდან მოვიდოდა, არა იცოდა-რა. წინ ჯარი შეეყარა.
ღუესის მინდორში გაბრუნდა, იმეფე წამ გორის ხიდი ჩაყარა და გორს გავიდა,
ზემო ქართლის ქვეყანას შეატყობინა, ჯარი იშოვა. სრულ აიყარნენ და სახი-
ზრათ წავიდნენ. თუ ტერტერა წინ არ შეგვეყროდა, გაუსჯელად გავიდოდნენ
და ქვეყანას დიად წაახდენდნენ. და ქვახვრელს დაუწყეს მას უკან ხიდს დება.
სახლები აქციეს. ჩაიტანეს, ხიდი გაღვეს და გორს გავიდნენ. იქ დადგენ და
მეფე და ჯარი ატენს წავედით. და უკან ჯარი გვემატება და საციციანოზედ წა-
ვედით. გაღმა მხარს შეყრილან ჯარი, სრულ გაღმა მხარი და უკენ მოსდევნენ
და ჩვენ მკურავი გაუგზავნეთ, თქვენ წყნარა მოსდიეთო და ჩვენც გამოვალთ,
დაგესწრებითო. ისინი სადაც მოხვდნენ, სრულ წვეს და არბიეს და ააოხრეს
და სურამთ წავიდნენ. სურამს მივიდნენ და მეფე ბრბონას მიბძანდა, დავხვდით
ომი გვეწადა. სურამის ახალდაბას ხიდი გვეგონა, რომ იქ გავალთ, და იმათ
ჯარი გაეგზავნა, ხიდი ჩაეყარათ, შევიტყვევით, დავლონდით.

ეფისკოპოზნი ბევრნი საღმთო კაცი იყვნენ. იმ ღამეს ყველამ ღამე ათიეს
ლოცვითა და ცრემლითა, ღმერთს ეხვეწნენ, ხუალ წყალში არ დაგვიმარცხდეს
რაო.

გასვლა დააპირეს. მეორეს დღეს ხიდი იმათ ჩაეყარა. ჩვენ ბრბონას ვი-
დევით. თავს დავმზერდით და ისინი გაღმიდან გვიჭრებოდნენ. და სურამს და
ტაშის კარშუა ადგილი აღარ იყო. სავსე იყო ჯართა, და იმ ღამეს ყველამ
ღამე ვათიეთ“ (ქიქინაძის გამ. გვ. 29) შემდეგ ისევ საერთო ცნობა.



„ერთი ტერტერა გორელი გორიდან მოვიდოდა თავისთვის უგრძობელად და მიმოიხედვინა იმიერ და ამიერ ტერტერა იგი და იხილა ღორსი და ველნი იგი დოესისანი აღსებულნი“²⁵ ი ჯარითა. და მაშინ სცნა ტერტერაჲს, რომე არა იყვნენ ქართველთაგანნი, და სცნა რომე უსჯულოთაგანნი არიან ვინმე და მარბევლნი ქუეყნისანი, და მსწრაფლ უკუნეჲცა ტერტერა იგი, და მივილტოდა გორის-კერძო; განვლო ჳიდი მტკურისა, და გარდაყარა ფიცრები ჳიდისა სრულიად, და ჩაყარა წყალსა შიგან, და აშალა ჳიდი; და მივიდენ ყირიმნიცა ზედა-მიწევნით, და დახუდა ჳიდი აყრილი და შეუძნდათ ფრად, და ველარა გაიარეს კიდზედა.

მაშინ დაჳმუნებულნი მიიქცენ და წავიდენ გზასა საციციანოსასა და შეველეს საციციანოსა ზედა, დაწვეს და დადაგეს საციციანო. და წარვიდეს და მივიდეს ბრბონას და დაიბანაკეს მუნ. მაშინ დააქციეს სახლები, გადვეს ჳიდი და გავიდენ მტკუარსა, მივიდენ და დადგენ ტაშისკარის ბოლოს ნახევტაში.

ხოლო მეფე ლუარსაბ და მოურავი წარმოვიდენ და მოვიდენ ახალდაბას. მაშინ იყო მტკუარი დიდი, რამეთუ თუე იყო ივნისი, და არა იყო ფონი. მას დამესა ათივეს დამე ვედრებითა და ლოცვითა მჭურვალითა, და მიანდვეს საქმე ღმერთსა და დასაკუნეს შესვლა მტკუარშია ფონად, და ეგრეთ განვლად მიერ წიალად“²⁷.

რამდენიმე მსგავსი შემთხვევა გვხვდება მაშინ, როცა ქრონიკის ავტორი ფარსადან გორგიჯანიძისა და „მესხური მატეანის“ ცნობებით სარგებლობს.

როგორც ცნობილია, ვახუშტის დროს „მესხური მატეანის“ ხელნაწერი უფრო სრული სახით ყოფილა დაცული²⁸, და, ქრ. შარაშიძის აზრით, ისტორიკოსს შეტანილი აქვს უკვე მისი 1552 წლის ცნობა: „შემდგომად კვლად მოვიდნენ ოსმალნი და დაიპყრეს არტანუჯი არსიანამდე, კვლად დაიპყრეს ფარაკანი და სრულიად არტანი და აღაშენეს ფარაკანი, არამედ სამცხეს ვერ გარდმოვიდნენ ძალითა აწყურისა ღმრთის მშობლისათა“. აწყურის სასწაულის ხსენებაში მკვლევარი ხედავს „მესხური მატეანის“ გავლენას, ვინაიდან (მოტანილი აქვს ვ. გაბაშვილის აზრი) ვახუშტისათვის უცხო იყო ე. წ. „პროვიდენციალიზმი“²⁹. აღსანიშნავია, რომ ცნობა მეორდება როგორც შევსებულ გადაკეთებულ „ქართლის ცხოვრებაში“³⁰, ასევე ქრონიკაში. უკანასკნელი ორი უფრო ახლოს უნდა იყოს დედანთან, ისევე როგორც სხვა შემთხვევებშიც, და ვახუშტი, აქ როგორც ჩანს, ერთ წელში ცდება. უფრო მეტად ემთხვევა დასახელებული წყაროებისა და ვახუშტის მონაცემები სხვა შემთხვევებში, ადრეულ თარიღებთან დაკავშირებით. მაგ., სულ მცირედით განსხვავდება 1444 წლის ცნობის მეორე ნაწილი, სამცხეს რომ ეხება, 1447, 1462, 1465, 1486, 1491, 1500, 1502, 1516, 1535, 1545, 1546, 1553, 1550 წლების ცნობებისაგან.

²⁷ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბ., 1959, გვ. 387.

²⁸ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 216.

²⁹ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.) ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961., გვ. 112; შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი... ს. ყაუხჩიშვილის გამ. გვ. 716.

³⁰ ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამ. გვ. 500.

ამდნად ამ სამი თხზულების ურთიერთშეპირისპირებით შესაძლებელია ნაწილობრივ აღდგეს „მესხური მატიანის“ პირველი სამი-ოთხი გვერდი, რომელიც, ჭრ. შარაშიძის აზრით, აკლია მას. მაგრამ მეორე მხრივ, ვარაუდს, რომ ცნობები მომდინარეობს უსაბუთოდ „მესხური მატიანიდან“, ხელს უშლის შემდეგი გარემოება. 1. ყველა ეს მონაცემი შეტანილია სხვა ქრონიკებშიც. 2. „პარიზის ქრონიკის“ ამ ნაწილში რამდენიმე უხუსტო ცნობაა: მაგალითად, დედისიმედის გარდაცვალების თარიღი (1491)³¹, ყვარყვარე II-ისა და ქაიხოსროს გარდაცვალების თარიღები (1500—1502 წ)³². ამ მოვლენებს ზუსტად ასევე ათარიღებს ვახუშტიც³³. მაგრამ თუ ამ ცნობების წყაროდ ვივარაუდებთ მესხურ მატიანეს, უნდა ვიფიქროთ, რომ შეცდომები თვით მასშია დაშვებული, ვინაიდან მისი პირველი ავტორის — დედისიმედის (ქაიხოსრო II-ის ცოლი), ცხოვრების წლები უკვე კარგა ხნით იყო დაცილებული აღნიშნულ მოვლენებს.

როგორც აღინიშნა, არ არის ცნობილი ქრონიკის ავტორი და შედგენის თარიღი. ტექსტის დათარიღება და მისი სრული, ან ნაწილობრივი ატრიბუცია უნდა მოხდეს ყოველმხრივი ტექსტოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე. ქრონიკის დათარიღება მოითხოვს მისი ყველა წყაროს გამოვლენას და ზუსტ დათარიღებას, რაც კვლავ დღის წესრიგში აყენებს მათ დეტალურ შესწავლას.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, სწავლულ კაცთა ნაშრომი წინ უსწრებს „ქართლის ცხოვრების“ შევსებულ-გადაკეთებულ გაგრძელებას. ამ უკანასკნელ თხზულებას ძირითადად XVIII ს-ის 60-იანი წლებით ათარიღებენ³⁴. ს. კაკაბაძის ვარაუდით, ნაშრომი XVII ს-ის 30-იან წლებში ქართლში უნდა იყოს შედგენილი³⁵. რაც შეეხება პარიზის ქრონიკას, გამოთქმულია აზრი რომ ის „ქართლის ცხოვრების“ შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელების ერთ-ერთი წყაროა³⁶.

შედარებამ დაგვარწმუნა, რომ უკანასკნელი მოსაზრება არ არის ზუსტი და შევსებულ-გადაკეთებული „ქართლის ცხოვრება“ თვითონ არის ქრონიკის ერთ-ერთი ძირითადი წყარო. საინტერესოა, რომ თანმიმდევრობას: 1. სწავლულ კაცთა ნაშრომი, 2. „ქართლის ცხოვრების“ შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელება და 3. პარიზის ქრონიკა — მხარს უჭერს მათი წყაროებიც.

როგორც დადგენილია, XVII ს-ისათვის, „სწავლულ კაცთა“ ნაშრომი ემყარება: 1) იოსებ თბილელის „დიდმოურავიანს“, 2) თეიმურაზ I-ის „ქეთევანიანს“, 3) არჩილის პოემის „გაბაასება რუსთველისა თეიმურაზრან“, 4) ლუ-

³¹ დედისიმედის გარდაცვალების თარიღზე იხ. ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე. საქართველოს ისტორიის მასალები, I, გვ. 200—201, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954.

³² ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 134—137.

³³ ვ ა ხ უ შ ტ ი. ქრონოლოგიური ცხრილი, ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამ. თბ., 1973, გვ. 898.

³⁴ ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული საისტორიო მწერლობა გვ. 352; კ. გ რ ი გ ლ ი ა. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 307; დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე. ვ. გორგჯანიძის თხზულებისა და ქართლის ცხოვრების გაგრძელებების XV ს-ის. სპარსული წყაროები. „აღმოსავლური კრებული“, I, თბ., 1960, გვ. 164; რ. კ ი წ ა ძ ე. ქართლის ცხოვრების გადაკეთებული გაგრძელების წყაროების საკითხისათვის. კრ.: ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968, გვ. 167.

³⁵ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. ფარსადან გორგჯანიძის ისტორია. გვ. 207.

³⁶ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრების ტექსტები. „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 06.

არსაბის ცხოვრებისა და წამების შემცველ რაღაც უცნობ სასულიერო ხასიათის ნაწარმოებზე³⁷. გამოყენებულ წყაროთა შორის არ არის მესხური მატია-ნე მაშინ, როდესაც „ეგნატაშვილი ბერისეული ქართლის ცხოვრებებზე“³⁸ წერდა ის წყაროა, რომელსაც ჩვენამდე მოღწეულ ვახტანგის დროინდელ უცნობ საისტორიო ძეგლზე უფრო სრულად შემოუნახავს 1535—1587 წწ. საქართველოს ისტორიის შემცველი ცნობები. ცხადია, სამხრეთ საქართველოს XVI ს. ისტორიის ეს მდიდარი ცნობების შემცველი ძეგლი ავტორისა (თუ ავტორებისათვის) უცნობი ყოფილა³⁸.

ქართლის ცხოვრების შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელების ავტორი, სხვებისაგან განსხვავებით, იყენებს „მესხურ მატიანესაც“ და ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულებასაც³⁹.

„პარიზის ქრონიკის“ შემდგენელი როსტომ მეფის 1648 წლის სიგელის გარდა, სარგებლობს კიდევ ერთ წყაროთი, რომლის გამოყენების კვალს ვერ ვხვდებით „სწავლულ კაცთა“ ნაშრომსა და შევსებულ-გადაკეთებულ ქართლის ცხოვრებაში. ეს არის გრიგოლ დოდორქელის „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“ (შედარებით ტექსტოლოგიური ანალიზით არ დასტურდება ტრ. რუხაძის მოსაზრება, თითქოს ორივე ეს წყარო გრიგოლ დოდორქელის თხზულებას ეყრდნობა)⁴⁰.

„პარიზის ქრონიკის“ ზუსტი დათარიღებისათვის დღეს გამოვლენილი მისი წყაროები ჯერჯერობით არ ქმნის მყარ საფუძველს, ვინაიდან ქრონიკაში გამოყენებული ყველაზე გვიანი ძეგლი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“ არ გადმოდის 1703—1713 წლებს აქეთ⁴¹. დათარიღებისათვის უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ქრონიკა, მართალია, 1703 წ. ცნობაზე წყდება, მაგრამ მისი დედნის შესახებ არ მოგვეპოვება არავითარი ცნობა, ხოლო შემორჩენილი ერთადერთი ხელნაწერიც არ არის სრული. ძეგლი რომ 1703 წ. ახლო ხანებში ყოფილიყო შედგენილი, მასში უფრო ფართოდ იქნებოდა გაშუქებული XVII ს-ის დასასრულისა და XVIII საუკუნის დამდეგის ამბები. მაგრამ აქ არის გადმოცემული მხოლოდ 1678, 1702, და 1703 წლების მოკლე ცნობები. ამავე დროს თავისი აგებულებით, გამოყენებული წყაროებითა და ქრონოლოგიით ქრონიკა უფრო მეტად „სწავლულ კაცთა“ ნაშრომს უახლოვდება, ვიდრე XVIII ს. მეორე ნახევრის თხზულებებს (სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის და სხვათა ნაშრომებში, ქრონიკისაგან განსხვავებით, ძირითადად აღწერილია ავტორების თანადროული მოვლენები).

³⁷ დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, ახალი ქართლის ცხოვრების (სწავლულ კაცთა კომისიის ნაშრომის) XVII ს-ის ქართული წყაროები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1962, ტ. VI, ნაკვ. 2, გვ. 105—121.

³⁸ ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 108.

³⁹ დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, ფ. გორგიჯანიძის თხზულების და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა XVI—XVII სს. სპარსული წყაროები, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შობაზე, 1960, № 2, გვ. 142—144.

⁴⁰ დ. კაციტაძემ გამოკვლევაში „ახალი ქართლის ცხოვრების XVII ს-ის ქართული წყაროები“ ყურადღება მიაქცია, რომ „სწავლული კაცები“ არ იყენებენ გრიგოლ დოდორქელის აღნიშნულ ნაშრომს. შედარებამ გვიჩვენა, რომ არ იცნობს მას არც შევსებულ-გადაკეთებული „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელი.

⁴¹ ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ახლადმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“. გვ. 236.

ქრონიკის სამეცნიერო-კრიტიკული გამოცემა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა შუქს მოჰფენს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის მრავალ საინტერესო მხარეს.

ქართული
ენის ინსტიტუტი

Г. Г. АЛАСАНИЯ

НЕКОТОРЫЕ ПРИНЦИПЫ ИЗДАНИЯ ИСТОРИЧЕСКИХ
ИСТОЧНИКОВ

(К методике издания т. н. «Парижской хроники»)

Резюме

В статье рассмотрены факторы, обуславливающие принципы тех или иных видов научных изданий текстов. Автор статьи обосновывает необходимость научно-критического издания анонимной грузинской хроники XVIII века (т. н. «Парижской хроники»), касаясь предшествующих публикаций (Парижской 1831 г. и Тбилисской 1903 г.) и устанавливая задачи, стоящие перед ее современным издателем.

ლიანა დავლიანიძე

ჰაკობ შემახეცის „თამაზ ყული-ხანის ლაშქრობანი და მისი შაჰად არჩევა“

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის სომხური საისტორიო მწერლობის გარკვეული ნაწილი ასახავს ირანის სარდლის თამაზ ყული-ხანის (შემდეგში ნადირ-შაჰის) ლაშქრობებს, მის მოსვლას ამიერკავკასიაში, აქ წარმოებულ დაპყრობით ომებსა და ამასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მოვლენებს. ძირითადად ამ ამბებს აღწერენ აბრაამ ერევანცის¹, აბრაამ კრეტაცის² და ჰაკობ შემახეცის³ ნაწარმოებები.

აბრაამ ერევანცის „ომების ისტორიაში“ დაწვრილებით არის მოთხრობილი ირანის ძღვეამოსილი სარდლის ლაშქრობებზე აღიარებისა და ოსმალების წინააღმდეგ, რის შედეგად ყული-ხანმა, მისთვის ჩვეული შეუპოვრობით, უკან დაიბრუნა ძნელბედობის დროს ოსმალების მიერ მიტაცებული ირანის მფლობელობაში შემავალი ტერიტორიები. ნაწარმოებში ასახულია აგრეთვე მძიმე ხვედრი იმ ხალხებისა, რომელთა ქვეყნებშიც მიმდინარეობდა ეს ბრძოლები.

სომეხთა კათალიკოსის აბრაამ კრეტაცის (1734—1736) შრომაში ყურადღება გამახვილებულია იმ მომენტებზე, რომლებიც ასახავენ 1735 წელს თამაზ ყული-ხანის მოსვლას ამიერკავკასიაში, მასთან კათალიკოსის კეთილ ურთიერთობას, რასაც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისათვის, ეღვარდის ბრძოლას ერევნის მახლობლად, ირანის სარდლის წარმატებებს და ბოლოს, მეტად დაწვრილებით, მის შაჰად კურთხევათან დაკავშირებულ სიტუაციებს მულანის ველზე. კრეტაცი, როგორც თვითმხილველი, დიდი სიზუსტით აღწერს მოვლენებს და ამდენად მისი ნაწარმოები ძვირფასი წყაროა XVIII საუკუნის არა მარტო სომეხეთისა და ამიერკავკასიის ისტორიისათვის, არამედ — ირანისათვისაც.

ამჯერად ჩვენს ყურადღების საგანია აღნიშნული პერიოდის ამსახველი კიდევ ერთი ნაწარმოები, კერძოდ, ჰაკობ შემახეცის „თამაზ ყული-ხანის ლაშქრობანი და მისი შაჰად არჩევა“. აქ მოყვანილია, მართალია, მოკლე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლებიც აზუსტებენ ზემოთ ხსენებულ

¹ М. Р. Ван дер Нейк. «История Иранских завоеваний 172—1731 гг.», 1938.

² М. Р. Ван дер Нейк. «История Иран», 1973.

³ Նազիր Տահիր աղաթախնեսիր (დამ ლაჰიჯ ტამაխანცი) ს. ტერ-ავეტისიანის გამოც., ერევანი, 1940.

ავტორთა მონაცემებს. ამიტომ როდესაც საქმე შეეხება XVIII ს-ის 30-იანი წლების ისტორიის შესწავლას, გათვალისწინებული უნდა იყოს შემახვევის ცნობებიც.

პაკობ შემახვეცი, გარდა მწერლობისა, ცნობილია ჯერ როგორც სამონასტრო სკოლის მასწავლებელი, ხოლო შემდეგ — სომეხთა კათალიკოსი (1759—1763). მისი მომდევნო კათალიკოსისა და მწერლის სიმეონ ერევანცის დახასიათებით, შემახვეცი ყოფილა კაცი ნიჭიერი, გამრჯე, ყველა საქმის სანაჭებოდ წარმართველი, ახალგაზრდობიდანვე „წმინდა საყდრის“ ბინადარი და ძმობის წევრების მასწავლებელი; სანიმუშოდ ადგენდა სხვადასხვა სახის დოკუმენტებს, გათვითცნობიერებული იყო ყველა საერო საქმეშიც⁴. გარდაცვლილა პაკობი 1762 წელს, დაკრძალულია ეჩმიადინში, წმინდა გაიანეს მონასტერში.

ცნობილია შემახვევის ხელნაწერი კრებული „შაპოლარანი“ (*ჯანიყარანი* მოსაგებელი?), დაწერილი ახალ ჯულფაში. მასში, გარდა დასახელებული ნაწარმოებისა, შესულია აგრეთვე ქადაგებანი, საეკლესიო კალენდარი, სასულიერო კანონები, საკუთარი ლექსები და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შემახვევის კიდევ ჰქონია დაწერილი ვრცელი ისტორია. „თამაზ ყული-ხანის ლაშქრობებში“ ის ხშირად აღნიშნავს: აქ იმას აღარ გავიმეორებ, რაც სხვაგან დაწვრილებით აღწვრეთო. რამდენადაც ცნობილია, ეს ნაწარმოები დღემდე მიკვლეული არ არის⁵.

ჩვენს ავტორს გარკვეული წვლილი მიუძღვის აგრეთვე „გავაზანაგირქის“ (წიგნი, რომელიც შეიცავს მეფეთა და პატრიარქთა ისტორიას, ან მათი გვარტომობის აღწერილობას) ერთი ნაწილის შევსებაში. კერძოდ, მას დაუწერია 1715—1751 წლების მონაცვეთი. რადგანაც „გავაზანაგირქე“ მუშაობის დროს შემახვეცი უკვე მოხუცებული ყოფილა და მალე გარდაცვლილა, ახლად არჩეული კათალიკოსის — სიმეონ ერევანცის ბრძანებით, შრომა გაუგრძელებია მის მოწაფეს ლუკიანოსს⁶.

„შაპოლარანი“ დათარიღებულია 1743 წლით. ცხადია, „თამაზ ყული-ხანის ლაშქრობები“ დაწერილი იქნებოდა ამ თარიღზე უწინ. შემახვეცი თავის მიერ გადმოცემული ამბების თანამედროვე და ხშირ შემთხვევაში თანადამხედურეც არის. მაგ., როდესაც ის ლაპარაკობს თამაზ ყული-ხანის ეჩმიადინში მისვლაზე, აღნიშნავს, რომ სხვებთან ერთად თვითონაც იღებდა მონაწილეობას ირანის სარდლის მიღების ცერემონიალში. ნაწარმოებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ელვარდის ბრძოლას, რომელშიც თამაზ ყული-ხანმა დიდი გამარჯვება მოიპოვა ოსმალეთის სარდალ აბდულა ფაშაზე. ამ წარმატების შემდეგ იყო, რომ ოსმალებმა უომრად გადასცეს მას ამიერკავკასიის მთელი რიგი ტერიტორიები და მათ შორის თბილისიც. თუ უმეტეს წილად შემახვეცი მოკლედ ყვება, აქ ის დაწვრილებით ჩერდება ბრძოლის მსვლელობაზე და ისეთსავე თანმიმდევრობას იჩენს, როგორსაც აბრაამ კრეტაცი. ამასთანავე დამატებით აღნიშნული აქვს ოსმალთა ჯარის რაოდენობა და დეტალურად აღწერს იმ სამხედრო ხერხს, რამაც განაპირობა ყიზილბაშთა წარმატება.

⁴ Симеон Ереванци, Джамбр, памятная книга-зерцало и сборник всех обстоятельств святого престола Эчмиадзина и окрестных монастырей, Москва, 1958, с. 101.

⁵ Նաիրի Նանի պրշախանքեր... շջ 29.

⁶ იქვე, շջ. 17—18.

შემახეცის ნაშრომის მიხედვით ირკვევა, რომ თამაზ ყულუხანს თბილისში ყოფნის დროს, მიუხედავად განზრახვისა, აქაური სომხები ხორასანს არ გაუსახლებია. აქ ლაპარაკია მხოლოდ ერევნის, ნახიჩევანისა და ყაზახეთის ვასახლებზე. ჩვენი ავტორის ცნობა კარგად ადასტურებს მდებარე მხარეებში ცის გადმოცემას, რომელიც ეხება კათალიკოსის დიდ მცდელობას თბილისში სომეხთა ოჯახების ტყვეობიდან დასახსნელად.

ყურადღებას იმსახურებს შრომის ის ნაწილიც, სადაც საუბარია ნადირის მიერ ყარსიდან მოთარეშე რაზმების გაგზავნაზე ყაიყულში, ჯავახეთში, ჩილდირში, ოლთისში, ნარიმანსა და არზრუმის გარშემო მდებარე მხარეებში. მოთარეშეებმა დაარბიეს აღნიშნული ადგილები და ხელთ იგდეს მთელი მოსახლეობა თავისი ქონებითურთ. დაახლოებით ასეთივე ცნობები მოგვრევბათ ქართველ ისტორიკოსებსაც — ვახუშტი ბაგრატიონს⁸ და სენია ჩხეიძეს⁹. განსხვავებით აბრაამ კრეტაციასგან¹⁰, შემახეცი არ უთითებს თითქოს ეს მხარეები მხოლოდ სომხებით ყოფილყო დასახლებული, ის მოსახლეობის გვარტომობაზე საერთოდ არაფერს ამბობს¹¹. ამ ადგილებში გარდა სომხებისა მაშინ სხვებსაც რომ უცხოვრიათ, ამაზე კარგად მეტყველებენ იმდროინდელი სხვა თხზულებები. მაგ., ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ ჯავახეთში ცხოვრობენ „კაცი და ქალნი მგზავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი, შუენიერ-ჰაეროვანნი... სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტიანენი სრულად... ენა აქუსთ ქართული და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამპყრობისათვის ოსმალთა“¹¹. ცნობილია, რომ ამ მხარეებში ნადირმა ფეხი ვერ მოიკიდა, ხოლო ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობის ქვეშ მყოფმა მოსახლეობამ თანდათან შეითვისა მტრის ენა.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების გერმანელი მოგზაური და მწერალი გიულდენშტედტი აღნიშნავს: ჯავახეთი არის ქართლის მხარე, სადაც „მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველებია და რადგანაც თურქებმა მათ დაუტოვეს ეკლესიები, უმეტესობა ჯერ კიდევ ქრისტიანებია, მცირე რაოდენობა გამაჰმადიანდა... ამიტომ ქართული და თათრული, უმეტესად კი პირველი ენა, იხმარება სალაპარაკოდ. თათრებს გარდა ბევრი სომხებიც არიან, ამათგან კი ბევრია კათოლიკე... აქ არიან აგრეთვე ებრაელებიც“¹². ამავე თხზულებაში როდესაც გიულდენშტეტი ლაპარაკობს მაჭახელზე, აჭარაზე, ნარიმანსა და ჯავახეთზე, ჩამოთვლის მთელ რიგ მხარეებს, მათ შორის ოლთისსაც, და კიდევ ერთხელ უთითებს, რომ აქ „ოთხივე მხარე დასახლებულია ქართველებით“¹³.

ნარიმანის (იგივე მამრევანი) ქართულ-სომხური მოსახლეობის შესახებ ცნობა მოგვრევბა XVII ს-ის სომეხ ავტორს ჰაკობ კარნეცისაც¹⁴.

⁷ Արքանამ Կրեոսացի, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

⁸ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1973, გვ. 515.

⁹ სენია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ, 1854, გვ. 340.

¹⁰ Ա. Կրեոսացի, გვ. 67 და 209.

¹¹ ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 515.

¹² გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. ველაშვილის გამოც. ტ. I, თბ., 1962, გვ. 215.

¹³ იქვე, გვ. 317.

¹⁴ Մանր ժամանակագրությունը, XIII—XVIII სს. ტ. I, გვ. 555.

აბრაამ კრეტაცი, რომელიც თრაკიიდან იყო და მთელი თავისი უსწორებ-
ის უმეტესი ნაწილი სამშობლოს ფარგლებს გარეთ გაატარა, იქნება კარგად
არ იცნობდა თავის ქვეყანას და მის მეზობელ მხარეებს. ამდენად უზუსტობა
მიზეზიც ეს უნდა იყოს¹⁵.

ჰაკობ შემახეცი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს მულანის ველზე შეკრე-
ბილ ყურულთაის და თამაზ ყული-ხანის შაჰად არჩევასთან დაკავშირებულ
ამბებს. მისი თხრობა აქ რამდენადმე განსხვავდება ზემოთ დასახელებულ სომეხ
ავტორთაგან. მაგალითად, როდესაც აბრაამ ერევანცი და ერთი ქართული ანო-
ნიმური წყაროს შემდგენელი ლაპარაკობენ მულანის ყურულთაიზე, აღნიშნა-
ვენ თითქოს ნადირს საშინელი სიმკაცრე გამოუჩენია იმათ მიმართ, ვისაც
ირანის შაჰის კანდიდატურის შესახებ განსხვავებული აზრი გამოუმჟღავნებია.
ერევანცის მიხედვით, ნადირს იქვე დაუხოცია ორი წარჩინებული პირი, რად-
განაც მათ შაჰ თამაზ II-ის ტახტზე დაბრუნების სურვილი გამოუთქვამთ¹⁶.

ქართულ წყაროში კი ნათქვამია, ისფაჰანის მოლაბაში, რომელმაც მაშინ-
ვე არ დაუდასტურა ნადირ-ხანს გადაწყვეტილების სისწორე მის შაჰად დად-
გენასთან დაკავშირებით, მეორე დღესვე მოუკლავთ, ხოლო იმისი გვამი სამი
დღე მოედანზე გდებულა¹⁷. აბრაამ კრეტაცი მსგავს კონფლიქტებს დუმილით
უვლის გვერდს. მიუხედავად მისი დიდი გულწრფელობისა, ბოლომდე მაინც
არ იჩენს გულახდილობას. როგორც სომეხთა კათალიკოსს, კრეტაციის, გარ-
კვეული მიზნით მფარველობდა და მის ყოველ თხოვნას ანგარიშს უწყევდა თა-
მაზ ყული-ხანი. ასეთ ურთიერთობას კი მეტად დადებითი მნიშვნელობა ჰქონ-
და როგორც სომეხი ხალხის, ასევე სომხური მონასტრებისათვისაც. ამასთან
დაკავშირებით კრეტაცი დიდ სიფრთხილეს იჩენდა ირანის სარდალთან ურ-
თიერთობაში, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ საქმე ჰქონდა
დესპოტ ადამიანთან¹⁸.

ჩვენი ავტორი თუმცა არ ლაპარაკობს თამაზ ყული-ხანის სისასტიკეზე
მულანში ყოფნის დროს, მაგრამ პირუთვნელად აფასებს თვითონ ფაქტს—
თამაზ ყული-ხანის შაჰად არჩევას. მას ესმის, რომ იქ მყოფმა ადამიანებმა, რო-
გორც უგნურმა „ცხვრებმა“, ისე დაიყენეს თავიანთ მწყემსად უღმობელი
„მგელი“.

საერთოდ შემახეცის მთელ ნაწარმოებს ახასიათებს სინამდვილის მარ-
თებულად ასახვა უხვად მოტანილი თარიღებით, რომელთა სიზუსტეც სხვა წყა-
რობითაც დასტურდება და ღირსებას მატებს შრომას.

„თამაზ ყული-ხანის ლაშქრობები და მისი შაჰად არჩევა“ პირველად რუ-
სულ ენაზე დაიბეჭდა 1932 წელს. თარგმანი შეასრულა და წინასიტყვაობა
დაურთო ს. ტერ-ავეტისიანმა¹⁹. მანვე 1940 წელს გამოსცა შემახეცის შრომის

¹⁵ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შესახებ იხ. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 280—369.

¹⁶ აბრაამ კრეტაცი, ომების ისტორია, თბ., 1976, გვ. 85.

¹⁷ Г. Пайчадзе, Грузинский источник о востшествии на престол Надир-шаха. Сааркиეთი სამმართველოს სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, № 13—14, 1967, გვ. 99.

¹⁸ კრეტაცი, თავი XXIV, ამავე შეხედულებაზე ლაპარაკია შრომაში: Л. Тер-Мкртчян. Армения под властью Надир-шаха. Москва, 1963, с. 55.

¹⁹ С. Тер-Аветисян. Походы Тамас-Кули-хана (Надир-шаха) и избрание его шахом в описании Акопа Шамахеци, Тифлис, 1932.

სომხური ტექსტი, აღებული ავტორისეული „შაჰოლარანიდან“. გამოცემას ახლავს ვრცელი წინასიტყვაობა და შენიშვნები²⁰.

წინამდებარე ქართული თარგმანი შესრულებულია 1940 წლის შემოდგომაში.

სომხური ტექსტი

ქ ა კ ო ზ შ ე მ ა ხ ა ნ ი

თამაზ ყული-ხანის (ნადირ-შაჰის) ლაშქრობანი და მისი შაჰად არჩევა

საქიროა ვიცოდეთ ისიც, რომ მაშინ, როდესაც ჩვენი წელთაღრიცხვის 1170 (1721) წელი იყო, ავღანელები გამოვიდნენ ყანდაარიდან მრავალრიცხოვანი ჯარით, მივიდნენ და ხელიდან გამოსტაცეს სატახტო ქალაქი ისფაჰანი შაჰსულთან ჰუსეინს*, რომელიც შაჰ-ისმაილის მოდგმიდან იყო. (აგრეთვე) დაეუფლნენ იმ მხარეების მრავალ ქალაქს, რომელთა ხელისუფალი იყო ვინმე მაჰდი (და) რომელიც იქ მეფედ იჯდა. ეს (მოხდა) ჩვენი წელთაღრიცხვის 1171 (1722) წელს, ოქტომბრის 12-ში.

ასევე სპარსთა სამეფოს ყოველი მხრიდან აუშხედრდნენ მეზობელი მტრები, მიიტაცეს სპარსთა ქვეყნის ქალაქები და ოლქები და გაბატონდნენ. ამრიგად, მეტად დაზარალდნენ ყიზილბაშები.

მაგრამ შაჰ სულთან ჰუსეინის ერთი შვილი, სახელად თამაზი**, რომელიც ავღანელებს გაექცა ისფაჰანიდან, იმყოფებოდა ხორასანში, ქალაქ მაშადში. მან შემოიკრიბა თავის გარშემო იმ მიდამოებში მყოფი ყიზილბაშები და გამეფდა იქ. მის მიერ შეგროვილი ჯარის მხედართმთავრად დააყენა ერთი წარმატებული, კვვიანი და ნაცადი კაცი, რომელიც იყო იმავე ხორასნის ქვეყნიდან, ბეგარითად წოდებული ოლქიდან და ერქვა სახელად ნადირ ყული.

უფლისწულმა თამაზმა, როდესაც შაჰი გახდა, გამოუცვალა მას სახელი და დაარქვა თამაზ ყული-ხანი, თავისი სახელის მიხედვით, იმ უმეტესი სიყვარულის გამო, რომელიც (ჰქონდა) მისდამი. მრავალრიცხოვანი მომზადებული ჯარით გაგზავნა ის ისფაჰანში ავღანელების წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ იქ იმყოფებოდნენ. როდესაც მივიდა, დაამარცხა ავღანელების ჯარი, რომელთა მეთაური იყო შაჰ-აშრაფი*** და (აიძულა) ის გაქცეულიყო ისფაჰანიდან. აიღო (ქალაქი ყული-ხანმა) და დაჯდა იქ. ეს მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვის 1178 (1729) წელს, ნოემბრის 4-ში.

რამდენიმე დღის შემდეგ მოიყვანა თავიანთი უფლისწული შაჰ-თამაზი და დასვა მამისეულ ტახტზე.

ამის მერე გამოიყვანა უამრავი ჯარი და დიდი მზადებით გაემურა შირაზის წინააღმდეგ. წაართვა ის ავღანელებს იმ მხარეთა ქალაქებითურთ. იქიდან წავიდა ჰამადანზე, ურმიასა და ქირმანშაჰზე და გამოსტაცა ისინიც ოსმალებს მათი ოლქებითურთ. იქიდან თავრიზისაკენ დაიძრა და ისიც აიღო. ასევე აიღო

²⁰ ზაჰიქ ნანი აიქაიანენსიქ, ერევანი, 1940.

* შაჰ სულთან ჰუსეინი (1694—1722)—ირანის სეფიანი შაჰი.

** შაჰ-თამაზ II-ის (1722—1732) ხელისუფლება ვრცელდებოდა ირანის მხოლოდ გარკვეულ ნაწილზე, კერძოდ ვილანზე, მაზანდარანსა და სამხრეთ აზერბაიჯანზე.

*** აშრაფი, ავღანეთის შაჰი (1725—1730), ისფაჰანიდან გაიქცა ბელუჯისტანში, სადაც 1730 წელს მოკლა ერთ-ერთმა ხანმა.

არდებილიც. თავრიზიდან სამი აუცილებელი მიზეზის გამო სასწრაფოდ დაბრუნდა ხორასანში. გზაში ალყა შემოარტყა ავღანთა ქალაქ ჰერათს, აიღო ისიც და გაბატონდა. ახლა, როდესაც ამდენი ქალაქი და ოლქი დაეპყრობოდა, მისმა საქმემ გაიმარჯვა და გაძლიერდა. მაშინ მზაკვრობით მტრობდა დაეპყრო შაჰ-თამაზს, თავისი ჯარის წინაშე მუდამ უბედურს, მშინშარასა და ლოტს ეძახდა. ავი ვანზრახვით კვლავ დაბრუნდა ჰერათიდან ისფაჰანში, კეთილი ლაპარაკით მოინადირა ჯარის გული, ტახტიდან ვადმოაგდო შაჰ-თამაზი, გაგზავნა ის ხორასანში, ქალაქ საბზევარში და ბრძანა დაცევით იქ სიფრთხილით.

ხოლო იმის ადგილას მეფედ დაადგინა მისი შვილი, ჩვილი ბავშვი, და უწოდა მას შაჰ-აბასი. ეს (მოხდა) ჩვენი წელთაღრიცხვის 1181 (1732) წელს, აგვისტოს 22-ში. მაგრამ არ ისურვა ისფაჰანში ჩვილი შაჰ-აბასის დატოვება, არამედ გაგზავნა ყაზვინში და გადაუნაცვლა ტახტი. ამ ამბების შემდეგ წამოიყვანა მთელი თავისი ჯარი, გაეშურა ლურისტანის წინააღმდეგ და ერთიანად დაიმორჩილა. იქიდან წავიდა ბაღდადზე, ალყა შემოარტყა მას და მეტად შეავიწროვა. (როდესაც ეს) შეიტყო ოსმალთა ხელმწიფემ*, დიდი ჯარი ერთი მხედართმთავრითურთ, რომელსაც ოსმან-ფაშას ეძახდნენ, ხოლო ზედმეტ სახელად „თოფალი“ (ერქვა), ბაღდადში მათ საშველად გაგზავნა. როდესაც იმისი მოსვლა შეიტყო თამაზ ყული-ხანმა, გამოვიდა მის წინააღმდეგ და ერთმანეთს შეებრძოლნენ. მაშინ დამარცხდა ყოიზლაშთა მხარე და უკუიქცა. მაგრამ ხანმა თამაზ ყულიმ სასწრაფოდ მოაწესრიგა ჯარები და ერთი თვის შემდეგ ხელმეორედ მოულოდნელად გაეშურა ოსმან-ფაშაზე. დაამარცხა მისი ლაშქარი და გამოიქცა, ხოლო თვითონ მხედართმთავარი ოსმან-ფაშა მოკლა. აქედან კი კვლავ წავიდა ბაღდადზე და დარჩა იქ.

როდესაც ეს დაინახა ბაღდადის ხელისუფალმა აჰმედ-ფაშამ, სამშვიდობო ზავი დადო მასთან, თავისთვის (რალაც) შეღავათით, რის შესრულებასაც შემდეგში ხანი დათანხმდა. ეს მოხდა 1183 (1734) წელს.

იქიდან წამოვიდა (ყული-ხანი და) ისევ დაბრუნდა თავრიზში. გილანისაკენ არ წასულა, რადგანაც შაჰ-თამაზი ისფაჰანში რომ მივიდა და დაჯდა მამისეულ ტახტზე, მაშინ გახარებული რუსები თავიანთი სურვილით გამოვიდნენ გილანიდან, ბაქოდან და დარუბანდიდან და გაეშურნენ თავიანთ ქვეყანაში**.

(თამაზ ყული-ხანი) იმავე საქმის გამო თავრიზიდან წავიდა შემახანში, მისი ვარეუბნებითურთ გამოსტაცა ის ხელიდან ლეკებს. ხოლო ლეკები გაიქცნენ თავიანთ ქვეყანა — დაღესტანში. თვითონ კი გაეშურა შემახიდან და წავიდა განჯაზე. ალყა შემოარტყა ციხესიმაგრეს, რომელშიც იდგა განჯის ფაშა ოსმალთა ჯართან ერთად.

აქედან გაგზავნა ხანჯან-ხანი*** ლაშქრითურთ თბილისის**** წინააღმდეგ, მისულმა წაართვა ის ოსმალებს, (შემდეგ) გაგზავნა კვლავ მხედართმთავარი ჯა-

* ამ დროს ოსმალთს განაგებდა სულთანი მაჰმუდ I (1730—1754).

** ცნობილია, რომ რუსეთმა უომრად დაუთმო ნადირს კასპის ზღვის სამხრეთი სანაპიროები 1732 წ. (რეშტის ტრაქტატი), ხოლო 1735 წ. ბაქო-დარუბანდიც (ვანჯის ტრაქტატი).

*** „შედგომად მისცა (ნადირმა) ხანჯალ-ხანს ხანობა ქართლისა, წარმოატანა ქართველნი და გამოუტეგა... მაშინ მოსრულნენ ხანჯალ-ხან დასდვა ხარკი და ჭირი დიდი“ (ვახუშტი ბატონი-შვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 515).

**** ტექსტშია „თილფიზ“-ი.

რებით სივნიეთსა და ნახიჩევანზე. მისვლისთანავე გადაეცეს მთელი ოსმალეთი და თვითონ გაბატონდნენ. თვით (თამაზ ყული) კი რამდენიმე თვის განმავლობაში ნაირ-ნაირი მანქანებით ავიწროებდა განჯის ციხეს, მაგრამ ვერ შეძლო მისი აღება. (მაშინ) დატოვა იქ საკმაო ჯარი, ხოლო თვითონ 1734 (1735) წელს დაიძრა იქიდან და წავიდა ყარსზე, სადაც დიდი ლაშქრით იდგა ქოფურულუ ოღლი აბდულა ფაშა, რომელიც სარასკარი* იყო. ის პირველი გამოვიდა (თამაზ ყული-ხანის) წინააღმდეგ. (დაიწყეს) ბრძოლა. ორივე მხრიდან იხოცებოდნენ მოლაშქრეები. (აბდულა ფაშამ) ციხისაკენ დაიხია, მაგრამ ვეღარ შეძლო ციხიდან გამოსვლა და მასთან ბრძოლა. ვერც (ყული-ხანმა) გაუძლო ყარსის ციხესთან დგომას, არამედ წამოიყვანა მთელი თავისი ჯარი და იქიდან კვლავ გაეშურა ერევნის ციხეზე, რომელიც ოსმალებს ჰქონდათ გამაგრებული. როდესაც თამაზ ყული-ხანმა აბარანის ოლქს მიაღწია, მაშინ თრაქიელი აბრაამ კათალიკოსი** გამოვიდა წმინდა საყდრიდან და მასთან შესახვედრად გაემართა.

მიღებული იქნა ღირსეული საბოძვრებით, სიყვარულითა და სიტკბოებით. (თამაზ ყული-ხანმა) დიდი პატივი სცა ჩვენს კათალიკოსს და თავის სუფრასთან დასვა. ამასთანავე უთხრა: ხალიფავ***, მსურს იუჩქილისაში**** მოსვლა, რათა თავყვანი ვცე. გამიგონია, რომ ეს ადგილი დიდად მიჩნეულია. აბრაამ კათალიკოსმა მაშინვე მიიწვია ის წმინდა საყდარში. (თამაზ ყული-ხანი) მრავალრიცხოვანი ამალით მოვიდა და დაბინავდა წმინდა საყდრის მახლობლად. ეს მოხდა სამ საათზე... ამასთან დაკავშირებით ჩვენმა შრქენმა კათალიკოსმა მოამზადა შესაფერისი საკმელ-სასმელი და მიართვა ხანს მის სადგომ კარავში საჩუქრებთან ერთად, რაც სიამოვნებით მიიღო და მადლობელი დარჩა ჩვენი კათალიკოსისა. ძვირფასი ოქროქსოვილი ხალათი ჩააცვა და მრავალი სასარგებლო და იმედის მომცემი სიტყვა უთხრა მას. მაშინ ჩვენმა ბრძენმა კათალიკოსმა გაბედა და ითხოვა მისგან ნებართვა, რათა შემოსილ ძმობასთან ერთად მოსულიყო აქ და დიდებით წაეყვანათ ის წმინდა საყდარში. (თამაზ-ხანმაც) ბრძანა ასე მოქცეულიყვნენ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი ვონიერი კათალიკოსი უფალი აბრაამი მაშინვე დაბრუნდა წმინდა საყდარში, (ჯერ) თვითონ შეიძოსა, ასევე შემოსა სასულიერონი და ჯვრებით, სანთლებით, მრავალრიცხოვანი მოწესებებითა და საერთოდ ძმობის წევრებით გამოვიდა წმინდა საყდრიდან. შუაში ცხენზე ამხედრებული ჩვენი კათალიკოსით გაეშურნენ წესისა და რიგისამებრ ყოვლად ძლიერი თამაზ ყული-ხანის კარვის კარისაკენ. როდესაც მან შეიტყო ჩვენი მოსვლა, მაშინვე გამოვიდა კარვიდან და შეჯდა ცხენზე. ჩვენს კათალიკოსსაც უბრძანა ამხედრებულიყო და (ისიც ამხედრდა). ხოლო ჩვენ, სასულიერონი მათ წინ მივიდოდით გალობით და საოცარი დიდებით შევიყვანეთ წმინდა და დიდებულ საყდარში. როდესაც შეხედა მას (ყული-ხანმა) დიდად გაოცდა და აღფრთოვანდა. მართლაც და მშვენიერი და მომხიბვლელი იყო, რადგანაც ამ

* მხედართმთავარი.

** იგულისხმება კათალიკოსი აბრაამ კრეტაცი (1734—1737).

*** ხალიფა (არაბ. შიადგილე, ნაცვლი) ისტ. არაბთა სასულიერო და სახელმწიფო მეთაური. აქ ნახშირია „სასულიერო მეთაური“, ანუ კათალიკოსის მნიშვნელობით.

**** იუჩქილისა, თურქულად „სამი ეკლესია“, ასე უწოდებდნენ მუსლიმანები ეჩმიაძინს,

იქ არსებული რამდენიმე ეკლესიის გამო (Аб. Кретацн. Повествование. 5. ყორღანისის გამოც. თბ., 1973, შენ. 46).

დროს არაჩვეულებრივად ბრწყინავდა წმინდა საყდარი მოოქროვილი საბე-
ვებით და ყვავილებით, საეკლესიო „სიწმინდის იარაღით“, უამრავი ნახულოე-
რო და საერო მსახურებით. განსაკუთრებით ძლიერ აცვიფრებდა მნახველებს
მხოლოდშობილის ჩამოსვლის წმინდა ადგილი, რის შესახებაც ახლამხლამად
მიძს შესაფერისად მოთხრობა სიჩქარის გამო, მით უმეტეს, რომისაგან წმინდა
ტორიაში* უკვე ვილაპარაკე მასზე — (ჩემი) სულის სასურველზე. ამის გამო
მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ წმინდა და დიდი საყდრის შუა ადგილას იყო და
არის აღმართული გაბრწყინებული სვეტი, რომელსაც ალტაცებაში მოჰყავს
მნახველი. მის წინ მდგომმა ხანმა გამოიკითხა მასზე აგრეთვე სხვა რამეებიც.
კათალიკოსისაგან მიიღო სათანადო პასუხები. (შემდეგ) დათვალიერა ეკლე-
სია, დაჯდა სავარძელში მთავარი საკურთხეველის წინ და ბრძანა ელოცათ და
ეგალობათ. ჩვენც დავიწყეთ მწუხრის შესრულება, მითუმეტეს, რომ უკვე
დროც იყო. ლოცვისა და გალობის დასრულების შემდეგ ჩვენმა კათალიკოსმა
დაიწყა ხანის დალოცვა ტაქიკურ ენაზე**, რადგანაც კარგი მცოდნე იყო ტა-
ქიკური ენისა და ენაწყლიანიც. როდესაც მოისმინა (მისი ნათქვამი თამაზ ყუ-
ლი-ხანმა) დიდდა გიხარა და კმაყოფილი დარჩა. წამოდგა სავარძლიდან და
ეამბორა წმინდა სახარებას, რომელიც ხელთ ჰქონდა ჩვენი კათალიკოსს.
(აქვე) სამასი ფლორის*** მიცემა უბრძანა მისთვის ხაზინადარს, რომელმაც მა-
შინვე უბოძა. შემდეგ გამოვიდა (ყული-ხანი) და მივიდა თავის კარავში. ეს
მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვის 1184 (1735) წელს, ივნისის თვის დასაწყისში.

იმ დროს წმინდა საყდარში მოადგილედ იყო კეთილმსახური მამა,
ბრძენი ეპისკოპოსი, უფალი ალექსანდრე ბიგზანდაცი. ჩვენმა კათალიკოსმა ეს
ეპისკოპოსის თორმეტი დღით აღრე, ვიდრე თვითონ წავიდოდა, გაგზავნა დიდი
ხანის შესაგებებლად. გზად მიმავალი ის ხელთ ჩაუვარდა ოსმალთა მზვერა-
ვებს, რომლებმაც შეიპყრეს და უნდოდით მოეკლათ. მაგრამ რადგანაც უფ-
როსი მზვერავი მისი ნაცნობი იყო, ამის გამო არ მოუკლავთ, არამედ ჯანმრთე-
ლი და უვნებელი დაბრუნდა წმინდა საყდარში. შემდეგ, აბრაამ მუშეცის კა-
თალიკოსობის დროს, ის კვლავ გაიგზავნა ერევანში წმინდა საყდრის საქმის
გამო. იქიდან დაბრუნებისას ოსმალთა გაქცეულმა ჯარმა შეიპყრო, გახადეს
[ტანისამოსი], წაართვეს ყველაფერი რაც ჰქონდა და შუბით ზურგში დაჭრეს.
მრავალტანჯული ეს (კაცი) ჭეშმარიტად დიდი მშრომელი და კეთილმოქმედი
ყოველ მხრივ ღირსეული შვილია წმინდა საყდრისა. უფალმა გადაუხადოს
სიკეთით.

დავუბრუნდეთ ჩვენს ამბავს თხრობის რიგში. როდესაც თამაზ ყული-
ხანი დღის სამ საათზე აქედან დაიძრა და მივიდა სოფელ ფარაქარში, იქ შეი-

* „ისტორია“, რომელსაც შემახეცი იხსენიებს, დღემდე მიკვლეული არ არის.

** აქ იგულისხმება სპარსული ენა.

*** „ფლორი“ გვხვდება ქართულ წყაროებშიც. „ხელმწიფის კარის გარიგების“ XVII საუკუ-
ნის შემდეგი დროის მინაწერის მიხედვით ის დრაქანის ტოლია (ხელ. კარის გარიგება, ე. თაყაი-
შვილის გამოც., თბ., 1920, გვ. III), ძველ ქართულ მწერლობაში ოქროს ფულს „დრაქანს“
უწოდებდნენ, მაგრამ შემდეგში ოქროს ერთეულის აღსანიშნავად „ფლორი“ შემოდის, თავდაპირ-
ველად ამ ტერმინს დას. ევროპის, განსაკუთრებით იტალიის, ოქროს ფულის მნიშვნელობა ჰქონ-
და, XVII—XVIII სს-ში კი უკვე ჩვეულებრივი ტერმინი ხდება (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სა-
ფას-საზომთმოდენობა, ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, თბ., 1925, გვ. 14—15).

ტყო, რომ სარასკარი აბდულა-ფაშა გამოსულიყო ყარსიდან, მისულიყრ აბა-
რანის მხარეში და (ახლა) მოდიოდა მის წინააღმდეგ.

ამის გამო მთელი თავისი ჯარი სასწრაფოდ შემოიკრიბა, დაიძრა იქი-
დან, — ერევნის ციხის მხრიდან და წავიდა დაბლობისაკენ, სოფელ ეღვარდ-
ში*. იქიდან ბანაყის მთელი ალალი გაგზავნა გელამის ტბის მხარეს, ხოლო
თავისთან დაიტოვა მხოლოდ მამაცი მეომრები, რომელთა რიცხვი, როგორც
ამბობენ, თვრამეტი ან ოცდაერთი ათასი იქნებოდა.

როდესაც შემოუარა იმ დაბლობს, შენიშნა ერთი მაღალი ბორცვი, რო-
მელსაც ტაქიტა ენაზე „ახითაფა“ ეწოდებოდა. ის ამოარჩია თავიანთი სი-
მაგრის მოსაწყობ ადგილად. (ბორცვი) სოფელ ეღვარდიდან აღმოსავლეთის
მხარეს მდებარეობს, მახლობლად მდინარე ჰურასტანისა, რომელსაც ამჟამად
ზანგუ ეწოდება. (თამაზ ყული-ხანმა) თავის ჯარს უბრძანა ამ ბორცვის გარ-
შემო აღემართა კაცის სიმაღლის ქვის ზღუდე, რაც სასწრაფოდ შეასრუ-
ლეს. ეს იმ აზრით გააკეთა, რომ თუ ომში დამარცხდებოდნენ, მაშინ ვამო-
ქეტულები შევიდოდნენ შიგ გადარჩენის მიზნით და აქიდან იომებდნენ მას-
თან.

ერთ დღეს, როგორც ამბობენ, ასი ათასიანი ჯარით მოვიდა აბაის მთის
ჩრდილოეთის მხრით აბდულა-ფაშა და დაბანაკდა სპარსთა ჯარის პირდა-
პირ, იმავე მთის ძირას, რადგანაც ეს ადგილი მიუვალი იყო. როდესაც ის
დაინახა გამჭრიახმა თამაზ-ხანმა, ისეთი საშუალება გამონახა, რომლითაც
ისინი დაბლობზე ჩამოვიდოდნენ. ამისათვის მან წინასწარ დაყო ლაშქარი
რაზმებად. იმათგან ზოგი საფარში გაგზავნა, ხოლო ზოგი თავისთან ერთად
წაიყვანა და დადგა ზღუდეშემოვლებულ ბორცვის თავზე. თანაც იმდენად
მჭიდროდ დააყენა ჯარი, რომ შორიდან დამნახველს ათი ათასის ნაცვლად
ხუთი (ათასი) ეგონებოდა.

მეორე დილას, როდესაც ოსმალებმა ეს დაინახეს, იფიქრეს, რომ (ყული-
ხანის) ჯარი მართალც მცირერიცხოვანი იყო. შეტდნენ, არაფრად ჩაადგეს,
გამხნეოდნენ, დაიძრნენ იქიდან და ჩამოვიდნენ დაბლობში, რათა გაეგლოთ და
წასულიყვნენ ერევნის ციხისაკენ, რომელშიც გამაგრებული იყო ოსმალთა
ლაშქარი. მაშინ გახარებული ხანი სასწრაფოდ ჩამოვიდა ბორცვიდან ჯარი-
თურთ და გაეშურა მათ წინააღმდეგ. შენივთდა ბრძოლა. ოსმალები სასტიკად
დამარცხდნენ და სირბილით უკუიქცნენ. თუ როგორ (მოხდა ეს), აქ დაწერი-
ლებით არ ვწერ, რადგანაც სხვა ისტორიაში მაქვს აღწერილი.

მაგრამ აქ მხოლოდ იმას გაცნობებთ, რომ ბრძოლის შემდეგ, დახოცილთა
გვამების დათვლისას, აღმოჩნდა ოსმალთაგან ორმოცი ათასი სული (დაცე-
მული), ხოლო სპარსთაგან — თხუთმეტი თუ ოცი. მათ შორის იყო დაღუპუ-
ლი სარასკარი ქოფურლუ-ოლი აბდულა-ფაშაც. ამ გამარჯვების გამო დიდმა
ხანმა ბრძანა იმ ბორცვისათვის ამის შემდეგ „მურად-თაფა“ ეწოდებინათ.
(აგრეთვე) ბრძანა, რომ გათლილი ქვებით მასზე აეგოთ თავისი კარვის მსგავსი
შენობა, ხოლო მის ქვევით მოეწყოთ წყალსაცავი. (მართლაც) ააშენეს და
დაასრულეს კიდევ. მთავარი მშენებელი იყო წმინდა საყდრის ძმობის ერთი

* ეღვარდი შუა საუკუნეების სომხეთის დიდი დასახლება, ამჟამად სოფელი აშტარაკის რა-
იონში. ცნობილია ისტორიული ძეგლებით.

წერი, სახელად სტეფანოს ვარდაპეტი, რომელმაც ისე მტკიცედ ააგო, რომ დღემდე დგას.

შემდეგ (თამაზ ყული-ხანმა) ჯარის (ერთი ნაწილი) დააყენა ერევნის გამაგრებულ ციხე-სიმაგრესთან, რათა დაეცვათ ის სიფხიზლით, არ გამოსულიყვნენ და გაქცეულიყვნენ იქიდან ოსმალები. ხოლო თვითონ წამოიყვანა თავისი ლაშქარი და რადგან ზაფხულის დღეები იყო, დასასვენებლად ავიდა აღმალანის დიდ მთაზე, რომელიც ერევნის აღმოსავლეთის მხარეს (მდებარეობს), მისგან არც თუ ისე შორს. ვიდრე ის აქ იყო, განჯის ფაშა, რომელიც განჯის ციხეში იმყოფებოდა, მორჩილებით გამოვიდა იქიდან თავისი და თათართა სულთნის ჯარებით და მივიდა ძღვევამოსილი ხანის ფერხთა წინაშე. სიამოვნებით და სიტკბოებით მიიღო ის (თამაზ ყული-ხანმა), ხალათი უბოძა და გაგზავნა თავის ქვეყანაში.

აქ გამართა თავისი შვილისა და ძმისშვილის* ქორწილები. ხოლო, როდესაც ზაფხულის სიტყე სივრლით შეიცვალა, მაშინ ჩამოვიდა იმ მთიდან თავისი მრავალრიცხოვანი ჯარით და წავიდა ყარსის წინააღმდეგ. გზიდან ერთი რაზმი გაგზავნა ბაიაზეთსა და ყაზვინში მოსარბევად, ხოლო თვითონ წავიდა და დაჯდა ყარსის ციხეში, ყოველი მხრიდან შეაფაროვა მოქალაქეები. აქედან კი გაგზავნა მოთარეშეები მის მახლობელ და შორეულ მხარეებში. ისინი წავიდნენ ყაიყულში, ჯავახეთში, ჩილდირში, კოლაში, არტაანში, ოლთისში, ნარიმანში, არზრუმის შემოგარენში, დაარბიეს ეს ქვეყნები და მთელი მოსახლეობა ხელთ იგდეს მთლიანად მათი ქონებითურთ. (შემდეგ) თავიანთი ნადავლით მივიდნენ ბანაკში და მიიტანეს (ყველაფერი). ასევე ბაიაზეთსა და ყაზვინში წასულმა მოთარეშებმაც აიღეს დიდი ნადავლი და მიზიდეს მთავარ ბანაკში.

როდესაც ეს დაინახეს და შეიტყვეს ყარსელებმა, შეპირდნენ დაეცალათ ერევნის ციხე და მიეცათ მისთვის. ამის გამო თავიანთი დიდებულებიდან ზოგიერთი გაგზავნეს არზრუმში ამაზე მოსათათბირებლად. მათ მოილაპარაკეს, რომ არზრუმიდან (წარეგლინათ) გამოჩენილი კაცები როგორც დესპანნი სვებდნიერ თამაზ ყული-ხანთან ერევნის ციხის დაცლის თაობაზე. როდესაც ეს შეიტყო ხანმა, გაუხარდა და დესპანებს ხალათები უბოძა. მათ დაუყენა ერთი ხანი, რათა ისიც წასულიყო ერევანში და გაეთავისუფლებინა ციხე. როდესაც მოვიდა აქ, ციხე დაცალეს, ხოლო შიგ მყოფი ოსმალები უვნებელი გამოვიდნენ და თავიანთი ქონებითურთ თავის ქვეყანაში წავიდნენ. თან წაიღეს საომარი აღჭურვილობის ნახევარიც. ეს მოხდა სექტემბრის 12-ში. აქედან დიდი ხანი ადგა და ყარსიდან თბილისში წავიდა.

ხოლო იქიდან ბრძანა ერევნის მხარის სამასი ოჯახი გაერეკათ და მიეყვანათ ხორასანში, ქალაქ მაშადში. ასევე ნახჩევნის მხრიდან — ორასი ოჯახი. აგრეთვე ბრძანა ზემოთ ხსენებული ყარსის ოლქიდან გასახლებული ოჯახები წაეყვანათ ხორასანში. მისი ბრძანება შესრულდა. თუ როგორ მიიყვანეს ისინი, სხვა ისტორიაში ფართოდ გვაქვს აღწერილი.

თბილისიდან გასული (ხანი) გადავიდა დიდ მდინარე მტკვარზე*, დაიმორჩილა ლეკთა ტომები, რომლებიც გამაგრებული იყვნენ დიდი კავკასიის ტყა-

* სომხურ გამოცემაში აღნიშნულია, რომ ტექსტში ამათი სახელები გამოტოვებულია.

** ტექსტშია „კურ“.

ნი მთების ძირას და მიაღწია დარუბანდს. იქიდან გაემართა ახალ შექმნილში, ზოლო შემდეგ წავიდა ფართოდ გადაშლილ მულანის ველზე.

აქ უნდა ვიცოდეთ: როდესაც ამგვარად დაამარცხა ყველა მტერი, რომლებიც ბატონობდნენ ყიზილბაშთა მხარეებზე, გააძევა ისინი და გააყარა თვითელი თავისი ქვეყნიდან, მოძალეობით და ბრძოლით გაათავისუფლა მტერი თავან თავიანთი სამეფოს ყველა კუთხე, ანუ ისფაჰანი. შირაზი, ქოჰი, გილანი, იეზდი, ქირმანი, ლარი, ბენდერბასი და ზღვისპირა ნავსადგურები. აგრეთვე შუშთარი, ანუ შოში, დუბაზი, ჰაეიზა, მთელი ლურისტანი, ჰამადანი, ქირმანშაჰი, ურმია, მარალა, თავრიზი, ხოი, სალმასტი, ნახიჩევანი, ერევანი, თბილისი, განჯა შემახა (ეს სანაქებო ქალაქი ადების შემდეგ ბრძანა გადაეტანათ აყ-სუდ წოდებულ ადგილას და გადაიტანეს კიდეც), დარუბანდი ანუ დამურყაფუ, ბარდა, არდებილი, გილინი, ზანკია, სულთანია, ყაზვინი, ყუმბი, ქაშანი, თეირანი და ჰერათი მთელი თავიანთი ოლქებითურთ.

ახლა, როდესაც აიღო (ყველა ეს) და მისმა საქმემ გაიმარჯვა, გაძლიერდა და მეტად გაყოყონდა. მთლიანად მოიგო ყიზილბაშთა ჯარების გული თავისი უნარიტ და განსაკუთრებით მტრის ხელიდან მათი ქვეყნის განთავისუფლების გამო. მაშინ იფიქრა და დაინახა, რომ დადგა შესაფერისი დღე და მოაღწია ხელსაყრელმა უამმა, როდესაც შესაძლებელია მისი წინასწარი ნაზრებისა და გულში ნაღების გამკლავება და შესრულება. ამიტომ, იმაზე წინ ვიდრე თვითონ მივიდოდა მულანში, ბრძანა, რომ ყოველი ქალაქიდან და ოლქიდან, რომლებიც შედიოდნენ მის სამფლობელოში, ხანები, სულთნები, მოხელეები, წარჩინებული კაცები, მკითხველები და სხვა დიდებულები თანატომისანი და სხვები მოსულიყვნენ მულანშიდა მომზადებულიყვნენ იქ, ვიდრე თვითონ ისიც მივიდოდა.

ვინც კი შეიტყო მისი ბრძანება, სასწრაფოდ გამოვიდა თვითელი ადგილიდან და გაეშურა. მაგრამ ვიდრე ყველა მოგროვდებოდა, თვითონ მან შემახიის მხრიდან მიაღწია მულანს იანვრის 12-ში და ბრძანა ყოველ დღე როჭიკი* მიეცათ იქ დაბანაკებული ხალხისათვის. ზოლო დილაობით ყველა უნდა მისულიყო მასთან სალაშზე.

ნაშრომის შესავალში გადმოცემულია გამოკვლევის საერთო პრინციპები და ამოცანები. უშუალოდ წყაროების კლასიფიკაციის პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადასვლამდე ავტორი საჭიროდ თვლის მოგვეცეს ისტორიული „წყაროს“ გაგების გნოსეოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი განსაზღვრება.

ვ. ი. ლენინის ასახვის თეორიის შუქზე ისტორიული წყაროს უმნიშვნელოვანესი თვისებაა ის, რომ იგი შექმნილია ადამიანის მიერ, რეალური, ობიექტური სამყაროს მისი პირადი, სუბიექტური ასახვის საფუძველზე. ისტორიული წყაროს შექმნის პირველი მიზეზია ობიექტური რეალობა, რეალური სინამდვილე, არსებული ადამიანისაგან დამოუკიდებლად და ასახული მის ცნობიერებაში.

ლ. პუშკარიოვის აზრით, ისტორიული წყაროს წყაროთმცოდნეობითი განსაზღვრებისას არ უნდა ვიხმართ ისეთი ტერმინები, როგორცაა „მასალა“, „ნარჩენი“, „კვალი“ და სხვ., რომლებიც თავის მხრივ მოითხოვენ ახსნას. ამიტომ თავის წიგნში ლ. პუშკარიოვს მოჰყავს მის მიერ „საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში“ მოცემული დეფინიცია: „ისტორიული წყარო არის ყველაფერი ის, რაც უშუალოდ ასახავს ისტორიულ პროცესს და იძლევა ადამიანთა საზოგადოების წარსულის შესწავლის შესაძლებლობას, ე. ი. ყველაფერი რაც შეუქმნია ადამიანთა საზოგადოებას და მოღწეულია ჩვენს დრომდე მატერიალური კულტურის საგნების, წერილობითი ძეგლების, იდეოლოგიის, წესჩვეულებების, ენის სახით“². ასეთ განსაზღვრაში, — წერს ლ. პუშკარიოვი, — მოცემულია წყაროების მთელი მრავალფერობა. იგი მოიცავს როგორც ჩვენთვის ცნობილ წყაროებს, ასევე იმ ახალ წყაროებს, რომლებიც წარმოიქმნებიან ჩვენს თვალწინ.

ავტორი აღნიშნავს, რომ ისტორიულ წყაროს აუცილებლად სჭირდება

¹ Л. Н. Пушкарев, Классификация русских письменных источников по отечественной истории. М., 1975.

² СИЭ. т. 6, М., 1965.

სოციალურ-კლასობრივი, პარტიული შეფასება. თეორიული წყაროთმცოდნეობის კარდინალური საკითხები, მათ შორის ისტორიული წყაროების განსაზღვრა და კლასიფიკაცია, ყოველთვის პარტიულ-კლასობრივი პოზიციებიდან წყდებოდა. საბჭოთა პარტიული წყაროთმცოდნეობა აქტიურად ებრძოდა ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა ყველა შენიღბულ ცდას, უარყენს მსტორიულ მეცნიერების კლასობრივი ხასიათი (გვ. 25).

პირველი თავის პირველ პარაგრაფში მოცემულია ისტორიული წყაროს განსაზღვრის ისტორიოგრაფია XVIII—XX სს. რუსულ აზნაურულ და ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში. ამ ასპექტით განხილულია ვ. ტატიშჩევის, ა. შლოცერის, მ. შჩერბატოვის, მ. კაჩენოვსკის, ნ. კარამზინის, კ. ბესტუჟეევი-რიუმინის, ვ. კლუჩევსკის, ნ. ზაგოსკინის, ს. პლატონოვის, ნ. კარეევის და სხვათა შრომები. რუსულ ბურჟუაზიულ წყაროთმცოდნეობაში ისტორიული წყაროს განსაზღვრა ყველაზე უფრო ღრმად და საფუძვლიანად ა. ლაპო-დანილევსკის აქვს შემუშავებული. მაგრამ ეს „ბურჟუაზიული წყაროთმცოდნეობის მწვერვალიც“ განსაზღვრავს წყაროს როგორც „ადამიანის ფსიქიკის რეალობებულ პროდუქტს“³, ე. ი. წყაროს თვლის პირველ რიგში არა ფიზიკური, არამედ ფსიქიკური ფაქტორების შედეგად. ლ. პუშკარიოვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში რუსულ წყაროთმცოდნეობაზე ისტორიული წყაროს განსაზღვრებაში, დიდი გავლენა იქონიეს დასავლეთელი ბურჟუაზიული ისტორიკოსების — ი. დროიზენის, ე. ფრიმანის, ე. ბერნჰაიმის, შ. ლანგლუას, შ. სენობოსის და სხვათა შრომებმა.

წყაროს განსაზღვრებაზე საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა შეხედულებების განვითარებას ლ. პუშკარიოვი სამ ისტორიოგრაფიულ პერიოდად აყოფს: 1) 1917—1929 წწ., როდესაც ამ საკითხში ისტორიკოსები ჯერ კიდევ ბურჟუაზიული მეთოდოლოგიის პოზიციებზე იდგნენ (ლ. კარსავინი, ს. ჟებელიოვი, თ. დობიაშ-როჟდესტვენსკაია და სხვ.), ან უშედეგოდ ცდილობდნენ მიეცათ წყაროსთვის მარქსისტული განსაზღვრება (ნ. ავდეევი, ა. შესტაკოვი და სხვ.); 2) 1930—1956 წლებში ისტორიული წყაროს მარქსისტული განსაზღვრებისაკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული (გ. საარი, ს. ბიკოვსკი, ბ. გრეკოვი და სხვ.); ისტორიული წყაროს აღსანიშნავად ყალიბდება ტერმინი „წარსულის ძეგლი“ (მ. ტიხომიროვი); 3) დაწყებული 1956 წლიდან (სკკ XX ყრილობის შემდეგ) იგი ხასიათდება წყაროთმცოდნეობის პრობლემებისადმი გაზრდილი ყურადღებით: სწრაფვით დაზუსტდეს წყაროს განსაზღვრება, აღინიშნოს კავშირი წყაროსა და მის შემქმნელ ეპოქას შორის, ხაზი გაესვას წყაროში სინამდვილის ასახვის სპეციფიკას და ა. შ.

პირველი თავის მესამე პარაგრაფში განხილულია ისტორიული წყაროს თანაფარდობა მის მომხრევე ცნებებთან — „ნარჩენი“, „მასალა“, „ძეგლი“, „წარსულის კვალი“ და სხვ.

შემდეგ პარაგრაფში ავტორი ეხება თანაფარდობას ისტორიულ წყაროსა და ისტორიულ გამოკვლევას შორის. იგი არ ეთანხმება იმ მეცნიერებს, რომლებიც გამოკვლევას უშუალოდ წყაროების კატეგორიაში ათავსებდნენ. არის, მართალია, ისეთი გამოკვლევები, რომლებიც ამავე დროს წყაროებსაც

³ А. С. Лаппо-Данилевский. Методология истории. вып., II, СПб, 1913, с. 375.

წარმოადგენენ, ვინაიდან იმ მასალების მნიშვნელოვან ნაწილს რომლის საფუძველზე ეს გამოკვლევებია დაწერილი ჩვენამდე არ მოუღწევია (მაკ, თუქი-დიდეს, ტაციტუსის, ტატიშჩევის ან კარამზინის შრომები).

ლ. პუშკაროვის აზრით, წყარო ისტორიული პროცესის ასახვას ვერც კიპულად განსხვავდება გამოკვლევისაგან; პირველი თვითონ ასახავს ისტორიულ ფაქტს, ხოლო მეორე წყაროებზე დაყრდნობით იწერება. მაგალითად, ბ. გრეკოვის ან ბ. რიბაკოვის შრომები არ შეიძლება ჩავთვალოთ კიევის რუსეთის ისტორიის წყაროებად, მაგრამ ისტორიოგრაფიისათვის კი, რა თქმა უნდა, გამოკვლევა ყოველთვის მთავარი და ძირითადი წყაროა (გვ. 74).

პირველი თავის ბოლო პარაგრაფში განხილულია თანაფარდობა ისტორიულ წყაროსა და გეოგრაფიულ გარემოს შორის. ლ. პუშკაროვი არ ეთანხმება იმ ავტორებს, რომლებიც გეოგრაფიულ გარემოს ისტორიული წყაროების რიგში ათავსებენ (ნ. ნადეჟდინი, პ. პავლოვი, ვ. საარი და სხვ.). ამ საკითხის შესახებ იგი წერს: „გეოგრაფიული გარემო არ შეიძლება გავუტოლოთ ისტორიულ წყაროს ამ სიტყვის სრული გაგებით, მაგრამ იგი შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც ხშირად აუცილებელია ისტორიკოსისათვის, ამიტომ უფრო სწორი იქნება თუ განვიხილავთ გეოგრაფიულ გარემოს როგორც ერთდროულად ბუნებრივ-ფიზიკურსა და ისტორიულს შორის მდგარ მოვლენას. თავისთავად ცხადია, რომ ყველა ცვლილება, რომელიც შეაქვს ადამიანს გეოგრაფიულ გარემოში, წარმოადგენს ნამდვილ ისტორიულ წყაროს, რადგანაც ისინი შექმნილია ადამიანის, საზოგადოების მიერ“ (გვ. 86).

სარეცენზიო ნაშრომის მეორე თავი დათმობილი აქვს ისტორიული წყაროს შინაარსსა და ფორმას. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ საკითხს თეორიულ წყაროთმცოდნეობაში დიდი ადგილი ენიჭება.

წყაროს შინაარსის ქვეშ ავტორს ესმის ის ინფორმაცია, რომელსაც გამოიმუშავენ ადამიანი რეალური სინამდვილის ასახვით და გადმოსცემს მას ამა თუ იმ ნიშნებით, სიტყვებით, სიგნალებით და ა. შ. მკვლევარიც ამოიღებს რა ამ ინფორმაციას წყაროდან, აღადგენს ისტორიულ ფაქტებს (გვ. 95).

პირველი პარაგრაფის ბოლოს ავტორი აღნიშნავს, რომ „ინფორმაცია, რომელსაც წყარო შეიცავს, მტკიცედ არის დაკავშირებული მისი კოდირების ფორმასთან“ და წყაროს ფორმის საკითხს შემდეგ პარაგრაფში განიხილავს.

წყაროს შინაარსი შეიძლება გამოისახოს სხვადასხვა, როგორც შინაგან, ასევე გარეგან ფორმებში. მაგალითად, წერილობითი წყაროს გარეგანი ფორმაა მისი გარეგანი სახე: მასალა, რომელზედაც დაწერილია ის, ხელწერა, მელანი, შენახულობა და სხვ. ამაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია წყაროს შინაგანი სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს წერილობითი წყაროს ერთი სახის განსხვავებას მეორისაგან (გვ. 109). ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ წყაროს შინაგანი ფორმის ქვეშ უნდა გავიგოთ წყაროს „შინაგანი სტრუქტურა, ის შინაგანი კავშირები, რომლებიც აწესრიგებენ წყაროში ასახულ ფაქტებს, მოვლენებს, წარსულ ამბებს“ (გვ. 120).

მეორე თავის უკანასკნელ პარაგრაფში განხილულია ისტორიულ წყაროში შინაარსისა და ფორმის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი.

წყაროს გარეგანი და შინაგანი ფორმები ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებული; ისინი ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებენ. ამასთან, წამყვანი როლი, რა თქმა უნდა, შინაარსს ეკუთვნის, თუმცა ფორმაც ახდენს მასზე

გარკვეულ გავლენას. კიევის რუსეთის და შემდეგ ფეოდალური დაქუცმაცებულობის ხანაში ისტორიული მოთხოვნის ძირითადი ფორმა მატონე იყო რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან და მისი საგარეო ურთიერთობების გაფართოებასთან ერთად წამყვან ადგილს რუსულ სახელმწიფო რიოგრაფიაში იჭერს ქრონოგრაფი — მსოფლიო ისტორიის განვითარებაში სითი მიმოხილვა, რომელშიც რუსეთის სახელმწიფოს თავისი გარკვეული ადგილი ეკავა. XVII საუკუნის ბოლოს ქრონოგრაფს ცვლის ჯერ სინოპსისი (ბერძ. „მიმოხილვა“ — ერთი და იმავე თემის შესახებ სხვადასხვა ავტორების თხზულებათა კრებული), ხოლო შემდეგ XVIII—XIX სს. დასაწყისის პირველი განმარტავადებული ნაშრომები (ვ. ტატიშჩევის, ნ. კარაშჩინის).

როგორც წესი, შინაარსის შეცვლა წინ უსწრებს ფორმის შეცვლას, რაც გავლენას ახდენს წყაროში სინამდვილის ასახვაზე. ამიტომ დოკუმენტის წყაროთმცოდნეობითი ღირსება შეიძლება განვსაზღვროთ მხოლოდ მისი შინაარსისა და ფორმის საერთო ანალიზის დროს (გვ. 132).

სარეცენზიო ნაშრომის მესამე თავში გაშუქებულია წყაროების გარკვეულ კატეგორიებად დაყოფისა და სისტემატიზაციის ისტორიოგრაფია.

პირველ პარაგრაფში განხილულია წყაროების დაყოფის საკითხი XVIII—XIX სს. რუსულ აზნაურულ და ბურჟუაზიულ ისტორიულ მეცნიერებაში. განხილულია ვ. ტატიშჩევის, მ. ლომონოსოვის, ა. შლოცერის, ნ. პოლევოის, ნ. უსტრიალოვის, ნ. ნადეჟდინის, პ. რედკინის, პ. ლავროვის, კ. ბესტუჟევი-რიუმინის, ვ. იკონიკოვის, ს. პლატონოვის, ვ. კლუჩევსკის, ნ. ზაგოსკინის, ნ. კარეევის, ა. ლაპო-დანილევსკისა და სხვათა შრომები.

ლ. პუშკარიოვი გვიჩვენებს, რომ რევოლუციამდელი რუსული ისტორიული მეცნიერება მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა წყაროების დაჯგუფებისა და ანალიზის საკითხს. წყაროთა დაყოფის პირველი სისტემები რუსულ მეცნიერებაში XIX საუკუნის 20—30-იან წლებში გაჩნდა (პირველი რუსი ისტორიკოსი, რომელმაც შემოიტანა წყაროების დაყოფის სისტემა, იყო ნ. პოლევოი). მაგრამ ყველა ეს სისტემა, და მათ შორის ყველაზე უკეთესი ა. ლაპო-დანილევსკის სისტემა — თავის საფუძველში იდეალისტური იყო.

შემდეგ პარაგრაფში შესწავლილია წყაროების დაყოფის პრობლემა რუსულ საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში, რომელმაც თავიდან ვერ იპოვა ახალი გზები ამ საკითხის გადასაჭრელად. განხილულია ლ. კარსაინის, ა. ებელიოვის, ო. დობიაშ-როდესტვენსკაიას, ნ. კარეევის, ვ. პიჩეტას, ა. ბოლშაკოვის შრომები, რომლებიც წარმოადგენენ ისტორიული წყაროების დაყოფის საკითხის გაშუქების პირველ ეტაპს (1917—1924 წწ.). ისინი ჯერ კიდევ რუსული ბურჟუაზიული წყაროთმცოდნეობის პოზიციებზე იდგნენ. საკითხს წყაროების დაყოფის პრინციპების შესახებ ისინი არც აყენებდნენ.

მეორე ეტაპზე (1925—1940 წწ.) აღსანიშნავია ვ. საარის, ს. ბიკოვსკის, ი. გოტიეს და სხვათა შრომები. საბჭოთა ისტორიკოსებმა შესაძლებლად მიიჩნიეს წყაროების სხვადასხვა ნიშნების მიხედვით დაყოფა და დაიწყეს მასალის თემატიკური დაჯგუფება.

მესამე ისტორიოგრაფიული ეტაპი (1940—1956 წწ.) აღინიშნა მ. ტიხომიროვის სსრ კავშირის ისტორიის წყაროთმცოდნეობის პირველი სახელმძღვანელოს გამოსვლით (მოსკოვი, 1940 წ.). მასში წყაროები ხუთ ტიპად არის დაყოფილი (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, ზეპირი და წერილობითი).

თი). შ. ტიხომიროვმა აირჩია წერილობითი წყაროების სისტემატიზაციის პრო-
ნოლოგიური პრინციპი (სსრ კავშირის ძველი ისტორიის წყაროები, კიევის
რუსეთის ისტორიის წყაროები და ა. შ.).

1951 წ. ა. ზიმინმა უმაღლესი სასწავლებლებისათვის შეადგინა სსრ კავ-
შირის ისტორიის წყაროთმცოდნეობის პროგრამა, რომელშიც წყაროების და-
ყოფის სისტემა მათი ცნობების შინაარსზე იყო დამყარებული (ა. ეკონომიუ-
რი ისტორიის, ბ. პოლიტიკური ისტორიის, გ. საზოგადოებრივი აზრისა და
კულტურის ისტორიის წყაროები), მაგრამ ამ სისტემამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა,
რადგანაც ერთი და იგივე წყარო შეიძლება ყველა ამ შინაარსის ცნობას
მოიცავდეს და სხვ.

სკკ XX ყრილობის შემდეგ დაიწყო ახალი პერიოდი ისტორიულ წყარო-
თა დაყოფის საკითხის ისტორიოგრაფიაშიც. ამ პერიოდს ეკუთვნის ა. ნიკო-
ლაევას, ვ. იაცუნსკის, ვ. სტრელსკის, ი. შერმანის, ვ. დანილოვის და ს. იაკუ-
ბოვსკაიას, შ. ტიხომიროვის (სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა, 1962 წ.),
რ. მნუხინას, ი. გრიგორიევის, ვ. დუნაევსკის, კ. ანთაძის, ი. სპირნოვის,
მ. ვარშავიკის, ს. შმიდტის, მ. ჩერნომორსკის, ა. პროშტეინის, ვ. ლოგინის
და სხვათა შრომები.

დასახელებულ ავტორთა წყაროთმცოდნეობითი ნაშრომების გაანალიზე-
ბის შედეგად ლ. პუშკარიოვი ასკვნის, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში თან-
დათანობით დამკვიდრდა ისტორიული წყაროების ტიპოლოგიური კლასი-
ფიკაცია (გვ. 186).

ლ. პუშკარიოვის წიგნის უკანასკნელი თავი დათმობილი აქვს წერილო-
ბითი წყაროების სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას.

ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის აუცილებლობის დასაბუთები-
სას ავტორი სამართლიანად აკრიტიკებს იმ ისტორიკოსებსა და სპეციალისტ-
წყაროთმცოდნეებს, რომლებიც წყაროების კლასიფიკაციას უშედეგოდ და
შეუძლებელ საქმედ თვლიან მათი სიმრავლისა და ნაირფეროვნების გამო.
სწორედ ეს მოითხოვს მათ კლასიფიკაციას, — წერს ლ. პუშკარიოვი, —
რადგანაც „კლასიფიკაცია ანაწილებს წყაროებს გარკვეული წესის
მიხედვით, ჰყოფს მათ ჯერ დიდ კატეგორიებად, ხოლო შემდეგ ყოველ
დიდ კატეგორიას უფრო წვრილ ჯგუფებად, ადგენს ამ სისტემის ყოველი
წევრისათვის ანალიზის საერთო წესებსა და ხერხებს“ (გვ. 7).

ავტორი აღნიშნავს, რომ ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაცია მჭიდროდ
არის დაკავშირებული საერთოდ მეცნიერებათა კლასიფიკაციებთან. ისტო-
რიკოსს ისევე არ შეუძლია მუშაობა თავისი სამუშაო მასალის კლასიფიკა-
ციის გარეშე, როგორც ბოტანიკოსს, ზოოლოგს ან ქიმიკოსს.

ისტორიულ მეცნიერებაში შემუშავებული წყაროების ყველა კლასიფი-
კაციიდან ავტორს ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია ისტორიული
წყაროების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. მისი სამართლიანი დასკვნით,
„წყაროების ტიპოლოგიური დაყოფა, დაყოფის ყველა სხვა სისტემაზე უფრო
მეტად შეესაბამება ისტორიული კვლევის ხერხებსა და ამოცანებს“ (გვ. 7).

რაც შეეხება წყაროების დაყოფის საფუძველს, ლ. პუშკარიოვი ამის შე-
სახებ წერს, რომ რადგანაც მისი აზრით საამისოდ ყველაზე საერთო, ყველაზე
ენიშვნელოვანი ნიშანი წყაროში დაცული ინფორმაციის კოდირების წესია,
ამიტომ დაყოფას სწორედ ეს წესი უნდა დაედოს საფუძველად, რისი შედეგიც

იქნება წყაროების ტიპებად დანაწილება (გვ. 248). კერძოდ, წერილობით წყაროებში ისტორიული ინფორმაცია კოდირებულია დამწერლობის სპეციალური — ხელნაწერის ან ნაბეჭდის სახით.

ამრიგად, ავტორმა წყაროების დაყოფას საფუძვლად დაედო მათი დებულებული ინფორმაციის კოდირების მეთოდი და მიიღო ისტორიული წყაროების შვიდი ტიპი: 1) წერილობითი; 2) ნივთიერი; 3) ზეპირი (ფოლკლორული); 4) ეთნოგრაფიული; 5) ლინგვისტური; 6) კინო-ფოტოლოკუმენტური და 7) ფონოლოკუმენტური⁴.

ამას გარდა, ავტორი გამოჰყოფს ორი გარდამავალი ტიპის წყაროს — ანთროპოლოგიურს, რომელიც ერთდროულად ისტორიულიც არის და ბიოლოგიურიც, და გეოგრაფიულს (გეოგრაფიული გარემო), რომელიც ისტორიულიც არის და საბუნებისმეტყველოც (გვ. 255).

ამ თავში, უპირველეს ყოვლისა, მოცემულია ძირითადი საკლასიფიკაციო ცნებების (ტიპი, გვარი, სახეობა) დაწვრილებითი დახასიათება.

პარაგრაფში „ისტორიულ წყაროთა ტიპები“ მოცემულია წყაროთა ძირითადი ჯგუფების — წერილობითი, ნივთიერი, ზეპირი (ფოლკლორული), ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, კინოფოტოლოკუმენტური და ფონოლოკუმენტური ტიპების საერთო დახასიათება.

შემდეგ ავტორი გადადის წერილობითი წყაროების გვარებისა და სახეების დახასიათებაზე, რომლებიც მ. ტიხომიროვის აზრით, ისტორიული კვლევის საფუძველს წარმოადგენენ. სარეცენზიო ნაშრომში მოყვანილია ტიხომიროვის სიტყვები: „იქ, სადაც წერილობითი წყაროები არ არის, ისტორიკოსი წყვედაღში დაეხეტება“ (გვ. 192).

მრავალრიცხოვან და ნაირგვარ წყაროებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა წერილობითი წყაროების დიდი კატეგორია, რომელიც კაცობრიობის დამწერლობის გაჩენის შემდეგ დროინდელი ისტორიის შესწავლაში ძირითად როლს ასრულებს. წერილობითი წყაროთა ყველაფერი ის, რაც დაწერილია პაპირუსზე, ეტრატზე, ქვანაწივეზე, ლითონზე, ხეზე, ქაღალდზე და ა. შ. ლ. პუშკაროვის სიტყვით: „სწორედ ისტორიკოსისათვის წერილობითი წყაროების დიდი მნიშვნელობით აიხსნება მათი კლასიფიკაციის ობიექტად არჩევა. ეს, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს სხვა ტიპის წყაროების კლასიფიკაციის მნიშვნელობას, მაგრამ ეს სამუშაო არქეოლოგების, ეთნოგრაფების, ფოლკლორისტების და სხვათა საქმეა“ (გვ. 6).

წერილობითი წყაროების ტიპს ლ. პუშკაროვი ორ „გვარად“ ჰყოფს — საქმისწარმოებითი (ლოკუმენტური) და თხრობითი (ნარატიული).

წერილობითი წყაროების ტრადიციული, ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში გამოუმუშავებელი დაყოფა ლოკუმენტურ და თხრობით წყაროებად საბჭოთა ისტორიოგრაფიაში განამტკიცა აკად. მ. ტიხომიროვმა (მისი ტერმი-

⁴ ლ. პუშკაროვი თავს ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში ისტორიულ წყაროებს ექვს „დიდ ჯგუფად“ ჰყოფდა, რადგანაც ერთ ტიპად აერთიანებდა კინო-ფოტოლოკუმენტებსა და ფონოლოკუმენტებს (იხ. Советская Историческая Энциклопедия, т. 6, 1965, სტატია „Источники исторические“). სარეცენზიო წიგნში ავტორი კინო-ფოტოლოკუმენტების და ფონოლოკუმენტების ორ სხვადასხვა ტიპად დაყოფას ხსნის იმით, რომ ისინი „ძალიან განირჩევიან ერთმანეთისაგან კოდირების წესით“ (გვ. 252).

ნოლოგიით „სააქტო ძეგლები“ და „ლიტერატურული ძეგლები“). ტინიძორის თვალსაზრისი ავტორთა უმეტესობამ გაიზიარა.

ლ. პუშკარიოვის აზრით, „დოკუმენტური წყაროს თხრობითი განმარტება“ განმარტებული შინაგანი ნიშნის წყაროში სინამდვილის გამოსახულება (отображение) ან განსახიერების (воплощение) სიჭარბე“ (დოკუმენტური წყაროები უფრო განსახიერებენ ისტორიულ სინამდვილეს, ხოლო თხრობითი წყაროები კი — გამოხატავენ მას თავისი ავტორების ცნობიერების მეშვეობით). ამრიგად, საკითხი ის არის, თუ რომელი პროცესი — გამოხატვა თუ განსახიერება — ჭარბობს ამა თუ იმ წყაროში (გვ. 212). არიან აგრეთვე დოკუმენტურიდან თხრობითისაკენ „გარდამავალი“ წყაროებიც, რომლებშიც ორივე ეს პროცესი დაახლოებით თანაბარი რაოდენობით თანაარსებობს.

რაც შეეხება იმას, თუ რა ვუწოდოთ წერილობითი წყაროების ორ ძირითად ჯგუფს, დოკუმენტურსა და ნარატიულს ლ. პუშკარიოვის აზრით, ყველაზე შესაფერისი ტერმინია „გვარი“ (род), რადგანაც ეს სიტყვა რუსულ ენაში გამოსახავს საგნების ისეთ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანთა სხვა ჯგუფები, რომლებიც მის სახესხვაობებს წარმოადგენენ (გვ. 217).

ტერმინით „სახეობა“ (вид) ლ. პუშკარიოვი აერთიანებს წერილობითი წყაროების ისეთ კომპლექსებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია „სტრუქტურისა და შინაგანი ფორმის საერთო ნიშნები“ (გვ. 225). გარკვეულ სახეების გარდა არსებობენ აგრეთვე „გარდამავალი სახეობები“, რომლებსაც სხვადასხვა სახის ნიშნები ახასიათებთ.


მეოთხე თავის სპეციალურ პარაგრაფში განხილულია ისტორიული წყაროების „სისტემატიზაციის“ და „კლასიფიკაციის“ ცნებები. ეს ორი ტერმინი ზოგჯერ სინონიმების სახითაც გვხვდება, თუმცა „კლასიფიკაციის“ ხმარება უფრო ხშირია და უფრო სწორიც (გვ. 230). მაგრამ მათ შორის არის აგრეთვე მნიშვნელოვანი განსხვავება.

წყაროების სისტემატიზაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა პრინციპის მიხედვით — ქრონოლოგიური, თემატური, კლასობრივი, ეროვნული და ა. შ.

წყაროების სისტემატიზაცია შესაძლებელია რამდენიმე ნიშნის მიხედვითაც. ასე, მაგალითად, ქრონოლოგიური პრინციპით სისტემატიზაციაში შეიძლება წყაროების სისტემატიზაცია წარმოშობის ან სახეობრივი ნიშნის მიხედვით. შესაძლებელია აგრეთვე სისტემატიზაციის ორი ან რამდენიმე ნიშნის სხვანაირი შეთავსებაც.

ამ ორ ცნებას შორის განსხვავების გამოკვლევისას ლ. პუშკარიოვი აღნიშნავს, რომ სისტემატიზაცია მკვლევრის ნებაზეა დამოკიდებული და გამოკვლევის მიზნების მიხედვით შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, ხოლო წყაროების კლასიფიკაცია გულისხმობს წყაროების სხვადასხვა ტიპებს, გვარებსა და სახეობებს შორის შინაგანი კავშირების გარკვევას. ეს კავშირები თავიდანვე ჩადებული წყაროებში, ობიექტურები არიან და არ არიან დამოკიდებული ისტორიკოს-მკვლევართა ნებაზე (გვ. 236).

ავტორის აზრით, სისტემატიზაცია წყაროების ფორმალურ-ლოგიკური დაყოფა და ატარებს მხოლოდ ანალიზურ ხასიათს, მაშინ როცა კლასიფიკაცია წარმოადგენს „დიალექტიკურ-ლოგიკურ დაყოფას და ერთნაირად ატარებს როგორც ანალიზურ, ასევე სინთეზურ ფუნქციებს“ (გვ. 239). ამიტომ სისტემატიზაცია ძირითადად განეკუთვნება წყაროების შესწავლის მეთოდ-



კის სფეროს, ხოლო კლასიფიკაცია დაკავშირებულია წყარომცოდნეობის თეორიასთან და საერთოდ ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ პირობებზე ლეგებთან.

ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის დედაარსის დადგენისას ავტორი ასკენის: „წყაროების კლასიფიკაცია წარმოადგენს წყაროს წყარომცოდნეობითი ღირებულების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი და უძრავადესი კანონის — წყაროში რეალური სინამდვილის განსახიერებისა და გამოხატვის — გარეგან გამოსახულებას და შედეგს. გვეხმარება რა ამ ფუძემდებელი კანონის გახსნაში, რომელსაც ერთნაირად ექვემდებარება ყველა წყარო, კლასიფიკაციას არა მარტო სისტემაში მოჰყავს ჩვენი ცოდნა-წარმოდგენები წყაროს შესახებ, არამედ წარმოადგენს აგრეთვე წყაროს არსის გაგების აუცილებელ ეტაპს, წყარომცოდნეობის თეორიის აგების ეტაპს“ (გვ. 241).



ლ. პუშკარიოვის მიერ გამოქვეყნებულმა ტიპოლოგიურმა კლასიფიკაციამ ჩვენს წყარომცოდნეობით ლიტერატურაში ძირითადად დადებითი შეფასება მიიღო. მაღალ შეფასებას აძლევს მას სარეცენზიო წიგნის რედაქტორი აკად. ლ. ჩერეპნინი. თავის წინასიტყვაობაში იგი წერს: „ავტორმა გამოიყენა მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, დაწვრილებით განიხილა საკითხის ისტორიოგრაფია და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თეორიული მემკვიდრეობის შემოქმედებითი გააზრების შედეგად დაასაბუთა სამამულო ისტორიის რუსული წერილობითი წყაროების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია“ (გვ. 3). ა. პრონშტეინი წერს, რომ ლ. პუშკარიოვის შრომებმა „მნიშვნელოვანწილად წინ წასწიეს მოცემული კლასიფიკაციის თეორიული დასაბუთება“⁵. გ. პაშუტო წერს, რომ „ლ. პუშკარიოვმა შეძლო შეექმნა წყაროების კლასიფიკაციის სისტემა, რომლის აღიარება დროის საქმეა... ახალი კლასიფიკაცია დააჩქარებს წყაროების ტიპების, გვარების და სახეების კრისტალიზაციას“⁶.

ამასთან ერთად ლ. პუშკარიოვის მისამართით კრტიკული შენიშვნებიც გაისმა. მაგალითად, იგივე ა. პრონშტეინი წერს, რომ ლ. პუშკარიოვის კლასიფიკაცია ვერ პასუხობს ყველა იმ კითხვაზე, რომელიც შეიძლება წამოიჭრას ამ პრობლემასთან დაკავშირებით, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „ალბათ შეუძლებელია საერთოდ ისეთი კლასიფიკაციის ჩამოყალიბება, რომელშიაც ყველა წყარო, გამონაკლისის გარეშე, იბოვნიდა თავის ადგილს“⁷.

ამრიგად, სარეცენზიო ნაშრომი, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს არა მარტო თეორიულ, არამედ პრაქტიკულ (კონკრეტულ) წყარომცოდნეობაშიც.


⁵ А. П. Пронштейн. Методика исторического источниковедения. Ростов н/Д., 1976, с. 33.

⁶ В. Т. Пашуто. Некоторые общие вопросы летописного источниковедения. — В сб.: «Источниковедение отечественной истории». I, М., 1973, с. 76—77.

⁷ А. П. Пронштейн. დასახ. ნაშრ., გვ. 33.

დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ავტორის მიერ მოცემულ წყაროთა კლასიფიკაციის გრაფიკულ-წრიულ (ციკლურ) და ხაზოვან სისტემებს. აღსანიშნავია, რომ ეს არის ასეთი სისტემების ვამუყენებელი პირველი მაგალითი.


ზიგლინოსეა



ნახ. 1. ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის ციკლური სისტემა


ნახაზი გეიჩვენებს, თუ რა თვალსაჩინოდ გამოსახავს წრიული ფორმა წყაროების ყველა ტიპის სრულფასოვნებას წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ყველა სახის წყაროთა ერთობლიობას შეუძლია მოვეცეს ცნობების სრული მოცულობა წარსულის შესახებ. კლასიფიკაციის წრიული სისტემა გამოსახავს წყაროთა ერთობლიობას შეკრული წრეხაზის სახით, რომელიც პირობითად დაყოფილია წყაროთა შვიდ ძირითად ტიპად (ამ ნახაზზე ისევე, როგორც სხვებზე, ტიპი „კინო-ფოტოლოგუენტები“ შედგება ორი გვარისაგან: კინოლოგუენტები და ფოტოლოგუენტები). წყაროთა ძირითად ტიპებს შორის მოთავსებულია ცალკეული გარდამავალი ფორმები.

ეს წრიული (ციკლური) სისტემა შეიძლება გამოისახოს ხაზოვანი სისტემის სახითაც (იხ. ნახ. 3).




ნახ. 2. წერილობითი წყაროების სხვა ტიპის წყაროებთან კავშირის ციკლური სისტემა

ამ ნახაზის დანიშნულებაა გვიჩვენოს წერილობითი და სხვა ტიპის წყაროების კავშირი ერთმანეთთან. როგორც ნახაზზე ვხედავთ, წერილობითი წყაროები მოთავსებულია ცენტრში, ხოლო დანარჩენი წყაროები შეკრულ ორბიტაზე. წერილობით წყაროებსა და სხვა ტიპის წყაროებს შორის მოთავსებულია გარდამავალი ჩვეულები, რომელთა რიცხვი შეიძლება შეიცვალოს. სხვადასხვა ტიპის წყაროების შემაკავშირებელი ხაზები მოცემულია პუნქტირების სახით, რაც მიუთითებს ტიპებს შორის მკვეთრი საზღვრების უქონლობაზე და გარდამავალი ფორმების არსებობაზე.



ნახ. 3. წერილობითი ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის ციკლური სისტემა



ნახ. 4. ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის ხაზოვანი სისტემა

გიული ალასანია

ისტორიული წყაროთმცოდნეობის საპურადლეგო მეთოდური
სახელმძღვანელო

თანამედროვე მეცნიერება დიდ ყურადღებას იჩენს მეთოდოლოგიური საკითხებისადმი. ამასთან დაკავშირებით იზრდება და ღრმავდება „ზოგადი“ ან „თეორიული“ წყაროთმცოდნეობის საგნობრივი სფერო. ამჟამად წყაროთმცოდნეობაში მკაფიოდ გამოიყოფა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი მხარე, ანუ, როგორც მათ ზოგიერთი მეცნიერა უწოდებს, ორი ტიპი — „ზოგადი“ ან „თეორიული“ და კონკრეტული წყაროთმცოდნეობა.

კონკრეტული წყაროთმცოდნეობა ბევრად უსწრებს წინ თეორიულ მეცნიერებას. ისტორიკოსები, რომლებიც ამოდიოდნენ იმ სწორი მოსაზრებიდან, რომ წყაროთმცოდნეობის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ისტორიის უფრო სრულად შესწავლას, ამასთან ერთად ხშირად ზღუდავდნენ მისი მოქმედების სფეროს მხოლოდ ცალკეულ წყაროებზე დაკვირვებითა და მათი გამოყენებით ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად.

ზოგიერთი მეცნიერი უარყოფს თეორიული წყაროთმცოდნეობის ცალკე დარგად გამოყოფას. ჩერეპნინის აზრით, მთლად ნათელი არ არის შინაარსი ცნებებისა „ზოგადი“, „თეორიული“, „კონკრეტული“ წყაროთმცოდნეობა. „წყაროთმცოდნეობის ამოცანაა ისტორიული წყაროების შესწავლა. ამ აზრით წყაროთმცოდნეობა ერთიანი მეცნიერებაა, ვინაიდან ზოგად თეორიულ და მეთოდურ პრინციპებს გამოიმუშავენ კონკრეტული წყაროების შესწავლის საფუძველზე, კონკრეტულ-ისტორიული მასალისათვის გამოყენების მიზნით. ამიტომ არ შეიძლება დავუბირისპიროთ „ზოგადი“ ან „თეორიული“ წყაროთმცოდნეობა კონკრეტულს, როგორც მეცნიერების სხვადასხვა დარგები“. შემდეგ ავტორი ატარებს პარალელს ისტორიასთან: „ასეთივე ვითარებაა ისტორიულ მეცნიერებაშიც. ის ყოველთვის კონკრეტულია და ყოველთვის არის მასში (ან უნდა იყოს) სოციოლოგიური განზოგადების აუცილებელი ელემენტი“¹.

საკითხის ამგვარმა, ერთი შეხედვით, ლოგიკურმა დაყენებამ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს წყაროების მიმართ ე. წ. „მომხმარებლური მიდგომა“, რის დროსაც მხედველობის გარეშე რჩება წყაროს ყოველმხრივი, „შინაგან“ და „გარეგან“ კრიტიკაზე დამყარებული ანალიზი.

¹ Л. В. Черепнин. К вопросу о методологии и методике источниковедения и вспомогательных исторических дисциплин. — В сб.: «Источниковедение отечественной истории». М., 1973, с. 38.

მეცნიერთა მეორე ნაწილს უკანასკნელი გამოკვლევები „სრულ უფლების აძლევენ ილაპარაკონ სპეციალური თეორიული დისციპლინის — თეორიული წყაროთმცოდნეობის შექმნაზე“².

თეორიული წყაროთმცოდნეობის შექმნა განპირობა როგორც წყაროების შესწავლის შესაბამისმა დონემ, ისე მთლიანად მეცნიერების უწყვეტობაზე, რამაც გამოიწვია ერთი მხრივ, ცალკეული დარგების ინტეგრაცია (ამის ერთ-ერთი მაგალითია მათემატიკური მეთოდების ფართო გამოყენება მეცნიერების თითქმის ყველა დარგში), ხოლო, მეორე მხრივ, ახალი დარგების შექმნა. გაისმა მოწოდება — „ბოლო მოელოს უდარდელობას წყაროთმცოდნეობის დარგში“, ვინაიდან „ისტორიკოსი კარგად უნდა იცნობდეს თავისი ხელობის ტექნიკას“³.

კონკრეტული წყაროთმცოდნეობა არ არსებობს თეორიულის გარეშე. ისინი ერთდროულად ჩნდებიან და ვითარდებიან. განვითარების გარკვეულ საფეხურზე თეორიული წყაროთმცოდნეობის მეცნიერებად ჩამოყალიბება ნიშნებს დაგროვილი გამოცდილების სისტემატიზაციას, რაც გამოირიცხავს მის დაპირისპირებას კონკრეტულ წყაროთმცოდნეობასთან. მაგრამ ზოგჯერ, სხვადასხვა საკითხების უფრო სრულად დასამუშავებლად ვარკვეულ ეტაპებზე, ზოგადი წყაროთმცოდნეობა სცილდება კონკრეტულს. ამის გამო, როგორც ლ. პუშკარიოვი აღნიშნავს: „ადგილი აქვს თეორიული წყაროთმცოდნეობის ემპირიის შეუფასებლობას, მცდარ წარმოდგენას თეორიული წყაროთმცოდნეობის დარგში გამოკვლევების პრაქტიკული ამოცანებისაგან მოწყვეტის შესახებ“⁴. მაგრამ ასეთი დაცილებების გარეშე შეუძლებელია კემპარიტების დადგენის აუცილებელი საფეხური — აბსტრაგირება. ხშირად, რაც უფრო სცილდება ზოგადი კონკრეტულს, მით უფრო ღრმა და მრავალფეროვანი ხდება პირველის ინტერესთა სფერო, ხოლო რაც უფრო ღრმაა თეორიული წყაროთმცოდნეობა, მით უფრო მაღალია კონკრეტული წყაროთმცოდნეობის დონე.

ამავე დროს წყაროთმცოდნეობაშიც, მსგავსად სხვა დარგებისა, ჩნდება თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა პრობლემა: „ერთნი თეორიაზე მსჯელობენ, სხვები კი... ცოცხალ საქმიანობაში ხვდებიან სულ ახალ და ახალ საკითხებს, რომლებსაც პირველად თვითონ წყვეტენ...“⁵.

თუ კონკრეტული წყაროთმცოდნეობის ამოცანებია წყაროების გამოვლენა, წყაროს ტექსტის, მისი წარმომავლობის დადგენა, კონკრეტული წყაროთმცოდნეობითი ანალიზი (ცნობების სინუსტის, სისრულის დადგენა, მათი ცნობების ურთიერთშეპირისპირება და კავშირი), თეორიულ წყაროთმცოდნეობაში შედის ისეთი საკითხები, როგორიცაა წყაროს განსაზღვრება, წყაროთა კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია, ანალიზის მეთოდოლოგიური საკითხები,

² Л. Н. Пушкарёв. Классификация русских письменных источников по отечественной истории. М., 1975, с. 271.

³ О критике исторических источников — «Исторический архив.» 1957, № 5, 284 (ახრი გამოთქმული აქვს ვ. იაცუნსკის).

⁴ Л. Н. Пушкарёв. ДАსახ. ნაშრ. გვ. 272.

⁵ С. Н. Валк. Судьбы «археографин». «Археографический ежегодник, 1961 год». М., 1962, с. 463; იხ. აგრეთვე, М. С. Селезнев. По поводу термина «Археография». — «Археографический ежегодник, 1963 год», М., 1964, с. 216--218.

სინამდვილის ასახვა წყაროში, ისტორიული წყაროს და ისტორიული ფაქტის ურთიერთმიმართება და სხვ.

თეორიული წყაროთმცოდნეობა ყოველთვის ემსახურება კონკრეტულ წყაროთმცოდნეობას, ხოლო ორივე ერთად — საისტორიო მეცნიერებას. ამიტომ, ზოგადი წყაროთმცოდნეობის ყოველ პრობლემას, ყოველ ასპექტს კონკრეტული პრაქტიკული დანიშნულება. წყაროთმცოდნეობაში, ისევე როგორც ტექსტოლოგიაში, „მხოლოდ საკუთარი დიდი გამოცდილება იძლევა თეორიული განზოგადებების უფლებას“⁶.

სწორედ ასეთი მუშაობის შედეგია ა. პრონშტეინის „ისტორიული წყაროთმცოდნეობის მეთოდოლოგია“⁷, რაც მისივე „ისტორიული კვლევის მეთოდის“ (გამოვიდა 1971 წ.) შევსებული და შესწორებული გამოცემაა. წიგნი 11 თავისაგან შედგება. მას დართული აქვს სახელთა, ისტორიულ წყაროთა საძიებელი და შემოკლებათა სია. წიგნი საბჭოთა წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია.

მოკლე ინფორმაციაში შეუძლებელია ყველა იმ საკითხის ჩამოთვლა, რასაც აღნიშნული გამოკვლევა მოიცავს. ა. პრონშტეინის ნაშრომი ვათვალისწინებულობა სახელმძღვანელოდ სტუდენტთა, ასპირანტთა და მეცნიერ მუშაკთათვის, მაგრამ შინაარსით იგი სცილდება დანიშნულების ფარგლებს და წყაროთმცოდნეობის თანამედროვე მიღწევების შემაჯამებელ საინტერესო გამოკვლევას წარმოადგენს. ავტორის კვლევის ბაზა ფეოდალური ხანის რუსეთის ისტორიის წყაროები (XVIII ს-ის დასასრულამდე). წიგნში ვაზნობულ ყოველ თეორიულ საკითხთან დაკავშირებით მოტანილია დიდძალი ფაქტიური მასალა. ნაშრომი აგებულია შემდეგი პრინციპის მიხედვით: საკითხის ისტორია, თანამედროვე მიდგომა, კონკრეტული მასალა, ავტორის მოსაზრებანი.

ა. პრონშტეინი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ისტორიული კვლევის მეთოდოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი უკანასკნელი გამოკვლევებისაგან განსხვავებით, მისი ნაშრომი ისტორიულ წყაროთა შესწავლის მეთოდოლოგიას ეხება და, ამდენად, უფრო კონკრეტულ მიზნებს ისახავს. მაგრამ, ვინაიდან წყაროთმცოდნეობის ყველა საკითხი ერთმანეთთან დაკავშირებულია, ავტორი მეტ-ნაკლებად ჩერდება თითოეულ მათგანზე.

წიგნის პირველი ორი თავი (გვ. 16—76) ეთმობა საისტორიო წყაროების დახასიათებას. აქ ცენტრალური ადგილი უკავია წერილობით წყაროებს; დასაბუთებულია მათი კრიტიკული შესწავლის აუცილებლობა, მოცემულია კლასიფიკაცია, განხილულია როგორც ბურჟუაზიულ, ასევე საბჭოთა მეცნიერთა შეხედულებები.

უკანასკნელ დროს გაზიარებული, „საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში“ მოცემული ისტორიული წყაროს განსაზღვრება, არ შეიძლება ჩაითვალოს უნაკლოდ: „ისტორიული წყაროა ყველაფერი, რაც უშუალოდ ასახავს ისტორიულ პროცესს და იძლევა ადამიანთა საზოგადოების წარსულის შესწავლის შესაძლებლობას, ე. ი. ყველაფერი, რაც შექმნა აღრე ადამიანმა და მოაღწია

⁶ Д. С. Лихачёв. К вопросу о реконструкции древнерусских текстов. — «Исторический архив». 1957, № 6, с. 154.

⁷ А. П. Пронштейн. Методика исторического источниковедения. Ростов, и/Д., 1976.

ჩვენამდე მატერიალური კულტურის, დამწერლობის, იდეოლოგიის ჩვენ-
ჩვეულებათა და ენის ძეგლების სახით⁸. ამ განსაზღვრებაში დამაჯერებ-
ლობა აკლია აზრს „უშუალო ასახვის“ შესახებ. ამიტომ მის ავტორს სხვაგან
მთელი მსჯელობა დასჭირდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება ჩაით-
ვალოს უშუალო ასახვად: „უშუალობის ცნება პირობითია. ის შეიძლება
იყოს პირდაპირი — როდესაც წყაროს ავტორი თვითონ პირადად აკვირდება
რეალობას და ასახავს მას თავის შემოქმედებაში (წერილი, დღიური და ა. შ.).
ავტორი შეიძლება აკვირდებოდეს რეალურ მოვლენას, თვითონ, უშუალოდ,
მაგრამ გადმოგვეცემდეს მას დიდი ხნის შემდეგ (მემუარები); ამ შემთხვევაში
უშუალობა პირობითი ხდება... და ბოლოს, ავტორი შეიძლება გადმოსცემდეს
მოვლენას ამბის, თვითმხილველთა თხრობის, ან აღრეული წყაროების საფუ-
ძველზე — ასახვის უშუალობა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო პირობითი ხდე-
ბა“⁹. უკანასკნელი შემთხვევა, ვფიქრობთ, არ შეიძლება სინამდვილის უშუა-
ლო ასახვად ჩაითვალოს, ამიტომ უფრო მისაღები ჩანს ისტორიული წყაროს
პრონშტეინისეული განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც „ისტორიულ წყა-
როებად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანთა საქმიანობის ყოველგვარი ნაყოფი,
რაც შეიცავს ფაქტებს, რომლებსაც ჩვენამდე მოაქვთ საზოგადოებრივი ცხოვ-
რების რეალური მოვლენები, უშუალო ან მეშვეობითი ასახვის ერთობლიო-
ბით და მოწმობენ ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერ
პროცესს“ (გვ. 20).

წყაროების ინდივიდუალური შესწავლის გარდა არსებობს მეცნიერუ-
ლი კვლევის ერთიანი პრინციპები, რომელთა ზუსტ შემუშავებაზე ბევრად
არის დამოკიდებული წყაროს საინფორმაციო პოტენციის სრულად გამოვლენ-
ა. საერთო და ინდივიდუალური მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირე-
ბული. საერთო წესების სრულყოფა დამოკიდებულია კონკრეტული მასალის
უკეთ ცოდნასა და წყაროთა ზუსტ კლასიფიკაციაზე. წყაროთა სხვადასხვა სა-
ხეობებს კვლევის განსხვავებული სპეციფიკა ახასიათებს.

შემდეგი საკითხი, რომელსაც ადგილი ეთმობა გამოკვლევაში, არის წყა-
როთა კლასიფიკაცია. წყაროთა კლასიფიკაციას მიეძღვნა ვ. იაქუნსკის, ვ. და-
ნილოვის, ს. იაკუბოვსკაიას, ს. კაშტანოვის, ა. კურნოსოვის, მ. მაკაროვის,
მ. სელეზნიოვის, მ. გუბენკოს, ბ. ლიტვაკისა და სხვათა ნაშრომები. განსა-
კუთრებით სრულად ეს საკითხები დამუშავდა ლ. პუშკარიოვის გამოკვლევაში.
ამათი ამ მიმართულებით გვრჩევს.

არ არის საკმარისი იმის აღნიშვნა, რომ კლასიფიკაციას საფუძვლად წყა-
როთა არსებითი მხარე უნდა დაედოს. გასარკვევი ხდება — რომელია ეს არ-
სებითი მხარე? ა. პრონშტეინი, თუმცა მისაღებად თვლის ლ. პუშკარიოვისეულ
დაყოფას შეიდ ძირითად ტიპად (1. წერილობითი, 2. ნივთიერი, 3. ეთნო-
გრაფიული, 4. ზეპირი ან ფოლკლორული, 5. ლინგვისტური, 6. ფოტოკინო-
დოკუმენტური 7. ფონოდოკუმენტური), ამასთანავე აღნიშნავს, რომ ეს კლა-
სიფიკაცია არ არის სრულყოფილი (გვ. 33).

ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება წერილობით წყაროებზე, ვინაი-
დან ეს ავტორის კვლევის მთავარი მიზანია. „წერილობით წყაროებს ეკუთ-

⁸ Л. Н. Пушкарёв. Источники исторические. СИЭ, т. 6, М., 1965, с. 591.

⁹ Л. Н. Пушкарёв. Классификация... с. 63.

ენის წარსულის ყველა ძეგლი, რომლის შინაარსი გრაფიკული ნიშნების საშუალებითაა გადმოცემული“ (გვ. 34). აქედან გამომდინარე ავტორი წერილობით წყაროებად მიიჩნევს ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და გრაფიტებს, რაც ლ. პუშკარიოვის აზრით, გარდამავალი ტიპია ნივთიერსა და წერტილურ ძეგლებს შორის¹⁰.

ა. პრონშტეინი ეხება წერილობითი ძეგლების პუშკარიოვისეულ კლასიფიკაციას და შეაქვს მასში ზოგიერთი კორექტივი. ლ. პუშკარიოვი ჰყოფს წერილობით წყაროებს ორ გვარად — თხრობით და დოკუმენტურ წყაროებად, ხოლო თითოეულს ოთხ სახეობად. ა. პრონშტეინს ზედმეტად მიაჩნია წყაროების ორ გვარად დაყოფა. მისი ეს მოსაზრება ახალი არ არის. XIX და XX სს-ში რუსულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად გაბატონებული იყო წერილობითი წყაროების ორ გვარად დაყოფა — დოკუმენტური და ნარატიული. აღნიშნული კლასიფიკაცია თავის დროზე უარყო ა. ლაპო-დანილევსკიმ და შემდეგ სხვებმაც. ა. პრონშტეინის არგუმენტაცია ამ შემთხვევაში გამომდინარეობს ძირითადად წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის ხერხებიდან და ამდენად მის მიმართაც სავსებით სამართლიანია ს. კაშტანოვის აზრი ა. ლაპო-დანილევსკიზე, რომ იგი კლასიფიკაციას საფუძვლად უდებს განსხვავებას არა წყაროებს, არამედ იმ თვალსაზრისებს შორის, რომლითაც შეისწავლება ისტორიული წყარო¹¹. ის, რომ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებს შორის არ არსებობს გარდაუვალი ზღვარი და რომ რიგი ისტორიული წყაროებისა ვერ თავსდება ვერც დოკუმენტურ და ვერც ნარატიულ წყაროებში, არ რის საკმარისი წყაროების აღნიშნული კლასიფიკაციის უარსაყოფად. თეორიული თვალსაზრისით, ასეთი უარყოფა მხოლოდ არეულობას იწვევს. ამიტომ ამ შემთხვევაში მისაღები ჩანს ლ. პუშკარიოვის კლასიფიკაცია, რომელიც ინარჩუნებს წყაროთა დაყოფას დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებად¹².

ა. პრონშტეინის აზრით, მისაღებია წყაროთა მხოლოდ სახეობებად დაყოფა. სახეობები შეიძლება დაიყოს ჯგუფებად და ქვეჯგუფებად, რომლებიც ერთმანეთისაგან ზოგიერთი მეორეხარისხოვანი თვისებით განსხვავდება. ყოველმა მათგანმა შეიძლება იარსებოს მოკლე პერიოდის მანძილზე და შემდეგ გაქრეს. ავტორი ფაქტიურად იზიარებს წყაროს სახეობის ლ. პუშკარიოვისეულ განსაზღვრებას — „წერილობით წყაროთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპლექსი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სტრუქტურისა და შინაგანი ფორმის მსგავსი თვისებები“¹³. შეადარე: „წყაროები, რომლებსაც აქვთ მყარი სტრუქტურა, ინარჩუნებენ წარმოშობისა და შინაგანი ფორმის საერთო ნიშნებს და საშუალებას იძლევიან მათ მიმართ გამოყენებულ იქნეს კვლევის ერთიანი მეთოდები“ (პრონშტეინი, გვ. 48). წინადადების დასასრული განსაზღვრებად, ვფიქრობთ, არ გამოდგება, ვინაიდან, როგორც არაერთხელ აღინიშნა, „კრიტიკის ანალოგიური მეთოდები შეიძლება მხოლოდ იარაღი იყოს

¹⁰ Л. Н. Пушкарёв. Формы и содержание исторического источника. — «Советские архивы». 1966, № 5, 38.

¹¹ С. М. Каштанов. Источниковедение. — В кн.: «Очерки истории исторической науки», т. III, М., 1963, с. 576.

¹² Л. Н. Пушкарёв. Классификация... с. 212.

¹³ იქვე, გვ. 225.

და არა კრიტიკიუმი სახეობის გამოსაყოფად¹⁴. ცალკეული წყაროების არა-საკმარისი დამუშავების გამო ეს განსაზღვრებები არ არის დამაჯერებელი. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ლ. მუშაროვისგან განსხვავებით ა. პრონშტეინი, მაგალითად, სააქტო მასალისაგან გამოჰყოფს კანონმდებლობას და სრულიად დამოუკიდებელ სახეობად მიიჩნევს. წიგნში საკანონმდებლო ძეგლებსა და სააქტო მასალას ცალ-ცალკე თავები ეძღვნება (VIII, IX, გვ. 270—362). აქ განხილულია ინფორმაციის კლასობრივი და პოლიტიკური ხასიათი, მისი მომზადების პირობები, ინფორმაციის მეცნიერული ღირებულება, ანალიზის მეთოდები, წყაროთა ცალკეული ჯგუფების შესწავლის თავისებურებები. მაგრამ თვით კანონმდებლობის ცალკე სახეობად გამოყოფის საჭიროება, ჩვენი აზრით, სათანადოდ ვერ არის დასაბუთებული.

გამოკვლევაში გარკვეული ადგილი ეთმობა პრესის შესწავლის ისტორიას (გვ. 48). მეცნიერთა ნაწილი პერიოდიკას არ მიიჩნევს პირველწყაროდ, სხვები კი პირიქით — მას საარქივო მასალას უტოლებენ. არსებობს მესამე, დიფერენცირებული მიდგომაც, რომელიც მხოლოდ გარკვეულ მასალას ფვლის პირველწყაროდ¹⁵. პრონშტეინი, მსგავსად ზოგიერთი მეცნიერისა¹⁶, პრესას საისტორიო წყაროთა ცალკე ჯგუფად მიიჩნევს. რჩება დასაზუსტებელი: რომელ სახეობას უნდა მიეკუთვნოს აღნიშნული ჯგუფი, თუ ყველას ერთდროულად?

გამოკვლევის ძირითადი ნაწილი ეთმობა წერილობითი წყაროების შესწავლის სპეციულ მეთოდებს. აქ წყარომცოდნეობა უახლოვდება ტექსტოლოგიას, პალეოგრაფიას, ლინგვისტიკას და სხვა დისციპლინებს. ა. პრონშტეინი ტექსტოლოგიას საეცებით სამართლიანად ისტორიის დამხმარე დისციპლინად მიიჩნევს (გვ. 77)¹⁷.

ამ ნაწილს ავტორი იწყებს წყარომცოდნეობითი ტერმინოლოგიის დადგენით. მსჯელობს ტერმინოლოგიისა და ლექსიკის ცოდნის მნიშვნელობაზე ტექსტის სწორი გაგებისათვის.

განხილავს რა ტექსტის დადგენის ყველა არსებულ მეთოდს, ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც მკვლევრის განკარგულებაში რამდენიმე ნუსხაა, ავტორი გამოჰყოფს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. ყველა ნუსხის არა ცალ-ცალკე, არამედ ერთდროულად შესწავლა.
2. წყაროთა გრამატიკული და ტექსტოლოგიური გამოკვლევა, რაშიც შეედის შეცდომები, მსგავსი ადგილები, განსხვავებები, არა იზოლირებულად, არამედ ერთად, მთელი ნაწარმოების, ან კრებულის შემადგენლობაში.
3. ტექსტის გამოკვლევა არა მარტო შეცდომათა გასწორებისა და თავდაპირველი ტექსტის აღდგენის მიზნით, არამედ რედაქციათა და ტექსტის შექმნის ისტორიის დასადგენად.

¹⁴ იქვე, გვ. 223.

¹⁵ А. А. Зимин, Д. А. Коваленко, В. Е. Полетаев. Методическое пособие по археографии. — «Исторический архив», 1960, № 1, с. 227.

¹⁶ С. И. Антонова. Периодическая печать как исторический источник по истории СССР (1895—1917 гг.). Вып. I., М., 1966.

¹⁷ არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. დ. ლიხაჩოვი ტექსტოლოგიას დამხმარე ფილოლოგიურ მეცნიერებად თვლის (Д. С. Лихачёв. Текстология. Краткий очерк. 1964, М. — Л., с. 7). დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ: С. Н. Азбелев. Текстология как вспомогательная историческая дисциплина. — «История СССР», 1966, № 4, с. 85.

4. ისტორიული წყაროების არა მარტო ტექსტოლოგიური შესწავლა, არამედ შედარებით-ისტორიული. ამასთანავე არ არის უგულბებლყოფილი სუბიექტური ფაქტორები ან შემთხვევითობები. მაგრამ ტექსტის ცვლილება შემთხვევითად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როდესაც არ არსებობს სხვა ხსენა.

5. ყველა შემთხვევაში მხედველობაში მიიღება არა რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი ცვლილება, ვინაიდან ხშირად მცირე სხვაობას წყაროს შინაარსის არსებითი ცვლილება მოჰყვება (გვ. 128—129).

დიდი ადგილი ეთმობა გამოკვლევაში საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებად დამუშავებულ საკითხს წყაროთა ინტერპრეტაციის შესახებ — ჰერმენევტიკას. ზოგადი მსჯელობისა და სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებების განხილვის შემდეგ ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორი ჩერდება წერილობითი წყაროების ცალკეულ სახეობათა ინტერპრეტაციის თავისებურებებზე. მოტანილია მრავალი მაგალითი.

გამოკვლევაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საკითხებს წყაროს შექმნის დროის, ადგილის, ავტორისა და პირობების შესახებ (VI თავი), ნაყალბევის გამოვლენასა და კრიტიკული ანალიზის მეთოდებს (VII თავი), თხრობითი წყაროების ინფორმაციის მეცნიერული ღირებულების დადგენას (X თავი). წიგნის უკანასკნელი თავი ეძღვნება წყაროების გამოვლენას (ევერისტიკას). აქვე მოცემულია პუბლიკაციათა და საარქივო კრებულების მოკლე მიმოხილვა.

წყაროთმცოდნეობის თანამედროვე დონე არ იძლევა წიგნში წარმოდგენილი ყველა საკითხის გადაწყვეტის საშუალებას. მრავალი მათგანი შემდგომ კვლევას მოითხოვს. ყოველი ცდა ამ მიმართულებით გაამდიდრებს საისტორიო მეცნიერებას.

სარჩამი

კონკრეტული წყაროთმცოდნეობა

თინათინ ყაუხჩიშვილი. ესქილეს „სპარსელები“ და პეროდოტეს „ისტორია“	5*
T. C. Каухчишвили. «Персы» Эхила и «История» Геродота (резюме)	19
ბენიამინ სილაგაძე. არაბი მწერლების ცნობები რას ტარხანის ლაშქრობის შესახებ საქართველოში 764 წელს	20
Б. Г. Силагадзе. Сведения арабских писателей о походе Рас-Тархана хорезмского в Грузию (резюме)	32
ზაზა ალექსიძე. ბაგრატ ერისთავთა ერისთავის მიერ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ განახლება	33
З. Н. Алексидзе. Возобновление «Жития Григория Хандзтийского» эриставом эриставом Баграмом (резюме)	38
მამისა ბერძნიშვილი. „მატიანე ქართლისაჲ“-ის ერთი ადგილის დაზუსტებისათვის	39
М. М. Бердзнишвили. К уточнению одного места текста «Летописи Грузии» (резюме)	48
მამისა ბერძნიშვილი. ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან („სიგლის თავი“ XI—XV საუკუნეებში)	50
М. М. Бердзнишвили. Из истории грузинской дипломатики (Вступительная часть документов XI—XV вв.) (резюме)	59
ილია ანთელავა, ტერმინ „კაბალა“-ს მნიშვნელობისათვის	60
И. П. Антелава, О значении термина „кабала“	62
მზია სურგულაძე. XIV—XV სს. მეფეთა წყალობის სიგელების დიპლომატიკური თავისებურება	63
М. К. Сургуладзе. Дипломатические особенности грузинских царских жалованных грамот XIV—XV вв. (резюме)	69
მერი გობეჯიშვილი. ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების ლენინგრადული N 41 ნუსხის მინაწერები	70
М. Г. Гобеджишвили. Записи ленинградского списка N 41 исторического сочинения Парсадана Горгиджанидзе (резюме)	75

წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფია

გიორგი ანჩაბაძე. დიმიტრი ბაქრაძე — ქართული წყაროთმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი	76
Г. З. Анчабадзе. Дмитрий Бакрадзе — видный представитель грузинского источниковедения (резюме)	85
რევაზ კიკნაძე. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა	86
Р. К. Кикнадзе. И. А. Джавахишвили и источниковедение истории Грузии (резюме)	98



გიული ალასანიძე. საისტორიო წყაროების გამოცემის ზოგერთი პრინციპი 99
 Г. Г. Аласаниа. Некоторые принципы издания исторических источников (резюме) 99

აზალიკათი

ლიანა დავლიანიძე. ჰაკობ შუმახეცის „თამაზ-ყული-ხანის ლაშქრობანი და მისი შაჰად არჩევა“ 112
 Л. С. Давлианидзе. Сочинение Акопа Шамахеци «Походы Тамаз-Кули-хана и избрание его шахом» (резюме) 125
 ნოდარ შენგელია. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ოსმალური დოკუმენტური წყაროები ფოთის ციხის შესახებ 126
 Н. Н. Шенгелия. Османские документальные источники первой четверти XVIII века о крепости Поти (резюме) 139
 ალექსანდრე აბდალაძე. ვრეკლე II-ის წერილი იერუსალიმის სომეხთა პატრიარქისადმი 149
 А. П. Абдаладзе. Письмо Ираклия II-го патриарху иерусалимских армян (резюме) 152

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გიორგი ანჩაბაძე. მნიშვნელოვანი მონოგრაფია თეორიულ წყარომცოდნეობაში 153
 გიული ალასანიძე. ისტორიული წყარომცოდნეობის საყურადღებო მეთოდური სახელმძღვანელო 165

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•
ИБ 729

გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე
ტექნორედაქტორი ც. ქაშიშვიდი
მხატვარი ვ. ნადირაძე
კორექტორი ზ. ომარაშვილი

გადაეცა წარმოებას 20.10.1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.12.1978;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 15,4;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11.01;

უფ 01225; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 3963;
ფასი 1 მან. 45 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ГРУЗИНСКОЕ ИСТОЧНИКОВЕДИЕ

V

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»

ТБИЛИСИ

1978

გამომცემლობა „მცინერიბაგ“ უახლოეს ხანებში გამოსცა
ისტორიული თემატიკის შერეული წიგნები:

1. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები.
2. ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე. აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გა-
ერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში.
3. გ. მ ა რ გ ი ა ნ ი. ქართული ხალხოსნობის ისტორიოგრაფია.

ფასი 1 მან. 45 კპ.

2196/2

